

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტი

ფილოლოგია (ლექსიკოგრაფია)

თამარ კვიციანი

ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლინგვისტური  
მოდელირების თავისებურებები

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი თინათინ მარგალიტაძე,

ასოცირებული პროფესორი რუსუდან დოლიძე

თბილისი

2025

## აბსტრაქტი

ნაშრომის საკვლევი თემა არის ტერმინოლოგია. კვლევის ფარგლებში მიზნად დავისახეთ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის მრავალმხრივი შესწავლა, ერთი მხრივ, ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისა და ისტორიული გამოცდილების და, მეორე მხრივ, ქართული ტრადიციული ტერმინთა შემოქმედების მეთოდების ანალიზის ფონზე.

ჩვენ მიერ დასახული მიზნებიდან გამომდინარე კვლევის პირველ ეტაპზე გაანალიზდა 1600 ტერმინი, მათ შორის 800 ტერმინი ისეთი ტრადიციული დარგებიდან, როგორცაა: ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ხოლო 800 ტერმინი შევისწავლეთ უფრო გვიან განვითარებულ დარგებში, როგორცაა: გენეტიკა, იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია. ტერმინები შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით ამოიკრიბა სხვადასხვა ბიოლოგიური ლექსიკონიდან. სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებმა განაპირობა ჩვენი ინტერესი უფრო ჩაღრმავებულად შეგვესწავლა ტრადიციული დარგებისა (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია) და შედარებით მოგვიანებით განვითარებული დარგების (იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა) ტერმინების მოდელირების მეთოდები ქართულში. ქართული ტერმინთა შემოქმედების მეთოდების ანალიზისათვის დავეყრდენით ქართველი ტერმინოლოგის რ. ლამბაშიძის მონოგრაფიას „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (1986) და საერთაშორისო სტანდარტს „ისო 704-2022, ტერმინოლოგიური მუშაობა - პრინციპები და მეთოდები“. კვლევაში გამოყენებულია ტერმინთა სამ ენაში შეპირისპირებითი კვლევის მეთოდი. ქართული ტერმინები შევადარეთ მათ შესატყვის რუსულ და ინგლისურ ტერმინებს. აგრეთვე მივმართეთ ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდს ინგლისური ტერმინების მოდელირების სიღრმისეულად წარმოჩენის მიზნით. კვლევის შემდგომ ეტაპზე მიზნად დავისახეთ გაგვეანალიზებინა ბიოლოგიური ტერმინოლოგიის მდგომარეობა თანამედროვე სახელმძღვანელოებში. შევარჩიეთ ისეთი ახალი დარგი, როგორცაა ბიოინფორმატიკა და შესასწავლად ავიღეთ ნათარგმნი სახელმძღვანელო (სუნი, 2012), რათა ინგლისური ტერმინების ქართულად გადმოღების მეთოდებისა და ტენდენციებისათვის მიგვეღვენებინა თვალი. ამისათვის გამოვიყენეთ კორპუსული კვლევის მეთოდი, კერძოდ ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმა

სახელმძღვანელოს ტერმინოლოგიის დამუშავების მიზნით. კორპუსიდან ტერმინების ამოსაკრებად კი გამოვიყენეთ პროგრამული ინსტრუმენტი „სინქროტერმი“.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მრავალი საყურადღებო საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით. ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვა და ამ პროცესების გაკონტროლება უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს ქვეყნისათვის. ენობრივი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა ბევრ ქვეყანაში კანონით რეგულირდება. ამ კუთხით აუცილებელია საქართველოშიც წარიმართოს მუშაობა. ამ პროცესებში თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულები შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, დარგის სპეციალისტები, ენათმეცნიერები, რათა თავიდან ავიცილოთ ტერმინთა სპონტანური და უკონტროლო შემოდინება ენაში. მიგვაჩნია, რომ ტერმინოლოგია არის საერთო საქმე, რომლის ირგვლივაც მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს და აუცილებელია ქართული ტერმინთმემოქმედების ისტორიისა და ტრადიციის გათვალისწინებით წარიმართოს დღესაც ტერმინოლოგიური საქმიანობა ქვეყანაში.

## Abstract

The research topic of the present thesis is terminology. Within the framework of our research, we decided to conduct a comprehensive study of modern Georgian terminology, on the one hand, against the backdrop of the history of terminological work in Georgia and on the other hand based on the analysis of the tradition of Georgian term formation.

For the objectives set by us, on the first stage, we analysed 1600 terms, including 800 terms from more traditional fields, such as botany, zoology and anatomy, as well as 800 terms from more modern fields, such as genetics, immunology and biotechnology. The terms were extracted from several biological dictionaries based on the principle of random sampling.

The results of this study determined our interest in an in-depth investigation of the methods of formation of terms of traditional fields (botany, zoology and anatomy) and terms from the fields developed relatively later (immunology, biotechnology and genetics). For analyzing Georgian term formation methods we relied on the monograph of Georgian terminologist R. Ghambashidze “*Georgian Scientific Terminology and the Main Principles of its Compilation*” (1986) and the ISO standard 704-2022 “Terminology Work – Principles and Methods”. In the study, we have used the method of contrastive analysis of material of three languages. We compared the Georgian terms with the corresponding Russian and English terms. We have also used the method of etymological analysis to observe the methods of formation of English terms.

On the final stage of our study we researched the state of biological terms in modern textbooks. We selected a new field, such as bioinformatics and extracted terms from a manual of biology and its Georgian translation (Suni, 2012) to observe the tendencies and methods of term formation from English into Georgian. For this purpose, we have applied the corpus-based approach, specifically the platform of the English-Georgian Parallel Corpus and terms were extracted from the corpus with the help of the terminological extraction tool “SynchroTerm”.

The research has revealed several noteworthy issues, which are important from the point of view of the formulation of terminological policy in our country. Monitoring and controlling the process of terminological work should be the first priority in the country. Linguistic and

terminological policy is regulated by law in many countries. From this point of view, it is urgent to pay more attention to the terminological work in Georgia. Terminology work is a process in which government agencies, field specialists and linguists should be equally involved to control spontaneous and uncontrolled influx of terms into the Georgian language. We believe, that terminology is a common cause that should unite the society and terminological activities should be conducted taking into account the history of Georgian terminology and Georgian term formation methods.

## შინაარსი

შესავალი .....	1
თავი 1 .....	7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა .....	7
1.1. ტერმინისა და ტერმინოლოგიის რაობა .....	7
1.2. ტერმინოლოგიური სკოლები .....	16
1.3. ტერმინის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები .....	22
1.5. ენობრივი პოლიტიკა სხვა ქვეყნებში .....	37
1.6. თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები .....	41
1.7. ქართული ტერმინქმნადობის ისტორია.....	48
1.8. დასკვნა .....	61
თავი 2 .....	67
ქართული ტერმინოლოგია: ტრადიცია და თანამედროვეობა.....	67
2.1. ტრადიციული დარგების ტერმინოლოგია: ანატომია, ზოოლოგია და ბოტანიკა .....	68
2.2. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ტერმინები: იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა .....	74
2.3. დასკვნა .....	82
თავი 3 .....	84
ქართულ ტერმინთა მოდელირების ტენდენციები მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე .....	84
3.1. ქართულ ტერმინთა მოდელირების ტრადიცია ანატომიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინების მაგალითზე.....	85
3.2. თანამედროვე ქართულ ტერმინთა მოდელირების ტენდენციები იმუნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური და გენეტიკური ტერმინების მაგალითზე. ....	115
თავი 4 .....	143
ბიოლოგიური ტერმინოლოგიის ანალიზი თანამედროვე სახელმძღვანელოში.....	143
4.1. ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი.....	144
4.2. სინქროტერმი .....	146
4.3. სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა ანალიზი.....	148
4.4. დასკვნა.....	151

თავი 5.....	153
საერთო დასკვნა და რეკომენდაციები .....	153
გამოყენებული ლიტერატურა:.....	163
დანართი 1 .....	171
დანართი 2 .....	202
დანართი 3 .....	248

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომში წარმოვადგენთ ინგლისურ-ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ლინგვისტური მოდელირების თავისებურებებს.

### სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები

მე-20 საუკუნის ბოლო მესამედი და 21-ე საუკუნე აღბეჭდილია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით, რამაც, რა თქმა უნდა, ასახვა ჰპოვა ენაზე. ენაში მოზღვავდა უამრავი ახალი ცნება და მისი შესატყვისი ტერმინი. როგორც ტერუზა კაბრე აღნიშნავს, ცალკეულ ქვეყნებში ტერმინოლოგიურ საქმიანობაზე გავლენას ახდენს ამ ქვეყნებში მიმდინარე ცვლილებები. ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და მოიცავს საზოგადოების მოღვაწეობის ყველა სფეროს. ის ასევე ხაზს უსვამს, რომ ინფორმაციის დიდი რაოდენობით მოზღვაება და ახალი სიტყვებისა თუ ტერმინების შექმნა იწვევს სხვადასხვა ენების ლექსიკის მუდმივ განახლებას. ვინაიდან მეცნიერება და ტექნოლოგიები ძირითადად ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ვითარდება, ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგია ამ ქვეყნების ენებზე იქმნება და არსებობს იმის საშიშროება, რომ ეს ტერმინოლოგია ისესხონ სხვა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ენებმა. კაბრეს აზრით, სესხების შემთხვევები უნდა გაკონტროლდეს და ენობრივმა საზოგადოებებმა არ უნდა დაუშვან მათ ენებში ტერმინთა უკონტროლო შემოდინება (კაბრე, 1992: 4).

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების შედეგად წარმოქმნილია ახალმა ცნებებმა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა ქართული ენაც. ამ ვითარების ფონზე საყურადღებოა ქართველი ლექსიკოგრაფების, ტერმინოლოგების, დარგების სპეციალისტების შემფოთება იმის გამო, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში გარკვეულად შეფერხებულია და რომ ბევრი ტერმინი სხვადასხვა დარგში, ძირითადად, სესხების გზით შემოდის და მკვიდრდება (ქაროსანიძე, 2012; მარგალიტაძე, 2019; Gogia, 2023).

ჩვენ ვეთანხმებით ტ. კაბრეს აზრს და მიგვაჩნია, რომ ტერმინთა უკონტროლო შემოდინება საფრთხეს უქმნის ენას და საჭიროა ამ პროცესების გაკონტროლება. აუცილებელია სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, რომელშიც უნდა

ჩაერთონ დარგების სპეციალისტები, ენათმეცნიერები და ტერმინოლოგები. ამ პოლიტიკის შემუშავებისას საჭიროა ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორიის და ტრადიციის გათვალისწინება, რადგან ამ ისტორიაზე თვალის გადავლებითაც კი ნათელი ხდება, რომ ჩვენში ტერმინოლოგიურ საქმიანობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც ადრეული შუა საუკუნეებიდან იწყება. ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრის დროს ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დიდი რაოდენობით ახალი სამეცნიერო ცნებების წარმოქმნამ გამოიწვია ცვლილებები თანამედროვე ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებში (Fontenelle, 2014; ISO 707, 2022). სწორედ ამიტომ ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა ტერმინოლოგიურ მუშაობას დღევანდელ საქართველოში და სწორედ ამან განაპირობა ჩვენი საკვლევი თემის არჩევანი - ტერმინოლოგია.

აქედან გამომდინარე მიზნად დავისახეთ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის მრავალმხრივი შესწავლა, ერთი მხრივ, ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისა და ისტორიული გამოცდილების და, მეორე მხრივ, ქართული ტრადიციული ტერმინთშემოქმედების მეთოდების ანალიზის ფონზე.

ამ მიზანმა განსაზღვრა ჩვენი კვლევის კონკრეტული ამოცანები, კერძოდ:

1. ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლა;
2. ქართული ტრადიციული ტერმინთშემოქმედების წყაროების შესწავლა რამდენიმე ტრადიციული დარგის ტერმინების ანალიზის საშუალებით, რისთვისაც შეირჩა ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ანატომიის დარგები;
3. თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის წყაროების შესწავლა რამდენიმე თანამედროვე დარგის ტერმინების ანალიზის საშუალებით, რისთვისაც შეირჩა გენეტიკის, იმუნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის დარგები;
4. ზოოლოგიის, ბოტანიკისა და ანატომიის ქართული და ინგლისური ტერმინების მოდელირების ძირითადი მეთოდებისა და ტენდენციების შეპირისპირებითი ანალიზი. ამ საკითხის შესწავლისას რუსული ენის მასალაზე დაკვირვებაც, რადგან XX საუკუნეში ქართული ტერმინოლოგია რუსული ენის დიდ გავლენას განიცდიდა;

5. გენეტიკის, იმუნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის ქართული და ინგლისური ტერმინების მოდელირების ძირითადი მეთოდებისა და ტენდენციების შეპირისპირებითი ანალიზი;
6. თანამედროვე ბიოლოგიური ტერმინოლოგიის შესწავლა სახელმძღვანელოს მასალაზე.

ქართული ტერმინოლოგიის სწორედ ასეთ მრავალმხრივ შესწავლაში მდგომარეობს ნაშრომის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე. ვფიქრობთ, რომ კვლევის შედეგები და რეკომენდაციები საინტერესო იქნება თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით. ნაშრომში გაანალიზებული ტერმინები და წარმოდგენილი მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნეს ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის სალექციო და პრაქტიკულ კურსებში, განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან მუშაობისათვის.

#### **ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები**

ტრადიციული ქართული ტერმინშემოქმედების მეთოდების ანალიზისათვის, ასევე ქართული ტერმინების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათებისათვის დავეყრდენით იმ მეთოდებს, რომელიც აღწერილია როგნედა ლამბაშიძის მონოგრაფიაში „*ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები*“ (1986).

თანამედროვე ტერმინოლოგიის ძირითადი მახასიათებლების ანალიზისათვის დავეყრდენით საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტს ისო 704: 2022, „ტერმინოლოგიური მუშაობა - პრინციპები და მეთოდები“.

კვლევის თეორიულ საფუძვლებს ასევე ქმნის ტ. კაბრეს, თ. ფონტენელის, დ. მელიქიშვილის, ლ. ქაროსანიძის, თ. მარგალიტაძის შრომები.

კვლევისთვის გამოვიყენეთ სამი ენის შეპირისპირებითი კვლევის მეთოდი. კვლევაში ჩავრთეთ რუსული ენა, რადგან ქართული ენა რუსული ენის დიდ გავლენას განიცდიდა XX საუკუნეში.

გამოვიყენეთ ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდი ინგლისური ტერმინების მოდელირების სიღრმისეულად წარმოჩენის მიზნით.

გამოვიყენეთ კორპუსული კვლევის მეთოდი, კერძოდ ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმა სახელმძღვანელოს ტერმინოლოგიის დამუშავების მიზნით. კორპუსიდან ტერმინების ამოსაკრებად კი გამოვიყენეთ პროგრამული ინსტრუმენტი „სინქროტერმი“.

### **ნაშრომის სტრუქტურა:**

გამომდინარე ზემოთხსენებული მიზნებიდან და ამოცანებიდან განისაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა. ის შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომს დართული აქვს სამი დანართი.

შესავალში განხილულია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკვლევი თემა, მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, ნაშრომის სიახლე და აქტუალურობა.

ნაშრომის პირველ თავში მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურა. ის იყოფა რვა ქვეთავად: 1. ტერმინისა და ტერმინოლოგიის რაობა; 2. ტერმინოლოგიური სკოლები; 3. ტერმინის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები; 4. ქართული ტერმინთშემოქმედების მეთოდები; 5. ენობრივი პოლიტიკა სხვა ქვეყნებში; 6. თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები; 7. ქართული ტერმინქმნადობის ისტორია; 8. დასკვნა. მოცემულ თავში დეტალურად არის განმარტებული ტერმინისა და ტერმინოლოგიის რაობა. ხაზგასმულია ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვის მნიშვნელობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო სტანდარტებისა და მოცემული ენის თავისებურებებისა და ენობრივი ნორმების გათვალისწინებით. აღწერილია ტერმინოლოგიური სკოლები, რომლებიც დაედო საფუძვლად ტერმინოლოგიის თეორიას და მისი გამოყენების მეთოდოლოგიურ პრინციპებს. პირველ თავში ასევე აღწერილია ტერმინის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები. აქვე წარმოდგენილია საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა იყოს ტერმინების წარმოებისას. ამავე თავის ერთ-ერთი ქვეთავი ეხება ქართული ტერმინთშემოქმედების მეთოდებს, სადაც გარდა

ტერმინების შექმნის სხვადასხვა მეთოდის დეტალური აღწერისა, ასევე ხაზგასმულია ქვეყანაში ენობრივი თუ ტერმინოლოგიური პოლიტიკის არსებობის აუცილებლობა ტერმინოლოგიური საქმიანობის სწორად წარმართვის მიზნით. ასევე აღწერილია რამდენიმე ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ამ ქვეყნებში აწესრიგებს ტერმინოლოგიურ საქმიანობას. პირველ თავში ასევე წარმოდგენილია თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები და დეტალურად არის მიმოხილული ქართული ტერმინქმნადობის მდიდარი ისტორია შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე. გამოყოფილია ქართული ტერმინქმნადობის ისტორიის რამდენიმე მნიშვნელოვანი პერიოდი და თითოეულ პერიოდში არსებული მეთოდები და მიდგომები.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომლის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ რამდენად იქმნებოდა ქართული ტერმინები ქართული ენის რესურსების გამოყენებით და რა მდგომარეობაა ქართულ ტერმინოლოგიაში ამ თვალსაზრისით ამჟამად. ამ ამოცანის გადასაჭრელად ტრადიციული დარგების ტერმინოლოგია შედარდა უფრო გვიან განვითარებული დარგების ტერმინოლოგიასთან. გაანალიზდა 1600 ტერმინი, რომლებიც შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით ამოიკრიბა სხვადასხვა ბიოლოგიური ლექსიკონიდან. აქედან გამომდინარე მეორე თავი იყოფა ორ ქვეთავად: 1. ტრადიციული დარგების ტერმინოლოგია: ანატომია, ზოოლოგია და ბოტანიკა; 2. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ტერმინები: იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა. მოცემულ თავს თან ერთვის დასკვნა.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი. ამ თავში შესწავლილია, ერთი მხრივ, ტრადიციული დარგებისა (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია) და, მეორე მხრივ, შედარებით მოგვიანებით განვითარებული დარგების (იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა) ტერმინების მოდელირების მეთოდები ქართულში. შესაბამისად, მესამე თავი იყოფა ორ ქვეთავად: 1. ქართულ ტერმინთა მოდელირების ტრადიცია ანატომიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინების მაგალითზე; 2. თანამედროვე ქართულ ტერმინთა მოდელირების ტენდენციები იმუნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური და გენეტიკური ტერმინების მაგალითზე.

თითოეულ ქვეთავს დართული აქვს დასკვნა. ქართული ტერმინთშემოქმედების მეთოდების ანალიზისათვის გამოყენებულია რ. დამბაშიძის მონოგრაფია (1986) და საერთაშორისო სტანდარტი „ისო 704-2022, ტერმინოლოგიური მუშაობა - პრინციპები და მეთოდები“. კვლევაში ასევე გამოყენებულია ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდი. ქართული ტერმინები შედარებულია მათ შესატყვის რუსულ და ინგლისურ ტერმინებთან. საკვლევ მასალად გამოყენებულია მეორე თავში წარმოდგენილი კვლევისათვის შერჩეული 1600 ტერმინი. ტერმინები შერჩეულია შემთხვევითობის პრინციპით და შესწავლილია ტერმინთა წარმოების თვალსაზრისით.

ნაშრომის მეოთხე თავში გამოკვლეულია ბიოლოგიური ტერმინოლოგიის მდგომარეობა თანამედროვე სახელმძღვანელოებში. შესასწავლად შერჩეულია ერთ-ერთი ახალი დარგი ბიოინფორმატიკა და ამ დარგის ერთ-ერთი ნათარგმნი სახელმძღვანელო „ბიოინფორმატიკის საფუძვლები“. გარდა ქართულ ტერმინთა წარმოების იმ მეთოდებისა, რომლებიც წინა თავებშია აღწერილი, მოცემულ თავში ანალიზისათვის გამოყენებულია კორპუსული მეთოდოლოგია და კორპუსიდან ტერმინების ნახევრად-ავტომატურ რეჟიმში ამოკრების პროგრამული ინსტრუმენტი „სინქროტერმი“, რომელიც მოკლედ არის აღწერილი ამავე თავში. ანალიზისათვის ასევე გამოყენებულია ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმა, რომელიც ინტერნეტში ხელმისაწვდომია მისამართზე: [enkacorporus.iliauni.edu.ge](http://enkacorporus.iliauni.edu.ge). მეოთხე თავში ასევე მოკლედ არის აღწერილი ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი და მისი შექმნის მიზნები და ამოცანები.

დასკვნაში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი მიდგომები, განზოგადებულია კვლევის ძირითადი შედეგები და წარმოდგენილია რეკომენდაციები ტერმინოლოგიური მუშაობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურის სიაში ასახულია, როგორც თეორიული შრომები, რომელსაც კვლევა დაეფუძნა, ასევე გამოყენებული ლექსიკონები.

ნაშრომს დართული აქვს სამი დანართი, რომლებშიც წარმოდგენილია დამატებითი საილუსტრაციო მასალა მეორე და მეოთხე თავში განხილულ საკითხებზე.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. ტერმინისა და ტერმინოლოგიის რაობა

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც მუდმივად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიის პრობლემების შესწავლა. დარგების განვითარება მრავალ ახალ სამეცნიერო ცნებას წარმოშობს. შესაბამისად, ერთი მხრივ საჭიროა ცნების აღწერა, მისი ძირითადი მახასიათებლების დადგენა და ადეკვატური განმარტების ჩამოყალიბება (ISO 704: 2022: 53-82), მეორე მხრივ კი საჭიროა ცნებისთვის სახელის დარქმევა, ანუ ახალი ტერმინის შექმნა, რომელიც ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და მოცემული ენის თავისებურებებისა და ენობრივი ნორმების გათვალისწინებით უნდა მოხდეს (ISO 704: 2022: 83-104). ასეთი საქმიანობის გარეშე დარგების განვითარებაც ფერხდება, რადგან ტერმინოლოგია დარგის სპეციალისტებს შორის ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამიტომ ექცევა მას დიდი ყურადღება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ტერმინოლოგია ეწოდება ამა თუ იმ დარგის ტერმინების ერთობლიობას.

რ. ღამბაშიძე, თავის მონოგრაფიაში ქართული ტერმინოლოგიის შესახებ, ტერმინს განმარტავს როგორც განსაკუთრებულ ენობრივ ნიშანს, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთობას და ურთიერთგაგებას სპეციალისტებს შორის. იგი აღნიშნავს, რომ დარგის სირთულიდან გამომდინარე, ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინის რაობის შესახებ განსხვავებულ განმარტებებს ვხვდებით (ღამბაშიძე, 1986: 5-6). ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ ტერმინები არ არსებობენ ერთმანეთისგან იზოლირებულად, არამედ ქმნიან ტერმინთა სისტემებს. ტერმინი კი არის იმგვარი სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც დაკავშირებულია ცოდნის ან მოღვაწეობის რომელიმე სფეროს ცნებასთან.

ბ. ფოჩხუას განმარტებით „ტერმინი არის საგანგებოდ შემუშავებული, ან ნასესხები, ან კიდევ საგანგებოდ გამოყენებული სიტყვა სპეციალური მეცნიერული ცნების ზუსტად გამოსახატავად ან სპეციალური საგნის აღსანიშნად“ (ფოჩხუა, 1974: 163). ის ხაზს უსვამს ტერმინის საერთო ლექსიკაში მიგრაციის შემთხვევებს, მაგრამ საერთოენობრივ ლექსიკურ ფონდში დარგობრივი ლექსიკიდან შედის ის, რაც

საინტერესოა მთელი ენობრივი კოლექტივისათვის. საერთო ენაში სპეციალური სიტყვის დამკვიდრებას ადასტურებს, უპირველეს ყოვლისა, მისი რეგულარული გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი ტერმინის საერთო ლექსიკაში დამკვიდრებისა არის თავად საზოგადოების ინტერესი ამა თუ იმ დარგისადმი. მაშასადამე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ტერმინი საერთო სიტყვახმარებაში შედის. ფოჩხუას მიაჩნია, რომ ამ დროს იმღვრება ამ სიტყვის სემანტიკა. გარდა იმისა, რომ ის გარკვეული ცნების აღმნიშვნელია, იგი იძენს დამატებით ემოციურ ელფერს თუ აზრობრივ ნიუანსებს, რაც ტერმინისათვის არ არის დამახასიათებელი. მისივე აზრით, ამა თუ იმ დარგის ტერმინის შექმნაში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს თვითონ ამ დარგის თუ პროფესიის წარმომადგენელი, რომელმაც მეტი იცის ამ დარგის შესახებ, ვიდრე საზოგადოების დანარჩენმა წევრებმა. ამასთანავე უეჭველია, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი, სპეციალისტისა და არასპეციალისტის, დამოკიდებულება სიტყვათა ერთსა და იმავე ჯგუფთან. ამ ფაქტს სათანადოდ უნდა გაეწიოს ანგარიში. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებად, მით უფრო ხელშესახები უნდა იყოს სპეციალისტისა და საერთოენობრივის განსხვავება ლექსიკაში. ფოჩხუას აზრით, სპეციალური ლექსიკა ანუ ტერმინოლოგია საერთოენობრივი ლექსიკის ნაწილია (ფოჩხუა, 1974).

რა კონკრეტული ნიშან-თვისებები განასხვავებს ტერმინებს ზოგად ლექსიკისაგან და რატომ უნდა ვუწოდოთ ერთ სიტყვას ტერმინი, მეორეს კი საერთო ლექსიკის სიტყვა? თ. მარგალიტაძის მიხედვით, „ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის სპეციალიზაცია და მისი ხარისხი, ანუ იმის გარკვევა, თუ რამდენად სპეციალიზებულ და კონკრეტულ დარგს მიეკუთვნება ესა თუ ის სიტყვა. ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისება ტერმინოლოგიასა და ზოგად ლექსიკას შორის არის ის, რომ ტერმინოლოგია და, ზოგადად, ტერმინები გამოიყენება ისეთი ცნებების აღსანიშნად, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებს თუ სფეროებს განეკუთვნება“ (მარგალიტაძე, 2021: 134). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისება ტერმინისა და საერთო ლექსიკის სიტყვას შორის არის თავად ცნება. თუმცა ცნება, რომელსაც გამოხატავს ზოგადი ლექსიკის სიტყვა, ასახავს ამ ენაზე მოსაუბრე ენობრივი კოლექტივის წარმოდგენას გარე სამყაროს ამა თუ იმ

საგანზე, მოვლენაზე, ნიშან-თვისებაზე. შესაბამისად, თითქოსდა ეკვივალენტური, მსგავსი სიტყვების მნიშვნელობები განსხვავდება სხვადასხვა ენაში. ცნება კი, რომელსაც ტერმინი აღნიშნავს სხვაგვარია. ის არის უნივერსალური და შეუძლებელია რომ სხვადასხვა ენაში განსხვავებული იყოს, ვინაიდან უნივერსალურია თავად მეცნიერება. ამგვარად ტერმინის შინაარსიც უნივერსალურია. მას ქმნის არა ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები, არამედ დარგის სპეციალისტები. შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე ცნება, რომელსაც ტერმინი აღნიშნავს სხვადასხვაგვარად ესმოდეს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს. სხვადასხვა ენაში შეიძლება განსხვავებული იყოს სამეცნიერო ცნების სახელი (მარგალიტაძე, 2021). ეკვივალენტობის პრობლემა, განსხვავებით საერთო ენის ლექსიკისგან, არ ახასიათებს ტერმინოლოგიას. თუმცა, ტერმინოლოგიის სფეროშიც იკვეთება ისეთი დარგები, სადაც შეიძლება შეგვხვდეს განსხვავებები ცნებების განმარტებებში. მაგალითად, უნგრელი მეცნიერი მარტა ფიშერი თავის მოხსენებაში საუბრობს ეკვივალენტობის პრობლემაზე იურიდიულ ტერმინოლოგიაში. ის ხაზს უსვამს იმას, რომ იურიდიული ოფიციალური დოკუმენტების ინგლისურიდან უნგრულ ენაზე თარგმნისას ხშირია, როდესაც ერთი და იგივე ინგლისურ ტერმინს სხვადასხვა უნგრული ეკვივალენტი შეესაბამება. ამის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად ის ასახელებს ენებს შორის არსებულ დიდ სხვაობას. ფიშერის აზრით, ეკვივალენტობის პრობლემის გამომწვევი მეორე მიზეზი იურიდიულ ტერმინოლოგიასთან მიმართებით შეიძლება იყოს სისტემებს შორის არსებული სხვაობა. ვინაიდან კონტინენტური და ანგლოსაქსური სამართალი განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსხვავება არის ტერმინებს შორისაც. ამ დროს ამ დარგის ტექსტების თარგმნისას შეიძლება სამიზნე ენაში გაჩნდეს ახალი ტერმინი, რომელიც მანამდე არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა მსგავსი ცნებაც ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისათვის (ფიშერი, 2024).

აღ. ლლონტი ენაში არსებულ სიტყვებს ორ კატეგორიად ჰყოფს. ერთი არის ენის სიტყვარის შედარებით დიდი ნაწილი, რომელიც ადვილად იცვლის გარე და შიდა ფორმას, ექვემდებარება ადამიანის ფსიქიკურ, ესთეტიკურ, მხატვრულ თუ სხვა გრძნობა-წარმოდგენას. მეორე კატეგორია არის შედარებით მცირე ნაწილი, რომლის ფუნქცია მკაცრად არის რეგლამენტირებული და მნიშვნელობას ადვილად არ იცვლის. ამ სიტყვებით გადმოიცემა მეცნიერების ამა თუ იმ დარგისათვის შესაფერისი ცნებები

და კატეგორიები. ამგვარ სიტყვებს ღლონტი ტერმინოლოგიას უწოდებს (ღლონტი, 1964). როგორც თავად აცხადებს, ტერმინი სიტყვაა, მაგრამ ყოველი სიტყვა ტერმინი არ არის და არც შეიძლება იყოს. ღლონტი ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერმინი ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა, ან სიტყვით გამოხატული ცნება. ის მაქსიმალური სიზუსტითა და სისწორით უნდა გამოხატავდეს შესაბამის ცნებას“ (ღლონტი, 1964: 45). მისივე აზრით, ცნება წარმოადგენს ადამიანის აზროვნების ფორმას, რომელშიაც გამოხატულია საგნის, მოვლენის, ობიექტური სინამდვილის არსებითი ნიშნები. საგნებს, მოვლენებს ობიექტურ სინამდვილეს სწავლობს და იკვლევს ცოდნის სხვადასხვა სფერო - მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, რომელთა ცალკე დარგებს მოეპოვებათ საკუთარი ცნებათა სისტემა, საკუთარი ტერმინოლოგია. ალ. ღლონტის აზრით, ტერმინოლოგია ისევე აუცილებელია მეცნიერების ენისათვის, როგორც ჰაერი ადამიანისათვის. „ტერმინოლოგია იმდენგვარია, რამდენიც ცოდნის სფეროა. მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის ახალი დარგების შექმნისთანავე ჩნდება მისი შესაფერისი ტერმინოლოგია, იკვლება, ზუსტდება, იხვეწება არსებული ტერმინოლოგია, ხმარებიდან გამოდის მოძველებული ტერმინი და ჩნდება ახალი. მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის განვითარება თავის ასახვას პოულობს ტერმინთა სამყაროშიაც“, - წერს ღლონტი (ღლონტი, 1964: 45). მისივე შეხედულების მიხედვით, ტერმინების მთავარი ღირსება სიზუსტეა, რაც განაპირობებს მათ გამძლეობას. ტერმინთა მნიშვნელობის ნებისმიერად შეცვლა ქაოსს იწვევს მეცნიერებაში და ადამიანებისათვის ცნებათა რაობას ეჭვის ქვეშ აყენებს. ამიტომაც მეცნიერება ფრთხილად უნდა მოეკიდოს ტერმინთა შერჩევის საკითხს და შერჩეულ სიტყვას უნდა მოუფრთხილდეს, მოუაროს და არავის მისცეს მისი დამახინჯების უფლება.

დამანა მელიქიშვილი შემდეგნაირად განმარტავს ტერმინოლოგიას: „ტერმინოლოგია სპეციალური დანიშნულების ენაა, რომელიც მოწესრიგებული, ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით ხასიათდება. ტერმინოლოგიური ლექსიკა წარმოადგენს სპეციალური სახელწოდებების ისეთ ერთობლიობას, რომელიც მეცნიერების გარკვეული დარგის ტერმინოლოგიურ სისტემებს ქმნის. ტერმინთა სისტემა ასახავს მოცემული მეცნიერების, მეცნიერული მიმდინარეობებისა თუ სკოლების მიერ გამომუშავებულ ცნებებს“ (მელიქიშვილი, 2022:30). დამანა მელიქიშვილი ხაზს უსვამს

ასევე იმას, რომ მეცნიერული ენის მთავარ სპეციფიკას სწორედ სპეციალური ტერმინები ქმნიან. სანამ ცნებას მოპოვებული არ აქვს თავისი საკუთარი დასახელება - ტერმინი, მას აკლია გარკვეულობა, ხოლო თავის მხრივ, განსაზღვრული ტერმინი მეცნიერული ცნების მომწიფებას უწყობს ხელს და, ამდენად, თვით ამ მეცნიერების განვითარებასაც. ტერმინოლოგიური მუშაობა გაცნობიერებული პროცესია. მეცნიერების ყველა დარგი მიისწრაფვის გამოიმუშაოს საკუთარი ენა, სადაც ინფორმაციის სემანტიკური განსაზღვრულობა უნდა ეყრდნობოდეს ენობრივი ნიშნისა და აღსანიშნი ცნების ცალსახა მიმართებას.

„ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ტერმინები, ჩვეულებრივ, ერთ გარკვეულ დარგს წარმოგვიდგენენ და, მაშასადამე, ერთი გარკვეული დარგის ტერმინოლოგიურ სისტემას ქმნიან. ამიტომაცაა, რომ ტერმინოლოგიურ სისტემად ერთი რომელიმე კონკრეტული დარგის ტერმინები, ან, უფრო ზუსტად, ამ ტერმინთა ერთობლიობა ივარაუდება. ყოველი ცალკეული ტერმინი ამ სისტემის წევრია. ტერმინთა სისტემას უპირისპირდება ცნებათა სისტემა. ცნება, როგორც ცნობილია, არის ობიექტურ სინამდვილეში არსებული საგნებისა და მოვლენების ძირითად ნიშან-თვისებათა აზრობრივი გამოხატულება. მეცნიერული ცოდნის ერთობლიობა განიხილება როგორც ერთი მთლიანი სისტემა, რომლის ელემენტებია ცალკეული დარგის ცნებები. ის ცნებები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და რომელთა მნიშვნელობა მკვეთრად განსაზღვრულია და გამიჯნული სხვა ცნებებისგან, გარკვეული დარგის ცნებათა სისტემას ქმნიან, ანუ საერთო სისტემის ქვესისტემას. ამგვარად, ტერმინი როგორც ტერმინთა სისტემის წევრი გარკვეულ მიმართებაშია სხვა ტერმინებთან ისევე, როგორც მისი ადეკვატური ცნება - ცნებათა სისტემაში შემავალ სხვა ცნებებთან“ (დამბაშიძე, 1986: 13-14).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინოლოგიაში ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს ეთმობა. „კარგად შედგენილი ტერმინი უთუოდ უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შესაბამის საგანსა თუ მოვლენაზე. ამიტომ ისეთი ტერმინია მიჩნეული იდეალურად, რომელიც გამჭვირვალეა თავისი შინაარსის მიხედვით და საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ის მნიშვნელობა, რომელიც მის შესაბამის ცნებას გააჩნია. ამისათვის საჭიროა ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობა

ემთხვეოდეს მის ნამდვილ მნიშვნელობას“ (დამბაშიძე, 1986: 14). როგორც დებორიკი აცხადებს, „უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ სამეცნიერო ტერმინი უბრალო სიტყვა კი არა, არამედ მოცემული მოვლენის არსის გამოხატვაა. ამიტომაც აუცილებელია ტერმინოლოგიის კრისტალურ გამჭვირვალობასა და განსაზღვრულობაზე ზრუნვა, რადგანაც იგი ობიექტურ მოვლენათა არსს, თვით მეცნიერების არსს გადმოგვცემს“ (დებორიკი, 1957: 45).

საინტერესოა ასევე ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ ჰყოფს ტერმინებს ლოტე სამ ჯგუფად. იმის მიხედვით თუ როგორი ჰარმონია არსებობს ტერმინის პირდაპირ მნიშვნელობასა და მის ნამდვილ მნიშვნელობას შორის, ის გამოჰყოფს: ა) სწორად მაორიენტირებელ ტერმინებს, ბ) ნეიტრალურ ტერმინებს და გ) ცრუ მაორიენტირებელ ტერმინებს. სწორად მაორიენტირებელია ის ტერმინი, რომლის პირდაპირი მნიშვნელობა არა მხოლოდ ემთხვევა მის ნამდვილ მნიშვნელობას, არამედ ზედმიწევნითი სიზუსტით სრულ წარმოდგენას იძლევა სათანადო ცნებაზე. ნეიტრალური ტერმინებია, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობის გამოცნობა ჭირს, მათი ეტიმოლოგია არაფრისმთქმელია, ისინი არავითარ საგნობრივ მიმართებას არ გვიჩვენებენ. მცდარად მაორიენტირებელ ტერმინებად კი ლოტეს ისეთი ტერმინები მიაჩნია, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა ეწინააღმდეგება ტერმინის ნამდვილ მნიშვნელობას და არასწორად, მცდარად ასახავს ცნებას. მცდარად აგებული და ბუნდოვანი შინაარსის მქონე ტერმინი დაბრკოლებას უქმნის სპეციალისტებს და საშიშროებით ემუქრება მის მომხმარებლებს. „იმ საშიშროებაზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებასა და არაგარკვეულობას, კარგად მეტყველებს ცნობილი გერმანელი ლინგვისტის ჰ. შუხარდტის მეტაფორული გამონათქვამი: ტერმინოლოგიური ბუნდოვანება მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ზღვაოსნობისათვის. ტერმინოლოგიური ბუნდოვანება კიდევ უფრო საშიშია, რამდენადაც, ჩვეულებრივ, ადამიანი მას უნებლიეთ ანგარიშს არ უწევს“ (ციტირებულია: დამბაშიძე, 1986: 16). რაც შეეხება იმას თუ როგორ და რა გზით უნდა იქნეს მიღწეული ტერმინოლოგიაში ეს გარკვეულობა ან როგორ უნდა დაერქვას სახელი ცნებას, პასუხი ამაზე ერთი შეიძლება იყოს: ამა თუ იმ ცნებას სახელი უნდა დაერქვას იმ ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომლითაც იგი ხასიათდება და რომლითაც იგი გამოირჩევა სხვა ცნებისაგან.

ცნებისა და ტერმინის ადეკვატურობის საკითხი პირდაპირ უკავშირდება ტერმინის მოტივაციის საკითხს. რა იგულისხმება ტერმინის მოტივაციაში? ტერმინი მოტივირებულია, როდესაც მისი მნიშვნელობა მეტნაკლებად გამჭვირვალეა შინაარსის მიხედვით, როცა თვითონ ნომინაციაშია მოცემული მისი შინაარსი, ანუ მისი შინაგანი ფორმა, მაგ: ხერხებილა, უკოლოფო, უნაყოფოთლო, ეკალკუდიანები, ლაყუჩწინა, პირნისკარტა და სხვ. არამოტივირებულია როდესაც არ ჩანს მოტივი, რის მიხედვითაც შერქმეულია სახელი: დომენი, კომპლემენტი, აფინობა და ა. შ. მაშასადამე, მოვლენისა თუ საგნის სახელდებისას მისი არსებითი, ძირითადი და თვალში საცემი ნიშანი უნდა იყოს საორიენტაციო და არა ნებისმიერი ანუ შემთხვევითი. მოტივაციით ძირითადად ხასიათდება ნაწარმოები ანუ სხვა სიტყვისაგან აფიქსაციის გზით მიღებული ტერმინები. მეტად გამჭვირვალეა მოტივაცია რთულ ტერმინებში, რადგან ამგვარი სიტყვები რამდენიმე ნიშნის მიხედვითაა მოტივირებული. რთულ სიტყვათა მნიშვნელობა ადვილად გამოიყვანება შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობებისაგან. გამჭვირვალე მოტივაციის მქონე ტერმინთა კიდევ ერთ ჯგუფს შედგენილი ტერმინები ე. წ. ანალიტიკური ტერმინები წარმოადგენს. ამგვარ შესიტყვებათა სემანტიკური სტრუქტურა გამჭვირვალეა: თითოეულ სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს და საერთო მნიშვნელობა კი ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობებისაგან გამოიყვანება. არამოტივირებულია ჩვეულებრივ ერთსიტყვიანი ტერმინები, ასევე უცხო ენებიდან ნასესხები ლექსიკა, საკუთარი სახელებისაგან მიღებული ტერმინები და გამოგონილი ტერმინები, მაგ: ანერგია, ადიუვანტი, ინტერლეიკინები, სეროკონვერსია, ანიდაცია, ატენიუატორი და მრავალი სხვ. როდესაც ტერმინთა უმრავლესობა მოტივირებულია ეს ყოველივე ტერმინოლოგიური სისტემის ღირსებაზე მეტყველებს. გამჭვირვალე ტერმინები უფრო ადვილად დასამახსოვრებელია და, შესაბამისად, უფრო ხშირად გამოყენებადიც, ვიდრე არაფრისმთქმელი სიტყვები.

მაშასადამე, როგორც უკვე აღინიშნა, ტერმინოლოგიური საქმიანობის აუცილებლობა და მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით აღიარებული იქნა გასულ საუკუნეში. სწორედ მე-20 საუკუნის ბოლო მესამედში განვითარდა თეორიული და გამოყენებითი ტერმინოლოგია, რაც საჭიროებით იყო გამოწვეული. როგორც ტერეზა კაბრე აცხადებს, ეს საჭიროება გამოწვეული იყო იმით, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება

გამოირჩევა მუდმივი ცვლილებებით. ეს ცვლილებებისადმი მიდრეკილება კი მას განასხვავებს სხვა ეპოქებისაგან. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც ყველაფერს აკონტროლებს ტექნოლოგიები. ყოველივემ, რა თქმა უნდა, ასახვა ჰპოვა ენაზე. გაჩნდა საჭიროება ახალი პროფესიების არსებობის, რომლებიც იმუშავებდნენ ენის დაგეგმარებაზე და მოწესრიგებაზე, რაც თავისთავად გულისხმობს ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვას (კაბრე, 1992).

ბოლო დროინდელმა მეცნიერებისა და ტექნიკის დაჩქარებულმა განვითარებამ გამოიწვია ბევრი ახალი ცნების გაჩენა, რაც თავისთავად გულისხმობს მათთვის სახელის დარქმევას, ანუ ახალი ტერმინის გაჩენას. ტექნოლოგიებმა შეაღწიეს საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში, რაც ქმნის საჭიროებას კომუნიკაციის ახალი საშუალების არსებობის. იმ ენების ლექსიკური მარაგი, რომლებზეც სწორედ ეს საზოგადოება მეტყველებს მოითხოვს მუდმივ განახლებას. ცოდნის მუდმივი გაზიარება და გადაცემა ერთმანეთისთვის კი გულისხმობს დაიძლიოს ენებს შორის არსებული ბარიერი და კომუნიკაცია იყოს ნაკლებად ბუნდოვანი. ეს ყოველივე თავისთავად გულისხმობს ტერმინოლოგიური ბუნდოვანების არარსებობას, რათა კონკრეტული ცნება ერთნაირად ესმოდეს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელს, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ენაზე ამ ცნებას შეიძლება თავისი კონკრეტული დასახელება ჰქონდეს.

მაშასადამე, აუცილებელია მოხდეს ტერმინოლოგიის სტანდარტიზება, მოწესრიგება. ამ პროცესების მართებულად წარმართვაში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსა და მთავრობის ჩართულობა და მათი აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში, შესაბამისად ცოდნის მიღება ძირითადად ხდება ამ ქვეყნებიდან. ეს ყოველივე იწვევს სხვა, ნაკლებად ძლიერი ქვეყნების მიერ ტექნიკური თუ სამეცნიერო ლექსიკის დიდი რაოდენობით სესხებას. ამასთან საბრძოლველად და გასაკონტროლებლად აუცილებელია ამ ქვეყნებმა შეიმუშაონ ტერმინოლოგიური პოლიტიკა, რომელიც ძირითადად თავდაცვითი ხასიათის მატარებელია, რათა ამ პროცესებმა არ წაღვეს მათი ენა და არ მოხდეს ამა თუ იმ ენაში ტერმინთა უკონტროლო შემოღინება. მაშასადამე, ტერმინოლოგიური საქმიანობა არის ენის

სტანდარტიზებისა და დაგეგმარების მნიშვნელოვანი ნაწილი (კაბრე, 1992). ერთი ფაქტი კი რჩება უცვლელი, რომ ყველა ქვეყანაში ტერმინოლოგიური საქმიანობის მიზანი და მეთოდები მეტნაკლებად განსხვავებულია, რასაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ ლინგვისტური ვითარება (რონდიუ, ზაგერი, 1986).

რაც შეეხება ტერმინოლოგიის სტატუსს, როგორც დუბუკი განმარტავს, ტერმინოლოგია არ არის ცალკე დამოუკიდებელი მეცნიერება. ეს არის საქმიანობა, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს მომხმარებელთა საჭიროებები და მოთხოვნები (დუბუკი, 1985). ზაგერიც არ განიხილავს ტერმინოლოგიას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას, არამედ როგორც ლინგვისტური საქმიანობის ნაწილს (ზაგერი, 1990). ტერმინოლოგიური მუშაობა კი განიმარტება, როგორც გარკვეული დარგის ტერმინების შექმნა, აღწერა და მათი განმარტება ერთ ან რამდენიმე ენაზე. ტერმინოლოგიური საქმიანობა მიმართულია საზოგადოების საჭიროებებისკენ და ცდილობს ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას. სწორედ ამიტომ ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა ტერმინოლოგიას და ტერმინოლოგიურ საქმიანობას.

გამოიყოფა რამდენიმე სახის მიდგომა ტერმინოლოგიური საქმიანობისადმი და მისი გამოყენებისადმი:

ა. ენათმეცნიერისთვის ტერმინოლოგია არის ლექსიკის ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია გარკვეული დარგის ლექსიკა.

ბ. დარგის წარმომადგენლისთვის ტერმინოლოგია არის ამ დარგის ცნებათა გაერთიანება და გამოხატვის საშუალება.

გ. მომხმარებლისთვის ტერმინოლოგია არის გამოსადეგ, პრაქტიკულ საკომუნიკაციო ერთეულთა ერთობლიობა.

დ. ენის შემდგენელისთვის კი ტერმინოლოგია არის ენის ნაწილი, რომელიც მოითხოვს მისი გამოსადეგობის და, როგორც გამოხატვის საშუალების, უწყვეტობის ხელახლა დამტკიცებას. ზემოთ ხსენებული მიდგომების მიხედვით კი ტერმინოლოგიაში გამოიყოფა ორი, საკომუნიკაციო და ლინგვისტური,

მიმართულება. პირველისთვის ტერმინოლოგია არის საკომუნიკაციო საშუალება, მეორესათვის საქმიანობის სამიზნე ამოცანა (კაბრე, 1992).

## 1.2. ტერმინოლოგიური სკოლები

თანამედროვე ტერმინოლოგია აღმოცენდა გასული საუკუნის 30-იან წლებში ვენაში, რასაც საფუძვლად ვუსტერის ნაშრომები დაედო. სწორედ ის მიიჩნევა ტერმინოლოგიის მამად. მან თავის სადოქტორო ნაშრომში წარმოადგინა მოწესრიგებული და დახვეწილი მეთოდები ტერმინოლოგიური საქმიანობისათვის. ასევე შექმნა ტერმინის შექმნის ერთგვარი წესები. მისი აზრით, ტერმინოლოგია იყო ერთგვარი ინსტრუმენტი ტექნიკურ და სამეცნიერო სფეროში არსებულ ბუნდოვანებასთან საბრძოლველად. 1975 წელს გამართულ სიმპოზიუმზე თავის გამოსვლაში მან დაასახელა ტერმინოლოგიის თეორიის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილის მქონე ოთხი მეცნიერი: შლომანი, რომელმაც პირველად დააყენა ტერმინთა სისტემატურობის მნიშვნელობა; სოსიური, რომელმაც პირველად დააყენა ენის სისტემატურობის მნიშვნელობა; რუსი მეცნიერი დრესენი, რომელმაც პირველად გაუსვა ხაზი ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის აუცილებლობას და ბოლოს არის უკვე ინგლისელი მეცნიერი ჰოლმსტრომი, რომელმაც პირველმა მოუწოდა საერთაშორისო ორგანიზაციებს დაინტერესებულიყვნენ ტერმინოლოგიური საკითხებით (კაბრე, 1992).

როგორც ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი დარია პროტოპოპესკუ აცხადებს თავის ერთ-ერთ სტატიაში, შესაძლოა თამამად ითქვას, რომ ვუსტერმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ტერმინოლოგიას. ვუსტერის უპირველესი მიზანი იყო მაქსიმალურად შეემცირებინა ტერმინოლოგიური ბუნდოვანება ტერმინოლოგიური სისტემის სტანდარტიზებით (პროტოპოპესკუ, 2013). მან ჩამოაყალიბა თეორია, რომელიც ცნობილია ტერმინოლოგიის ზოგადი თეორიის სახელწოდებით (General Theory of Terminology). ვუსტერის ამ თეორიის მიხედვით, ტერმინოლოგიის განვითარების მთავარი შემადგენელი საფეხურია მისი სტანდარტიზება. სტანდარტიზებისას კი ტერმინოლოგიაში სინონიმის შემთხვევები მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან აცილებული. თუმცა ეს მიდგომა მოგვიანებით შეიცვალა,

ვინაიდან ტერმინოლოგიაში გაზრდილია სინონიმია და ის დასაშვებად არის მიჩნეული (ISO 704: 2022 : 57).

ოგერის აზრით, თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ოთხი მნიშვნელოვანი პერიოდი გამოიყოფა:

1. წარმოშობა - 1930-1960
2. დარგის მოწესრიგება, სისტემატიზება - 1960-1975
3. აღმავლობა - 1975-1985
4. გაფართოება - 1985 წლიდან დღემდე (ოგერი, 1988)

პირველი პერიოდი იყო საწყისი ეტაპი ტერმინოლოგიის განვითარებისა, როდესაც ტერმინთა შესაქმნელად ერთგვარი წესები და მეთოდები ჩამოყალიბდა და სწორედ ამ ეპოქაში გამოჩნდა ტერმინოლოგიური სკოლები ვუსტერისა და ლოტეს ნაშრომებით. შემდგომი, მეორე ეტაპი არის, როდესაც კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად გაჩნდა პირველი მონაცემთა ბანკები და ტერმინოლოგიის შედგენის პრინციპებზე დაიწყო საერთაშორისო თანამშრომლობა. მესამე ეტაპი არის ტერმინოლოგიური მუშაობის ბუმი, როდესაც იწყება სხვადასხვა ტერმინოლოგიური პროექტების განხორციელება. რაც შეეხება მეოთხე პერიოდს, ის დღემდე გრძელდება. ტერმინოლოგიური საქმიანობის აუცილებლობა წინ არის წამოწეული და დღეს უკვე ტერმინოლოგიაზე მომუშავე სპეციალისტებს აქვთ ის ინსტრუმენტები, რომლებიც მეტად არის მორგებული მათ საჭიროებებს მათი საქმიანობის პროცესში და რომლებიც ტერმინოლოგიის მომხმარებლებისთვისაც ბევრად მოსახერხებელია.

ვუსტერის ნაშრომები ძირითადად მოიცავს ტერმინთა შედგენის მეთოდებს, მათ შეგროვებას და სტანდარტიზაციას. მოგვიანებით ის ასევე დაინტერესდა თეორიის შესწავლითაც, რომელიც ვითარდება პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და მიზნად ისახავს ენობრივი პრობლემების გადაჭრას. სწორედ ამ თეორიის საფუძველზე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ერთდროულად ჩნდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული სამი ტერმინოლოგიური სკოლა და ესენია: ავტრიული, საბჭოთა კავშირის და ჩეხური. შესაბამისად, გამოიყოფა ტერმინოლოგიისადმი სამი განსხვავებული მიდგომა:

- პირველის თანახმად, ტერმინოლოგია არის ინტერდისციპლინური, მაგრამ დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებს.
- მეორე მიდგომის თანახმად, ტერმინოლოგია გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ცნებათა სისტემის ლოგიკურ კლასიფიკაციას.
- მესამე მიდგომა კი ტერმინოლოგიას მოიაზრებს, როგორც გარკვეული ენის საერთო ლექსიკის ქვეკომპონენტს.

ვუსტერი იზიარებდა პირველ მიდგომას, რომლის თანახმად ტერმინოლოგია არის ცალკე, დამოუკიდებლად არსებული სასწავლო დისციპლინა. ვუსტერის აზრით, კომპიუტერული მეცნიერებები ტერმინოლოგიური საქმიანობის მთავარი ამოსავალი წერტილია სწორედ იმ უამრავი შესაძლებლობების გამო, რომელსაც კომპიუტერული მეცნიერებები გვთავაზობს ინფორმაციის მოძიებისა და შენახვის საქმეში.

მაშასადამე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტერმინოლოგიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი რამდენიმე ქვეყნაში ერთდროულად იჩენს თავს: ავსტრიაში, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ჩეხეთში. აქედან, მოგვიანებით, ამ დარგის მიმართ ინტერესი ვრცელდება სხვა ქვეყნებზეც. ვენის ტერმინოლოგიის სკოლა, რომელიც არის წამყვანი, ეფუძნება ვუსტერის ნაშრომებს. ვენის სკოლა გამორჩეული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის წარმოადგენს მეთოდებისა და პრინციპების ძირითად ფონდს, რომელიც ტერმინოლოგიის თეორიული და პრაქტიკული გამოყენების ძირითადი საფუძველია. ამ სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ ის ორიენტირებულია ცნებებზე და ტერმინოლოგიური საქმიანობა მიჰყავს ტერმინებისა და ცნებების სტანდარტიზაციისაკენ. ვუსტერის ეს სკოლა აღმოცენდა ტექნიკოსებისა და მეცნიერების საჭიროებების შედეგად, რომელიც გულისხმობდა მათი დარგის ტერმინოლოგიის სტანდარტიზებას, რაც ხელს შეუწყობდა და უზრუნველყოფდა სპეციალისტებს შორის ეფექტურ კომუნიკაციასა და ცოდნის ერთმანეთისთვის გაზიარებას. ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა იზიარებს ამ სკოლის პრინციპებს და განახორციელებს ტერმინოლოგიურ საქმიანობას სწორედ მათზე დაყრდნობით.

ჩეხეთის ტერმინოლოგიური სკოლა, რომლის მთავარი წარმომადგენელია დროცდი, თავის ძირითად საქმიანობად მიიჩნევს სპეციალური დანიშნულების ენის ფუნქციურ აღწერასა და დახასიათებას, რაშიც ტერმინოლოგია უდიდეს როლს ასრულებს. ამ სკოლის წარმომადგენლებისათვის სპეციალური დანიშნულების ენა არის ერთგვარი სტილი, როგორცაა მაგალითად სალიტერატურო სტილი, სასაუბრო სტილი, საგაზეთო სტილი და ა.შ. ისინი ტერმინს აღიქვამენ, როგორც ერთეულს, რომელიც ქმნის ამ ფუნქციურ სპეციალიზებულ სტილს. ჩეხეთის ტერმინოლოგიური სკოლის შექმნა და ჩამოყალიბება, შეიძლება ითქვას, რომ არის შედეგი იმ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე არსებული ენობრივი სიჭრელისა, რომელთა მთავარი მიზანი და ინტერესი იყო ენებისა და ტერმინოლოგიის სტანდარტიზება. ამ სკოლის საქმიანობა დაკავშირებულია ჩეხეთის ენათა ინსტიტუტთან, რომელიც იყო მეცნიერებათა აკადემიის შემადგენელი ნაწილი (კაბრე, 1992).

ტერმინოლოგიის რუსული სკოლა, რომელიც ეფუძნება ლოტეს ნაშრომებს, თავიდანვე იცნობდა ვუსტერის ნაშრომებსაც. ამ სკოლის მთავარი ინტერესი იყო ასევე ცნებებისა და ტერმინების სტანდარტიზება იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რომელსაც იმ დროისათვის მრავალენოვანი საბჭოთა კავშირი აწყდებოდა (კაბრე, 1992). სწორედ ლოტე და მისი ტერმინოლოგიური სკოლა იყო პასუხისმგებელი საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოების მდიდარი და მრავალენოვანი ლექსიკისა და ტერმინოლოგიის სისტემატიზებასა და კლასიფიცირებაზე. სწორედ ლოტეს ნაშრომი „სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიური სისტემის შედგენის ძირითადი პრინციპები“ (“The basics of compiling scientific and technical terminological systems”) გახდა ყველა დროის ტერმინოლოგებისათვის საქმიანობის მთავარი მეგზური (ივანოვა, 2021).

ტერმინოლოგიის ეს სამი წამყვანი სკოლა, რომლებიც გარკვეულწილად იზიარებენ ლინგვისტურ ასპექტებს, დაედო საფუძვლად ტერმინოლოგიის თეორიას და მისი გამოყენების მეთოდოლოგიურ პრინციპებს. სწორედ ეს სკოლები წარმოადგენს მთავარ საყრდენ ძალას ტერმინოლოგიისა და ენობრივი დაგეგმარების საკითხში. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის უფრო მეტად გავლენიანი და წამყვანი არის ვენის სკოლა. დღესაც კი ვუსტერის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათწლეულის

გასვლის შემდეგ, მისი ტერმინოლოგიური თეორია წარმოადგენს მთავარ მამომრავებელ ძალას.

დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, მიდგომები და დამოკიდებულებები როგორც ყველა სხვა საკითხისადმი, მათ შორის ტერმინოლოგიური საქმიანობისადმი შეიცვალა. ვუსტერის ნაშრომებსაც ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რომ მისი თეორია ძალიან შორსაა სრულყოფილებისგან და მოიცავს ბევრ უზუსტობას.

ვუსტერის თეორიის თანახმად, მნიშვნელობის თვალსაზრისით ცნება დგას ტერმინზე მაღლა. ვუსტერი, რომელიც იყო პირველი ტერმინოლოგიის თეორიის ჩამოყალიბების საკითხში, მიიჩნევდა, რომ ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვისას მთავარი ამოსავალი წერტილი არის თავად ცნება და არა დასახელება, ტერმინი. ამ საკითხის მიმართ მოგვიანებით შეიცვალა დამოკიდებულება. ცნების სახელზე უპირატესობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ტერმინოლოგების შემდეგი თაობისათვის, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ეს საკითხი ბუნდოვანი იყო და დამატებით დასაბუთებას მოითხოვდა (პაკაიზერი, 2009).

ვუსტერის ტერმინოლოგიის ზოგადი თეორიის თანახმად, ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვისას გამოიყენება ონომასიოლოგიური მიდგომა. ეს გულისხმობს, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა იწყება ცნებით და ამის შემდგომ მოდის მისი სახელდების პროცესი. ამ მოსაზრებას არ იზიარებს და აკრიტიკებს ფელბერი, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს საკითხიც საჭიროებს დამატებით დაზუსტებას და არგუმენტაციას (ფელბერი, 1984).

ვუსტერის ვენის სკოლის მიერ წარმოდგენილი ტერმინოლოგიის ზოგადი თეორია არის, ნამდვილად, კარგი საწყისი ტერმინოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მაგრამ მისი სრულყოფისთვის ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. ის განასხვავებს ტერმინოლოგიას ლექსიკოგრაფიისაგან სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგალითად, თუ ტერმინოლოგიაში მთავარი ამოსავალი წერტილი არის ცნება, რომელიც მიემართება მისი სახელდებისკენ, ლექსიკოგრაფიაში გამოირჩება სემასიოლოგიური მიდგომა. ეს გულისხმობს, რომ ლექსიკოგრაფიული

საქმიანობის მთავარი ამოსავალი წერტილი არის თავად სიტყვა, რომელსაც განმარტავენ ლექსიკოგრაფები.

ასევე განასხვავებენ ტერმინოლოგიურ საქმიანობას დარგობრივი ლექსიკოგრაფიის საქმიანობისაგან. თუმცა, ბერგენჰოლცი აცხადებს, რომ ტერმინოლოგია და დარგობრივი ლექსიკოგრაფია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვინაიდან ორივე მხარის საქმიანობა უკავშირდება ტერმინებს (ბერგენჰოლცი, ტარპი, 1995).

ტერმინოლოგიის ზოგადი თეორიის თანახმად, რომლისთვისაც ტერმინოლოგიური საქმიანობის პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირველესი მნიშვნელობის მატარებელი არის ცნება, ცნება განიმარტება როგორც ნიშან-თვისებათა ერთობლიობა. ეს ნიშან-თვისებები გონებაში ქმნის წარმოდგენას, რომელსაც შემდგომ უნდა დაერქვას სახელი ანუ უნდა შეიქმნას ტერმინი (ვუსტერი, 1974). ვუსტერი ასევე გამოყოფს ტერმინთა რამდენიმე სახეობას: პირველი არის ენაში უკვე არსებული სიტყვებისგან დროთა განმავლობაში სიტყვათწარმოების შედეგად მიღებული ტერმინები; მეორე არის უცხო სიტყვები ან ნასესხობები, რომელთა შორის სხვაობაც, მისი აზრით, არის ის, რომ განსხვავებით უცხო სიტყვებისაგან, ნასესხები ტერმინები უკვე მორგებულია ამა თუ იმ ენის სტრუქტურას; მესამე შემთხვევა ტერმინების მიღებისა არის, როდესაც ტერმინები მიგრირებს დარგიდან დარგში. ამ დროს უკვე არსებულ ტერმინს ეძლევა ახალი მნიშვნელობა. ასევე ვუსტერის ტერმინოლოგიის ზოგადი თეორიის მიხედვით, ერთ ცნებას შეესაბამება ერთი ტერმინი ანუ ის ხაზს უსვამს ტერმინის ერთმნიშვნელობიანობას.

მაშასადამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვენის სკოლაში ვუსტერის მიერ ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიის თეორია არის პირველი და წამყვანი თეორია ტერმინოლოგიის დარგში. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში გარკვეული საკითხებისადმი მიდგომა და დამოკიდებულება შეიცვალა. გამოჩნდნენ მეცნიერები, რომელთაც ვუსტერის ეს თეორია ბოლომდე არ გაიზიარეს და მასში დაინახეს გარკვეული უზუსტობები, რომლებიც დამატებით ახსნა-განმარტებას საჭიროებდა. ეს საკითხები მოიცავს ცნების მეტად ამომწურავად აღწერას, ცნებასა და ტერმინს შორის არსებული მიმართების მეტად ზუსტად განმარტებას, ცნებასთან მიმართებაში

ტერმინის მნიშვნელობის სათანადოდ შეფასებას და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დამატებით დაზუსტებას საჭიროებს არის ონომასიოლოგიური მიდგომა ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვისას. სოვას მიხედვით ცნება დამოკიდებულია არა რომელიმე ენაზე, არამედ კულტურაზე (სოვა, 1993). მაგალითად, დავუშვათ, რომ ერთი რომელიმე კონკრეტული ცნება ცნობილია ერთი რომელიმე კონკრეტული კულტურის მატარებელი საზოგადოებისათვის, სადაც ამ ცნებას აქვს თავისი სახელწოდება, ტერმინი. თუ ეს ცნება გადავიდა სხვა კულტურაშიც, რომლისთვისაც ის უცხოა, მაშინ საიდან დავიწყებთ ტერმინოლოგიურ საქმიანობას, ისევ ცნებიდან?! ამ შემთხვევაში საწყისი წერტილი არის თავად ტერმინი, რომელიც უნდა განიმარტოს იმ საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც უცხო და ახალია ის ცნება, რომელსაც ეს კონკრეტული ტერმინი აღნიშნავს. მაშასადამე, აქ უკვე თავს იჩენს სემასიოლოგიური მიდგომა.

ამდენად, მე-20 საუკუნეში ჩვენ ვხვდებით სამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებულ ტერმინოლოგიურ სკოლას, განსხვავებული მიდგომებითა და დამოკიდებულებებით ტერმინოლოგიის საკითხებისადმი. იმ ეტაპისათვის და, შეიძლება ითქვას, დღესაც კი მათი კვლევითი საქმიანობა უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია ტერმინოლოგიური პროცესების უკეთ წარმართვისა და განვითარებისათვის. ცხადია, რომ თანამედროვე ტერმინოგრაფიული პრაქტიკისათვის ტერმინების ტრადიციული დამუშავების მეთოდი არ არის აქტუალური, რაც შეიძლება აიხსნას თანამედროვე სპეციალიზებულ და ენის საერთო ლექსიკურ ელემენტებს შორის ზღვარის გაბუნდოვანებით.

### **1.3. ტერმინის სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები**

ტერმინოლოგიის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ტერმინის ბუნებისა და სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების დადგენა. სტრუქტურული თვალსაზრისით ტერმინი შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი ან მრავალსიტყვიანი ანუ შედგენილი. ერთსიტყვიანი ტერმინები თავის მხრივ იყოფა მარტივ, ნაწარმოებ და რთულ ტერმინებად, მაგ: კოსმიდი, ხმლისებრი, ნემსისებრი, უჯამო, უკოლოფო, დანაკვილასებრი, კანეკლიანი და ა.შ. შედგენილი ტერმინი მართალია არ არის

სხარტი და ლაკონური, მაგრამ ის აკმაყოფილებს ტერმინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას, გამჭვირვალობას. ტერმინებად ძირითადად არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა გვევლინება. თუმცა ყველაზე მეტი ტერმინი მაინც არსებითი სახელია. ტრადიციული მიდგომით, მიმართება ცალკეულ ცნებასა და ტერმინს შორის უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ ყოველ ერთ ცნებას ერთი ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს. აქედან გამომდინარეობს ტერმინის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება - ერთმნიშვნელობა, რაც ცალსახად უნდა გამორიცხავდეს სიტყვათა იმგვარ ურთიერთობებს, როგორცაა პოლისემია, სინონიმია, ომონიმია და სხვ. როგორც თ. მარგალიტაძე წერს, „ტერმინებს ხშირად აღწერენ, როგორც სიტყვებს, რომლებიც ზუსტად უნდა ასახავდნენ შესაბამისი ცნების შინაარსს, უნდა გამოირჩეოდნენ ლექსიკური სისტემურობით, უნდა იყვნენ ექსპრესიულად და ემოციურად ნეიტრალური, თანაც მოკლე და სხარტი“ (მარგალიტაძე, 2022: 136). თუმცა, ავტორი იქვე აგრძელებს, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს თვისებები ახასიათებს ბევრ ტერმინს, მაგრამ არა ყველას. ტერმინები გამოირჩევა მონოსემიურობით, მაგრამ მათ ასევე ახასიათებთ პოლისემიაც. პოლისემიის შემთხვევები ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საერთო ლექსიკაში, თუმცა სპეციალურ ლექსიკონებში ამგვარი მაგალითები მაინც გვხვდება. ეს შეიძლება გამოიწვიოს უცხო ენიდან შესვებამ. თუ ტერმინს უცხო ენაში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მას ეს მნიშვნელობები შეიძლება გადმოჰყვეს მსესხებელ ენაშიც. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთო ენის კუთვნილი სიტყვა იძენს ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას და მისი ერთ-ერთი პოლისემიური მნიშვნელობა ხდება. ერთი და იგივე სიტყვა ან ტერმინი ხშირად სხვადასხვა დარგის ტერმინად გამოიყენება. რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ გახშირებულია მეტაფორიზაცია ტერმინოლოგიურ ლექსიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ გახშირებულია ტერმინთა სინონიმის შემთხვევებიც. ტერმინოლოგიაში, ისევე როგორც საერთო ენაში, სინონიმების გაჩენის საფუძველი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. ერთ-ერთი მიზეზია ქართული ტერმინის გვერდით საერთაშორისო ტერმინის დამკვიდრება ან პირიქით უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინისათვის ქართული შესატყვისის შექმნა (მაგ: ხუროთმოძღვრება-არქიტექტურა, ადიტიური-ჯამური, რეპარაცია-აღდგენა).

გვხვდება ისეთი სახის სინონიმები, როცა ერთი ფორმა არის მეორის შემოკლებული ვერსია. ცალკე უნდა აღინიშნოს აბრევიატურების არსებობაც. ზოგადად სინონიმთა არსებობა დადებითი მოვლენაა საერთო-სალიტერატურო ენაში და ის ენის სიმდიდრეზე მიუთითებს, თუმცა ტერმინოლოგიაში, პოლისემიისა და ომონიმის მსგავსად, სინონიმის არსებობა მეტწილად უარყოფით მოვლენად მიიჩნეოდა. ეს დამოკიდებულებაც იცვლება, რადგან ისო სტანდარტებში პოლისემიაც, ომონიმიაც და სინონიმიაც ტერმინთა ბუნებრივ მახასიათებლადაა აღიარებული (ISO 704:2022). რაც შეეხება ანტონიმებს, სამეცნიერო ენაში მათი საჭიროება გაცილებით მეტია, ვიდრე საერთო ენაში. სწორედ ამით აიხსნება მათი დიდი რაოდენობით არსებობა ტერმინოლოგიურ სისტემაში.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტერმინის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებაზე ტრადიციული თეორიით, რაც მის ემოციურ-ექსპრესიულ ნეიტრალობაში მდგომარეობს. ტერმინი პრინციპულად არაექსპრესიული და ემოციურად ნეიტრალურია, თუმცა, როგორც თ. მარგალიტაძე აღნიშნავს, „ტერმინოლოგიურ სიტყვა-სტატიებშიც აღწევს სტილისტიკური კვალიფიკაციები, გვხვდება ტერმინთა სასაუბრო, ხუმრობითი, სლენგური ვარიანტებიც კი. მაგ.: to cut a melon, white knight საფინანსო სლენგური ტერმინებია“ (მარგალიტაძე, 2021: 139).

ტერმინის სრული დახასიათებისათვის საჭიროა მის ერთ დამახასიათებელ თვისებურებაზეც შევჩერდეთ. ეს არის ტერმინის მიდრეკილება სიმოკლისადმი. სიმოკლეს ტერმინის ღირსებად მიიჩნევენ. ის მოუხერხებელია თუ მოკლებულია ამ თვისებას. როგორც კი გრძელი ტერმინი შედის ხმარებაში, ის ხშირ შემთხვევაში მოკლდება, რაც ერთ-ერთი მიღებული და ფართოდ გავრცელებული ტენდენციაა ქართულ ენაშიც. ამ დროს ხშირად ჩნდება აბრევიატურები. თანამედროვე ტერმინოლოგიურ სისტემაში მნიშვნელოვნად გაზრდილია ანალიტიკურ ანუ მრავალსიტყვიან ტერმინთა რაოდენობა, რამაც, რა თქმა უნდა, გამოიწვია დიდი რაოდენობით აბრევიატურების გაჩენა. განსაკუთრებით საყურადღებოა ანალიტიკური ტერმინების ქართულ ენაში გადმოტანის მეთოდი. მათი ტრანსლიტერაციის გზით ენაში შემოსვლა დიდ საფრთხეს უქმნის ენას. მრავალსიტყვიანი ტერმინების მთავარი დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ ის

მართალია არაა სხარტი და მოკლე, მაგრამ არის გამჭვირვალე. ტრანსლიტერირებული ანალიტიკური ტერმინი კი არც ლაკონურია და არც გამჭვირვალე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტერმინის დახასიათებისას არის ის, რომ ტერმინი შესაბამის ცნებას ისე უნდა გამოხატავდეს, რომ საამისოდ კონტექსტის მოშველიებას არ საჭიროებდეს. როგორც ლოტე წერს: „ ყველაზე არსებითი ნაკლი ტერმინოლოგიისა - ეს ტერმინის მნიშვნელობის კონტექსტისდა მიხედვით ცვლაა და ამდენად მისი დაშვება ყოვლად შეუძლებელია“ (ლოტე, 1937). ამ საკითხთან დაკავშირებითაც იცვლება მიდგომები, რადგან თანამედროვე ტერმინოლოგიურ სტანდარტებში კონტექსტის მითითება ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია (ISO 704 : 2022).

ასევე მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თუ რა ადგილი უჭირავს ტერმინოლოგიას საერთო ენის სტრუქტურაში და რა თავისებურებებით განსხვავდება ტერმინოლოგიური სისტემა საერთო ენის ლექსიკური სისტემისაგან. მკაფიო საზღვრები ტერმინოლოგიასა და საერთო ენის ლექსიკას შორის არ არსებობს. მაშასადამე, ტერმინოლოგია შედის მეცნიერების ენის ლექსიკის შემადგენლობაში. მეცნიერების ენა კი საერთო-სალიტერატურო ენის დამოუკიდებელი ფუნქციური სახესხვაობაა, ანუ დამოუკიდებელი ქვესისტემა, რომელსაც აქვს თავისი ფუნქციები, გამოხატვის საშუალებები, სპეციფიკური ხერხები და შეფასების განსაკუთრებული კრიტერიუმები. მართლაც, ვინ მოთვლის, რა რაოდენობით ითვისებს საერთო ენა ტერმინოლოგიურ ლექსიკას დღეს, თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სხვადასხვა სოციალურ ფაქტორთა გავლენით უჩვეულოდაა გაზრდილი ენის ფუნქციები, როდესაც ასობით და ათასობით ტერმინი შემოდის ენაში. ტერმინთა მიგრაცია კი ხანგრძლივი და რთული პროცესია. ტერმინი ყოველთვის ერთბაშად არ კარგავს თავისთავადობას და კავშირს სპეციალურ სფეროსთან. იგი თანდათანობით აკლიმატიზდება ახალ გარემოში, თანდათანობით იცვლის ფუნქციას და იფართოებს ხმარების სფეროს. საერთო ენაში ტერმინის გადასვლა, ჩვეულებრივ, უკავშირდება ტერმინის გადატანითი მნიშვნელობით, ანუ მეტაფორული ხმარების პროცესებს. ზოგჯერ ტერმინი საერთო ენის კუთვნილებად იქცევა ისე, რომ ის სრულიად წყვეტს კავშირს თავის პირვანდელ მნიშვნელობასთან, კარგავს მისთვის დამახასიათებელ

ფუნქციურ, სისტემურ და სემანტიკურ შეზღუდულობას, იცვლის მნიშვნელობას და პოტენციურად მასში არსებულ საერთოენოვანი ნიშნის ტენდენციებს იძენს. ასეთ შემთხვევაში ტერმინის დეტერმინოლოგიზაციაზე ლაპარაკობენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დეტერმინოლოგიზაცია საერთო ენისათვის დამახასიათებელი პროცესია, თორემ ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინი კვლავ რჩება ტერმინად თავისი დამახასიათებელი ენობრივი მნიშვნელობით.

მაშასადამე საერთო ენისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის ამგვარი ურთიერთობა, სიტყვის ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში გადასვლა, ამ ორი სისტემის დამოუკიდებელ არსებობას უჭერს მხარს. „ტერმინოლოგიასა და საერთო-სალიტერატურო ენას შორის არსებული მუდმივი კონტაქტი, სიტყვათა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელია სწორედ იმ დიდი განსხვავების წყალობით ხდებოდეს, რომელიც არსებობს ტერმინსა და არატერმინს შორის“ (კაპანაძე,1965).

მაშასადამე, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ტრადიციული მიდგომის თანახმად, იდეალური ტერმინი განისაზღვრებოდა შემდეგი მახასიათებლებით: ის უნდა ყოფილიყო მონოსემიური, ანუ გამოირიცხებოდა პოლისემიის, სინონიმისა და ომონიმის შემთხვევები. იდეალური ტერმინი ასევე უნდა ყოფილიყო ემოციურად ნეიტრალური, მოკლე და სხარტი. ტერმინი უნდა ჯდებოდეს ენობრივ ნორმებში და ზუსტად ასახავდეს ცნებას. ტერმინებისადმი ამგვარი მიდგომა ეკუთვნის ტერმინოლოგიის მამად აღიარებულ ვუსტერს.

როგორც აღინიშნა, თანამედროვე ტერმინოლოგია თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებით განსხვავებულია და მასზე მუშაობის მეთოდოლოგიაც შეცვლილია. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ტერმინებს შესაძლოა ჰქონდეთ მეტყველების სხვადასხვა ნაწილის ფორმა. თუმცა ყველაზე ხშირად ტერმინად გვხვდება არსებითი სახელი, ზმნა და ზედსართავი სახელი. ტერმინების კატეგორიზაცია ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით:

- მისაღებობის შეფასების მიხედვით: უპირატესი ტერმინი, დაშვებული ტერმინი, უარყოფილი ტერმინი;
- სტრუქტურის მიხედვით: ერთსიტყვიანი და შედგენილი;

- ტერმინშემოქმედების მეთოდის მიხედვით: შექმნილი, ნაწარმოები ან ნასესხები ტერმინი (ISO, 704 : 2022).

სტანდარტიზებული ტერმინოლოგიისათვის სასურველია, რომ ერთი სახელი მიენიჭოს ერთ ცნებას. ტერმინების წარმოებისას დაცული უნდა იყოს რამდენიმე პრინციპი:

- გამჭვირვალობა (ტერმინი გამჭვირვალეა, როდესაც მის მიერ აღნიშნული ცნების გაგება შესაძლებელია განმარტების ან სხვა სახის ინფორმაციის გარეშე);
- თანმიმდევრულობა (ტერმინები უნდა ინტეგრირდეს შესაბამის ცნებათა სისტემასთან);
- შესაფერისობა (ტერმინი უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ ბუნებრივ ენაში დამკვიდრებულ ლინგვისტურ მოდელებს, უნდა იყოს რაც შეიძლება ნეიტრალური და განსაკუთრებით არ უნდა შეიცავდეს ნეგატიურ კონოტაციებს);
- ლაკონურობა (არასაჭირო სიგრძე დიდი ნაკლია ტერმინისათვის და არღვევს ლინგვისტური ეკონომიის პრინციპს). სიმოკლე ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება გამჭვირვალობას, მაგრამ უნდა ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკულობის მოსაზრებებით. შემოკლებულ ფორმებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც გრძელი და ზუსტი ტერმინი არ არის შესაფერისი. ხშირად სრული ფორმები და აბრევიატურებიც თანაარსებობენ, როგორც სინონიმები;
- ნაწარმოები და რთული სიტყვების შექმნის უნარი (ნაწარმოები და რთული ტერმინი უნდა შეიქმნას იმ სიტყვათმწარმოებელი საშუალებებით და წესებით, რომლებიც არსებობს ბუნებრივ ენაში);
- ენობრივი სისწორე (ტერმინების შედგენისას ისინი უნდა შეესაბამებოდეს განსახილველი ენის მორფოლოგიურ, მორფოსინტაქსურ და ფონოლოგიურ ნორმებს);
- უპირატესობა მოცემული ბუნებრივი ენისათვის
- ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია (ტერმინოლოგიის სტანდარტიზებისას შეიძლება საჭირო გახდეს ერთ დამწერლობაზე ან არაანბანური დამწერლობის

სისტემაში დაწერილი სახელის გადატანა სხვა წერით სისტემაში. ასეთ დროს გამოყენებული უნდა იქნეს ტრანსლიტერაციის ან ტრანსკრიფციის ყველაზე ავტორიტეტული სისტემა).

იდეალურ შემთხვევაში სასურველია მიღწეული იყოს ტერმინთა მონოსემია, რადგან ეს ამცირებს ბუნდოვანებას, მაგრამ ვხვდებით სინონიმის, ანტონიმის, პოლისემიისა და ომონიმის შემთხვევებსაც ტერმინოლოგიაში. მსგავსი შემთხვევები, როგორც ყოველთვის, იწვევს ცნებებისა და ტერმინების ჰარმონიზაციის აუცილებლობას, რაც მიიღწევა ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციით (ISO 704 : 2022).

ცალკე უნდა გამოვეყოთ ტერმინოლოგიის დარგში პრაქტიკული მუშაობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ტერმინოლოგიურ ლექსიკოგრაფიასთან, ტერმინოლოგიის მოწესრიგებისა და სტანდარტიზაციის საკითხებთან. ლექსიკოგრაფია ხომ ტერმინოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. ლექსიკოგრაფიული მუშაობა კი მრავალ სხვა საკითხთან ერთად გულისხმობს სიტყვანის შედგენას, ტერმინების ნორმალიზაციასა და სტანდარტიზაციას.

ქართული ლექსიკოგრაფია მდიდარია დარგობრივი ლექსიკონებით, რომლებიც მოიცავს მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა თუ კულტურის თითქმის ყველა სფეროს და ამა თუ იმ დარგის საუკეთესო სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების მიერ არის შედგენილი. ეს ლექსიკონები, როგორც თ. მარგალიტაძე განმარტავს, არის თარგმნითი, უპირატესად - რუსულ-ქართული, ან განმარტებითი. მარგალიტაძის აზრით, ქართული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენისა და გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, კერძოდ კი მის ტერმინოლოგიურ განყოფილებას, რომელიც დღესაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას ქართულ ტერმინოლოგიაზე (მარგალიტაძე, 2021).

ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები ქართული ტერმინქმნადობისა იგივეა, როგორც იყო ივანე ჯავახიშვილის ეპოქაში, რომელიც მაშინ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, მას შემდეგ დროთა განმავლობაში მოხდა ამ პრინციპების დახვეწა და სრულყოფა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინოლოგიური საქმიანობა მოღვაწეობის ისეთი სფეროა, რომელიც მოითხოვს დარგის სპეციალისტებთან ერთად ენათმეცნიერების შეთანხმებულ მუშაობას.

მაშასადამე, ეს არის საერთო საქმე, რომელიც განსაკუთრებით დღის წესრიგში დადგა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროების განვითარების შედეგად. როგორც ლია ქაროსანიძე წერს თავის ერთ-ერთ ნაშრომში, „ქვეყანაში, სადაც შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობაა, არ არსებობს ტერმინოლოგიაზე პასუხისმგებელი პირები, საზოგადოება ან ინსტიტუცია სავალალო შედეგი დგება: ტერმინოლოგიური სიჭრელე“ (ქაროსანიძე, 2022).

#### 1.4. ქართული ტერმინშემოქმედების მეთოდები

ტერმინების შექმნის მრავალი მეთოდი შეგვიძლია გამოვყოთ ქართულში. ტერმინების შესაქმნელად აქტიურად გამოიყენება საერთო ენის ლექსიკა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია ასევე სიტყვაწარმოება. ხდება ტერმინების სესხება სხვა ენიდანაც.

ტერმინების წარმოების ერთ-ერთი წყარო არის საერთო ენის ლექსიკა, საიდანაც ხდება სიტყვების მიგრაცია ტერმინოლოგიაში. თანამედროვე ტერმინოლოგიაში მსგავსი შემთხვევები საკმაოდ გახშირდა. საერთო ენის სიტყვათა ტერმინოლოგიზაცია, ჩვეულებრივ, სიტყვის მნიშვნელობას ცვლის, ანუ სემანტიკური განვითარების გზით ხორციელდება. ტერმინოლოგიას ახასიათებს მნიშვნელობის განვითარების ყველა სახე: სიტყვის მეტაფორული და მეტონიმიური ხმარება, მნიშვნელობის გაფართოება და დავიწროება და სხვ. მეტაფორული ხმარების მაგალითად განვიხილოთ სიტყვა **მწვერვალი**, რომელიც აღნიშნავს მთის ყველაზე მაღალ ნაწილს, მის ზემოთ აზიდულ წვერს. ანატომიაში კი გამოყენებულია ორგანოს ზედა ნაწილის მნიშვნელობით: მაგ: ფილტვის მწვერვალი, გულის მწვერვალი. მეტაფორიზაციის საინტერესო მაგალითები აქვს გაანალიზებული თინათინ ბუბუტეიშვილს მის მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ კომპიუტერულ ტერმინთა უმეტესობა ენობრივი მეტაფორიზაციის შედეგად არის მიღებული - სემანტიკური ცვლილებების შედეგად ლექსიკურმა ერთეულმა შეიძინა კომპიუტერული მნიშვნელობა. მეტაფორიზაცია ეფუძნება რეფერენტთა შორის ვიზუალურ, ფუნქციურ ან სიტუაციურ მსგავსებას (ბუბუტეიშვილი, 2023).

ამასთანავე, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც უკვე შექმნილი ტერმინები მიგრირებენ დარგიდან დარგში და ერთი და იგივე ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა მონათესავე თუ არამონათესავე დარგებში. მაგალითად, სიტყვა **კეპირება** არის გენეტიკური ტერმინი, რომელიც კეპის, კეპ-სტრუქტურის წარმოქმნას აღნიშნავს. იგივე ტერმინი ასევე გამოიყენება იმუნოლოგიაშიც, სადაც ის აღნიშნავს მემბრანული ცილების კონცენტრაციას აქტივირებული უჯრედის ერთ-ერთ პოლუსზე კეპის/“ხუფის“ წარმოქმნით (<https://bio.dict.ge/ka/>). ტერმინოლოგიაში მსგავსი პროცესების მიზეზად თ. მარგალიტაძე ენაში დიდი რაოდენობით ცნებების მომრავლებას ასახელებს, როდესაც ენა ცდილობს აამოქმედოს ეკონომიის პრინციპი და გაუმკლავდეს დიდი რაოდენობით ტერმინების მოზღვავენას (მარგალიტაძე, 2019).

საყურადღებოა ასევე ტერმინოლოგიზაციისა და დეტერმინოლოგიზაციის შემთხვევები, როდესაც სიტყვა იძენს ან კარგავს ტერმინისათვის და ტერმინოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ყოველივე ეს კი დღეს ენათა განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს და მოითხოვს ტერმინოლოგიური სისტემის უკეთ შესწავლას. ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემას ახალ ქართულ სალიტერატურო ლექსიკასთან ერთად ამდიდრებს ასევე ძველი ქართული ლექსიკა და დიალექტები. ძველი ქართულიდანაა აღებული ტერმინები: კაპარჭი, ფოლხვა, როკვა, გისოსი. დიალექტებიდანაა შემოსული: ფუჟვა, ლილვი, გვერგვი, ტაბუცი, მოკეკვა და სხვ.

გარდა ქართულისა, ტერმინოლოგიურ ლექსიკას ამდიდრებს ასევე უცხო ენიდან შემოსული სიტყვები ანუ ნასესხები ლექსიკა, რომელიც ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან პროცენტს ქმნის. ენაში უცხო სიტყვათა შემოსვლას კი ამ ენის წარმომადგენლებს შორის კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობები განაპირობებს. ქართული სალიტერატურო ენის მასალაზე სესხების საკითხები შესწავლილი აქვს ბ. ფოჩხუას. მას დეტალურად აქვს აღწერილი კონკრეტული ენების - ოსურის, აზერბაიჯანულის, სომხურის, ირანულის, თურქულის, არაბულის ქართულთან ლექსიკური შეხვედრები მწიგნობრული თუ ზეპირი გზით, უშუალო კონტაქტების შედეგად თუ რომელიმე ენის მეშვეობით განხორციელებული. ფოჩხუა განასხვავებს „ნასესხებ“ და „უცხო“ სიტყვებს. ნასესხებია

ის, რაც უცხო წარმოშობისაა, მაგრამ უკვე დამკვიდრდა ენაში და შეისისხლხორცა ენამ. ხოლო უცხო სიტყვებია ისინი, რომელთა უცხოობა ჯერ კიდევ საგრძნობია. ფოჩხუა ასევე აღწერს კალკირებას, როგორც ენის გამდიდრების ერთ-ერთ საშუალებას, რითიც მდიდარია ქართული ტერმინოლოგიური მასალა. „კალკი, შეიძლება ითქვას, „შეფარვით სესხება“. შეიძლება ხდებოდეს მიბაძვითი სიტყვაწარმოება, ან კიდევ მნიშვნელობის სესხება. მიბაძვითი სიტყვაწარმოების შემთხვევაში ნიმუშად აღებულია რომელიმე უცხო ენის კომპოზიტი ან ნაწარმოები სიტყვა და მის ყაიდაზე აიგება ხოლმე ქართული სიტყვა. კალკის მეორე სახეობა - მნიშვნელობის სესხება ვარაუდობს სიტყვის მეორეული მნიშვნელობის შექმნას უცხოენობრივი პოლისემიური სიტყვის ზეგავლენით“ - განმარტავს ბ. ფოჩხუა (ფოჩხუა, 1974: 372). მაშასადამე, ქართული ტერმინოლოგიური მასალა მდიდარია კალკირების გზით მიღებული ტერმინებით. მაგალითად, ზოოლოგიაში გვაქვს ასეთი ტერმინი „აფრიკული მილკბილა“, რომელიც მიღებულია რუსული ტერმინის африканский прыкозур კალკირების შედეგად, სადაც მოხდა სტრუქტურული სესხება. ისე კი ტერმინის ინგლისური შესატყვისია *aardvark*, რომელიც ოქსფორდის დიდი ლექსიკონის (OED, 2009) მიხედვით, აფრიკაანსიდან არის ნასესხები და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მიწის ღორს“ (*aard*-მიწა, *vark*-ღორი).

ცალკეა წარმოდგენილი ის გავლენა, რომელიც ქართულ ენაზე იქონია არაბულმა ენამ ჯერ არაბების ბატონობის ხანაში და შემდეგ, როდესაც ქართველებს უშუალო კონტაქტი ჰქონდათ მათთან. ცალკე აღნიშვნის ღირსია ასევე ბერძნული ენა და მისი როლი ქართული ლექსიკის გამდიდრებისა და განვითარების საქმეში. როგორც რ. დამბაშიძე მოგვითხრობს, ბევრი ბერძნული სიტყვა ქართულში უშუალო ურთიერთობის დროს ადრიდანვეა შემოსული, განსაკუთრებით კი ქრისტიანობასთან დაკავშირებული სიტყვები: ანგელოზი, ეპისკოპოსი, ეკლესია, კათალიკოსი, მიტროპოლიტი და სხვ. ბერძნულიდანაა ასევე შემოსული ქართულში სხვა ხასიათის სიტყვებიც: თეატრი, პალატა, მელანი, ლექსი, საპონი, სინდისი, სტაფილო, ფილოსოფია, მარგალიტი, ჰაერი და ა.შ. ქართულის ინტენსიური ურთიერთობა ბერძნულთან საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. გრძელდებოდა იგი საშუალო სპარსულთან, არაბულთან და ახალ სპარსულთან ურთიერთობის პარალელურადაც. ბერძნულმა ენამ, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქონია ქართულ

ენაზე. ბერძნულთანაა დაკავშირებული ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება ჰუმანიტარულ დარგებში.

მე-19 საუკუნიდან, როდესაც საქართველო გამოეთიშა აღმოსავლურ ენობრივ სამყაროს და ქართული ენის კონტაქტები სხვა გზით წარიმართა, განსაკუთრებით გზა გაეხსნა რუსულ სიტყვებს და კიდევ უფრო მეტად, რუსულის გზით ახალი ევროპული ენებიდან მომდინარე ინტერნაციონალიზმებს. რუსული გზითაა დღეს ქართულში გავრცელებული საერთაშორისო ტერმინთა უმრავლესობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სესხებას მრავალგვარი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, ძირითადად კულტურულ-პოლიტიკური კონტაქტები, როდესაც სტიქიურად ხორციელდება ერთი ენის მეორე ენაზე ზემოქმედება. რა იგულისხმება „ნასესხებ სიტყვებსა“ და „ინტერნაციონალიზმებში?“ მაგალითად, ბ. ფოჩხუას განმარტების მიხედვით ინტერნაციონალიზმია ის სიტყვა, რომელიც სამწერლო ენათა უმეტეს ნაწილს აქვს ნასესხები ერთი რომელიმე ენიდან. ხოლო ნასესხებია სიტყვა, რომელიც ერთი რომელიმე ენიდან არის შემოსული ერთ კონკრეტულ ენაში, სადაც დამკვიდრდა და მისი უცხოობა არ არის თვალშისაცემი (ფოჩხუა, 1974).

როდესაც ჩვენ ვიკვლევთ ერთ რომელიმე ენაში ნასესხებ სიტყვებს, ჩვენ მაშინ საქმე გვაქვს სესხებასთან. თუ კვლევის მიზანია გავარკვიოთ ეს ნასესხობანი რამდენიმე ენაში ერთდროულად, მაშინ საქმე გვაქვს ინტერნაციონალიზმთან. სამეცნიერო ლიტერატურაში ნასესხები ლექსიკისა და ინტერნაციონალური ლექსიკის შესახებ ნაირგვარი ინტერპრეტაციებია მოცემული. ჩვენ ამჟამად ამის მხოლოდ ერთი მხარე გვინტერესებს - ტერმინოლოგიურად გავარჩიოთ უცხო ლექსიკის ორი განსხვავებული ფენა: ერთი მხრით, ის ლექსიკა, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ერთი ენიდან მეორეში შემოსულა და ამ ენის კუთვნილებად გამხდარა, ხოლო, მეორე მხრივ, ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც რამდენიმე ენაში დამკვიდრებულა და საერთაშორისო სიტყვებად ქცეულა. პირველი ჯგუფის სიტყვებს მკვლევართა უმრავლესობა ნასესხებ ლექსიკას უწოდებს, ხოლო მეორე ჯგუფის სიტყვები - ინტერნაციონალიზმებად იწოდება.

როგორც რ. ღამბაშიძე განმარტავს, ნასესხები ლექსიკა ერთი რომელიმე ენის ფაქტია. ის ადრეული სესხების შედეგია და საერთო ენის კუთვნილებად ქცეული. მათ

შემოსვლას ენაში და დამკვიდრებას იმდენად დიდი ისტორია აქვს, რომ დღეს საკითხი მათი ნასესხობის შესახებ არც დგება. მაგალითად, ვის დაებადება დღეს კითხვა, რომ ქართული სიტყვები ოთახი, ოდა, ფანჯარა, ოჯახი და ა. შ. სხვა ენიდანაა შემოსული. ინტერნაციონალიზმებთან გვაქვს საქმე, როდესაც უცხო ენებიდან შემოსული სიტყვა რამდენიმე ენაშია გავრცელებული და დამკვიდრებული. ერთ კონკრეტულ ენაში ინტერნაციონალიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება. ინტერნაციონალიზმები ძირითადად ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა და ძირითადად ტერმინოლოგიური დანიშნულებისთვის გამოიყენება. ინტერნაციონალურ სიტყვათა შორის არის მთელი რიგი ტერმინები, რომლებიც ბერძნულიდან და ლათინურიდან მთლიანად მზამზარეულად კი არაა ნასესხები, არამედ ნასესხებია ამ ენათა ცალკეული ელემენტები. მაგ.: ავტომობილი (ბერძ. Autos თვით, ლათ. Mobilis მოძრავი), ტელევიზია (ბერძ. Tele შორს და ლათ. Visio ხედვა), ტელეგრაფი (ბერძ. Tele შორს და grapho ვწერ) და ა. შ.

ამგვარად ნასესხები სიტყვები ქმნიან დღეს ტერმინოლოგიური ლექსიკის ვრცელსა და მნიშვნელოვან ფენას. ქართულ ენაში, ისევე როგორც სხვა ენებში, სესხება ძირითადად ახალ ცნებათა ნომინაციის საკითხთანაა დაკავშირებული და ამიტომაცაა, რომ ენაში დიდია საჭიროება უცხო ტერმინთა სესხებისა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ეს პროცესი განუსაზღვრელი იყოს და თავისი კანონზომიერება არ ჰქონდეს. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ღამბაშიძეს, რომელიც აცხადებს, რომ ქართულ ენას, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მოეპოვება თავისი მდიდარი და ამოუწურავი შესაძლებლობანი ახალ სიტყვათა საკუთარ ნიადაგზე საწარმოებლად. „განუკითხავი სესხება საზარალოა ისევე, როგორც გაუმართლებელია ყველაფრის თარგმნა. ცნობილია, რომ პურისტულ ტენდენციებს, რომელიც წინათ ქართულშიაც და რუსულშიაც შეინიშნებოდა, მეცნიერების წინსვლისათვის არაფერი სარგებლობა მოუტანია. პირიქით, პრაქტიკიდან ვიცით, რომ ამას ზოგჯერ სავალალო შედეგებიც მოჰყოლია. სესხება, რასაკვირველია, ენის გამდიდრების გზაა, მაგრამ სესხების პროცესებთან დაკავშირებით საჭიროა გარკვეული ზომიერება და ენობრივი ალღო, თითოეული ენისათვის სესხების პრობლემებისა და ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება. რუსული ენიდან უშუალოდ ტერმინების სესხება, ჩვეულებრივ, იშვიათად ხდება, მაგრამ საგრძნობია რუსული ენის როლი კალკირების ანუ

თარგმნითი სესხების შემთხვევებში. შესაძლებელია, ზოგჯერ თვით რუსულშიც ეს სიტყვები უცხოური ენის კალკს წარმოადგენს, მაგრამ, ცხადია, ქართული ტერმინის შესაქმნელად რუსული სიტყვის მოდელია გამოყენებული და არა უცხო ენისა“ (დამბაშიძე, 1986). რუსულ ენას განსაკუთრებული როლი ენიჭება ქართული სამეცნიერო ტერმინების უცხო ტერმინებით გამდიდრების საქმეშიც. უცხო ტერმინების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ახალი ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვები, სწორედ რუსული ენის მეშვეობითაა დამკვიდრებული.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტერმინების შექმნის კიდევ ერთ-ერთი ბაზა ქართულ ენაში არის სიტყვათწარმოება და სიტყვათა თხზვა ანუ კომპოზიცია. მრავალი სამეცნიერო ტერმინი სწორედ აფიქსაციის გზით არის მიღებული, მაგალითად: სახრახნისი, გაუწყლოება, კრებსითი, ლილვაკი და მრავალი სხვა. ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება ძირითადად ემყარება ქართული სალიტერატურო ენის სიტყვაწარმოებით სისტემას და იყენებს ყველა სემანტიკურ, მორფოლოგიურ და მორფოლოგიურ-სინტაქსურ საშუალებას. გარდა ამისა, ის შეიმუშავებს თავის საკუთარ სიტყვაწარმოებით ქვესისტემას, დამოუკიდებელ წესებსა და მოდელს, რომელიც განასხვავებს მას სალიტერატურო საერთო ენისაგან. ზოგი წარმოება უფრო კარგ შედეგს იძლევა ტერმინოლოგიურ სისტემაში, ვიდრე სალიტერატურო ენაში. განყენებულ სახელთა სი-ე, -ობა, -ება-თი წარმოება ტერმინოლოგიაში საკმაოდ ხშირია, მაგალითად: სიბრტყე, მდგრადობა, ცვეთილობა და სხვ. აბსტრაქტულ სახელთა წარმოებაში ად-ობ-ა მოდელის მიხედვით შექმნილი ტერმინები ძალიან ხშირია: დასველებალობა, თვითაალებალობა, გამოსხივებალობა და ა.შ. ხშირია ასევე -ით და -ის სუფიქსით წარმოებაც: შედეგობითი, სიბრტყითი, მისარგისი, სათავისი, უჯრედისი და სხვ. ზემოთჩამოთვლილი მაწარმოებლების ასეთი სიხშირით ხმარება ტერმინოლოგიაში, ბუნებრივია, სათანადო ცნებათა სიუხვითაა განპირობებული. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერმინების შექმნის საქმეში შემდეგი სუფიქსებიც: -ობ, -ედ, -აკ. მაგ: რბილობი, ღარობი, განედი, კარედი, ლილვაკი, ძელაკი. ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს -ა სუფიქსს: სათესელა, სწრაფსახვნელა, საკიდელა. ტერმინოლოგიური დანიშნულებისათვის ჩვეულებრივია მაწარმოებელ აფიქსთა სპეციალიზაცია ანუ ენაში არსებულ აფიქსთა იმგვარი მნიშვნელობით გამოყენება, რომელიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის,

მაგალითად -გან ზმნისწინი: განწერტება, განზლოკირება, განდიდება, განრთვა. მაშასადამე, სიტყვაწარმოება განსაკუთრებით გამოიყენება ტერმინოლოგიურ სისტემაში. თითოეული აფიქსი მხოლოდ ტერმინის უბრალო დასახელებაში კი არ იღებს მონაწილეობას, არამედ მას გარკვეულ კლასიფიკაციურ მწკრივში წარმოგვადგენინებს.

ტერმინოლოგიზაციის გრამატიკულ საშუალებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული და ეფექტური საშუალება, წარმოებასთან ერთად, არის რთული სიტყვების შედგენა. ეს პროცესი დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართულისათვის, არამედ სხვა ენებისთვისაც. ტერმინოლოგიურ სისტემაში ვხვდებით, როგორც ფუძის გაორკეცებით მიღებულ კომპოზიტებს, ასევე ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებულ კომპოზიტებსაც. საერთო სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ტერმინოლოგიაში გაცილებით ძლიერია გაკომპოზიტება.

თანამედროვე ტერმინოლოგიაში მომრავლდა მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა. შესაბამისად, მრავალსიტყვიანი ტერმინების არსებობა იწვევს აბრევიატურების მომრავლებასაც. თ. მარგალიტაძის აზრით, ანალიტიკური ტერმინების ქართულ ენაში გადმოტანა მეტად საყურადღებოა და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მისი აზრით, ანალიტიკური ტერმინის დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტერმინი არ არის სხარტი და ლაკონური, ის არის გამჭვირვალე და ადვილად აღსაქმელი. ეროვნულ ენებში მათი გადატანისას საჭიროა ამ დადებითი მხარის მაქსიმალურად შენარჩუნება სტრუქტურული სესხების მეთოდის გამოყენებით. ეროვნულმა ენებმა ეს საკითხი უნდა გაითვალისწინონ ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავების დროს, ვინაიდან მრავალსიტყვიანი ტერმინების ტრანსლიტერაციის გზით გადმოტანა გამოიწვევს ძალიან დიდ ბუნდოვანებას. მივიღებთ არალაკონურ და ბუნდოვან ტერმინებს (მარგალიტაძე, 2019).

ტერმინოლოგიური სისტემა ასევე შედგება რთული სიტყვების იმ მოდელებისგან, რომლებიც აფიქსოიდების საშუალებითაა მიღებული. აფიქსოიდები სხვა ენებიდან მზამზარეულად შემოტანილ სტრუქტურულ ელემენტებს ეწოდება, რომლებსაც ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდათ. ძირითადად კი ეს ბერძნულიდან

და ლათინური ენებიდან არის შემოსული. დროთა განმავლობაში ისინი რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილად ქცეულა. ისინი ხან თავში დაერთვიან სიტყვას და ხანაც ბოლოში, რის მიხედვითაც გამოიყოფა პრეფიქსოიდები და სუფიქსოიდები. ტერმინთა ასაგებად გამოყენებული აფიქსოიდები ყველა ენაში გამოიყენება, ამიტომ მათ საერთაშორისო აფიქსოიდებს უწოდებენ. ქართულში აფიქსოიდები ფორმობრივად თუ სემანტიკურად ისეთ ვითარებას გვიჩვენებენ, როგორც რუსულ ენაში, ვინაიდან ძირითადად ისინი რუსულის გზითაა შემოსული და დამკვიდრებული ჩვენში. საერთაშორისო პრეფიქსოიდებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართულში: აერო-, გეო-, ანტი-, მონო-, კონტრ-, ულტრა-, ტელე- და მრავალი სხვ. თითოეულ აფიქსოიდს ბერძნულსა და ლათინურში თავისი გამჭვირვალე სემანტიკა აქვს, ხოლო მსესხებელ ენებში კი ჩვეულებრივ ახალ ტერმინთა მაწარმოებლადაა გამოყენებული. დროთა განმავლობაში ისინი იმდენად იკიდებს ფეხს ტერმინოლოგიურ სისტემაში, რომ ტერმინოლოგიური ლექსიკის მნიშვნელოვან ფენას შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფიქსოიდებით ნაწარმოებ სიტყვებს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა, ზოგი მათ „ინტერნაციონალურ რთულ სიტყვებს“ უწოდებს, ზოგი კი ნაწარმოებ სიტყვებად მიიჩნევს.

ასევე ცალკე უნდა გამოიყოს აბრევიატურა, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება. ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე საუბრისას აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურასაც, რომელთა გამოყენება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს აღწევს მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ალ. ლლონტის განმატების მიხედვით, „აბრევიატურა ჰქვია სიტყვის შემოკლებას, რაც ჩვეულებრივ გავრცელებულია წერითსა და ზეპირ მეტყველებაში. წერისას მიღებულია რამდენიმე სიტყვის შემოკლება“ (ლლონტი, 1964: 49). წიბახაშვილი შემდეგნაირად განმარტავს მას: „აბრევიატურა განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია. იგი ორი, სამი და მეტი სიტყვის შემოკლებით მიიღება. იგი სხვადასხვა პრინციპით და სხვადასხვა მიზნით შეიძლება იყოს შედგენილი: 1. ან სიტყვათა დასაწყისი მორფემებისაგან (მაგ: ელმავალი-ელექტროობით მავალი), ან ინიციალებისაგან (მაგ: ARRC - Allied Rapid Reaction Corps, AWI - air warfare instructor). აბრევიატურის ასეთ ტიპს აკრონიმი ეწოდება.

აბრევიატურა ძირითადად წერისას იხმარება, თუმცა ზოგიერთი მათგანი სალაპარაკო ენაშიც ადვილად იკიდებს ფეხს“ (წიბახაშვილი, 1965).

აბრევიატურების შედგენა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ჯერ, პირველ რიგში, ტერმინი უნდა იქნეს დადგენილი, რომ მისი აბრევიაცია მოხდეს. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ აბრევიატურა ერთი რომელიმე ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლებში უნდა კეთდებოდეს, თორემ შეიძლება მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს და გაუგებრობის წყაროდ იქცეს. ყურადღება უნდა მიექცეს აბრევიატურების ტერმინებად ქცევის ტენდენციებს. როგორც თ. მარგალიტაძე წერს, თანამედროვე ტერმინოლოგიაში გაზრდილია ანალიტიკური ანუ მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია აბრევიატურების მომრავლებაც. ანალიტიკური ტერმინების მომრავლება მეტად საყურადღებოა ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით (მარგალიტაძე, 2019).

მაშასადამე, როგორც ვხედავთ ქართულ ტერმინოლოგიაში გამოიყოფა რამდენიმე მეთოდი ტერმინთა შედგენისა. თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში შეინიშნება საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიაში გადასვლა. ტერმინები მიგრირებს ასევე ერთი დარგიდან მეორე დარგში. ტერმინების შექმნის ერთ-ერთი გზა ქართულ ენაში არის ასევე სიტყვათწარმოება. ქართულ ტერმინოლოგიაში ასევე ვხვდებით უცხო ენიდან შემოსულ ტერმინებსაც. გვაქვს ინტერნაციოლიზმები და ასევე ნასესხები სიტყვები. ფართოდაა გავრცელებული სტრუქტურული და სემანტიკური სესხების მეთოდებიც.

### **1.5. ენობრივი პოლიტიკა სხვა ქვეყნებში**

ტერმინოლოგიური საქმიანობის სწორად და მართებულად წარმართვა უპირველესი ამოცანაა ქვეყნებისათვის. შესაბამისად, აუცილებელია ქვეყნებმა შეიმუშაონ ტერმინოლოგიური პოლიტიკა, რაც უნდა განხორციელდეს ენათმეცნიერების, ტერმინოლოგებისა და დარგის სპეციალისტების შეთანხმებული მუშაობით.

ირანში, სადაც სახელმწიფო ენა არის სპარსული ენა, შეინიშნება პურისტული ტენდენციები. სპარსული ენის განვითარება გაიგივებულია ქვეყნის განვითარებასთან

და მისი ერთიანობის სიმბოლოდაა ქცეული. როგორც რუსუდან რამიშვილი წერს თავის სტატიაში: „ირანში ცდილობენ მიაღწიონ მდგომარეობას, როცა ყველა ახალი ცნება გადმოცემული იქნება სპარსული ძირებითა და მაწარმოებლებით“ (რამიშვილი, 2014: 145). მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ირანის რესპუბლიკის მთავარი ამოცანაა ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს, სპარსული ენის დაცვა, რაც გულისხმობს სპარსულისათვის სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნას, რომელიც ჩაანაცვლებს უცხოენოვან ნასესხებ ტერმინებს. განსაკუთრებულ საშიშროებად ისინი თვლიან ევროპულ ენებს და მათგან შემოსულ ლექსიკას.

საინტერესოა ასევე ჩვენი მეზობელი სომხეთის რესპუბლიკის დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნული საკითხისადმი, სადაც ტერმინთქმნადობა სახელმწიფოს ყურადღების საგანია. როგორც მერაბ რობაქიძე აღნიშნავს, სომხური ენის ტერმინოლოგიას დასაბამიდანვე ჰქონდა უპირატესად ეროვნული ხასიათი. „ახალი ტერმინები იქმნება სომხური სიტყვათქმნადობის პრინციპებით - კომპოზიტების შექმნით, წარმოქმნით, აგრეთვე ძველი, „მკვდარი“ სიტყვებისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებით, დიალექტური სიტყვების სემანტიკური შემოსაზღვრით, ახალი სიტყვათკავშირების შექმნით, გადმოაქვთ ტერმინები უთარგმნელადაც“ (რობაქიძე, 2014: 151). უმრავლეს შემთხვევაში უცხო სიტყვები და შესიტყვებები სომხური ეკვივალენტებით გამოიხატება.

ასევე აღნიშვნის ღირსია თურქეთის ენობრივი პოლიტიკა. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ ენა და მისი განვითარების საკითხი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი გახდა ქვეყნისათვის. სახელმწიფოს დაარსების დღიდან დაიწყო მიზანმიმართული ბრძოლა თურქულ ენაში უცხო ლექსიკის დომინირების წინააღმდეგ, ვინაიდან დიდი ნაწილი ტერმინებისა თურქულში არის უცხო ენიდან ნასესხები. იყო გარკვეული მცდელობა თურქული ძირის სიტყვების შექმნისა, თუმცა მათი დიდი ნაწილი ენამ არ მიიღო ხელოვნურობის გამო. შეიძლება ითქვას, რომ დღეს განსაკუთრებით მომრავლდა საერთაშორისო ტერმინები თურქულ ენაშიც, განსაკუთრებით ინგლისური ძირის სიტყვები. პურისტული მცდელობები კი ამ ყოველივეს წინააღმდეგობას ვერ უწევს. ენაში დღესაც აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები. ცდილობენ არაბული და სპარსული სიტყვები ჩაანაცვლონ ძველი

თურქული სიტყვებით, თურქული სიტყვათწარმოების საშუალებით ახალი ტერმინების შექმნით, კალკირებით, ტერმინების ევროპული ენებიდან სესხებით. თუმცა, ბევრი მათგანი ენამ ვერ მიიღო და არ დამკვიდრდა (ანთელავა, 2014). მაშასადამე, თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება უდიდეს ყურადღებას უთმობს ენაში მიმდინარე მოვლენებს და განსაკუთრებით კი ტერმინთქმნადობას. ტერმინოლოგიის განვითარება ორი გზით მიმდინარეობს: საკუთრივ თურქული ტერმინების შექმნა და ტერმინების სესხება ევროპული ენებიდან.

ენობრივი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა კანონით იმართება ლიეტუვაშიც, სადაც ლიეტუვური სახელმწიფო ენაა. ენის სტანდარტიზაციისა და მოწესრიგების საკითხს წყვეტს ლიეტუვური ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც ასევე ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კომისიის მრავალ ვალდებულებას შორის ერთ-ერთი არის გააკონტროლოს ტერმინების შემოტანის საკითხი ლიეტუვურ ენაში. ლიეტუვური ენის ინსტიტუტში არსებობს ტერმინოლოგიური ცენტრი, რომელიც იკვლევს და ამუშავებს ლიეტუვურ ტერმინოლოგიას. ამ ცენტრს აქვს სრული სახელმწიფო მხარდაჭერა. როგორც აუკსორიუტე და მანჯგალაძე წერენ თავიანთ სტატიაში, ლიეტუვაში „2003 წელს მიიღეს კანონი ტერმინოლოგიური რეგულაციების, ტერმინთა ბანკისა და მენეჯმენტის შესახებ და ამ 14 წლის განმავლობაში ტერმინოლოგიური მენეჯმენტი კანონითაა დარეგულირებული. ადმინისტრირებას ენის კომისია ახორციელებს“ (აუკსორიუტე, მანჯგალაძე, 2018: 9).

საინტერესოა ასევე ესტონეთის მაგალითის განხილვაც, სადაც ოფიციალური ენა არის ესტონური. ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე, ესტონურ ენაზე დიდი გავლენა აქვს გერმანულ და რუსულ ენებს. ბევრი საერთო სიტყვა მოეპოვება მას გერმანიკულ ენებთანაც. 1990 წელს ესტონეთში დაარსდა ენის საბჭო, რომელიც ახდენდა ენის სტანდარტიზებასა და მოწესრიგებას. ენა იქცა ხელშეუხებლად, როგორც სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის სიმბოლო. ასევე აქტიურად მიმდინარეობს ტერმინოლოგიის მოწესრიგება. ამ საქმეში ჩართულია სახელმწიფოს ყველა უწყება. შეიძლება ითქვას, აქტიურ პროპაგანდას ეწევიან ტერმინოლოგიური საქმიანობის მნიშვნელობის წინ წამოსაწევად. უნივერსიტეტებში იკითხება ტერმინოლოგიის სხვადასხვა კურსი. როგორც ხურცილავა წერს: „ესტონეთში დიდ ყურადღებას

უთმობენ ენის ტექნიკურად გამართვას. იგულისხმება ენობრივი პროგრამული უზრუნველყოფა ისე, რომ ესტონურმა ენამ თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გარემოში წარმატებით შეძლოს ფუნქციონირება. კომპიუტერული პროგრამების უმეტესობა უკვე ესტონურ ენაზეა მისაწვდომი“ (ხურცილავა, 2018: 294). ესტონური ენობრივი პოლიტიკის შესწავლა ავლენს, რომ ესტონეთშიც უდიდესი ყურადღება ეთმობა ტერმინოლოგიურ საქმიანობას და ის კონტროლდება უმაღლესი სახელისუფლებო უწყებების მიერ.

საყურადღებოა საფრანგეთში არსებული ენობრივი პოლიტიკა. ის მიმართულია ფრანგული ენის დომინირებისაკენ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ამ საქმეში კი უდიდესი როლი აკისრია ტერმინოლოგიურ მოღვაწეობას, რომელსაც განსაკუთრებული სიფხიზლით ეკიდებიან და აკონტროლებენ სახელმწიფო უწყებები. საფრანგეთის სახელმწიფო აღიარებს ქვეყნის ფარგლებში ენობრივ მრავალფეროვნებას და არ აბრკოლებს მათ გამოყენებას, თუმცა უარს ამბობს, ამ ენებს მიენიჭოს ოფიციალური სტატუსი (ახვლედიანი, 2014).

როგორც გამოიკვეთა, ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებული სისტემა ფუნქციონირებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თ. მარგალიტაძის განცხადებით, საქართველოში ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იყოს როგორც თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ისე ქართული ტერმინოლოგიის მდიდარი ისტორია და გამოცდილება (მარგალიტაძე, 2019). რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე ვხედავთ, თუ როგორი ყურადღება ეთმობა ტერმინოლოგიურ საქმიანობას ცალკეულ ენებში. ტერმინოლოგიურ მუშაობას ევროპის ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ესტონეთის, ლიეტუვის, საფრანგეთისა თუ ირანის ტერმინოლოგიურ ასოციაციებში და სახელმწიფო ცენტრებში ტერმინოლოგიური საქმიანობა კანონის დონეზე მიმდინარეობს. ევროპის ქვეყნების ტერმინოლოგიური პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში სამაგალითოა. არსებობს ევროპის ტერმინოლოგიური ასოციაცია, რომელიც 1996 წელს დანიაში დაარსდა. ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ევროპულ თუ არაევროპულ ქვეყნებში ტერმინოლოგიურ საქმიანობას და მის განვითარებას. მისი წევრია საქართველოს ვუკოლ ბერიძის

სახელობის ტერმინოლოგიური ასოციაციაც. ასოციაციის მრავალ მიზნებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია ევროპის ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე დაყრდნობით, ეროვნული ტერმინოლოგიური პრობლემებისა და ენის თავისებურებების გათვალისწინებით მოემსახუროს ქართული ენის სტანდარტიზაციის საქმეს (ხურცილავა, 2018). საქართველოში ტერმინოლოგიური საქმიანობისათვის ასევე წინადადებული ნაბიჯია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ენის პოლიტიკის 10-წლიანი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ტერმინოლოგიური მუშაობის საკითხებიც

**1.6. თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები**  
არაერთხელ გაესვა ხაზი ტერმინოლოგიური საქმიანობის აუცილებლობას და იმას, რომ სწორად წარმართული ტერმინოლოგიური მუშაობა ხელს უწყობს დარგების განვითარებას. მიგვაჩნია, რომ ეს არის საყოველთაო საქმე, რომელშიც ჩართული უნდა იყვნენ დარგის სპეციალისტებთან ერთად ტერმინოლოგები და ენათმეცნიერები. უნდა მოხდეს ყველა სამეცნიერო სფეროში ტერმინების მოწესრიგება-დამუშავება. ეს პროცესები კი უნდა წარიმართოს სახელმწიფო უწყებების აქტიური ჩართულობით.

არის გარკვეული დარგები, სადაც ტერმინები მეტნაკლებად მოწესრიგებულია, მაგალითად ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მეცხვარეობის ტერმინოლოგია, რომელიც ძალიან მდიდარია. ტერმინოლოგიურად ასევე მდიდარია ცხვრის რძის პროდუქტების წარმოების ლექსიკაც. მეცხვარეობა, როგორც ტრადიციულად ჩამოყალიბებული კულტუროლოგიური ფენომენი, ძირითადად საქართველოს ორ კუთხეში - თუშეთსა და ფშავშია - შემორჩენილი და მეცხვარეობის ტერმინოლოგიაც სწორედ ამ ორი კუთხის დიალექტური მეტყველების თითქმის მსგავს ფენებს წარმოადგენს. როგორც ცოცხანიძე განმარტავს, მეცხვარეობის ტერმინოლოგია გამდიდრებულია სამი სხვადასხვა გზით: პირველი არის ტერმინიზაცია ზოგადი ლექსიკური ერთეულებისა, მეორეა ნასესხობანი სხვა ენებიდან და მესამეა თვით ქართული ენის წიაღშივე წარმოშობილი ტერმინები. შეინიშნება პოლისემია, მაგ: სიტყვა - **ცხვარი** გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით. მაგ: ცხვარი ჰყავსო რომ იტყვიან აქ ტერმინი **ცხვარი** პიროვნების ქონების მაჩვენებელია. **ცხვარი** ასევე იხმარება ცხვრის ფარის

მნიშვნელობითაც. მაგ: „მეცხვარემ ცხვარი გაშალა, შემოეფინა ჩრდილსაო“ (ცოცანიძე, 2018).

გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში აფიქსაციის გზით მიღებულ ტერმინთა სიმრავლეზე მიგვითითებს შუქია აფრიდონიძე თავის სტატიაში. ამ დარგის ტერმინოლოგიაში თავს იჩენს გარკვეული სიხშირით განმეორებადი ელემენტები, რომელთაც აქვთ მიდრეკილება იქცნენ ლოკალურ ტერმინთა მაწარმოებელ ელემენტებად. ყველაზე ხშირად ისინი მიღებულია -ობ ბოლოსართით. მაგ: დაბლობი, ვაკობი, მაღლობი. ზოგს შესაძლოა -ა, -ო დაბოლოებაც ჰქონდეს. კიდევ ერთი სუფიქსი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გეოგრაფიულ ტერმინთა მაწარმოებლად არის -ეთ. მაგ: დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და ა. შ. (აფრიდონიძე, 2014). აფიქსაციის გზით ტერმინთა შექმნა, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენაა ტერმინთქმნადობის პროცესში.

გარკვეულ დარგებში სასურველია, რომ ტერმინოლოგიურ საქმიანობას მეტი ყურადღება დაეთმოს. ვაწყდებით ისეთ მაგალითებს, როდესაც ტერმინი უცხო ენიდან ქართულში გადმოდის არასწორად. ოთარ გამყრელიძის მოსაზრებით, ქართული ენა მდიდარია თავისი შესაძლებლობებით გამოხატოს ყველა მოვლენა. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ეს სრულად არ არის გააზრებული და უცხო ტერმინოლოგია ბრმად გადმოაქვთ ქართულში (გამყრელიძე, 2014). ოთარ გამყრელიძე ამის მაგალითად გვისახელებს 2012 წელს დაბეჭდილ გერმანულ-ქართულ და ქართულ-გერმანულ იურიდიულ ლექსიკონს. ლექსიკონში შესული გერმანული ტერმინი objectives recht თარგმნილია როგორც ობიექტური უფლება, ხოლო subjektives recht-სუბიექტური უფლება. „ქართულმა სამართლებრივმა ენამ არ იცის უფლების ობიექტურად და სუბიექტურად დაყოფა. ქართულ სამართლებრივ ენაში გამიჯნულია უფლება და სამართალი. არც გერმანულ ენას, არც რუსულს არ შეუძლია ერთმანეთისგან გამიჯნოს ეს ორი მოვლენა, ამიტომ გერმანული იძულებულია სიტყვა უფლება ასე გამოხატოს- das subjektives recht, ხოლო სამართალი- das objectives recht. რუსულადაც ასევე გამოითქმება: Субъективное право და Объективное право“ (გამყრელიძე, 2014: 61).

ქართულ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარკვეული მოვლენა თავდაპირველად გამოიხატებოდა ქართული ტერმინით, მაგრამ

დროთა განმავლობაში ქართული ტერმინი ჩაანაცვლა უცხო ტერმინმა. მაგალითად, გვეხსენება ტერმინი **კანონის განმარტება**, დღეს ამის ნაცვლად ვხვდებით **კოდექსის კომენტარები**. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში მოცემულია ტერმინ ადვოკატის განმარტება: „პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მას იურიდიულ დახმარებას“. სიტყვა **დამცველი** ჩაანაცვლა უცხო სიტყვამ **ადვოკატი**. ეს არის მაგალითი იმისა თუ როგორ გამოადგება ქართული ტერმინი უცხოური ძირის სიტყვამ. საბჭოთა საქართველოს სამართლებრივი ტერმინოლოგია, რა თქმა უნდა, რუსულის უდიდეს გავლენას განიცდიდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თითქოს დაიწყო რეფორმები მის დასახვეწად, მაგრამ ქართულისათვის შეუფერებელ ტერმინებს დღესაც ბევრს ვაწყდებით (გამყრელიძე, 2014).

თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში შეინიშნება სტანდარტიზაციის პრობლემაც. როგორც გოგიშვილი და ვეფხვაძე განმარტავენ, მე-20 საუკუნეში შეიქმნა არა ერთი კარგი მათემატიკური ტერმინი, მაგ: ტოლობა, განტოლება, წრფე, ალბათობა. დღეს ნამდვილად, ვერ ვიტყვით რომ ამ კუთხით სახარბიელო მდგომარეობაა. მათემატიკის დარგში არ არსებობს დადგენილ ტერმინთა ნუსხა. დიდი რაოდენობით უცხოურენოვანი ტერმინების შემოჭრა ხდება ენაში, რომელთა გავლენაც ძალიან დიდია. არასაკმარისია ქართული საზოგადოების ძალისხმევა ახალი ტერმინების დადგენასა და დამკვიდრებაში. ხდება ტერმინების ერთმანეთში არევა, მაგ: რიცხვისა და ციფრის მნიშვნელობათა არევა. ზოგი ვერ ელევა უცხოენოვან ტერმინს და ვერ ანაცვლებს მას ქართული შესატყვისით, მაგ: იყენებენ აქტიურად პერპენდიკულარს ნაცვლად მართობისა (გოგიშვილი, ვეფხვაძე, 2014). „ქართული ენის მდიდარი ლექსიკა ახალი მათემატიკური ტერმინების შექმნისა და ძველი ტერმინების დახვეწის შესაძლებლობას იძლევა. ამ შესაძლებლობების გამოყენება მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა. ის ენათმეცნიერთა და მათემატიკოსთა ერთობლივი, მუდმივი ძალისხმევით უნდა წარმოებდეს. უფრო მეტიც, მათვე უნდა ჩამოაყალიბონ გადაწყვეტილებათა მიღების ზოგადი პრინციპები და დაამკვიდრონ, ნორმად აქციონ დადგენილი ტერმინები. ეს სამუშაო ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტიზაციის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია“ (გოგიშვილი, ვეფხვაძე, 2014: 85).

ვლადიმერ პაპავაც ხაზს უსვამს ეკონომიკური ტერმინების მოწესრიგების აუცილებლობას, რომელსაც არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ თავად დარგის სპეციალისტებიც ხშირ შემთხვევაში არასწორად იყენებენ. ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის გაფართოება ავტორმა ორ ეტაპად დაყო. ერთი არის მე-20 საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია იქმნება რუსული ენის მიხედვით. მაგ: ინგლისური Gross Domestic Product დამკვიდრდა არა როგორც **მთლიანი სამამულო პროდუქტი**, არამედ რუსული Валовый внутренний продукт-ის ზეგავლენით როგორც **მთლიანი შიდა პროდუქტი**.

მეორე ეტაპია როდესაც ენა და მათ შორის ტერმინოლოგიაც განიცდის ინგლისური ენის გავლენას. ახალი ეკონომიკური ტერმინები ხშირად გამოიყენება მცდარადაც. მაგალითად, ტერმინი „მენეჯერი“ გამოიყენება არა მარტო იმ პირის აღსანიშნად, ვინც კომპანიას მართავს, არამედ პრემიერ მინისტრის მისამართითაც. ინგლისურში ორი ტერმინი გამოიყენება Manager და Governor, პირველი ვინც ფირმას მართავს, მეორე სახელმწიფო უწყებას. სახელმწიფო უწყების მმართველად შეგვიძლია გამოვიყენოთ ქართულში ტერმინი **მმართველი** (პაპავა, 2014). ვლადიმერ პაპავა ასევე ხაზს უსვამს, რომ ახალი ტერმინების ფორმირებისას არ ხდება ქართული ენის მრავალფეროვნების გათალისწინება. „მაგალითად, ტერმინი **გადასახადი** გამოიყენება **გადასახდელის** მნიშვნელობითაც. მაშინ როცა ინგლისურში მკაფიოდ არის გამიჯნული ტერმინები Tax და Payment, ხოლო რუსულში Налог და Плате:ж“ (პაპავა, 2014: 142). მაშასადამე, მისი აზრით, აუცილებელია ამ დარგის ტერმინოლოგიაზეც აქტიური მუშაობა და მისი მოწესრიგება.

სამეცნიერო-ტექნიკური ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შექმნისა და მათი დამკვიდრების სირთულეებზე ამხვილებს ყურადღებას კოპალეიშვილიც. ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებული სისტემა ფუნქციონირებს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. რაც შეეხება ქართულ ენას, გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვის სხვადასხვა ტერმინით დამკვიდრების მცდელობაა. მაგ: ტერმინი Climatic research გვხვდება, როგორც **კლიმატოლოგია** და **კლიმატის კვლევა**. ტერმინი Aerospace engineering გვხვდება **საავიაციო ინჟინერიის** და **ავიაკოსმოსური ინჟინერიის**

სახელწოდებებით (კოპალეიშვილი..., 2018). ეს პროცესები აუცილებლად მოითხოვს მეტ ყურადღებას. ტერმინთშემოქმედებამ უნდა შეიძინოს კუთვნილი მნიშვნელობა და უნდა გაკონტროლდეს ეს პროცესები სახელწიფო დონეზე, სადაც ჩართული იქნებიან, როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე დარგის სპეციალისტები და ტერმინოლოგიაზე მომუშავე სპეციალისტები.

ასევე შეინიშნება შემთხვევები ქართულ ტერმინოლოგიაში, როდესაც ტერმინთა ქართულად გადმოტანისას ვაწყდებით მართლწერის პრობლემებს. ქართულად ტერმინები გადმოდის ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით და არ ხდება ქართული ენის ნორმების დაცვა. როგორც პროფ. მარგალიტაძე აცხადებს, ეს დარღვევები მრავალი გზით ვლინდება, ერთ-ერთი კი არის უცხოური წარმოშობის ტერმინების მართლწერის პრობლემა. როგორც აღმოჩნდა, ქართველი ბიოლოგები და მედიკოსები (როგორც ჩანს, რუსული, ნაწილობრივ, შესაძლოა აგრეთვე ინგლისური ენის გავლენით) უმართებულოდ ამბობენ „**აუტომუნურს**“, „**ეუკარიოტს**“, „**ეუქრომატულს**“ და *ა.შ.*, ნაცვლად სწორი, ქართულისთვის ბუნებრივი და ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმებისა „**ავტომუნური**“, „**ეკკარიოტი**“, „**ექქრომატული**“ და *ა.შ.* მართლწერის პრობლემაზე ასევე საუბრობს ზექალაშვილი. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია მედიცინის განვითარებასთან ერთად მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება. ამიტომაც კიდევ უფრო აქტუალური გახდა ამ დარგის ტერმინოლოგიის მოწესრიგება. სამედიცინო ტერმინოლოგიის ძირითადი ნაწილი ინტერნაციონალურია და წარმოადგენს ძველბერძნული და ლათინური ძირის სიტყვებს. მე-19-მე-20 საუკუნეებში შეინიშნება სამედიცინო ტერმინოლოგიაში რუსული ენის გავლენა, ტერმინთა ძირითადი ნაწილი სწორედ რუსული ენის კალკირებული ვარიანტებია. ზექალაშვილი შენიშნავს, რომ „თუკი მანამდე სამედიცინო დარგის ლექსიკური ერთეულები შემოდიოდა რუსული ენის გზით, ამ ბოლო დროს გაიზარდა ინგლისური ენის როლი, თუმცა წამოიჭრა თარგმნისა და მართლწერის ახალი პრობლემები“ (ზექალაშვილი, 2014: 96). სამედიცინო ტერმინოლოგიის უცხოური ენიდან თარგმნამ წარმოაჩინა ორთოგრაფიის მოწესრიგების აუცილებლობა. ამ საქმეში კი აუცილებელია დარგის წარმომადგენლის ლინგვისტ-ტერმინოლოგთან თანამშრომლობა. ზექალაშვილი რამდენიმე საფეხურად ჰყოფს მოსაგვარებელ პრობლემათა ნუსხას. მაგ:

1. ლათინურ-ბერძნული წარმოშობის სიტყვების ქართულად გადმოტანის წესების დახვეწა და ცალკეულ გრაფემათა თუ თანხმოვანთკომპლექსთა მიღებული შესატყვისების გამოყენება (გვხვდება ქ-ს მაგივრად ხ. უნდა იყოს ექოსკოპია და არა ეხოსკოპია).

2. ნასესხები ტერმინების გადმოქართულების ერთიანი პრინციპების შემუშავება.

3. აბრევიატურათა გადმოტანისა და წაკითხვის ნორმების დადგენა, რადგან სამედიცინო ტექსტებში მომრავლდა აბრევიატურები, რომელთა გაშიფვრა არც ისე მარტივია. მაგ: გკდ - გულის კორონარული დაავადება; მგი - მიოკარდიუმის გადატანილი ინფარქტი.

4. სიტყვაწარმოების ზოგიერთი საკითხის გადაჭრა: აბდომინალური თუ აბდომინური; ბრონქული თუ ბრონქიალური და ა.შ.

5. ეპონიმებში გამოყენებულ გვარ-სახელთა ტრანსლიტერაციის წესების შემუშავება. სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ალცჰაიმერის ნაირგვარ დაწერილობას: ალცჰეიმერის, ალცგეიმერის, ალც-გეიმერის დაავადება“ (ზექალაშვილი, 2014: 102-105).

ტერმინთა მართლწერის აუცილებლობის საკითხს კიდევ ერთხელ აყენებს ციცილო გაბესკირიაც თავის სტატიაში. ის ხაზს უსვამს მეცნიერთა გვარ-სახელების ქართულად სწორად გადმოტანის მნიშვნელობას, რომელთა მონაწილეობითაც იქმნება გარკვეული ტერმინი. ეს ტერმინები როგორც წესი ორსიტყვიანია, მაგ: ნიუტონის ბინომი, დეკარტის ფოთოლი და ა.შ. „როგორც ვხედავთ, მეცნიერთა გვარ-სახელებისაგან ნაწარმოები ტერმინები მრავლად მოიპოვება მათემატიკურ ტერმინოლოგიაში, ისინი სხვა არაეპონიმურ ტერმინებთან ერთად მნიშვნელოვან და საჭირო ცნებებს გამოხატავენ, ამიტომ ცხადია, რომ მეტად მნიშვნელოვანია ამ გვარების სწორად დაწერა, წარმოთქმა და ქართულ ენაში მართებული ფორმით გადმოტანა“ (გაბესკირია, 2018: 32).

ქართულ ტერმინოლოგიაში არსებულ პრობლემებზე საუბრობს არა ერთი ენათმეცნიერი თუ დარგის სპეციალისტი და ამ მხრივ გამონაკლისი არც თამაზ და კახაბერ ხმელიძეები არიან, რომლებიც ასევე ყურადღებას ამახვილებენ

ტერმინოლოგიაზე მუშაობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. „ენა მუდმივად ცვალებადი ფენომენია, ჩნდება ახალი სიტყვები, განუწყვეტლივ იცვლება ტერმინების გამოყენების რეესტრი, ჩნდება უამრავი ახალი რეალია, რასაც ტერმინების განმარტების თანამედროვე რედაქციაში ასახვა სჭირდება“- აცხადებენ ისინი (ხმალაძე, ხმალაძე, 2018: 232).

მსგავსად არა ერთი სხვა დარგისა, სამშენებლო ლიტერატურაც გამოირჩევა უცხო ენებიდან (განსაკუთრებით რუსულიდან) შემოსული კალკებით, რაც აკნინებს ქართულ ენას. თუ აუცილებელია, რომ ტერმინი გადმოვიდეს ქართულში და მისი ზუსტი შესატყვისი ქართულში არ მოგვეპოვება, შესაძლოა გამოვიყენოთ უცხოური ტერმინი, მაგრამ ამ დროს სასურველია ვიხელმძღვანელოთ წყარო ენიდან ტრანსლიტერაციის წესებით. მაგალითისათვის, ხმალაძეები გვთავაზობენ ტერმინს კონტრფორსი, რომლის რეალური დასახელებაა კონტრფორტი (კედლის გასამაგრებელი წიბოვანი კონსტრუქცია; ფრანგ. Contrefort). ტერმინი შეცდომით შემოსულია ფრანგულის ნაცვლად რუსულიდან контрфорс. ასევე აღნიშვნის ღირსია ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულ სამშენებლო ტერმინოლოგიაში უკვე რუსულის ნაცვლად შეინიშნება ინგლისური ენის დიდი გავლენა. მაგ: ქართული სამშენებლო ტერმინი **ორნამენტული მოტივი „ბაგირი“** აღებულია ინგლისურურენოვანი დასახელებიდან **ornamental morif „rope (bale)“**. ქართული სამშენებლო ტერმინი **ორნამენტული მოტივი „გაშლილი ყვავილი“** ასევე შექმნილია ინგლისური ტერმინის მაგალითზე **ornamental motif “tablet flower”** და მრავალი სხვა (ხმალაძე, ხმალაძე, 2018).

ქართულ ტერმინოლოგიაში და განსაკუთრებით კი საავტომობილო დარგში ვაწყდებით კიდევ ერთ პრობლემას, რაც გულისხმობს ბარბარიზმების სიჭარბეს. აღნიშნულ პრობლემას ხაზს უსვამს გიორგაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ დარგში დიდი რაოდენობით რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები გვხვდება. მაგ: тормоз, крыло. ყველასათვის ცნობილია, რომ დღეს ტერმინი **მუხრუჭი** აქტიურად გამოიყენება, მაგრამ ასევე საკმაოდ ხშირად ვხვდებით ტერმინს **ტორმუზი**, რაც ყოვლად მიუღებელია ქართული ენისათვის. შესაბამისად, გიორგაძე აცხადებს, რომ „ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით კი „ხელოსნურ ტერმინებს“, რომლებიც დღეს ზოგჯერ უფრო აქტიურად გამოიყენება ქართულ ენაში,

ვიდრე სალიტერატურო ენაში არსებული მათი შესატყვისები. ასეთებია: კალოდკა (ხუნდი), ცეპლენიე (გადაბმულობა), ლაბავოი (საქარე მინა) და მრავალი სხვა“ (გიორგაძე, 2018: 37).

საავტომობილო დარგში მომრავლებულ ბარბარიზმებზე და მათ საშიშროებაზე ასევე ყურადღებას ამახვილებს თ. მარგალიტაძე, საავტომობილო დარგის ბარბარიზმებისადმი მიძღვნილი ბროშურის წინასიტყვაობაში. ის ამბობს, რომ ეს დარგი განსაკუთრებით არის დაბინძურებული რუსული ბარბარიზმებით. ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, განაპირობებდა სხვადასხვა ლინგვისტური თუ ისტორიული ფაქტორები. ამ ბარბარიზმების განდევნა ენიდან დღესაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. „საყოფაცხოვრებო მეტყველების დონეზე ქართველისათვის, სამწუხაროდ, თითქმის გაუგებარია თავის დროზე დიდი რუდუნებით შემუშავებული ქართული ტექნიკური ტერმინები: მაყუჩი- „გლუშიტელის“ ნაცვლად, სანთლები- „სვეჩების“ ნაცვლად და სხვა“ - აღნიშნავს მარგალიტაძე (მარგალიტაძე, 2023: 3). მისი მოსაზრებით, უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ბევრი ავტოსალონი დღეს ცდილობს ქართული ტერმინის დამკვიდრებას, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობა ბარბარიზმების უპირატესობა მოხმარებისას.

მაშასადამე, თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში შეინიშნება საკითხები, რომლებზე მუშაობასაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამ პროცესებში კი უნდა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე. ესენია დარგის წარმომადგენლები, ტერმინოლოგიაზე მომუშავე პირები და ენათმეცნიერები.

### **1.7. ქართული ტერმინქმნადობის ისტორია**

ქართულ ტერმინოლოგიას დიდი ტრადიცია აქვს. ქართული ტერმინების ისტორია სათავეს იღებს ქართული მწერლობის შექმნისთანავე, როდესაც ჩნდება ახალი ცნებები და მათი გამომხატველი ტერმინები. ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში, როდესაც საქართველოში სალიტერატურო ენა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა და მოგვეპოვებოდა არაერთი წერილობითი ძეგლი, არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ შექმნილიყო და განვითარებულიყო მდიდარი ტერმინოლოგიური ლექსიკა (ბერიძე, 1952).

ქართული ტერმინთქმნადობა დასაბამიდან დღემდე შეიძლება რამდენიმე პერიოდად დაიყოს. თითოეულ პერიოდში განსხვავდება ტერმინოლოგიისადმი მიდგომები და ტერმინთქმნადობის მეთოდები. მაგალითად, ღია ქაროსანიძე ქართული ტერმინთქმნადობის ისტორიას ოთხ მნიშვნელოვან ეტაპად ჰყოფს:

1. მე-10-მე-12 საუკუნეები;
2. ილია ჭავჭავაძე და მის თანამედროვეები;
3. ე.წ. სიტყვარისტები;
4. საბჭოთა პერიოდი (ქაროსანიძე, 2013).

X-XI-XII საუკუნეები მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის თვალსაზრისით. ამ დროისათვის ჩვენში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა მდიდარი თეოლოგიური და მხატვრული ლიტერატურა, ინტენსიურად ვითარდებოდა სხვადასხვა დარგები, ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ინტელექტუალური აღორძინების ხანა იდგა.

როგორც ალ. ღლონტი აღნიშნავს, ძველი ქართული ტერმინოლოგიის შექმნა-განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით იოანე პეტრიწს, ეფრემ მცირეს (XI-XII სს.), სულხან-საბა ორბელიანს, ვახუშტი ბაგრატიონს (XVII-XVIII სს.) და სხვ. (ღლონტი, 1964). მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია X-XI-XII საუკუნეები. ეს არის ჩვენში ეპოქა სამეცნიერო აზრის განვითარებისა, მწიგნობრობისა, მთარგმნელობითი საქმიანობისა, ენობრივი გამომგონებლობისა. ქვეყნის კულტურული წინსვლის საქმეში განსაკუთრებული როლი ჰქონდა იმ დროინდელ გამოჩენილ მოღვაწეებს. ქართული ენა იმ დროისათვის განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე იდგა, რომ მას შეეძლო გადმოეცა მაშინდელი განვითარებული საზოგადოების თითოეული ნიუანსი. იმ დროინდელ მოღვაწეთა მიერ იქნა შემოღებული ისეთი ტერმინები, როგორცაა: არსი, მეტყველება, თვითმყოფობა, ცნობიერება, მოძღვრება და სხვ. როგორც დამანა მელიქიშვილი აღნიშნავს, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე პირველი ნაბიჯები დიდ ათონელ მოღვაწეს, გიორგი მთაწმინდელს გადაუდგამს. გიორგი მთაწმინდელი ხშირად აწარმოებდა ტერმინებს ბერძნული ორიგინალის კალკირების გზით. ტერმინთა საწარმოებლად ის ხშირად იყენებს ბრუნვის ფორმანტებს დერივაციული აფიქსების ფუნქციით. ჩვეულებრივ ასეთებად

მოქმედებითი -ით და -ად ბრუნვის ფორმანტებია გამოყენებული, რაც დღესაც გავრცელებული საშუალებაა სამეცნიერო ტერმინთა წარმოებისას. მაგ: გონებითი, ხედვითი, ცვალებადი, ყოფადი და ა.შ. (მელიქიშვილი, 2022). ახალ ტერმინთა წარმოებისას გიორგი მთაწმინდელს ხშირად უხდება ამოსვლა ბერძნული ტერმინის აგებულებიდან. იყენებს რა ქართული სიტყვაწარმოების ფართო შესაძლებლობებს, იგი ცდილობს ზუსტად გადმოსცეს ბერძნული ტერმინის ცნების შინაარსი. ის ტერმინს უთარგმნელად ტოვებს იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი ქართული სიტყვა ზუსტად ვერ გადმოსცემს ბერძნულის მნიშვნელობას.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ეფრემ მცირეს შემოქმედება. ეფრემ მცირე მარჯვედ იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოებითი ხელოვნების შესაძლებლობებს. იგი მეტად აფართოებს აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი -ობა სუფიქსის გავრცელების არეს. მაგ: მიმღებელობა, დიდნიჭობა, ქცევადობა, მიუდრეკელობა და მრავალი სხვ. ამ პერიოდში ქართული სპეციალური ტერმინოლოგია თანდათან ყალიბდება ბერძნული ენიდან საღმრთო წერილის, ქრისტიანული ეგზეგეტიკური და დოგმატურ-პოლემიკური და თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებების თარგმნის პროცესში (მელიქიშვილი, 2022: 35).

ძველი ქართველი მოღვაწენი შეგნებულად უდგებიან ტერმინთა წარმოებას, ითვალისწინებენ თითოეული სიტყვის ეტიმოლოგიას, სპეციალურად სწავლობენ მათ მნიშვნელობებს ლექსიკონებისა და ბიბლიურ თხზულებათა მრავალრიცხოვან განმარტებათა გამოყენებით, იძლევიან ტერმინთა ზუსტ, ძირეულ თუ კონტექსტუალურ შესატყვისებს - ზოგჯერ აზრობრივს, უფრო ხშირად კი ფორმალურ-სემანტიკური კალკების სახით. ქართველი მთარგმნელები ერთგვარ ანალიზს ატარებენ ყოველი ბერძნული ტერმინისათვის ქართული შესატყვისების მოძიებისას, რაც ხშირად ერთმანეთთან თანამშრომლობის შედეგია ხოლმე. ასეთი თანამშრომლობა ტერმინოლოგიის დამუშავებისა და დადგენა-დაზუსტების აუცილებლობით იყო გამოწვეული.

მე-11-მე-12 საუკუნეებში მთარგმნელობითი საქმიანობისას ტერმინთა დაზუსტება და თარგმანის დედანთან დაახლოება აუცილებელი მოთხოვნა იყო. ტერმინთა

გაურკვეველობა ხშირად ცხარე დისკუსიების საბაზიც გამხდარა. მაგალითად, თეოლოგიურ ტერმინთა არაზუსტად მთარგმნელი შესაძლოა მწვალებლად გამოეცხადებინათ და ეკლესიიდანაც განეკვეთათ. ამდენად უარყოფითი დამოკიდებულება იყო ტერმინოლოგიური ბუნდოვანებისადმი. გელათის სკოლა სწორედ რომ ახალი ეტაპია ქართული ტერმინოლოგიის განვითარების გზაზე. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ კუთხით იოანე პეტრიწის საქმიანობა, რომელშიც შემოქმედებითი სითამამე და ფართო გაქანება, ენის ალლო და ღრმა ცოდნა, სიტყვის არსში წვდომისა და მისი ესთეტიკური განცდის უნარი, ფილოსოფიასა და თეოლოგიაში განსწავლულობა ჰარმონიულად იყო შერწყმული. იოანე პეტრიწი ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად, ქართული ენის ბუნების, მისი ყალიბების მიხედვით ქმნის ახალ სიტყვა-ტერმინებს, ისე გრძნობს და განიცდის ყოველ ახალ სიტყვას, ისე ღრმად სწვდება მის არსს, რომ როგორც ნიკო მარი აღნიშნავს, „შეიძლება მხოლოდ გაკვირვებას მიეცე იმ ამოუწურავი მარაგის გამო, იმ პირდაპირ ჯადოქრული ძალების გამო, რომლებსაც იგი ფლობდა, რომ არც შეიძლება მეტი რაოდენობით ეპოვა ქართულ ენაში საჭირო მასალა აზრთა ყველა უმცირესი ნიუანსისა და ნაირგვარობის გადმოსაცემად ბერძნული ენის ნიმუშის მიხედვით, უაღრესად განყენებული და რთული დიალექტიკის ყველა სიძნელის გადასალახავად“ (მელიქიშვილი, 1975 : 69-73).

ტერმინოლოგიური ძიებების გზაზე პეტრიწისათვის ყველაზე მთავარი მაინც სიტყვის არსში წვდომა და ამ არსის ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატვაა ენობრივი ნიშნით. იგი მიისწრაფვოდა შეექმნა ცნების, საგნისა და მოვლენის არსის გამომხატველი გამჭვირვალე სემანტიკური სტრუქტურისა და ცხადი მოტივაციის მქონე, სწორად მაორიენტირებელი ტერმინები. მისი ეს მისწრაფება სავსებით ეთანხმება ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს: ტერმინისათვის უპირატესობა ენიჭება გამჭვირვალე შინაგან ფორმას. ტერმინოლოგიაში სიტყვაწარმოებითი აქტი, გარდა საკუთრივ დერივაციული ოპერაციისა, გულისხმობს ცნების შინაარსის სიტყვიერ გახსნას. ტერმინისა და ცნების შესატყვისობის ეს მოთხოვნა დღესაც მთავარია ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისას. სახელდებისას ცნების შინაარსის გათვალისწინება ანუ ტერმინთა მოტივირებული წარმოება ძველი ქართული სიტყვათშემოქმედებისათვის მეტად დამახასიათებელი პრინციპია.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწი და მისი თანამედროვენი თავისუფლად და მეტად მოხერხებულად იყენებენ ქართული სიტყვათწარმოების მრავალფეროვან შესაძლებლობებს და ახალი სიტყვა-ტერმინების საწარმოებლად უკვე ნაცადი ხერხებით, ბრუნვის ფორმანტებისა და თანდებულების გამოყენებით ძველ ქართულში ხმარებული მსგავსი ტიპის სიტყვების გვერდით ახალ ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან. მათ ძირითად პრინციპად გაიხადეს ენაში მოცემულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება. როგორც დამანა მელიქიშვილი აცხადებს, არც ერთ ენაში არ არის წინასწარ მოცემული გარკვეულ ცნებათა გამომხატველი მზამზარეული ტერმინები. მაგრამ ყველა ენაში არსებობს მათი შექმნის საშუალებები: ახალ სიტყვათა წარმოების სხვადასხვა ხერხები. მეცნიერების ნებისმიერი დარგის სპეციალური ტერმინოლოგია იქმნება და ყალიბდება თაობიდან თაობაში, წლებისა და საუკუნეების მანძილზე ადამიანთა აზროვნების, ადამიანთა საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით, მისი მოთხოვნების შესაბამისად. იქმნება იგი ენაში არსებული წესების მიხედვით. იოანე პეტრიწმა კი შესანიშნავად შეძლო მოეცა პლატონიზმისა და არისტოტელიზმის სიმფონია და ასევე შესაბამისად შეძლო ბერძნული და ქართული ენის „სიმფონიით“, ისე რომ ქართული ენის ბუნებისა და სტრუქტურისათვის არ ეღალატა, შეექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია. ეს ანალოგია შემთხვევითი არ არის, რადგანაც, ერთი მხრივ, მის წინაშე იყო დიდი ფილოსოფიური ტრადიციების მქონე ბერძნული ენა, საიდანაც იგი თარგმნიდა და რომლის გამომსახველობით უნარს აღტაცებაში მოჰყავდა იგი; მეორე მხრივ კი, მის ხელთ იყო მშობლიური ენა, უაღრესად მდიდარი და მოქნილი ქართული ენა, რომლის შესაძლებლობანიც მან მაქსიმალურად გამოიყენა მისივე გასამდიდრებლად.

ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი სწორად შედგენილი ტერმინოლოგიისა უცხო ენიდან ქართულად გადმოტანისას არის დამანა მელიქიშვილის „ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი“, რომლის ზედაპირული გადათვალიერებითაც კი მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ თითქმის არ არსებობს ტრანსლიტერაციის არცერთი მაგალითი და ტერმინები გადმოტანილია ქართულად ქართული ენის

რესურსების გამოყენებითა და მისი ნორმების სრული დაცვით. მაგალითად:  
განმარტებულობაი- სისწორე  
განმასრულებელი-სრულმყოფელი  
განმგონებულობაი-განსჯა  
განკუეთილებაი- დაცალკევება  
განკუეთაი-განყოფა  
გონებით მოგონებაი- გონებით წვდომა, აღქმა  
თან(ა)მსრბოლი- თანმხვედრი  
თანამქცეველობაი- მონაწილეობა  
კუალად-აღმოშობაი- ხელმეორედ დაბადება  
კუალადგებაი- აღდგენა, მობრუნება, აღორძინება, განახლება  
კოტიზი-შფოთვა  
კმასყოფი- თვითკმარი  
მაზმნობელობა- გამოხატვა, გამოსახვა  
მართალი- კეთილმორწმუნე ადამიანი  
მართლ-მკვეთელი-სწორად გამავრცელებელი, სწორად გადმომცემი  
მაცხოვარებაი- სულის ხსნა, ცხონება  
უწყალოებაი- შეუწყალებლობა.  
უძლებებაი- გარყვნილება.  
უწურთელი- ველური.  
უმეცარ-ყოფა- არცოდნა.  
სიმრგულე- წრე.  
სიმარჯუე- უნარი, ნიჭი.

სიმართლის სჯული- მართმადიდებლობა.

სამიზეზო- საექვო, საორქოფო.

სამთავრო- გამგებელი. წარმმართველი.

საგონებელ-ყოფა- ვარაუდი, მიჩნევა.

აღრიცხული- თვლადი.

აღრჩევილობა- შერჩევა.

ზედა-მდგომელობა- წინამძღოლობა, მეთვალყურეობა.

ზედა-წარწერაი- აღწერა, განსაზღვრება.

ზე-დადებაი- ხელდასხმა.

კმა-საყოფელი- საკმარისი მსჯელობა, დასაბუთება.

მართლ-მკუეთელი- სწორად გამავრცელებელი, სწორად გადმომცემი.

მემსხუერპლეობაი- მღვდელმსახურება.

მდაბალი- მიწიერი.

მოკლებაი- ცვალებადობის ფორმა, კლება, შემცირება.

მომასწავებელი- სიმბოლო, მიმანიშნებელი.

მომგონებელობითი ძალა- აზროვნების ძალა.

მომრგულებითი- წრიული მოძრაობა.

მოდღურება- სწავლება.

მრიცხუველობითი- არითმეტიკა.

რომელობითი ძალი- თვისება (მელიქიშვილი, 2010)

და მრავალი სხვა, რომელთაც თან ერთვის ძველბერძნული შესატყვისები.

შესამაბისად, ლექსიკონი წარმოაჩენს ქართული ენის შესაძლებლობებს, ქართული აზროვნების კულტურის დიდ და ხანგრძლივ ისტორიას და მის უაღესად მაღალ

დონეს. ლექსიკონში შევხვდებით კიდევ მრავალ მაგალითს, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს მკითხველი. თითოეული მათგანი შედგენილია დიდი რუდუნებით, რათა მაქსიმალურად წარმოაჩინოს ქართული ენის სიდიადე მისივე რესურსების აქტიური გამოყენებით. ქართული სიტყვის მნიშვნელობის განსასაზღვრავად, მაშინაც კი, როდესაც საქმე აქვთ თარგმანთან, ლექსიკონის ავტორებს არასწორად მიაჩნიათ ბერძნულიდან ამოსვლა და ცდილობენ მაქსიმალურად მოარგონ ქართულ ენას თითოეული ტერმინი.

მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-16 საუკუნის დამდეგამდე ტერმინოლოგიის განვითარების დაღმავლობის ხანა იწყება საქართველოში. ყოველივე განპირობებულია იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობით. მე-13 საუკუნე - ეს არის მონღოლების შემოსევა, ხოლო მე-15 საუკუნიდან იწყება ოსმალების შემოსევა. პოლიტიკური ვითარება მძიმედ აისახა ენაში მიმდინარე პროცესებზე და, მათ შორის, ტერმინოლოგიის განვითარებაზეც. ამის შემდგომ, მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში ტერმინოლოგიური საქმიანობის განვითარების თვალსაზრისით, არის სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა (1658-1725), როდესაც მწერლობასთან ერთად კვლავ აღორძინდა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება და ლიტერატურა. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ (ორბელიანი, 1949), რომლის შედგენაზეც მან 40 წელი იმუშავა, დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების დროს. ვინაიდან სულხან-საბა ორბელიანმა თავისი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები მე-17 საუკუნის ბოლოსათვის შეიმუშავა, მისი ლექსიკონიც შეგვიძლია სწორედ ამ პერიოდს მივაკუთვნოთ (ღლონტი, 1983: 38-76). ამის შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი არის სულხან-საბას ტრადიციების გამგრძელებლების ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბატონიშვილისა თუ ჩუბინაშვილების მოღვაწეობა. განსაკუთრებით გამორჩეულია ვახტანგ VI-ის როლი არა მხოლოდ ლექსიკოგრაფიის განვითარების, არამედ ტერმინოლოგიის განვითარების საკითხშიც. ამ კუთხით საინტერესოა მისი სპარსულ-ქართული სიტყვარი, რომელიც დართული ჰქონდა სპარსულიდან მის მიერ ნათარგმნ ასტრონომიულ ნაშრომებს. ამ თავის სიტყვარებში, რომელიც თან ერთვის მისსავე ასტრონომიული ნაშრომების თარგმანებს, ის თარგმნის და განმარტავს სპარსულ და არაბულ სიტყვებს. აშკარაა, რომ

ვახტანგ VI-ის მიერ ეს სიტყვები აღქმულია, როგორც ასტრონომიისა და ასტროლოგიის დარგის ტერმინები, რომლებიც, მისი აზრით, როგორც ჩანს მოითხოვდა დამატებით განმარტებას (მარგალიტაძე, მელაძე, 2022). ასევე გამორჩეულია ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობაც, რომელიც დამყარებულია საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ აღწერაზე, რის შედეგადაც შეიქმნა მრავალი გეოგრაფიულ-ისტორიული ტერმინოლოგია. მან ასევე რუსული ენიდან თარგმნა „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფიის“ სახელმძღვანელო. ამ პერიოდისათვის საყურადღებოა ანტონ კათალიკოსის საქმიანობა, რომელმაც თარგმნა მრავალი ტერმინოლოგიურად ღირებული დარგობრივი (ლოგიკის, მეტაფიზიკის, ფიზიკის და სხვ.) სახელმძღვანელო. მან ასევე დიდი წვლილი შეიტანა ფიზიკის ქართული ტერმინოლოგიის დადგენაში (ჩხეიძე, 2021).

XIX ს-ში საქართველოში გაჩაღდა ფართო ტერმინოლოგიური საქმიანობა, რომელშიაც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. შესაბამისად, საგანგებო შესწავლას მოითხოვს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით XIX ს-ის გამოჩენილი მწერლებისა და მოღვაწეების მდიდარი მემკვიდრეობა. ესენი არიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები. XIX საუკუნე ასევე გამორჩეულია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების მოღვაწეობითაც, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს იმ დროისათვის ქართული ლექსიკოგრაფიის და ტერმინოლოგიის განვითარების საკითხში. ჩვენს ენას დღესაც ამშვენებს მათ მიერ შექმნილი ტერმინები თუ ახალი სიტყვები (ჩუბინაშვილი, 1971; ჩუბინაშვილი 1984). ქართული ტერმინოლოგიით დაინტერესებული იყო ასევე იმდროინდელი ქართული პრესაც, სადაც მუდმივად იბეჭდებოდა ტერმინოლოგიური მასალები. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის შემოღებულია დღეს ჩვენში დამკვიდრებული ტერმინები: მიმართულება, უფლება, ნაფიცთა მსაჯულება და მრავალი სხვა. 1873 წელს დაიბეჭდა რ. ერისთავის „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი, რომელიც ითვალისწინებს ქართული დიალექტების და ერთ-ერთი ქართველური ენის, მეგრულის, მონაცემებს. ასევე ამ პერიოდის გამოცემებს შორის ცალკე უნდა გამოიყოს, მაგალითად, კონსტანტინე ყიფიანის 1896 წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი ასტრონომიისა, ზოოლოგიისა, მინერალოგიისა და სხვადასხვა ტერმინებისა და ტექნიკური

სიტყვებისა. დიდი ამაგი დასდო ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს პეტრე მელიქიშვილმა. მან ბევრი ტერმინი შექმნა და გამოიყენა თავისსავე ნაშრომებში. ტერმინოლოგიის განვითარების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია ასევე მე-20 საუკუნე, როდესაც მოხდა ტერმინოლოგიის შექმნის ტრადიციული გაგების გადააზრება, რამაც გავლენა მოახდინა, არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ ქართულ ტერმინოლოგიაზეც. ტერმინოლოგიური საქმიანობა საქართველოში განსაკუთრებით გაფართოვდა მე-20 საუკუნეში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთავარ ამოცანად დაისახა ისეთი მეცნიერული და ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებდა თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას. ახალმა ცხოვრებამ მოითხოვა ძველი ტერმინოლოგიის ძირფესვიანად გადამუშავება და ახლის შექმნა. ამ ეროვნულ საქმეს დიდი ცოდნა და ენერჯია შესწირეს ივ. ჯავახიშვილმა, ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, ვუკ. ბერიძემ და მეცნიერთა მთელმა პლეადამ ცოდნის სხვადასხვა დარგიდან თუ სფეროდან. ამ დროისათვის საქართველოს სამეცნიერო აკადემიის ეგიდით დაარსდა სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტი, რაც ხელს უწყობდა ტერმინოლოგიური საქმიანობის უკეთ წარმართვას ქვეყანაში. მაგალითად, ტერმინოლოგიის მოსაგვარებლად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. კომიტეტს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფ. ვუკოლ ბერიძე. მის სახელს უკავშირდება არა ერთი მშვენიერი ქართული ტერმინის შექმნა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყანაში ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმატებით წარმართვაში. სატერმინოლოგო კომიტეტს იმთავითვე სამუშაო პრინციპად ექცა, რომ ინტერნაციონალიზმები ენას მრავალფეროვანს ხდის. „ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ფუძეების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მათი თარგმნა“-წერს ვუკ. ბერიძე (ბერიძე, 1935: 6).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ტერმინოლოგიური საქმიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია მე-20 საუკუნე. ქართულ ენაზე

მეცნიერული ტერმინოლოგიის საჭიროების საკითხები განსაკუთრებული სიმწვავით დადგა გასული საუკუნის დასაწყისისათვის. ეს იყო ეპოქა საქართველოს ისტორიაში, როდესაც შეიქმნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, სხვადასხვა ტიპის უმაღლესი თუ სპეციალური სასწავლებლები. ამ დაწესებულებებში საგნები უკვე ქართულ ენაზე ისწავლებოდა, შესაბამისად, აუცილებელი იყოს ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნა და მისი განვითარება. ამ საქმეში ყველა ერთად ჩაება. მიუხედავად ამისა, მაინც იგრძნობოდა ტერმინოლოგიური ლექსიკის უკმარობა, განსაკუთრებით კი ტექნიკის დარგში. პირველი ტექნიკური ლექსიკონი ქართულ ენაზე გამოიცა 1920 წელს „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონის“ სახელწოდებით. ამ ლექსიკონს ბუნებრივია ბევრი ნაკლი ექნებოდა. ავტორები უგულვებელყოფდნენ ინტერნაციონალიზმებს. ეძებდნენ ყველა ტერმინისათვის ქართულ შესატყვისს. შესაბამისად, ზოგიერთი ტერმინის ქართული შესატყვისი ხელოვნური იყო. მაგალითად: бензин-ბანჭვინი, кантора- ანგარანი, комплект-სავსი და სხვ. ავტორები თვითონაც კარგად გრძნობდნენ, რომ ასეთი, უკიდურესად პურისტული ტენდენცია - აბსოლუტურად ყველაფრის ქართულ ნიადაგზე დამყნობა, რეალურად შეუძლებელი იყო, მაგრამ როგორც ვუკ. ბერიძე წერდა: „ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმპყრობელური გამარჯვებული პოლიტიკისა“ (ბერიძე, 1952).

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი წვლილი მიუძღვის ივ. ჯავახიშვილს. მის სახელს უკავშირდება სწორედ ტერმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარება. ის არა მხოლოდ უნივერსიტეტის დამაარსებელია, არამედ ახალი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ფუძემდებელიც. სწორედ მისი მოღვაწეობით დაიწყო ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობის ახალი ეტაპი და დიდი ხნით ადრე ჩაფიქრებული საქმე ადგილიდან დაიძრა. სწორედ ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული პროგრამა და თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის ვრცელი სახელმძღვანელო დაედო საფუძვლად შემდგომში ტერმინოლოგიურ საქმიანობას საქართველოში.

ქართული სამეცნიერო საზოგადოების ჩამოყალიბების დღიდან იწყება მუშაობა ტერმინების შექმნაზე, რაც საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმე იყო იმ

დროისათვის, ვინაიდან ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე არაფერი იქმნებოდა ქართულ ენაზე სამეცნიერო სივრცეში, შესაბამისად, ქართული სამეცნიერო საზოგადოება ა. შანიძის მეთაურობით, რომელთაც დაევალიათ ტერმინოლოგიაზე მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის პირველივე დღიდან, დადგა საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე. მათ ფაქტიურად უწევდათ, ერთის მხრით, უკვე არსებული ტერმინების გადმოქართულება და, მეორეს მხრით, სხვადასხვა დარგში აზროვნების ამეცხველება ქართულ ენაზე, რადგან ენამ მარჯვედ, მოქნილად უნდა გამოხატოს მსჯელობის მრავალი ნიუანსი. ეს უნარი ქართულ ენას აღმოაჩნდა მისი ბუნებისა და კანონების დაურღვეველად. „1921 წლიდან სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც მრავალი მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება ჰქონდა მინდობილი, ძირითად თავის ამოცანად ტერმინოლოგიური მუშაობა დაისახა. ივ. ჯავახიშვილს საშუალება მიეცა ტერმინების დამუშავების საკითხი კვლავ დაესვა და სასურველი გზით წარემართა, სხვა მეცნიერულ პრინციპებზე დაემყარებინა. ყველა ტერმინს ივ. ჯავახიშვილი პირადად თვითონ წინასწარ ეცნობოდა და ამოწმებდა. მთავარი რაც უნდა აღინიშნოს სამეცნიერო საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ის გახლავთ, რომ დასახელებულმა საბჭომ უარყო ის უკიდურესად პურისტული ტენდენციები, რომელიც 1920-1921 წლებში გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდგენლებს ჰქონდათ და სრულიად სხვა პრინციპები დაუდო საფუძვლად თავის მუშაობას. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა დამოკიდებულება უცხო ენებიდან მომდინარე სიტყვების მიმართ“ (დამბაშიძე, 1986).

ლია ქაროსანიძის მოსაზრებით, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან განსხვავებული თვალსაზრისების დაპირისპირება ნათლად ჩანს ამ პერიოდში გამოსულ ლექსიკონებსა თუ პრესაში დაბეჭდილ სტატიებში. საკამათოა დარგობრივი ტერმინების შექმნის გზა: ქართული და ინტერნაციონალური, მხოლოდ ქართული თუ მხოლოდ ინტერნაციონალური ტერმინოლოგია - ამ განსხვავებული თვალსაზრისების ბრძოლას ქაროსანიძის მიერ შემოთავაზებული ერთი მაგალითიც ცხადყოფს:

Абажур - შუქფარი (1920);

Абажур – შუქფარი, აბაჟური (1921);

Абажур – აბაჟური, შუქფარი (1925);

Абажур - აბაჟური (1935) (ქაროსანიძე, 2012).

ტერმინოლოგიური საქმიანობის თვალსაზრისით გამორჩეული პერიოდია მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი. ამ დროს შეიქმნა არა ერთი ტერმინოლოგიური ლექსიკონი თითქმის ყველა დარგში. მაგალითად როგორებიცაა: კერესელიძის სოციოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი (კერესელიძე, 1988), მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი (მაყაშვილი, 1991), მენაბდის ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი (მენაბდე, 1983), ანდრია აფაქიძის რედაქტორობით რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი (აფაქიძე, 1980), რუსულ-ქართული სამედიცინო განმარტებით ლექსიკონი (აბაშიძე, აბაშიძე, 1973), ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი (გაბესკირია, 1983), მუსიკალური ლექსიკონი (ყიფშიძე, ჩხიკვაძე, 1971), საზღვაო ტერმინოლოგია (ბარათაშვილი, 1985), სამხედრო ტერმინოლოგია (შაიშმელაშვილი, 1987), მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი (კვირკველია, 1961), საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი (დავარაშვილი, 1991), ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები (ჭილაია, 1971), საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი (ბაგრატიონი, 1986), მითოლოგიური ლექსიკონი (გელოვანი, 1983), ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (1985), ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია (კუტიბიძე, 1973), საქართველოს ძუძუმწოვარ ცხოველთა ატლასი (1981), იურიდიული ტერმინოლოგია (1963) და მრავალი სხვა. თუმცა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ძირითადად ეს ლექსიკონები იქმნებოდა რუსულ ენასთან მიმართებაში. ამ ეპოქაში უდიდესი ყურადღება ექცეოდა ერის კულტურული აღმავლობისათვის მნიშვნელოვან საკითხებს და, მათ შორის, ტერმინოლოგიის განვითარების საკითხსაც. ტერმინოლოგიური საქმიანობა - ეს იყო საერთო საქმე, რომლის ირგვლივაც მთელი საზოგადოება იყო გაერთიანებული.

მიუხედავად საბჭოთა წნეხისა, ამ ეპოქაში განსხვავებულად გაგრძელდა ქართული ტერმინთშემოქმედება. როგორც კი საშუალებას ნახავდნენ, ქართულ საქმეს აკეთებდნენ დიდი ქართველი მეცნიერები. 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ვუკოლ ბერიძემ ასე შეაფასა ძველი ქართული ტერმინთშემოქმედება: „პირდაპირ

უნდა ითქვას, რომ რომ ჩვენი წინაპარნი - გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი - გვჯობდნენ. ისინი ცდილობდნენ მეტ-ნაკლებად მშობლიური, ქართული ტერმინები დაედგინათ“. (ბერიძე, 1952: 31). ვფიქრობთ ამ სიტყვებში ნათლად იკვეთება მისი თვალსაზრისი ქართული ტერმინების ხასიათის შესახებ.

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა ეპოქის გავლენის მიუხედავად, მეოცე საუკუნის მეცნიერები მაინც ახერხებდნენ ქართული საქმის კეთებას და ეს დღეს ჩვენგან განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. სრულიად განსხვავებული პერიოდი იწყება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან: ინგლისური ენა უსწრაფესად იპყრობს ქართული ენის ყველა სფეროს. ამ პერიოდიდან რუსული ენა ჩაანაცვლა ინგლისურმა ენამ, რაც საგრძნობია, არა მხოლოდ ზოგად ენაში, არამედ დარგობრივ ლექსიკაშიც.

## 1.8. დასკვნა

1. ტერმინი არის ენობრივი ნიშანი, რომელიც გამოიყენება გარკვეული სამეცნიერო ცნების აღსანიშნავად და ეხმარება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს კომუნიკაციის დამყარებაში. ტერმინთა ერთობლიობა ქმნის ტერმინოლოგიას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერების ენისათვის. ტერმინოლოგიის განვითარების დონე პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ დარგის განვითარების დონეზე.

ტერმინოლოგიას განვიხილავთ ენის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილად, მის ქვესისტემად, ინტერდისციპლინურ დარგად, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებს.

რა კონკრეტული ნიშან-თვისებები განასხვავებს ტერმინებს ზოგად ლექსიკისაგან? ერთ-ერთი განსხვავება ტერმინოლოგიასა და ზოგად ლექსიკას შორის არის ის, რომ ტერმინოლოგია და, ზოგადად, ტერმინები გამოიყენება ისეთი ცნებების აღსანიშნავად, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებს თუ სფეროებს განეკუთვნება, ანუ ტერმინს ზოგადი ლექსიკისგან განასხვავებს სპეციალიზაციის ხარისხი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისება ტერმინსა და საერთო ლექსიკის სიტყვას შორის არის თავად ცნება. ცნება, რომელსაც გამოხატავს ზოგადი ლექსიკის სიტყვა, ასახავს ამ ენაზე მოსაუბრე ენობრივი კოლექტივის წარმოდგენას

გარე სამყაროს ამა თუ იმ საგანზე, მოვლენაზე, ნიშან-თვისებაზე. შესაბამისად, თითქოსდა ეკვივალენტური, მსგავსი სიტყვების მნიშვნელობები განსხვავდება სხვადასხვა ენაში. ცნება კი, რომელსაც ტერმინი აღნიშნავს სხვაგვარია. ის არის უნივერსალური და შეუძლებელია რომ სხვადასხვა ენაში განსხვავებული იყოს, ვინაიდან უნივერსალურია თავად მეცნიერება. ეს გულისხმობს, რომ კონკრეტული ცნება ერთნაირად უნდა ესმოდეს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებას შესაძლოა განსხვავებული დასახელებები ჰქონდეს სხვადასხვა ენაში. ამდენად, აუცილებელია ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია, რათა თავიდან ავირიდოთ ტერმინოლოგიური ბუნდოვანება.

ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მეცნიერები ტერმინის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად მის გამჭვირვალობას, რაც საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ტერმინის მნიშვნელობა.

2. ტერმინოლოგიის ერთ-ერთი პირველი და წამყვანი სკოლა არის ვენის სკოლა, რომელიც ი. ვუსტერის თეორიებს ეფუძნება. სწორედ ვუსტერმა ჩამოაყალიბა ტერმინოლოგიის ზოგადი თეორია, რომელიც ონომასიოლოგიურ პრინციპს ეფუძნებოდა. ვენის სკოლის პარალელურად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩნდება ასევე ჩეხეთისა და საბჭოთა კავშირის ტერმინოლოგიური სკოლები, რომლებიც მეტნაკლებად იზიარებენ ვენის სკოლის მოსაზრებებს. ქართული ტერმინოლოგიური სკოლა XX საუკუნეში საბჭოთა ტერმინოლოგიური სკოლის პრინციპებსა და მეთოდებს იზიარებდა.

3. ტერმინოლოგიის თეორიის ჩამოყალიბებისას აუცილებელია დადგინდეს ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები. სტრუქტურული თვალსაზრისით ტერმინები იყოფა ერთსიტყვიან და მრავალსიტყვიან ტერმინებად. თავის მხრივ, ერთსიტყვიანი ტერმინები მოიცავს მარტივ ნაწარმოებ და რთულ ტერმინებს. ტრადიციული მიდგომის თანახმად, ტერმინთა უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია ერთმნიშვნელობიანობა, გამჭვირვალობა, სტილისტური ნეიტრალურობა, სიმოკლე და სისხარტე. ტრადიციული მიდგომით უნდა ავიცილოთ ტერმინთა პოლისემია და სინონიმია. ბუნებრივია, რომ მიდგომები და

დამოკიდებულებები ტერმინოლოგიური საქმიანობისადმი იცვლება დროთა განმავლობაში. თანამედროვე ტერმინოლოგიაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნადაა შეცვლილი ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები. მომრავლებულია ერთსიტყვიან ტერმინთა პოლისემია, გახშირებულია ასევე ტერმინთა სინონიმის შემთხვევები. ისო სტანდარტებში პოლისემიაც და სინონიმაც ტერმინთა ბუნებრივ მახასიათებლადაა აღიარებული (ISO 704: 2022). ტერმინების აღწერისას გაჩნდა სტილისტიკური კვალიფიკაციები, რაც იმაზე მეტყველებს რომ ყველა ტერმინი არ არის ნეიტრალური. გახშირებულია საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაციის პროცესი, რასაც მეტაფორიზაცია უდევს საფუძვლად, ასევე გაზრდილია მრავალსიტყვიან ანუ შედგენილ ტერმინთა რაოდენობა, რაც იწვევს აბრევიატურების რაოდენობის ზრდას. როგორც აღინიშნა, თანამედროვე ტერმინოლოგია თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებით განსხვავებულია და მასზე მუშაობის მეთოდოლოგიაც შეცვლილია. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ გაბუნდოვანებულია ზღვარი თანამედროვე ტერმინოლოგიურ ლექსიკასა და საერთო ენის ლექსიკას შორის.

4. ქართულში ტერმინთშემოქმედების მრავალი მეთოდი შეიძლება გამოიყოს, როგორცაა: საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაცია ანუ მათი მიგრაცია ტერმინოლოგიურ სისტემაში, ტერმინების გადასვლა დარგიდან დარგში, სიტყვათწარმოება, სესხება სხვა ენებიდან. სესხება არის როგორც პირდაპირი, ისე სემანტიკური სესხება და სტრუქტურული სესხება ანუ კალკირება. ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში ვხვდებით ასევე ინტერნაციონალიზებს. ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემას ასევე ამდიდრებს ძველი ქართული ლექსიკა და დიალექტები.

5. ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვა და ამ პროცესების გაკონტროლება უპირველესი ამოცანაა ბევრი ქვეყნისათვის. ენობრივი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა ბევრ ქვეყანაში კანონით რეგულირდება. საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება, საფრანგეთის და რიგი სხვა ქვეყნის მიერ გატარებული პოლიტიკა. ამ კუთხით აუცილებელია საქართველოშიც წარიმართოს მუშაობა და ამ პროცესებში ჩაერთონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, დარგის სპეციალისტები,

ენათმეცნიერები თუ ყველა დაინტერესებული მხარე, რათა გაკონტროლდეს ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელსაც საკმაოდ ქაოსური ხასიათი აქვს დღევანდელ საქართველოში. თ. მარგალიტაძე, აანალიზებს რა თანამედროვე ინგლისური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს, აღნიშნავს, რომ ინგლისური ენა ცდილობს მაქსიმალურად გაუმკლავდეს დიდი რაოდენობით მოზღვავებულ ცნებებსა და ტერმინებს. ამ დროს ხდება საერთო ლექსიკის სიტყვების ხშირი მიგრაცია ტერმინოლოგიაში. ხშირ შემთხვევაში ენა იყენებს ეკონომიის პრინციპს და ერთი და იგივე ტერმინი გამოიყენება მონათესავე ან არამონათესავე დარგებში. თ. მარგალიტაძეს მიაჩნია, რომ კარგი იქნება თუ იგივე პრინციპი ამოქმედდება ქართულ ენაშიც. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქართულად ტერმინის გადმოტანის დროს მან არ უნდა დაკარგოს მისი მთავარი ფუნქცია, ის აუცილებლად გასაგები უნდა იყოს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისთვის, დარგის სპეციალისტებისა და იმ ახალგაზრდებისა თუ სტუდენტებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ დარგს ეუფლებიან (მარგალიტაძე, 2018).

6. ქართულ ტერმინთშემოქმედებას მდიდარი ტრადიცია აქვს. ის შეიძლება რამდენიმე პერიოდად დავყოთ: 1. X-XII საუკუნეები; 2. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამედროვენი; 3. ე.წ. სიტყვარისტები; 4. საბჭოთა პერიოდი (ქაროსანიძე, 2013). ქართული ტერმინოლოგიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ასევე მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული დღემდე მიმდინარე პროცესები. მე-10-მე-12 საუკუნეები არის სამეცნიერო აზრის განვითარების ხანა, რომელიც აქტიური ტერმინოლოგიური საქმიანობით ხასიატდებოდა. მე-13 საუკუნიდან მე-16 საუკუნემდე ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო, და მათ შორის ტერმინოლოგიური საქმიანობაც შეჩერებული იყო. ამის შემდგომ მოდის უკვე სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობა, რის შემდგომაც მისი ტრადიციების გამგრძელებლები, ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილი და დავით და ნიკო ჩუბინაშვილები გამოდიან ასპარეზზე. მე-19 საუკუნეში უკვე განახლდა ფართო ტერმინოლოგიური საქმიანობა, რაშიც ერთვებიან გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები. შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი არის ივ. ჯავახიშვილის საქმიანობა და პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება,

რასაც მოჰყვა გასაბჭოების პერიოდი. იწყება რუსული ენის დომინირება სამეცნიერო საქმიანობაზე და მათ შორის ტერმინთქმნადობის პროცესებზე. მიუხედავად საბჭოთა წნეხისა, ამ ეპოქაში გაგრძელდა ქართული ტერმინთმემოქმედება და როგორც კი საშუალებას გამოიხატავდნენ, დიდი ქართველი მეცნიერები ქართულ საქმეს აკეთებდნენ. ქართული საბჭოთა ტერმინოლოგიური სკოლა, ძირითადად, საბჭოთა ტერმინოლოგიური სკოლის მეთოდებსა და პრინციპებს იყენებდა, რომელიც, ვენის სკოლის პარალელურად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ სკოლად ითვლებოდა. გასული საუკუნის 50-იან-90-იან წლებში შეიქმნა და გამოიცა თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია. ქართული ტერმინოლოგია საბჭოთა სტანდარტების შესაბამისად ვითარდებოდა და რუსული ენის გავლენით იქმნებოდა. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული ტერმინოლოგია უკვე სხვა გამოწვევების წინაშე დგება. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე უკვე იწყება ინგლისური ენის გავლენის ხანა, როდესაც ტერმინები იქმნება ინგლისური ენის გავლენით.

7. როგორც აღინიშნა, თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია ინგლისური ენის დიდ გავლენას განიცდის და ბევრი ტერმინი პირდაპირ გადმოდის ქართულში ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით. ქართული ტერმინოლოგიის მკვლევრები ხაზს უსვამენ ამ პრობლემას და ასევე აღნიშნავენ, რომ ტერმინის ტრანსლიტერაციით გადმოტანისას, ხშირად ტრანსლიტერაციის წესებსაც არ იცავენ და არღვევენ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლა ადასტურებს იმას, რომ ქართული ტერმინოლოგია ქართული ენის რესურსებით იქმნებოდა შუა საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის მოღვაწეების მიერ. თვით საბჭოთა ეპოქაშიც კი, მიუხედავად რუსული ენის გავლენისა, მიუხედავად საბჭოთა წნეხისა, ქართველი ენათმეცნიერები, ტერმინოლოგები და დარგების წარმომადგენლები მაინც ახერხებდნენ გამართული ქართული ტერმინოლოგიის შექმნას, რომელიც ქართული ენის რესურსებს იყენებდა. მნიშვნელოვანია ქვეყანაში ტერმინთმემოქმედების სწორად წარმართვა. ტერმინოლოგია საზოგადო საქმეა და არა - კერძო. მისი განვითარების დონე პირდაპირ მიუთითებს დარგის და თვით ქვეყნის განვითარების დონეზე. ტერმინოლოგიური მუშაობის დროს აუცილებელია მდიდარი ქართული ტერმინთმემოქმედების ისტორიის

გათვალისწინება. მიგვაჩნია, რომ უნდა არსებობდეს სპეციალისტებისაგან შემდგარი სამეცნიერო ორგანო, რომელიც ტერმინების შემუშავებასა და დანერგვა/პოპულარიზაციაზე იმუშავებდა და რომლის რეკომენდაციებსაც გარკვეული სავალდებულო ძალა ექნებოდა. სხვაგვარად ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და გლობალიზაციის პირობებში უცხოური ტერმინების მოზღვაებისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იქნება.

## ქართული ტერმინოლოგია: ტრადიცია და თანამედროვეობა

მოცემულ თავში წარმოდგენილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომლის მიზანი იყო იმის შესწავლა, თუ რამდენად იქმნებოდა ქართული ტერმინები ქართული ენის რესურსების გამოყენებით და რა მდგომარეობაა ქართულ ტერმინოლოგიაში ამ თვალსაზრისით ამჟამად. ამ ამოცანის გადასაჭრელად ტრადიციული დარგების ტერმინოლოგია შედარდა უფრო გვიან განვითარებული დარგების ტერმინოლოგიასთან. გაანალიზდა 1600 ტერმინი, რომელიც შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით ამოიკრიბა სხვადასხვა ბიოლოგიური ლექსიკონიდან, როგორცაა ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი (<https://bio.dict.ge/ka/>), მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი (მაყაშვილი, 1991), მენაბდის ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი (მენაბდე, 1983), მოკლე ბიოლოგიური ლექსიკონი (1977), გოგმაჩაძის თევზების ნომენკლატურა (გოგმაჩაძე, 2018), კუტუბიძის ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია (კუტუბიძე, 1973), Henderson's Dictionary of Biology (2008), Illustrated Dictionary of Immunology (2002), Modern Dictionary of Genetics (2007), A Dictionary of Biology (6<sup>th</sup> edition) (2008) და სხვ. (იხილეთ ბიბლიოგრაფია). აღნიშნული 1600 ტერმინიდან 800 ტერმინი შეირჩა ისეთი ტრადიციული დარგებიდან, როგორცაა ანატომია, ბოტანიკა და ზოოლოგია (იხილეთ დანართი 1), ხოლო მეორე ნაწილი, ასევე 800 ტერმინი ამოკრებილ იქნა შედარებით გვიან განვითარებული დარგებიდან, როგორცაა იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია და გენეტიკა (იხილეთ დანართი 2). როგორც აღინიშნა, ჩვენ უპირველეს ყოვლისა გვინტერესებდა ქართული ენის რესურსების გამოყენების პრაქტიკა ქართულ ტერმინოლოგიაში, თუმცა ეს ტერმინები ასევე შევისწავლეთ სტრუქტურული და სემასიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, რათა გვეჩვენა, რამდენად აკმაყოფილებდნენ ისინი ტერმინოლოგიის ტრადიციული თეორიით განსაზღვრულ ნიშან-თვისებებს.

**2.1. ტრადიციული დარგების ტერმინოლოგია: ანატომია, ზოოლოგია და ბოტანიკა**  
 კვლევის საწყისი ეტაპისათვის მივმართეთ ტერმინებს შედარებით ტრადიციული დარგებიდან, რადგან მოცემული დარგების ტერმინები უფრო ადრეა შექმნილი, რამაც საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა იმისათვის, თუ როგორ იქმნებოდა ტერმინები კლასიკურ პერიოდში. ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების თითქმის 80 პროცენტი შექმნილია ქართული ენის რესურსებით. ქვემოთ სწორედ ამის დამადასტურებელი მაგალითებია წარმოდგენილი:

- (1) **antirrhinum** – ბოტ. დევისპირა.
- (2) **argute** – ბოტ. ხერხებილა.
- (3) **blind spot** – ანატ. ბრმა ლაქა.
- (4) **beak-perch** – ზოოლ. დანაკბილასებრნი.
- (5) **engraved catfish**- ზოოლ. ცრუბოლოკუდგრძელასებრნი.
- (6) **porthole** – ზოოლ. პირნისკარტა.
- (7) **spiny-tailed** – ზოოლ. ეკალკუდიანები.
- (8) **threadfin breams** - ზოოლ. ბაწარფარფლიანები.
- (9) **white marlin**– ზოოლ. თეთრი შუბოსანი.
- (10) **racket-tail** – ზოოლ. ჩოგანკუდა თუთიყუში.
- (11) **bank swallow** – ზოოლ. მენაპირე მერცხალი.
- (12) **postcranial** – ანატ. თავისქალისუკანა.
- (13) **prebranchial** – ანატ. ლაყუჩწინა.
- (14) **postbranchial** – ანატ. ლაყუჩუკანა.
- (15) **acalycine** – ბოტ. უჯამო, ყვავილის ჯამის არმქონე.
- (16) **acapsular** – ბოტ. უკოლოფო.
- (17) **acarpellous** – ბოტ. უნაყოფფოთლო.
- (18) **knifefishes** – ზოოლ. დანისტანასებრნი.
- (19) **acerose** – ბოტ. ნემსისებრი.
- (20) **acinaciform** – ბოტ. ხმლისებრი (ფოთოლი).
- (21) **aardvark**- ზოოლ. აფრიკული მილკბილა.
- (22) **aardwolf**- ზოოლ. მიწის მგელი.

- (23) **barnacle**- ზოოლ. ულვაშფეხიანი კიბო.
- (24) **weevil**- ზოოლ. ცხვირგრძელა.
- (25) **acaulescent**- ბოტ. უღეროო.
- (26) **achene**- ბოტ. თესლურა.
- (27) **achlamydeous**- ბოტ. უსაფრო, ყვავილსაფარი რომ არ აქვს.
- (28) **aerial**- ბოტ. საჰაერო, მიწისზედა.
- (29) **aestivation**- ბოტ. კვირტოწყობა.
- (30) **aesculus**- ბოტ. ცხენისწაბლა.
- (31) **agnus castus**- ბოტ. ხეპილპილა.
- (32) **agrostis**- ბოტ. ნამიკრეფია.
- (33) **ailanthus**- ბოტ. ხემყრალი.
- (34) **alatern**- ბოტ. ხეშავი, ხეჭრელი.
- (35) **alhagi**- ბოტ. ცერცვეკალა.
- (36) **alkanet**- ბოტ. პატარძალა.
- (37) **brittle star**- ზოოლ. გველკუდა.
- (38) **cladocera**- ზოოლ. დატოტვილულვაშებიანი.
- (39) **coelenterate**- ზოოლ. ნაწლავდრუიანი.
- (40) **copepoda**- ზოოლ. ნიჩაბფეხიანები.

ტერმინების ანალიზმა გამოავლინა, რომ ქართული ენა და ქართული საერთო ლექსიკის სიტყვები მეტად მარჯვედ გამოიყენება აღნიშნული დარგების ტერმინების შესაქმნელად. ტერმინები გამოირჩევა სისხარტით, გამჭვირვალობითა და მოტივირებულობით. განხილული ტერმინოლოგია გამოირჩევა შემოქმედებითი მიდგომით, ბუნებრივად ჟღერს და ორგანულად ეწერება ქართული ენის სისტემაში. ამასთანავე ქართველი ტერმინოლოგები მიმართავენ მეტაფორას და საერთო ლექსიკის სიტყვები გადააქვთ ტერმინოლოგიაში, ანიჭებენ მათ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას: თვალის ფსკერი, ფილტვის მწვერვალი, მარყუჭი, ორგანოს შესასვლელი, კბილის ფესვი, ფოთლის უბე და სხვა; ხშირია ტერმინის გადატანა დარგიდან დარგში, მაგ. გრდემლი, როგორც ანატომიური ტერმინი, კონუსი, როგორც ბოტანიკური ტერმინი და სხვა. ქართველი ტერმინოლოგები ხშირად მიმართავენ შედარებას ტერმინქმნადობისას, მაგ. ფრთისებრი, სოლისებრი, მილაკისებრი,

მარყუჟისებრი, ფარვანასებრი და სხვა. ფართოდ გამოიყენება ქართული ენისათვის ესოდენ დამახასიათებელი სიტყვათწარმოება, მაგ. ჯირკვლოვანი, საცრემლე, მილაკებიანი, უსადინარო, ქალასშიგა და სხვა.

განხილულ დარგებში გვხვდება ნასესხობაც, მაგრამ მათი ხვედრითი წილი ბევრად ნაკლებია ქართულ ტერმინებთან შედარებით, კერძოდ 80% - 20%-თან. (იხილეთ მაგალითები 41-54):

- (41) **acinar** - ანატ. აცინური, აცინოზური, აცინუსისა.
- (42) **acromion**- ანატ. აკრომიონი.
- (43) **acromial**- ანატ. აკრომიალური, აკრომიონისა.
- (44) **acinus** - ანატ. აცინუსი.
- (45) **cerebrospinal** - ანატ. ცერებროსპინალური.
- (46) **endometrium** - ანატ. ენდომეტრიუმი.
- (47) **acrogenous** - ბოტ. აკროგენური.
- (48) **adelphogamy** - ბოტ. ადელფოგამია.
- (49) **adventitious embryony** - ბოტ. ადვენტიური ემბრიონია.
- (50) **aestilignosa** - ბოტ., გო. ესტილიგნოზა.
- (51) **allocarpy** - ბოტ. ალოკარპია.
- (52) **amphicribal** - ბოტ. ამფიკრიბრალური.
- (53) **amphiphloic** - ბოტ. ამფიფლოიური.
- (54) **anisospore** - ბოტ. ანიზოსპორა

და სხვა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში, ტრანსლიტერაციით შექმნილ ტერმინებს ახლავს სინონიმებიც ქართულ ენაზე, ანუ ხშირია საერთაშორისო ტერმინისა და მისი ქართული შესატყვისის თანაარსებობა (იხ. მაგალითები 55-71).

- (55) **areola** -ანატ. არეოლა, ძუძუს ბაკი, ძუძუს გვირგვინი.
- (56) **brachycephaly** - ანატ. ბრაქიკეფალია, მოკლეთავიანობა.
- (57) **circumduction** -ანატ. ცირკუმდუქცია, წრიული მოძრაობა (ძვლის სახსარში).
- (58) **dolichocephaly** - ანატ. დოლიკოკეფალია, გრძელთავიანობა.
- (59) **endocranium** - ანატ. ენდოკრანიუმი, ქალასშიგა კანი/ძვლისაზრდელა.

- (60) **gangliform** - ანატ. განგლიოზური, კვანძოვანი.
- (61) **basilar artery** - ანატ. ძირითადი არტერია, ბაზალური არტერია (*თავის ტვინისა*).
- (62) **carotid body** - ანატ. კაროტიდული ჯირკვავი, საძილე გორგალი.
- (63) **carotid sinus** - ანატ. კაროტიდული სინუსი, საძილე სინუსი.
- (64) **collateral ganglion** - ანატ. კოლატერალური განგლიონი, ნერვული კვანძი.
- (65) **anemophily** - ბოტ. ანემოფილია, ანემოგამია, ქარით დამტვერვა.
- (66) **abortive** - ზოოლ., ბოტ. აბორტული, განუვითარებელი, რუდიმენტული.
- (67) **acanthocarpous** - ბოტ. აკანთოკარპული, ეკლიანი ნაყოფების მქონე.
- (68) **adenophore** - ბოტ. ადენოფორი, სანექტრე მილაკი.
- (69) **adhesion** - ბოტ. ადჰეზია, შეზრდა, შეწყება.
- (70) **amphistomatous** - ბოტ. ამფისტომატური, ბაგეების ფირფიტის ორივე ზედაპირზე მქონე.
- (71) **androdioecy** - ბოტ. ანდროდიეცია, მამრობითი ორსახლიანობა და სხვა.

მაშასადამე, ტრადიციული დარგების ქართული ტერმინოლოგია ძირითადად საზრდოობს ქართული წყაროებით, აქტიურად იყენებს ქართულ რესურსებს ტერმინოლოგიის შესაქმნელად და დიდი შემოქმედობითობით გამოირჩევა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინები ასევე შევისწავლეთ სტრუქტურული თვალსაზრისით. გამოიკვეთა, რომ ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების დიდი ნაწილი, კერძოდ 74% მარტივი და ნაწარმოები ტერმინია და ასევე გადმოდის ქართულ ენაში (იხ. მაგალითები 72-96).

- (72) **axillary** - ანატ. იღლიისა, საიღლიე.
- (73) **atrium** - ანატ. წინაგული.
- (74) **arthral** - ანატ. სახსრისა, სასახსრე.
- (75) **apex** - ანატ. მწვერვალი.
- (76) **ansa** - ანატ. მარყუქი.
- (77) **aditus** - ანატ. შესასვლელი.
- (78) **acarpellous** - ბოტ. უნაყოფფოთლო.
- (79) **acapsular** - ბოტ. უკოლოფო.

- (80) **acerose** - ბოტ. ნემსისებრი.
- (81) **achene** - ბოტ. თესლურა.
- (82) **anourous** - ზოოლ. უკუდო.
- (83) **antennate** - ზოოლ. ანტენებიანი, ულვაშებიანი, საცეცებიანი.
- (84) **apterous** - ზოოლ. უფრთო.
- (85) **branchiate** - ზოოლ. ლაყუჩებიანი.
- (86) **chaetigerous** - ზოოლ. ჯაგრიანი.
- (87) **aphyllous** - ბოტ. აფილური, უფოთლო.
- (88) **apyrene** - ბოტ. უთესლო, უკურკო.
- (89) **articulate** - ბოტ. მუხლებიანი.
- (90) **beardless** - ბოტ. უფხო, უბუსუსო.
- (91) **bracteole** - ბოტ. თანაყვავილაკი.
- (92) **briza** - ბოტ. ცახცახა.
- (93) **caryopsis** - ბოტ. მარცვალა.
- (94) **cirrose** - ბოტ. ულვაშიანი.
- (95) **creeping** - ბოტ. მხოხავი.
- (96) **crinite** - ბოტ. ბეწვიანი, ბუსუსებიანი, შებუსვილი.

გაანალიზებული 800 ტერმინიდან 11% არის რთული ტერმინი (იხ. მაგალითები 97-100).

- (97) **breastbone** - ანატ. მკერდის ძვალი, მკერდი.
- (98) **cerebrospinal** - ანატ. ცერებროსპინალური, თავის ტვინსა და ზურგის ტვინთან დაკავშირებული.
- (99) **circumduction** - ანატ. ცირკუმდუქცია, წრიული მოძრაობა (ძვლის სახსარში).
- (100) **cuneiform** - ანატ. სოლისებრი ძვალი (ტერფისა).

გაანალიზებული ტერმინებიდან დაახლოებით 15% სტრუქტურულად შედგენილი ტერმინებია, მაგ.:

- (101) **association centres** - ანატ. ასოციაციური ცენტრები (თავის ტვინის ქერქისა).
- (102) **association cortex** - ანატ. თავის ტვინის ასოციაციური ქერქი; ასოციაციური უბნები/ზონები (თავის ტვინისა).
- (103) **association fibres** - ანატ. ასოციაციური ნერვული ბოჭკოები.
- (104) **atrabiliary capsules** - ანატ. თირკმელზედა ჯირკვლები.

- (105) **axial skeleton** - ანატ. ღერძული ჩონჩხი (თავის ქალა, ხერხემალი და ნეკნები).
- (106) **basal ganglia** - ანატ. ბაზალური განგლები (*შუა ტვინისა*).
- (107) **basilar artery** - ანატ. ძირითადი არტერია, ბაზალური არტერია (*თავის ტვინისა*).
- (108) **buccal pumping** - ზოოლ. პირისმიერი სუნთქვა.
- (109) **cannon bone** - ზოოლ. ძვალი კოჭსა და საოლავეს შორის.

მაშასადამე, ტრადიციული დარგების: ანატომია-ზოოლოგია-ბოტანიკის ტერმინების უმრავლესობა, თითქმის 74% არის მარტივი ან ნაწარმოები ერთსიტყვიანი ტერმინი.

კვლევის ფარგლებში ჩვენ ასევე შევისწავლეთ აღნიშნული დარგების ტერმინები სემასიოლოგიური თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინთა დიდი ნაწილი არის ერთსიტყვიანი ტერმინი, პოლისემიის შემთხვევები მოცემული დარგების ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საერთო ლექსიკაში, თუმცა, სპეციალურ ლექსიკაში ამგვარ მაგალითებს მაინც ვაწყდებით. ჩვენ მიერ გაანალიზებული 800 ტერმინიდან, რომელიც ამოვკრიბეთ შედარებით ტრადიციული დარგებიდან, პოლისემიური აღმოჩნდა 149 ტერმინი, რაც დაახლოებით 18% შეადგენს. ქვემოთ წარმოდგენილია პოლისემიური ტერმინების მაგალითები (იხ. მაგალითები 110-118):

- (110) **articulation** - 1) ზოოლ. ანატ. სახსარი; 2) ბოტ. მუხლი, ღეროსთან ფოთლისა და მისთ. მიმაგრების ადგილი.
- (111) **asternal** - ანატ. 1. ასტერნალური, ღრუ (*ითქმის ნეკნის შესახებ*); ასტერნალური/ცრუ ნეკნები; 2. მკერდის ძვალი რომ არ აქვს.
- (112) **astragalus** - 1. ანატ. კოჭის ძვალი; 2. ბოტ. გლერძი.
- (113) **atrium** - ანატ. 1. წინაგული; 2. დაფის ღრუს ძირითადი ნაწილი (*შიგნითა ყურისა*).
- (114) **auricle** - ანატ. 1. 1) წინაგულის ყური; 2) მოძვ. წინაგული; 2. ყურის ნიჟარა.
- (115) **axial** - 1. ღერძისა, ღერძული; ღერძისკენ მიმართული; 2. ანატ. აქსისისა/ღერძული მალისა, აქსისთან/ღერძულ მალასთან დაკავშირებული.
- (116) **axilla** - 1. ანატ. ილია, ილიის ფოსო; 2. ბოტ. ფოთლის უბე.
- (117) **Axillary** - 1. ანატ. ილიისა, საილიე; 2. ბოტ. უბისა, უბესთან დაკავშირებული; ფოთლისა, ტოტის უბეში მზარდი ან არსებული.

(118) **axis** - 1. ბოტ. ღერძული/ცენტრალური ცილინდრი, მთავარი ღერო; 2. ანატ. აქსისი, ღერძული ძალა (კისრის მეორე ძალა).

რაც შეეხება სინონიმებს, ჩვენ მიერ გაანალიზებული 800 ტერმინიდან სინონიმის მაგალითები არც თუ ისე ბევრია და საერთო რაოდენობის დაახლოებით 5%-ს შეადგენს (იხ. მაგალითები 119-126).

(119) **aestivation** - ბოტ. კვირტოწყობა (ყვავილის კვირტში გვირგვინის ფურცლებისა და ჯამის ფოთლების განლაგების წესი; აგრ. prefloration).

(120) **appendix** - ანატ. აპენდიქსი, ჭიანჭყლაკვი (აგრ. vermiform appendix).

(121) **disc** - ბოტ. ბუტკოსქვეშ დისკო (ზოგიერთ ქოლგოსანთა და სხვ. ყვავილსაჯდომისა; აგრ. discus).

(122) **ostium** - ანატ. საშვილოსნოს კარი (აგრ. ostium uteri).

(123) **protandrim** - (აგრ. protandric hermaphroditism) ზოოლ. = protandry 2.

(124) **rotula** - ანატ. კვირისტავი (აგრ. patella, knee cap).

(125) **umbilicus** - ანატ. ჭიპი (აგრ. navel).

(126) **whorl** - ბოტ. რგოლი (ჯამის ფოთლების, გვირგვინის ფურცლების, ტოტების და მისთ. წრიული განლაგება ღეროს ერთ სიბრტყეში / ერთი წერტილის ირგვლივ; აგრ. verticil);

როგორც ვნახეთ, ტერმინები შედარებით ტრადიციულ დარგებში ძირითადად არის ერთსიტყვიანი, ნაკლებად გვხვდება პოლისემიისა თუ სინონიმის მაგალითები. შესაბამისად, ტერმინები ძირითადად მონოსემიური ანუ ერთმნიშვნელობიანია.

## 2.2. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ტერმინები: იმუნოლოგია,

### ბიოტექნოლოგია, გენეტიკა

კვლევის შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული დარგების ტერმინოლოგია, კერძოდ შევისწავლეთ შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით ლექსიკონებიდან ამოკრებილი 800 ტერმინი, ისეთი დარგებიდან, როგორებიცაა: იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია და გენეტიკა (იხ. დანართი 2). ამან შესაძლებლობა მოგვცა თვალი მიგვედევინა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში

მიმდინარე პროცესებისათვის. აღნიშნული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამ საკმაოდ განსხვავებული ვითარება გამოავლინა, ვიდრე წინა ქვეთავში განხილულმა ტერმინებმა. კერძოდ, გაანალიზებულ ტერმინთა 75-80% ნასესხები ტერმინებია და ქართულ ენაში ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით შემოდის. ქვემოთ მოყვანილია ამგვარი ტერმინების მაგალითები (იხ. მაგალითები 127-170):

- (127) **affinity chromatography** – *ბიოტექ.* აფინური ქრომატოგრაფია.
- (128) **cognate** – *გენ. იმუნ.* კოგნატური.
- (129) **complement** – *იმუნ.* კომპლემენტი.
- (130) **cluster of differentiation** – *იმუნ.* დიფერენციაციის კლასტერი.
- (131) **constant domain** – *იმუნ.* კონსტანტური დომენი.
- (132) **domain** – *იმუნ.* დომენი.
- (133) **detoxification** – *იმუნ. ეკოლ.* დეტოქსიკაცია, დეტოქსიფიკაცია.
- (134) **de novo mutation** – *გენ.* დე-ნოვო მუტაცია.
- (135) **explantation** – *ბიოტექ.* ექსპლანტაცია.
- (136) **polylinker** – *ბიოტექ.* პოლილინკერი.
- (137) **chromatid interference** – *გენ.* ქრომატიდის ინტერფერენცია.
- (138) **dominant lethal** – *გენ.* დომინანტური ლეტალი.
- (139) **differential gene expression** – *გენ.* გენის დიფერენციული ექსპრესია.
- (140) **western blot** – *ბიოტექ.* ვესტერნ-ბლოტინგი.
- (141) **acceptor splicing site** – *ბიოტექ.* სპლაისინგის აქცეპტორული საიტი.
- (142) **DNA footprinting** – *ბიოტექ.* დნმ ფუტპრინტიინგი.
- (143) **DNA renaturation** – *ბიოტექ.* დნმ-ის რენატურაცია.
- (144) **electroporation** – *ბიოტექ.* ელექტროპორაცია.
- (145) **pyrosequencing** – *ბიოტექ.* პიროსეკვენირება.
- (146) **chromatin immunoprecipitation**- *იმუნ.* ქრომატინის იმუნოპრეციპიტაცია.
- (147) **clonal expansion**- *იმუნ.* კლონის ექსპანსია.
- (148) **complement system**- *იმუნ.* კომპლემენტის სისტემა.
- (149) **constant fragment**- *იმუნ.* კონსტანტური ფრაგმენტი.
- (150) **desensitization**- *იმუნ.* დესენსიბილიზაცია.
- (151) **germinal centre**- *იმუნ.* გერმინაციული ცენტრი.

- (152) **idiotype-** იმუნ. იდიოტიპი.
- (153) **immune complex-** იმუნ. იმუნური კომპლექსი.
- (154) **immune tolerance-** იმუნ. იმუნოლოგიური ტოლერანტობა.
- (155) **immunodiffusion-** იმუნ. იმუნოდიფუზია.
- (156) **allosomal-** გენ. ალოსომური.
- (157) **amplicon-** გენ. ამპლიკონი.
- (158) **amplification-** გენ. ამპლიფიკაცია.
- (159) **amplified RNA-** გენ. ამპლიფიცირებული რნმ.
- (160) **amplified DNA-** გენ. ამპლიფიცირებული დნმ.
- (161) **androgenote-** გენ. ანდროგენოტი.
- (162) **aneuploidy-** გენ. ანეპლოიდია.
- (163) **anisogamy-** გენ. ანიზოგამია.
- (164) **antigenic conversion-** გენ. ანტიგენური კონვერსია.
- (165) **antigen receptor-** იმუნ. ანტიგენის რეცეპტორი.
- (166) **apoptosis-** გენ. აპოპტოზი.
- (167) **aporepressor-** გენ. აპორეპრესორი.
- (168) **apurinic-** გენ. აპურინული.
- (169) **arrhenotoky-** გენ. არენოტოკია.
- (170) **chromosomal mosaic-** გენ. ქრომოსომული მოზაიკი.
- აქვე აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ მოცემული დარგის ტერმინოლოგიის ქართულ ენაში შემოტანისას, ქართული ენის რესურსები მხოლოდ 20-25%-ის შემთხვევაში არის გამოყენებული (იხ. მაგალითები 171-182).
- (171) **binding site-** იმუნ. შემაკავშირებელი უბანი.
- (172) **cross-reacting-** იმუნ. ჯვარედინად მორეაგირე.
- (173) **mast cell-** იმუნ. პოხიერი უჯრედი.
- (174) **fold library -** იმუნ. ნაკვეთების ბიბლიოთეკა.
- (175) **protein folding -** იმუნ. ცილის დაკეცვა.
- (176) **shotgun approach -** ბიოტექ. საფანტის თოფის მიდგომა.
- (177) **prey proteins -** იმუნ. მტაცებელი ცილები.
- (178) **hairpin structure -** ბიოტექ. სარჭის სტრუქტურა.

(179) **false negatives** - ბიოტექ. მცდარი უარყოფითები.

(180) **false positive** - ბიოტექ. მცდარი დადებითები.

(181) **gene gun**- ბიოტექ. გენსატყორცნი.

(182) **jumping genes**- გენ. მხტუნავი გენი.

და სხვ.

მოგვიანებით განვითარებული დარგების სტრუქტურული თვალსაზრისით შესწავლამ ადრე შექმნილ ტერმინებთან შედარებით, გამოავლინა ტერმინთა სტრუქტურული მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება: ტერმინთა 70% შედგენილი, მრავალსიტყვიანი ანუ ანალიტიკური ტერმინებია. ანალიტიკური ტერმინების მოზღვავებამ გამოიწვია ტერმინოლოგიური აბრევიატურების გაჩენა, რომელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

სამწუხაროდ, ხშირია ასევე მრავალსიტყვიანი ტერმინების ტრანსლიტერაციის გზით შემოტანა ენაში. ანალიტიკური ტერმინი არ არის ლაკონური, მაგრამ, მეორე მხრივ, ის არის გამჭვირვალე და მოტივირებული. ხოლო მათი ტრანსლიტერაციის გზით ენაში შემოტანა იწვევს დიდ ტერმინოლოგიურ ბუნდოვანებას, რაც თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის უარყოფით თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ. ქვემოთ წარმოდგენილია ტრანსლიტერირებული შედგენილი ტერმინების მაგალითები (იხ. მაგალითები 183-199):

(183) **massively parallel sequencing**- ბიოტექ. მასობრივ პარალელური სეკვენირება.

(184) **northern blot**- ბიოტექ. ნოზერნ-ბლოტინგი.

(185) **site-specific mutation**- გენ., ბიოტექ. საიტ-სპეციფიკური მუტაცია.

(186) **vascular addressin**- იმუნ. ვასკულარული ადრესინი.

(187) **amplified fragment length polymorphism** – გენ. ამპლიფიცირებული ფრაგმენტების სიგრძის პოლიმორფიზმი.

(188) **dominant complementarity** - გენ. დომინანტური კომპლემენტარობა.

(189) **active immunization**- გენ. აქტიური იმუნიზაცია.

(190) **adaptive norm**- გენ. ადაპტური ნორმა.

(191) **alternative splicing**- გენ. ი- რნმ-ის ალტერნატიული სპლაისინგი.

(192) **antigenic drift**- იმუნ., გენ. ანტიგენური დრეიფი.

- (193) **antigenic conversion-** *იმუნ., გენ.* ანტიგენური კონვერსია.
- (194) **antigenic variation-** *იმუნ., გენ.* ანტიგენური ვარიაცია.
- (195) **autosomal recessive inheritance-** *გენ.* ავტოსომურ-რეცესიული დამემკვიდრება.
- (196) **reciprocal translocation-** *გენ.* რეციპროკული ტრანსლოკაცია.
- (197) **capillary electrophoresis-** *ბიოტექ.* კაპილარული ელექტროფორეზი.
- (198) **differential centrifugation-** *ბიოტექ.* დიფერენციული ცენტრიფუგირება.
- (199) **in vitro transcription-** *ბიოტექ.* ინ-ვიტრო ტრანსკრიფცია.

მოცემულ დარგებში გაანალიზებულ ტერმინთა 30% არის მხოლოდ ერთსიტყვიანი (მარტივი და ნაწარმოები). განსაკუთრებით იშვიათია ერთსიტყვიან ანუ მარტივ ტერმინებში ტერმინების ქართული ენის რესურსებით გადმოტანა. ისინი შემოდის ტრანსლიტერაციის გზით (იხ. მაგალითები 200-222).

- (200) **aberration-** *გენ.* აბერაცია.
- (201) **aptamer-** *გენ., ბიოტექ.* აპტამერი.
- (202) **callus-** *ბიოტექ.* კალუსი.
- (203) **cosmid-** *გენ., ბიოტექ.* კოსმიდი.
- (204) **affinity –** *იმუნ.* აფინობა.
- (205) **alloantiserum –** *იმუნ.* ალოანტიშრატი.
- (206) **cognate-** *გენ., იმუნ.* კოგნატური.
- (207) **complement-** *იმუნ.* კომპლემენტი.
- (208) **domain-** *იმუნ.* დომენი.
- (209) **abzyme -** *გენ. იმუნ.* აბზიმი.
- (210) **cytokine -** *იმუნ. ბიოქ.* ციტოკინი.
- (211) **detoxification -** *იმუნ. ეკოლ.* დეტოქსიკაცია, დეტოქსიფიკაცია.
- (212) **granulopoiesis -** *იმუნ.* გრანულოპოეზი, გრანულოციტოპოეზი.
- (213) **acentric I-** *გენ.* აცენტრული.
- (214) **acentric II-** *გენ.* აცენტრული, უცენტრომერო.
- (215) **excision-** *ბიოტექ.* ექსციზია, ამოჭრა.
- (216) **calcineurin-** *იმუნ.* კალცინეირინი.
- (217) **centroblast-** *იმუნ.* ცენტრობლასტი.
- (218) **clonotype-** *გენ., ბოტ., ზოოლ.* კლონოტიპი.

- (219) **clonogenicity**- ციტ., გენ. კლონოგენურობა.
- (220) **electroblotting**- ბიოტექ. ელექტრობლოტინგი.
- (221) **electrophoresis**- ბიოტექ. ელექტროფორეზი.
- (222) **electroporation**- ბიოტექ. ელექტროპორაცია.

შერჩეული ტერმინები გაანალიზდა სემასიოლოგიური მახასიათებლების თვალსაზრისითაც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შედარებით მოგვიანებით განვითარებულ დარგებში არ არის ხშირი პოლისემიის მაგალითები. ეს გამოწვეულია იმით, რომ გაზრდილია მრავალსიტყვიანი, ანალიტიკური ტერმინების რაოდენობა (70%). ანალიტიკურ ტერმინებს, ცხადია, არ ექნება პოლისემიური მნიშვნელობები. მეორე მხრივ, ხშირია ერთსიტყვიანი ტერმინების პოლისემია. ერთი დარგის შიგნით გვხვდება ორი, სამი ან ოთხი პოლისემიური მნიშვნელობა, ერთსიტყვიანი ტერმინები მიგრირებს სხვა დარგებშიც (იხ. მაგალითები 223-234).

(223) **carrier**- 1. გენ. რეცესიული ალელის მატარებელი ინდივიდუმი; 2. იმუნ. ჰაპტენის მატარებელი ცილა; 3. ბაცილმატარებელი, პათოგენური მიკრობების მატარებელი.

(224) **domain**- 1. დომენი, ზესამეფო; 2. მოლ. ბიოლ. დომენი; 3. მოლ. ბიოლ. დომენი ; 4. იმუნ. დომენი.

(225) **follicle**- 1. ანატ. ზოოლ. ფოლიკული, ჩანთა; 2. იმუნ. ლიმფური ფოლიკული; 3. ბოტ. ფოთლურა; 4. ენტომ. მუხლუხის პარკი.

(226) **allogenic**- 1. კოლ. ალოგენური, გარეშე ფაქტორებით გამოწვეული; 2. იმუნ. = allogeneic.

(227) **attenuated**- 1. იმუნ., მიკრ. დასუსტებული, ატენუირებული; 2. განზავებული, გათხევადებული; 3. ბოტ. ბოლოსკენ თანდათან დაწვრილებული, წაწვეტებული.

(228) **cap**- 1. მიკოლ. ქუდი (სკოპსი); 2. = calyptra; 3. მოლ. ბიოლ. კეპი, კეპ-სტრუქტურა, მეთილირებული კეპი; 4. იმუნ. კეპი, "ხუფი".

(229) **capping**- 1. გენ. კეპირება, რნმ-კეპირება; 2. იმუნ. კეპინგი.

(230) **carrier**- 1. გენ. რეცესიული ალელის მატარებელი ინდივიდუმი; 2. იმუნ. ჰაპტენის მატარებელი ცილა; 3. ბაცილმატარებელი, პათოგენური მიკრობების მატარებელი.

- (231) **determinant-** 1. იმუნ. ანტიგენური დეტერმინანტი, ეპიტოპი;  
2. ემბრ. ციტოპლაზმური დეტერმინანტი.
- (232) **follicle-** 1. ანატ., ზოოლ. ფოლიკული, ჩანთა; 2. იმუნ. ლიმფური ფოლიკული;  
3. ბოტ. ფოთლურა; 4. ენტ. იმვ. მუხლუხის პარკი.
- (233) **graft I-** 1. მედ., იმუნ. ტრანსპლანტატი, გადასანერგი ცოცხალი ქსოვილი;  
2. ბოტ. სანამყენე, მცენარის ნამყენი ნაწილი.
- (234) **graft II-** 1. მედ., იმუნ. ცოცხალი ქსოვილის გადანერგვა; 2. ბოტ. დამყნობა (<და>ამყნობს), ოკულირება.

სინონიმის შესწავლამ უფრო გვიან განვითარებულ დარგებში დაგვანახა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ტერმინთა სინონიმის შემთხვევები (იხ. მაგალითები 235-246). ტერმინთა ეს მნიშვნელოვანი სემანტიკური ცვლილება ასევე საინტერესოა ტერმინოლოგიური პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან საშუალებას იძლევა ენაში ტრანსლიტერაციით დამკვიდრებულ ტერმინს შეექმნას სინონიმი მშობლიური ენის რესურსებით, რაც განაპირობებს მათ თანაარსებობას ქართულ ტერმინთა სისტემაში (მარგალიტაძე, 2019).

- (235) **serum-** იმუნ. ანტიშრატი; სისხლის შრატი; (აგრ. blood\_serum).
- (236) **induction-** გენ. ინდუქცია; (აგრ. embryonic\_induction).
- (237) **membrane-** ციტ. უჯრედის მემბრანა (აგრ. cell\_membrane).
- (238) **cap-** იმუნ. კეპი, "ხუფი" (აგრ. methylated\_cap).
- (239) **cross reaction-** (აგრ. serological\_cross\_reaction) იმუნ. ჯვარედინი რეაქცია.
- (240) **chiasma-** გენ. ოპტიკური ქიაზმა (აგრ. opticchiasma).
- (241) **pericentric-** გენ. ცენტრალური (აგრ. pericentral).
- (242) **capping** - გენ. კეპირება (აგრ. რნმ-კეპირება– RNA\_capping).
- (243) **acquired mutation** - გენ. შეძენილი მუტაცია (აგრ. სომატური მუტაცია, სომატური უჯრედის მუტაცია - somatic mutation)
- (244) **domain** - იმუნ. დომენი (აგრ. ზესამეფო - superkingdom)
- (245) **complementary DNA** - გენ. კომპლემენტარული დნმ (აგრ. კ-დნმ - cDNA)
- (246) **cell-mediated immunity** - იმუნ. უჯრედული იმუნიტეტი (აგრ. T-უჯრედოვანი იმუნიტეტი, უჯრედული იმუნური პასუხი - cellular immune response, cell-mediated

immune response).

მაშასადამე, გაანალიზებული 800 ტერმინიდან, რომლებიც ამოიკრიბა შედარებით გვიან განვითარებული დარგებიდან, როგორცაა იმუნოლოგია, გენეტიკა და ბიოტექნოლოგია, ტერმინების 75-80% ნასესხები ტერმინებია და ქართულში გადმოდის ტრანსლიტერაციის გზით. ტერმინების ქართულად გადმოტანისას, ხშირ შემთხვევაში, არ გამოიყენება ქართული ენის რესურსები, შესაბამისად, ტერმინებმა დაკარგეს მათი ერთ-ერთი თვისება - გამჭვირვალობა, ინგლისურ ტერმინთა 75-80 პროცენტი ქართულად ტრანსლიტერაციითაა გადმოტანილი და ეს მაშინ, როდესაც თავად ინგლისური ენა მაქსიმალურად იყენებს არსებულ რესურსებს (საერთო ლექსიკის სიტყვებს ან არსებულ ტერმინებს) ახალი ტერმინების შესაქმნელად, რათა გაუმკლავდეს მოზღვავებულ ახალ სამეცნიერო ცნებებს.

მოგვიანებით განვითარებული დარგების სტრუქტურული თვალსაზრისით შესწავლამ, ადრე შექმნილ ტერმინებთან შედარებით, გამოავლინა ტერმინთა სტრუქტურული მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება: ტერმინთა 70% შედგენილი, მრავალსიტყვიანი ანუ ანალიტიკური ტერმინებია. ანალიტიკური ტერმინების მომრავლებამ გამოიწვია ტერმინოლოგიური აბრევიატურების გაჩენა, რომელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

რაც შეეხება სემასიოლოგიური თვალსაზრისით ტერმინების ანალიზს, კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ შედარებით მოგვიანებით განვითარებულ დარგებში არ არის ხშირი პოლისემიის მაგალითები. ეს გამოწვეული იმით, რომ გაზრდილია მრავალსიტყვიანი, ანალიტიკური ტერმინების რაოდენობა (70%). მეორე მხრივ, ხშირია ერთსიტყვიანი ტერმინების პოლისემია. ერთი დარგის შიგნით გვხვდება ორი, სამი ან ოთხი პოლისემიური მნიშვნელობა. ერთსიტყვიანი ტერმინები მიგრირებს სხვა დარგებშიც. სინონიმის შესწავლამ კი უფრო გვიან განვითარებულ დარგებში დაგვანახა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ტერმინთა სინონიმის შემთხვევები.

### 2.3. დასკვნა

ტრადიციული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი წყარო ქართული ენის რესურსებია, რომ ქართული ენა და ქართული საერთო ლექსიკის სიტყვები მეტად მარჯვედ გამოიყენება ტერმინების შესაქმნელად. კლასიკურ პერიოდში შექმნილი ქართული ტერმინოლოგია ძირითადად საზრდოობს ქართული წყაროებით და აქტიურად იყენებს ქართულ რესურსებს ტერმინოლოგიის შესაქმნელად. თითქმის ტერმინთა 80% ქართულ, ბუნებრივ ტერმინს წარმოადგენს და დიდი შემოქმედობითობით გამოირჩევა. მეორე მხრივ, განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით შედარებით გვიან განვითარებული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლის შედეგად. იმუნოლოგიური, გენეტიკური და ბიოტექნოლოგიური ტერმინების შესწავლამ გამოავლინა, რომ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია სესხების გზით ივსება. ტერმინთა 75-80% არის ინგლისური ტერმინის ტრანსლიტერირებული ვარიანტი, რაც ეხება, არა მხოლოდ ერთსიტყვიან, არამედ, რიგ შემთხვევაში, შედგენილ ანუ მრავალსიტყვიან ტერმინებსაც. ეს, უდავოდ, თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის განვითარების არასასურველი ტენდენციაა. ეს ხდება მაშინ, როდესაც თავად ინგლისური ენა მაქსიმალურად იყენებს არსებულ რესურსებს (საერთო ლექსიკის სიტყვებს ან არსებულ ტერმინებს) ახალი ტერმინების შესაქმნელად, რათა გაუმკლავდეს მოზღვავებულ ახალ სამეცნიერო ცნებებს (მარგალიტაძე, 2019; მარგალიტაძე, 2018).

ტერმინები ასევე გაანალიზდა სტრუქტურული თვალსაზრისითაც. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების დიდი ნაწილი, კერძოდ 74% მარტივი და ნაწარმოები ტერმინია და ასევე გადმოდის ქართულ ენაში. გაანალიზებული ტერმინების სრული რაოდენობის 11% არის რთული ტერმინი და დაახლოებით 15% სტრუქტურულად შედგენილი ტერმინებია. ამის საპირისპიროდ, მოგვიანებით განვითარებული დარგების შესწავლამ გამოავლინა ტერმინთა სტრუქტურული მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება: ტერმინთა 70% შედგენილი, მრავალსიტყვიანი ანუ ანალიტიკური ტერმინებია. ანალიტიკური ტერმინების მოზღვავებამ გამოიწვია ტერმინოლოგიური აბრევიატურების გაჩენა, რომელთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. შედგენილი ტერმინები, ერთი მხრივ, არ აკმაყოფილებს ტერმინის ერთ-ერთ

მნიშვნელოვან თვისებას - ლაკონიურობას, მაგრამ, მეორე მხრივ, გამჭვირვალეა. ესეც ძალზე მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ტერმინების ქართულად ტრანსლიტერაციით გადმოტანა არ არის სასურველი, რადგან ვიღებთ არალაკონიურ და სრულიად ბუნდოვან ტერმინებს. რაც შეეხება ტერმინთა ანალიზს სემასიოლოგიური თვალსაზრისით, გაანალიზებული 800 ანატომიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინიდან პოლისემიური აღმოჩნდა 149 ტერმინი, რაც დაახლოებით 18% შეადგენს, ხოლო სინონიმური მნიშვნელობის მხოლოდ 5%. თუმცა, შედარებით მოგვიანებით განვითარებულ დარგებში არ არის ხშირი პოლისემიის მაგალითები. ეს გამოწვეულია იმით, რომ გაზრდილია მრავალსიტყვიანი, ანალიტიკური ტერმინების რაოდენობა (70%). მეორე მხრივ, ხშირია ერთსიტყვიანი ტერმინების პოლისემია. ერთი დარგის შიგნით გვხვდება ორი, სამი ან ოთხი პოლისემიური მნიშვნელობა, ერთსიტყვიანი ტერმინები მიგრირებს სხვა დარგებშიც. სინონიმის შესწავლამ კი უფრო გვიან განვითარებულ დარგებში დაგვანახა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ტერმინთა სინონიმის შემთხვევები.

მაშასადამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ტერმინები შედარებით ტრადიციულ დარგებში ძირითადად არის ერთსიტყვიანი. შედარებით იშვიათია პოლისემიისა თუ სინონიმის მაგალითები. შესაბამისად, აღნიშნული დარგების ტერმინოლოგია ძირითადად მონოსემიური ანუ ერთმნიშვნელობიანია და შეესატყვისება ტერმინოლოგიის ტრადიციული თეორიის ძირითად პოსტულატებს. განსხვავებული ვითარებაა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. თანამედროვე ქართულმა ტერმინოლოგიამ იცვალა ბუნება, მნიშვნელოვნად გაიზარდა ტერმინთა სესხების პროცენტული მაჩვენებელი, მოიმატა ერთსიტყვიანი ტერმინების პოლისემიის შემთხვევებმა, გაზრდილია მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა (70 %), გაზრდილია ტერმინთა სინონიმის შემთხვევები. თანამედროვე ტერმინოლოგიის სტრუქტურული თუ სემასიოლოგიური მახასიათებლების ცვლილება ქართულ ტერმინოლოგიაზეც აისახა, რაზეც ჩვენი კვლევის შედეგებიც მიუთითებს.

## ქართულ ტერმინთა მოდელირების ტენდენციები მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ ენაში ახალი სამეცნიერო ცნებების მოზღვავება გამოიწვია, რამაც თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. ასევე აღინიშნა, რომ ქართველი ლექსიკოგრაფები, დარგის სპეციალისტები წერენ იმის შესახებ, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში გარკვეულად შეფერხებულია, რომ ბევრი ტერმინი სხვადასხვა დარგში, ძირითადად, სესხების გზით შემოდის და მკვიდრდება, რასაც ნამდვილად ვერ მივიჩნევთ დადებით ტენდენციად (Gogia, 2023; მარგალიტაძე, 2019; ქაროსანიძე, 2012).

ამ ტენდენციის შესამოწმებლად 2022-2023 წლებში ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის 1,600 ტერმინის მასალაზე, რომლის შედეგებიც დეტალურადაა წარმოდგენილი ჩვენი ნაშრომის მეორე თავში. ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია ტერმინთა სესხების პროცენტულობა თანამედროვე დარგებში, რისთვისაც შეირჩა გენეტიკის, იმუნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის დარგები. გაანალიზდა აღნიშნული დარგების 800 ტერმინი და გამოვლინდა, რომ მათი 75-80 % ნასესხები ტერმინია. ეს შედეგი შევადარეთ უფრო ტრადიციული დარგების ტერმინოლოგიას, რისთვისაც შევარჩიეთ 800 ტერმინი ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ანატომიის დარგებიდან. ამ დარგების ტერმინების ანალიზმა სრულიად სხვა ვითარება წარმოაჩინა, კერძოდ, გაანალიზებული ტერმინების თითქმის 80 % ქართული ენის რესურსებით აღმოჩნდა ნაწარმოები.

სწორედ აღნიშნული კვლევის შედეგებმა განაპირობა ჩვენი ინტერესი უფრო ჩაღრმავებულად შეგვესწავლა ტრადიციული დარგებისა (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია) და შედარებით მოგვიანებით განვითარებული დარგების (იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა) ტერმინების მოდელირების მეთოდები ქართულში. ქართული ტერმინთმემოქმედების მეთოდების ანალიზისათვის დავეყრდენით რ. ღამბაშიძის მონოგრაფიას (1986) და საერთაშორისო სტანდარტს „ისო 704-2022,

ტერმინოლოგიური მუშაობა - პრინციპები და მეთოდები“. კვლევაში გამოვიყენეთ ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდი. ქართული ტერმინები შევადარეთ მათ შესატყვის რუსულ და ინგლისურ ტერმინებს. როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ქართული ტერმინოლოგია რუსული ენის დიდ გავლენას განიცდიდა, რამაც განაპირობა ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების შესწავლისას რუსული ტერმინების ჩართვა კვლევაში. ინგლისურ ტერმინებთან შედარება გამოიწვია ტერმინთა მოდელირების მეთოდების შეპირისპირებითი კვლევის მოტივაციამ. ინგლისური ტერმინების ეტიმოლოგიის დასადგენად გამოვიყენეთ „ინგლისური ენის ლექსიკონი ისტორიულ პრინციპებზე“ (OED) და ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ონლაინლექსიკონი, რომელიც განთავსებულია შემდეგ მისამართზე: [etymonline.com](http://etymonline.com).

საკვლევ მასალად გამოვიყენეთ წინა თავში წარმოდგენილი კვლევისათვის შერჩეული 1600 ტერმინი. ტერმინები შერჩეულია შემთხვევითობის პრინციპით და შესწავლილია ტერმინთა წარმოების თვალსაზრისით. ამ მიზნით, როგორც აღინიშნა, გამოყენებულია ტერმინთა სამ ენაში შეპირისპირების მეთოდი, აგრეთვე ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდი.

### **3.1. ქართულ ტერმინთა მოდელირების ტრადიცია ანატომიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინების მაგალითზე.**

კვლევის პირველ ეტაპზე 800 ანატომიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინიდან, შემთხვევით შერჩევითობის პრინციპით, შეირჩა 100 ტერმინი უფრო სიღრმისეული კვლევისათვის. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ამ პერიოდში ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინთქმნადობის რა მეთოდებს მიმართავდნენ ქართველი ტერმინოლოგები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ისეთ ტრადიციულ დარგებში, როგორცაა ბოტანიკა, ზოოლოგია და ანატომია, ქართული ტერმინები ძირითადად იქმნებოდა რუსული ან ლათინური ენიდან სტრუქტურული ან სემანტიკური სესხების გზით. ძირითადი წყარო ტერმინთა კალკირებისა (სტრუქტურული სესხებისა) მაინც იყო რუსული ენა, რაც განპირობებული იყო იმ დროისათვის ქვეყანაში არსებული

პოლიტიკური ვითარებითა და რუსული ენის დომინანტობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტერმინების შესაქმნელად გამოიყენებოდა ქართული ენის რესურსები, ანუ რუსული ან ლათინური ტერმინის სტრუქტურაში რუსული და ლათინური სიტყვები ჩანაცვლებული იყო ქართული სიტყვებით. ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტერმინთა ნიმუშებს.

(1) **Aardwolf** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც აღნიშნავს „მიწის მგელს“.

ინგლისური ტერმინი ნასესხებია აფრიკაანსის ენიდან და შედგება 2 ძირისგან: aard - მიწა და wolf - მგელი (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენცია: „земляной волк“, რომელიც აფრიკაანსის ტერმინის კალკია.

ტერმინის ქართული ეკვივალენცია „მიწის მგელი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია აფრიკაანსის ენიდან, რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, კალკირებულია აფრიკაანსიდან, შესაძლოა ჰოლანდიური ენიდან (ასევე aardwolf), ქართული ტერმინი კი ნაწარმოებია რუსული ტერმინის კალკირების გზით.

(2) **Aardvark** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია აფრიკაანსიდან და სიტყვასიტყვით ნიშნავს „მიწის ღორს“ (aard „მიწა“+ vark „ღორი“) (etymonline.com). აღნიშნული სამხრეთ-აფრიკული ცხოველის გერმანული სახელწოდებაა Erdferkel. გერმანული ტერმინი კალკირებულია აფრიკაანსის ენიდან და აფრიკაანსის სიტყვები aard + vark ჩანაცვლებულია გერმანული სიტყვებით Erd + Ferkel.

რუსულ ენაში ამ ტერმინის შესატყვისია „африканский трубкозуб“. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი მიღებულია ამ ცხოველის ერთ-ერთი ლათინური სახელის კალკირებით - Tubulidentata, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს პატარა მილს და კბილს.

ტერმინის ქართული ეკვივალენცია „აფრიკული მილკბილა“.

\*\*\*

როგორც ვხედავთ, ინგლისური ტერმინი ნასესხებია აფრიკანსის ენიდან, გერმანული ტერმინი კალკირებულია აფრიკანსიდან, რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, ამ ცხოველის ერთ-ერთი ლათინური სახელის კალკია, ქართული შესატყვისი კი რუსული ტერმინის კალკირებითაა მიღებული.

- (3) **Barnacle** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ნასესხებია საშუალო ინგლისურ პერიოდში ფრანგულიდან. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „გარეული ბატი“, ხოლო მნიშვნელობა „კიბოსნაირთა კლასის წარმომადგენელი“, დასტურდება ინგლისურში 1580 წლიდან. საინტერესოა ტერმინის გერმანული შესატყვი Entenmuschel, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ბატ-მოლუსკს“ (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „усоногий рак“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ულვაშფეხიანი კიბო“.

\*\*\*

როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (4) **Bream** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ნასესხებია ფრანგულიდან საშუალო ინგლისურ პერიოდში, თუმცა ეტიმოლოგიურად ამ სიტყვას ასევე უკავშირებენ პროტო-გერმანიკულ ძირს *brehwan* რაც ნიშნავს “ელვარებას, ბრწყინვას“. ეს თევზი ყვითელი ფერისაა და, სავარაუდოდ, ამ ნიშნით არის გამოყენებული ინგლისურ ენაში მოცემული თევზის აღსანიშნავად (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „белоглазка“. სავარაუდოდ ეს სახელი ამ თევზს დაერქვა რუსულში მისი ერთ-ერთი სახეობის ლათინური სახელის მიხედვით.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „თეთრთვალა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან ან საფუძვლად უდევს გერმანიკული ძირის სიტყვა. ქართული ტერმინი კი შექმნილია რუსული ენიდან კალკირების გზით.

- (5) **Icfishes** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან ice და fish. ტერმინი გამოიყენება თევზების ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნად (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „белокровные“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „თეთრისხლასებრნი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში მშობლიური ძირის სიტყვების გამოყენებით. ქართული ტერმინი რუსული შესატყვისი ტერმინის კალკია.

- (6) **Half-beak** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ძირეული ინგლისური სიტყვისაგან half და ფრანგული ძირის სიტყვისაგან beak (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „длиннорыл“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „გრძელდინგა“.

\*\*\*

როგორც ამ ანალიზიდან ჩანს, ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (7) **Weevil** - ინგლისური ზოოლოგიური (ენტომოლოგიური) ტერმინია, რომელიც მშობლიურია ინგლისურ ენაში (OED). ამ ტერმინს საფუძვლად უდევს გერმანიკული ძირის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ხოჭოს.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „жук-долгоносик“, რომელიც ნაწილობრივ ამ ხოჭოს ლათინური სახელის მიხედვითაა ნაწარმოები.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „ცხვირგრძელა ხოჭო“.

\*\*\*

ინგლისურ ტერმინს საფუძვლად უდევს გერმანიკული ძირის სიტყვა, რუსული ტერმინი მოდელირებულია ლათინური სახელის მიხედვით, ქართული ტერმინი კი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (8) **Racket-tail** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელსაც აქვს 2 მნიშვნელობა. იგი შედგება ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვისგან racket და ძირეული ინგლისური სიტყვისგან tail (OED). ტერმინის პირველი მნიშვნელობის რუსული შესატყვისია „колибри-знамёнщик“. მეორე მნიშვნელობის რუსული ეკვივალენტი კი არის „Ракетохвостые попугаи. ინგლისური ტერმინის პირველი მნიშვნელობის ქართული ეკვივალენტია „კოლიბრი აღმოსანი“, მეორესი კი „ჩოგანკუდა თუთიყუში“.

\*\*\*

ქართული ტერმინი პირველ შემთხვევაში არის რუსული ტერმინის კალკი, მეორე მნიშვნელობით კი ინგლისური ტერმინის კალკი. საყურადღებოა, რომ რუსული ტერმინიც სწორედ ინგლისური ტერმინის თარგმნითი ნასესხობაა.

- (9) **Cabbage rose** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ნასესხები სიტყვებისგან: cabbage ნასესხებია ფრანგულიდან საშუალო ინგლისურ პერიოდში, ხოლო rose ნასესხებია ლათინურიდან ძველ ინგლისურ პერიოდში (etymonline.com).

აღნიშნული ტერმინის ლათინური სახელწოდებაა Rosa centifolia.

ტერმინის რუსული შესატყვისია „роза столистная, центифолия“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ასფურცელა ვარდი, ცენტიფოლია“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ნასესხები ძირის სიტყვებით. რუსული შესატყვისი ორ სინონიმს მოიცავს, роза столистная, რომელიც კალკირებულია ლათინურიდან და центифолия, რომელიც ნასესხებია ლათინურიდან. ანალოგიური სურათია ქართული ტერმინის შემთხვევაშიც, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული ტერმინი

შექმნილია რუსული და ლათინური ენების გავლენით, სესხებით და კალკირებით.

- (10) **Blue herring** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან blue და herring. ტერმინის რუსული შესატყვისია „зеленоспинка“. ტერმინის ქართული შესატყვისია „მწვანეზურგა“

\*\*\*

ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (11) **Needlefish** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვების needle და fish შეერთებით (OED). ტერმინის რუსული შესატყვისია „игла-рыба“. ტერმინის ქართული შესატყვისია „ნემსთევზა“.

\*\*\*

როგორც ამ ტერმინების შედარებით ჩანს, სამივე ეკვივალენტს საერთო სტრუქტურა აქვს. რუსული ტერმინი კალკია ლათინური ენიდან ან რომელიმე ევროპული ენიდან. ქართული ტერმინი, სავარაუდოდ, შემოსულია რუსული ენიდან და ორმაგი კალკირების შედეგია.

- (12) **Threadfin breams** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელის შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვების (thread და fin) და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვის (bream) შეერთებით (OED). ამ ტერმინის ლათინური სახელწოდებაა Nemipteridae. ტერმინის რუსული შესატყვისია „нитеперые“. ტერმინის ქართული შესატყვისია „ბაწარფარფლიანები“.

\*\*\*

აღსანიშნავია, რომ როგორც რუსული, ისე ინგლისური ეკვივალენტი ამ ტერმინისა ლათინური სახელწოდების კალკირებითაა მიღებული.

შესაბამისად, ტერმინის კალკირება ტერმინთა წარმოების საკმაოდ გავრცელებული მეთოდია. ქართული ეკვივალენტი, სავარაუდოდ, რუსული და ლათინური ენებიდანაა ნაწარმოები სტრუქტურული სესხების გზით.

- (13) **White marlin** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან white და marlin (etymonline.com). ტერმინის ლათინური სახელწოდებაა Tetrapturus albidus. ტერმინის რუსული ეკვივალენტია „копьеносец белый“. ტერმინის ქართული შესატყვისა „თეთრი შუბოსანი“.

\*\*\*

რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, ლათინური სახელწოდების კალკია. ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ტერმინისგან და ორმაგი კალკირების შედეგია.

- (14) **Dragon's head** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისგან dragon და ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვისგან head (etymonline.com). ტერმინის რუსული შესატყვისია „змееголовник“. ტერმინის ქართული შესატყვისია „გველთავა“.

\*\*\*

ეს ბოტანიკური ტერმინიც კალკირებითაა მიღებული რუსული ენიდან.

- (15) **Helianthemum** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ბერძნული ენიდან და სიტყვასიტყვით ნიშნავს მზე + ყვავილი (OED). ტერმინის რუსული შესატყვისია „солнцецвет“. ტერმინის ქართული შესატყვისია „მზეყვავილა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ბერძნული ენიდან. რუსული ტერმინი ბერძნულიდანაა ნაწარმოები სტრუქტურული სესხების გზით. ქართული

ტერმინი მიღებულია რუსული ენიდან კალკირების გზით, თუმცა ვფიქრობთ, რომ ქართული ეკვივალენტის შექმნაზე ბერძნულ ენასაც ჰქონდა გავლენა.

- (16) **Meadow foxtail** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია და მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან meadow, fox და tail (etymonline.com). ტერმინის რუსული შესატყვისია „лисохвост луговой“. ტერმინის ქართული შესატყვისია „მდელოს მელაკუდა“.

\*\*\*

ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს მსგავს სტრუქტურას. სავარაუდოდ, ტერმინები რუსულსა და ინგლისურ ენებში ნაწარმოებია კალკირების გზით ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინი რუსული ენიდან უნდა იყოს მიღებული სტრუქტურული სესხების გზით.

- (17) **Abducens** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „გარეთ გაწევა“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „отводящий нерв“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „განმზიდველი ნერვი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის გავლენით.

- (18) **Adductor** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „შიგნით შემოტანა“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „приводящая мышца“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მომზიდველი კუნთი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის გავლენით.

- (19) **Cnida** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ნიშნავს “მსუსხავ უჯრედს”. ტერმინი ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან, თუმცა იგი არის ბერძნული სიტყვის *knidē* ლათინიზებული ფორმა. ბერძნული სიტყვა ჭინჭარს აღნიშნავს და ეს სიტყვა ამ ნიშნით არის ნასესხები ინგლისურში მსუსხავი უჯრედის აღსანიშნავად (etymonline.com; OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტებია „нематоцист“ (*nematocyst*), რომელიც ნასესხებია ლათინურიდან და „жгучая клетка“, რომელიც არის ლათინურიდან კალკირებით მიღებული.

ტერმინის ქართული შესატყვისებია „ნემატოცისტი“, „მსუსხავი უჯრედი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. რუსული ტერმინები მიღებულია ლათინურის კალკირებით და ლათინურიდან სესხებით. ქართული ტერმინი ნაწარმოების რუსული ენის ანალოგიით.

- (20) **Decidua** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „დაცემა, დავარდნა“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „отпадающая оболочка (матки)“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მოსავარდნი გარსი (საშვილოსნოსი)“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის გავლენით.

- (21) **Dilatator** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „გაფართოება“. (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „расширяющая мышца“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „გამაგანიერებელი კუნთი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (22) **Epoophoron** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და შედგება თავსართისაგან ep-, რომელიც ბერძნულიდან არის ნასესხები და ნიშნავს „ზე“. ინგლისური ტერმინი ასევე შედგება ლათინურიდან ნასესხები სიტყვისაგან oophoron, რომელიც ნიშნავს „საკვერცხს“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „придаток яичника“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „საკვერცხის დანამატი“.

\*\*\*

ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს თითქმის მსგავს სტრუქტურას. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი არის ლათინური ენიდან კალკირებული. ქართული ტერმინი კი მიღებულია რუსული ენიდან კალკირებით.

- (23) **Levator** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „ამწევი“ (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „поднимающая мышца“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ამწევი კუნთი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის გავლენით.

(24) **Motor** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „მოდრაობა“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „двигательный мускул, двигательный нерв“. ტერმინის ქართული შესატყვისია „მამოდრავებელი კუნთი, მამოდრავებელი ნერვი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის გავლენით.

(25) **Myxocyte** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც მიღებულია ბერძნული ძირის სიტყვებისაგან *myxo*, რომელიც „ლორწოს“ აღნიშნავს და *cyte*, რომელიც ნიშნავს „ღრმულს, ფოსოს“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „клетка слизистой ткани“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ლორწოვანი ქსოვილის უჯრედი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ბერძნული ძირის სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(26) **Nympha** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „მცირე სასირცხვო ბაგე“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „малые губы“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მცირე ბაგეები“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი ნაწარმოებია ლათინური ენის გავლენით. ქართული ტერმინი კი რუსული ენიდან უნდა იყოს მიღებული სტრუქტურული სესხების გზით.

(27) **Postcava** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც შედგება ლათინურიდან ნასესხები post და cava სიტყვების შეერთებით. მოცემულ ინგლისურ ტერმინში cava შემოკლებული ფორმაა ტერმინის *vena cava*, სადაც *vena* არის ლათინური ძირის, ხოლო *cava* ინდოევროპული ძირის სიტყვაა და ნიშნავს „ღრუს“ (*keue-*). ტერმინი გამოიყენება ქვევით მდებარე ღრუ ვენის აღსანიშნად. (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „нижняя полая вена“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ქვედა ღრუ ვენა“.

\*\*\*

ანალიზმა გამოავლინა, რომ სამივე ენაში ტერმინის სტრუქტურა მსგავსია. რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, მოდელირებულია ლათინური ან რომელიმე ევროპული ენის მიხედვით. ქართული ტერმინი მიღებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(28) **Protractor** - ინგლისური ანატომიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „გამომწევი“. (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „вытягивающий мускул“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „გამომწევი კუნთი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი გაკეთებულია ლათინური ენის მიხედვით. ქართული ტერმინი კი კალკირებულია რუსული ენიდან.

(29) **Senior** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან (*senior*). ლათინური ძირის მნიშვნელობაა „მოხუცი“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „половозрелое животное“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „სქესმწიფე ცხოველი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან კალკირების გზით.

(30) **Tensor** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „დაჭიმვა“ (etymonline.com).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „напрягающая мышца“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „დამჭიმავი კუნთი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(31) **Vermis** - ინგლისური ანატომიური ტერმინია, რომელიც ინგლისურ ენაში ნასესხებია ლათინურიდან და აღნიშნავს ნათხემის ჭის ფორმის დანამატს, გამონაზარდს. ლათინური ძირის (*vermis*) მნიშვნელობაა „ჭია“. სწორედ ამ ნიშნით არის გამოყენებული ინგლისურ ენაში მოცემული სიტყვა თავის ქალის ამ ნაწილის აღსანიშნად (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „червь мозжечка“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ნათხემის ჭია“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, მოდელირებულია ლათინური ენის მიხედვით. ქართული ტერმინი კი მიღებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(32) **Beak-perch** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და აღნიშნავს თევზის ერთ-ერთ სახეობას. ინგლისური ტერმინი შედგება ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან beak, რომელიც ნიშნავს „ნისკარტს, დინგს“ და perch,

რომელიც თავად ფრანგულში ლათინური ენიდან არის შესული. ლათინური ძირი *pertica* კი აღნიშნავს „წვრილ ღეროს, გრძელ ჯოხს“. (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „ножезубые“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „დანაკბილასებრნი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი სტრუქტურული სესხების გზით არის შექმნილი რუსული ენიდან.

- (33) **Blennies** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და სიტყვა blenny ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ეს სიტყვა ასევე ფიქსირდება ბერძნულ ენაშიც. ბერძნული ძირის მნიშვნელობაა „ლორწოვანი“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „маслюковые“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ქონათევზისებრნი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენის გავლენით.

- (34) **Brocket** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ნასესხებია ინგლისურში ფრანგული ენიდან. ტერმინი გამოიყენება, ორწლიანი ხარირემის აღსანიშნად, რომელსაც რქები ახალი ამოწვერილი აქვს (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „двухгодовалый олень“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ორწლიანი ირემი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან. ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენის გავლენით.

- (35) **Carnivore** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან. ფრანგულ ენაში ტერმინი მიღებულია

ლათინური ძირის სიტყვიდან *carnivor-us*. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „ხორცის მჭამელი“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „плотоядное животное“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ხორციჭამია ცხოველი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. ქართული ტერმინი კი მიღებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(36) **Chiroptera** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის სიტყვა ფორმირებულია ბერძნული ენიდან χείρ - ხელი + πτερος - ფრთიანი (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „рукокрылые“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „ხელფრთიანები“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი მიღებულია ლათინური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით. ტერმინის ქართული შესატყვისი კი შექმნილია რუსული ენიდან კალკირების გზით. შესაძლოა ქართული ეკვივალენტის შექმნაზე ბერძნულ ენასაც ჰქონდა გავლენა.

(37) **Crawfish** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ფრანგულიდან არის ნასესხები და ნიშნავს კიბორჩხალის ისეთ სახეობას, რომელთა უმრავლესობა მდინარეებში, ღელეებსა და არხებში ბინადრობს (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „речной рак“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მდინარის კიბო“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგული ენიდან. ქართული ტერმინი, სავარაუდოდ, წარმოებულია რუსული ენიდან კალკირების გზით.

(38) **Dipnoan** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. თვითონ ლათინური ძირის სიტყვა *dipno-us* მიღებულია ბერძნული ძირის სიტყვისგან *δίπνο-ος*, რომელიც აღნიშნავს „ორი სასუნთქი ხვრელის მქონეს“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „двомякдышащий“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ორგვარადმსუნთქავი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი კალკირებულია ლათინური ენიდან. ქართული ტერმინი კი მოდელირებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(39) **Engraved catfish** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგული ნასესხობისაგან engrave და ინგლისურისათვის ძირეული სიტყვებისაგან cat და fish. catfish - ეს ტერმინი გამოიყენება ისეთი თევზის აღსანიშნავად, რომელსაც კატის მსგავსად სახის არეში, პირთან აქვს ულვაშები, საცეცები, რომლებითაც დასუსხვის უნარი შესწევს. სავარაუდოდ, ინგლისურში სწორედ ამ ნიშნით დაერქვა მას ეს სახელი (etymonline.com; OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „ложнодолгохвостые“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ცრუბოლოკუდგრძელასებრნი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიიღება ფრანგული ნასესხობისა და ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვების შეერთებით. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენიდან კალკირების გზით.

(40) **Erinaceous** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ძირის *erīnāce-us* მნიშვნელობაა „ზღარბი“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „иглокожий“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კანეკლიანი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ტერმინი გაკეთებულია რუსული ენიდან კალკირების გზით.

(41) **Gar-pike** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია. Gar ძირეული ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „შუბს“, ხოლო სიტყვა pike-ის წარმოშობა ინგლისურში უცნობია. ტერმინი აღნიშნავს თევზის ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც შუბივით წვრილი და გრძელი შვერილი დინგი აქვს. სწორედ ამ ნიშნით დაერქვა ინგლისურში მას ეს სახელი (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „панцирник“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ჯავშნიანა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ინგლისურისათვის მშობლიური და უცნობი წარმოშობის მქონე სიტყვებისაგან. სავარაუდოდ, ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენის გავლენით.

(42) **Headstanders** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და გამოიყენება თევზების ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნად. ტერმინი შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვებისაგან head და stand (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „малоротые“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „მცირეპირიანები“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი მოდელირებულია რუსული ენიდან კალკირების გზით.

- (43) **Knifefish** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ინგლისური ძირეული სიტყვებისაგან *knife* და *fish* (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „ножетелка“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „დანისტანა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენიდან კალკირების გზით.

- (44) **Millipedes** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ძირის სიტყვაა *millepeda*, საიდანაც *mille* აღნიშნავს „ათასს“, ხოლო *ped-*, *pēs* ნიშნავს „ფეხს“. ტერმინი აღნიშნავს მრავალფეხა ფეხსახსრიანებს, რომლებსაც ეს ფეხები წყვილებად აქვს ორივე მხარეს განლაგებული (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „двупарноногие“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ორწყვილფეხიანები“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი კალკირებულია რუსული ენიდან.

- (45) **Ommateum** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ტერმინი ლათინურში ბერძნული ენიდან არის შესული. ბერძნული ძირის (*ὄμμα, ὄμματ*) მნიშვნელობაა „თვალი“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „сложный глаз“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „რთული თვალი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი წარმოებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(46) **Omnivore** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ძირის (*omnivorus*) მნიშვნელობაა „ყველაფრის მჭამელი“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „всеядное животное“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ყოვლისმჭამელი ცხოველი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. რუსული ტერმინი, სავარაუდოდ, ლათინური ენის მიხედვით არის მოდელირებული. ქართული ტერმინი კი მიღებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით. შესაძლოა ქართული ეკვივალენტის შექმნაზე ლათინურ ენასაც ჰქონდა გავლენა.

(47) **Ootocoid** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან. ლათინური ტერმინი ბერძნული ტერმინიდან *ὄοτροκ-οσ* არის მიღებული. ბერძნული ძირის მნიშვნელობაა „კვერცხის დადება“ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „полуживородящий“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ნახევრად ცოცხალმშობი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(48) **Pachyderm** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან (etymonline.com). ფრანგულში ეს ტერმინი ბერძნული ენიდან არის შესული. ბერძნული ძირის (*παχύδερμ-ος*) მნიშვნელობაა „სქელკანიანი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „толстокожее животное“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „სქელკანიანი ცხოველი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგული ენიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი ფრანგული ან ბერძნული ენის გავლენითაა მოდელირებული. ქართული ტერმინი კი მიღებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(49) **Pond smelt** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვებისაგან pond, რომელიც აღნიშნავს პატარა ტბას, გუბეს და smelt, რომელიც პატარა სახეობის ვირთევზას აღნიშნავს (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „корюшка малоротая“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „პატარაპირიანი ცქიმურა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის მიხედვით.

(50) **Porpoise** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან. ფრანგული ტერმინის ეკვივალენტი გვხვდება ლათინურშიც. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „ზღვის ღორი“ (OED).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „морская свинья“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ზღვის ღორი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგული ენიდან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი კალკირებულია ლათინური ენიდან. ქართული ტერმინი კი რუსული ტერმინის კალკია.

- (51) **Protozoon** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან. ლათინური ტერმინი მოდელირებულია ბერძნული ტერმინიდან *πρωτο-* უმარტივესი + *ζῷα* ცხოველი(OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „простейшее животное“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „უმარტივესი ცხოველი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. სავარაუდოდ რუსული ტერმინი მიღებულია ბერძნული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით. ქართული ტერმინი რუსული ტერმინის თარგმნითი ნასესხობაა. შესაძლოა ქართული ეკვივალენტის შექმნაზე ბერძნულმა ენამაც იქონია გავლენა.

- (52) **Salmo salar** – ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და salmon ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან. salar სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „მეთაურს, ხელმძღვანელს“ (wikipedia.org). Salmo salar აღნიშნავს ორაგულის ერთ-ერთ სახეობას, რომელიც არის თევზების ამ სახეობაში ყველაზე დიდი და ძვირადღირებული. ორაგულს მტკნარი წყლის თევზების მეფესაც უწოდებდნენ (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „лосось благородный“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კეთილშობილი ორაგული“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია სპარსული და ფრანგული ნასესხობების შეერთებით. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ რუსული ტერმინის მოდელირებაზე გავლენა იქონია სპარსულმა ენამაც. ქართული ტერმინი კი ნაწარმოებია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(53) **Stingray** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და შედგება ძირეული ინგლისური *sting* და ფრანგულიდან *ნასესხები ray* სიტყვებისაგან. ტერმინი გამოიყენება გრძელი და წვრილი კუდის მქონე თევზის ერთ-ერთი სახეობის აღსანიშნავად, რომელიც თავის შხამიან კუდს იყენებს მსხვერპლზე თავდასხმის დროს (*etymonline.com, OED*).

ტერმინის რუსული შესატყვისია „кот морской“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ზღვის კატა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვისა და ფრანგულიდან *ნასესხები* სიტყვის შეერთებით. ანალიზიდან ჩანს, რომ ქართული ტერმინი რუსული ენიდან არის კალკირებული.

(54) **Vent** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში *ნასესხებია* ფრანგულიდან. ფრანგული ტერმინი *fente* მიღებულია ლათინური სიტყვისგან *findere*. ლათინური ძირის მნიშვნელობაა „დაყოფა, დაშორება“. ინგლისურში სწორედ ამ ნიშნით დაერქვა მას ეს სახელი (*OED*).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „отверстие клоаки“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კლოაკის ხვრელი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი *ნასესხებია* ფრანგულიდან. ქართული ტერმინი წარმოებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხებით.

(55) **Zeomorphs** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც აღნიშნავს თევზის ერთ-ერთ სახეობას. ტერმინი ინგლისურში *ნასესხებია* ლათინურიდან (*merriam-webster.com*).

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „солнечникообразные“.

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „მზიურასნაირი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი გაკეთებულია რუსული ენის მიხედვით.

(56) **Kidney vetch** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინის და მიღებულია ძირეული ინგლისური kidney და ფრანგულიდან ნასესხები vetch სიტყვების შეერთებით (etymonline.com).

ტერმინის რუსული შესატყვისია „заячий клевер“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კურდღლის ბალახი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ძირეული ინგლისური სიტყვისა და ფრანგული ნასესხობისაგან. სავარაუდოდ, რუსული ტერმინი მცენარეს დაერქვა იმ ნიშნით, რომ ის ერთ-ერთი საყვარელი მცენარეა საჭმელად კურდღლისთვის. ქართული ტერმინი რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით არის მიღებული.

(57) **Mousetail** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან mouse და tail (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „мышехвостник“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „თაგვიკუდა“.

\*\*\*

ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს მსგავს სტრუქტურას. სავარაუდოდ, ტერმინები რუსულსა და ინგლისურ ენებში ნაწარმოებია კალკირების გზით ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინი რუსული ენიდან უნდა იყოს მიღებული სტრუქტურული სესხების გზით.

(58) **Ragged robin** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც მიღებულია ძირეული ინგლისური სიტყვის rag და ფრანგულიდან ნასესხები robin სიტყვების შეერთებით. ინგლისურ ენაში მას ასევე უწოდებენ *cuckoo-flower*-ს,

რომლითაც ისეთ ველურ ყვავილებს მოიხსენიებენ, რომლებიც გუგულის გალობის პერიოდში, გაზაფხულზე ყვავიან ბუნებაში (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „кукушкин цвет“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „გუგულის ყვავილი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ძირეული ინგლისური სიტყვისა და ფრანგული ნასესხობისაგან. ქართული ტერმინი ნაწარმოებია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (59) **Sundew** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ძირეული ინგლისური სიტყვებისაგან sun და dew. მცენარის ჯირკვლოვანი ბუსუსები გამოყოფს წებოვან წვეთებს, რომლებიც მზის შუქზე ცრემლებივით ელვარებენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ ნიშნით დაერქვა ინგლისურში მას ეს სახელი (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „мухаловка“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ბუზიჭერია“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება მშობლიური ინგლისური სიტყვებისაგან. რუსული ტერმინი შესაძლოა ლათინური ან რომელიმე ევროპული ენიდან იყოს კალკირებული. მოცემული მცენარე იმითაა გამორჩეული, რომ მისი ნექტარი იზიდავს მწერებს და მასზე დაჯდომის შემთხვევაში ისინი მახეში ებმებიან. ქართული ტერმინი მოდელირებულია კალკირების გზით რუსული ენიდან.

- (60) **Turkish filbert** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია. იგი შედგება ფრანგული ნასესხობებისაგან turk და filbert, რომელიც თხილს აღნიშნავს (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „медвежий орех“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „დათვისთხილა“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ფრანგული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი წარმოებულია რუსული ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

- (61) **Wild einkorn** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია და შედგება ძირეული ინგლისური wild და გერმანულიდან ნასესხები einkorn სიტყვებისაგან. გერმანული ძირის (*einkorn*) მნიშვნელობაა „ერთი მარცვალი“ (OED). ტერმინის რუსული შესატყვისია „дикая однозернянка“. ტერმინის ქართული შესატყვისია „ველური ცალმარცვალი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ინგლისური ძირის სიტყვისა და გერმანულიდან ნასესხები სიტყვის შეერთებით. როგორც ამ ტერმინების შედარებით ჩანს, სამივე ეკვივალენტს საერთო სტრუქტურა აქვს. რუსული ტერმინი კალკია ლათინური ენიდან ან რომელიმე ევროპული ენიდან. ქართული ტერმინი, სავარაუდოდ, შემოსულია რუსული ენიდან და ორმაგი კალკირების შედეგია.

- (62) **Bank swallow** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია, რომელიც მიღებულია გერმანიკული ძირის სიტყვების bank და swallow შეერთებით (OED). ტერმინის რუსული შესატყვისია „ласточка береговая“. ტერმინის ქართული შესატყვისია „მენაპირე მერცხალი“.

\*\*\*

ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს მსგავს სტრუქტურას. სავარაუდოდ, ტერმინები რუსულსა და ინგლისურ ენებში ნაწარმოებია კალკირების გზით ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინი რუსული ენიდან უნდა იყოს მიღებული სტრუქტურული სესხების გზით.

- (63) **Dent corn** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც მიღებულია ფრანგული ძირის dent და ინგლისური ძირის corn სიტყვებისაგან (OED). ტერმინის რუსული შესატყვისია „кукуруза зубовидная“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კბილა-სიმინდი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ფრანგული და ინგლისური ძირის სიტყვებისაგან. ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს მსგავს სტრუქტურას. სავარაუდოდ, ტერმინები რუსულსა და ინგლისურ ენებში ნაწარმოებია კალკირების გზით ლათინური სახელწოდებიდან (ლათინური შესატყვისია *dentiformis*). ქართული ტერმინი რუსული ენიდან არის მიღებული სტრუქტურული სესხების გზით.

- (64) **Australian lungfish** - ინგლისური ზოოლოგიური ტერმინია და მიღებულია ფრანგულიდან ნასესხები Australian და ძირეული ინგლისური სიტყვების lung და fish შეერთებით (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „однолегочниковые“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ერთფილტვიანები“, „ნეოცერატოდისებრნი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ფრანგული და ინგლისური ძირის სიტყვების შეერთებით. ამ ტერმინის ეკვივალენტების შედარება სამივე ენაში ავლენს თითქმის ერთნაირ სტრუქტურას. სავარაუდოდ, ტერმინები რუსულსა და ინგლისურ ენებში ნაწარმოებია კალკირების გზით ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინი შექმნილია რუსული ენიდან კალკირებით, სავარაუდოდ მის წარმოებაზე ლათინურ სახელწოდებასაც ჰქონდა გავლენა (ლათინური შესატყვისია *Neoceratodontidae forsteri*).

- (65) **Hawkbit** - ინგლისური ბოტანიკური ტერმინია, რომელიც შედგება ლათინურიდან ნასესხები hawk და ძირეული ინგლისური სიტყვის bit შეერთებით (OED).

ტერმინის რუსული შესატყვისია „кулибаба“.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ლომისკბილა“ (ლათ: leontodon)

ინგლისური ტერმინი შედგება ლათინური და ინგლისური ძირის სიტყვებისაგან. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართული ტერმინი ნაწარმოებია ლათინური ენის მიხედვით.

როგორც მასალის ანალიზმა გამოავლინა, დიდია რუსული ენის გავლენა განხილული დარგების ტერმინების წარმოების პროცესზე. სტრუქტურული სესხება ტერმინთა წარმოების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად გამოიკვეთა. გარდა ზემოთ განხილული მაგალითებისა, ეს ტენდენცია კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც (იხ. 71-85).

- (66) **Акула гребнезубая** - სავარცხელკბილა ზვიგენი
- (67) **Амур плоскоголовы** - ბრტყელთავა ამური
- (68) **Белоглазка южная** - სამხრეთული თეთრთვალა
- (69) **Белорыбица** - თევზთეთრა
- (70) **Бесчелюсные позвоночные** - უცხო ხერხემლიანები
- (71) **Большеглаз** - თვალდიდა, დიდთვალა
- (72) **Бородатка длинноусая** - გრძელულვაშა წვეროსანი
- (73) **Бычки широколобки** - განიერშუბლა ღორჯო
- (74) **Бычок трехзубый темный** - მუქი სამკბილა ღორჯო
- (75) **Губан гребенчатый серый** - რუხი სავარცხლურა ტუჩოსანი
- (76) **Длинноперы** - გრძელფარფლა
- (77) **Долгохвост вооруженный** - შეიარაღებული ბოლოგრძელა
- (78) **Желтопер чернобрюшка** - შავმუცელა ფარფლყვითელა
- (79) **Зубан большеглазый** - დიდთვალა კბილანა
- (80) **Зубатка тонкохвостая** - წვრილკუდა კბილანა

ქართული ტერმინები ხშირად ორმაგი კალკირების შედეგია. რუსული ტერმინი ნაწარმოებია ლათინური, ბერძნული ან რომელიმე ევროპული ენიდან, ქართული კი რუსული ენიდან. კალკირებისას, უცხო ენის სტრუქტურაში უცხო სიტყვებს ანაცვლებს მშობლიური ენის სიტყვები, რის შედეგადაც ვიღებთ გამჭვირვალე, ადვილად გასაგებ და აღსაქმელ ტერმინებს. ტერმინთა კალკირებას

ბერძნული ენიდან ხშირად მიმართავდნენ შუა საუკუნეების ქართველი მთარგმნელებიც (მელიქიშვილი, 2022). ტერმინთა წარმოება სტრუქტურული სესხების, ანუ კალკირების გზით, ტერმინთა წარმოების გავრცელებული მეთოდია, რომელიც ევროპულ ენებშიც გვხვდება და მას აგრეთვე ანალოგურ მეთოდსაც უწოდებენ.

განხილული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამ ასევე გამოკვეთა, რომ ქართველი ტერმინოლოგები მიმართავენ მეტაფორას და საერთო ლექსიკის სიტყვები გადააქვთ ტერმინოლოგიაში, ანიჭებენ მათ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას: თვალის ფსკერი, ფილტვის მწვერვალი, მარყუჟი, ორგანოს შესასვლელი, კბილის ფესვი, ფოთლის უბე და სხვა. ხშირია ტერმინის გადატანა დარგიდან დარგში, მაგ. გრდემლი, როგორც ანატომიური ტერმინი, კონუსი, როგორც ბოტანიკური ტერმინი და სხვა. საერთო ლექსიკის სიტყვების მეტაფორული გადააზრება ხშირად ასევე უცხო ენის, განხილული დარგებისათვის, რუსული ენის ეკვივლენტური სიტყვების ანალოგიით ხდება, რასაც სემანტიკურ სესხებას ვუწოდებთ.

ქართველი ტერმინოლოგები ხშირად მიმართავენ შედარებას ტერმინქმნადობისას და ამისათვის იყენებენ მსგავსების გამომხატველ სადერივაციო ელემენტს, -ებრ სუფიქსს. მაგ.: ფრთისებრი, სოლისებრი, მილაკისებრი, მარყუჟისებრი, ფარვანასებრი და სხვა. ასევე გვხვდება სხვა დერივანტებიც: -ოვან (ჯირკვლ-ოვან-ი), სა-ე (სა-ცრემლ-ე), -იან (მილაკებ-იან-ი), უ-ო (უ-სადინარ-ო) და ა.შ.

განხილული დარგების ტერმინებში გვხვდება პირდაპირი ნასესხობაც. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში, ტრანსლიტერაციით შექმნილ ტერმინებს ახლავს სინონიმებიც ქართულ ენაზე, ანუ ხშირია საერთაშორისო ტერმინისა და მისი ქართული სინონიმის თანაარსებობა (იხ. მაგალითები 86-93):

- (81) **Areola** - ანატ. არეოლა, ძუძუს ბაკი, ძუძუს გვირგვინი
- (82) **Brachycephaly** - ანატ. ბრაქიკეფალია, მოკლეთავიანობა.
- (83) **Circumduction** - ანატ. ცირკუმდუქცია, წრიული მოძრაობა (*ძვლის სახსარში*).
- (84) **Dolichocephaly** - ანატ. დოლიკოკეფალია, გრძელთავიანობა.
- (85) **Endocranium** - ანატ. ენდოკრანიუმი, ქალასშიგა კანი.
- (86) **Gangliform** - ანატ. განგლიოზური, კვანძოვანი

(87) **Postbranchial** - ანატ. პოსტბრანქიალური, ლაყურუკანა

(88) **Postcranial** - ანატ. პოსტკრანიალური, თავისქალისუკანა.

ტერმინთა სესხების ერთ-ერთი მეთოდია ფლორის ან ფაუნის წარმომადგენელთა ლათინური სახელწოდების ტრანსლიტერაცია. ლათინური სახელის ტრანსლიტერაციას ხშირად ვხვდებით ანატომიური ტერმინების წარმოების დროსაც. ამ შემთხვევაშიც იგრძნობა რუსული ენის გავლენა, რადგან ქართველი ტერმინოლოგები ამ მეთოდს, ხშირად, მიმართავენ რუსული ენის ანალოგიით. ქვემოთ წარმოდგენილია ასეთი სესხების რამდენიმე მაგალითი (იხ. 94-100).

(89) **Гимнелисы** (*Gymnelinae*) - ზოოლ. გიმნელისები.

(90) **Гиодон** (*Hiodon selenops*) - ზოოლ. ჰიოდონი.

(91) **Гирелла** (*Girella*) - ზოოლ. გირელა.

(92) **Идиакантовые** (*Idiacanthidae*) - ზოოლ. იდიაკანთისებრნი.

(93) **Каламихты** (*Calamoichthus*) - ზოოლ. კალამიქთი.

(94) **Каллихтис** (*Callichthys thoracicus*) - ზოოლ. კალიქთისი.

(95) **Каранкс** (*Caranx*) - კარანქსი.

განხილული დარგების ტერმინები, ცხადია მოიცავს საკუთრივ ქართულ ტერმინებსაც, რომლებიც შეიქმნა ქართულ ენაში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე როგორც მცენარეების, ისე ცხოველების თუ სხვადასხვა ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ცნების გადმოსაცემად.

## დასკვნა

ტერმინოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში. ტერმინოლოგიის როგორც ქართველი, ისე უცხოელი თეორეტიკოსები ხაზს უსვამენ ტერმინთა გამჭვირვალობისა და მოტივირებულობის აუცილებლობას, რადგან ტერმინოლოგია არის დარგის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის ძირითადი საშუალება. ისინი ასევე ხაზს უსვამენ იმ ზიანს, რაც ბუნდოვანმა და დაუმუშავებელმა ტერმინოლოგიამ შეიძლება მოუტანოს ენას. საყურადღებოა მათი გაფრთხილება იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც ტერმინთა უცხო ენებიდან დიდი რაოდენობით სესხებამ შეიძლება გამოიწვიოს (ლამბაშიძე, 1986; ღლონტი, 1964; მელიქიშვილი, 2022; Cabre, 1992 და სხვები).

2022-2023 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომლის შედეგებიც მეორე თავში დეტალურად წარმოვადგინეთ, დაგვანახა, რომ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია სწორედ ინგლისური ენიდან პირდაპირი სესხების გზით ივსება და რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ენაში ნასესხები და, ამდენად, ბუნდოვანი, გაუმჭვირვალე ტერმინების რაოდენობა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება უფრო ღრმად შეგვესწავლა რამდენიმე ტრადიციული დარგის ტერმინები და მათი წარმოების მეთოდები.

როგორც ჩვენმა ანალიზმა აჩვენა, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ქართული ტერმინების წყარო ძირითადად ქართული ენაა. კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორი რუდუნებით, ქართული ენის ნორმების დაცვითა და ქართული ენის რესურსების აქტიური გამოყენებით იქმნებოდა ტერმინოლოგია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში.

განხილული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამ გამოკვეთა, რომ ქართველი ტერმინოლოგები მიმართავენ მეტაფორას და საერთო ლექსიკის სიტყვები გადააქვთ ტერმინოლოგიაში, ანიჭებენ მათ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას. საერთო ლექსიკის სიტყვების მეტაფორული გადააზრება ხშირად სემანტიკური სესხების გზით ხდება, ძირითადად, რუსული ენის ეკვივალენტური სიტყვების ანალოგიით.

ქართველი ტერმინოლოგები ხშირად იყენებენ შედარებას ტერმინთა წარმოებისას მსგავსების გამომხატველ სადერივაციო ელემენტის მეშვეობით.

ქართველი ტერმინოლოგები ყველაზე ხშირად მიმართავენ სტრუქტურული სესხების მეთოდს ტერმინების შექმნისას. აქვე გამოვლინდა, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, XX საუკუნეში შექმნილ ქართულ ტერმინოლოგიაზე დიდი იყო რუსული ენის გავლენა და ტერმინების უმრავლესობა ნაწარმოებია რუსული ენის ტერმინოლოგიის სტრუქტურის მიხედვით. რუსული ტერმინების წარმოებისას ვხვდებით ლათინური და ბერძნული ძირების თარგმნით მიღებულ ტერმინებს, ხშირია სტრუქტურული სესხებაც რუსულ ენაში რომელიმე ევროპული ენიდან ან მცენარისა და ცხოველის ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინები კი მოდელირებულია რუსული ტერმინების მიხედვით, თარგმნილია რუსულიდან ან კალკირებულია რუსული ენიდან. მიუხედავად ამისა, შედეგად მივიღეთ გამჭვირვალე, ადვილად გასაგები და აღსაქმელი ქართული

ტერმინები. სტრუქტურული სესხებისას ქართველი ტერმინოლოგები ასევე აქტიურად იყენებდნენ ლათინური ენის მოდელებს.

განხილულ დარგებში ნაკლებად გვხვდება პირდაპირი სესხება. ტერმინთა პირდაპირი სესხების წყაროც რუსული და ლათინური ენებია.

აღნიშნული დარგების ინგლისურ ტერმინებზე დაკვირვებამ გამოავლინა მათი მოდელირების თავისებურებები. კერძოდ, მათი ერთსიტყვიანი ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია ლათინური და, რიგ შემთხვევაში, ბერძნული ენებიდან ნასესხები სიტყვებისგან. ლათინური და ბერძნული ნასესხობა, ჩვეულებრივ, შეიცავს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მოცემული ცნების ერთ-ერთი მახასიათებელია. რაც შეეხება შედგენილ ტერმინებს და, ნაწილობრივ, რთულ ტერმინებს, ისინი უფრო ხშირად ინგლისური ენის რესურსებითაა ნაწარმოები. ინგლისური ენის რესურსებში ვგულისხმობთ როგორც გერმანიკულ სიტყვებს, ან ინგლისურ ენაში ნაწარმოებ სიტყვებს, ასევე ადრეულ პერიოდში ნასესხებ სიტყვებს ფრანგული ან სხვა ენებიდან, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ახალი ინგლისური ენის ლექსიკაში. ტერმინთა წარმოება, ამ შემთხვევებშიც, ეფუძნება ცნების ერთ-ერთ მახასიათებელს. ტერმინთა წარმოებისას გამოყენებულია მცენარეთა და ცხოველთა ლათინური დასახელებები სტრუქტურული სესხების მეთოდის გამოყენებით.

### **3.2. თანამედროვე ქართულ ტერმინთა მოდელირების ტენდენციები**

**იმუნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური და გენეტიკური ტერმინების მაგალითზე.**

კვლევის შემდგომ ეტაპზე გაანალიზებულ იქნა შედარებით გვიან განვითარებული დარგების (იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, გენეტიკა) ტერმინოლოგია. 800 ტერმინიდან ამ შემთხვევაშიც შემთხვევით შერჩევითობის პრინციპით უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით შეირჩა 100 ტერმინი.

მოცემული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ დარგების ტერმინოლოგიაზე ძალიან დიდია ინგლისური ენის გავლენა. ქართული ტერმინები ძირითადად იქმნება ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით. აღნიშნული ტერმინების ანალიზისას ასევე მივმართეთ ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდს და სამ ენაში ტერმინთა მოდელირების შედარებით შესწავლას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ქართული ტერმინი

ინგლისური ენიდან მოდელირებულია სტრუქტურული სესხების გზით, მაგრამ აქ საყურადღებო არის ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებშიც კი ზოგჯერ ინგლისური ტერმინის სტრუქტურაში ინგლისური სიტყვები სრულად ჩანაცვლებული არ არის ქართული სიტყვებით, არამედ ტრანსლიტერირებულია. ყოველივე ტერმინს ხდის ბუნდოვანს ქართულენოვანი მომხმარებლისთვის და იკარგება ტერმინის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისება ანუ ის არ არის გამჭვირვალე და მარტივად აღსაქმელი. იშვიათ შემთხვევაში ტრანსლიტერირებულ ტერმინთან ერთად სინონიმურ წყვილად გვევლინება ქართული ენის რესურსებით შექმნილი ვარიანტიც. ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტერმინთა ნიმუშებს:

**(1) Adjuvant** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ვაქცინებში იმუნიტეტის გამაძლიერებელი ინგრედიენტის აღსანიშნად გამოიყენება. ტერმინი ინგლისურში ნასესხებია ფრანგულიდან (OED) ადრეულ ახალ ინგლისურ პერიოდში.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ადიუვანტი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან და მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ინგლისურში. იმუნოლოგიის დარგში მისი გამოყენება არის ტერმინის დარგიდან დარგში გადასვლის მაგალითი. ქართული ტერმინი ტრანსლიტერაციის გზით არის მიღებული ინგლისური ენიდან. საყურადღებოა ტერმინის რუსული ეკვივალენტი адъювант, ასევე ტრანსლიტერაციით შექმნილი ინგლისური ენიდან.

**(2) Affinity** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ნიშნავს ნათესაური კავშირის ქონას. ტერმინი ინგლისურში ნასესხებია ფრანგულიდან (OED) 1300 წელს. სიტყვა ლათინური ძირისაა და ადრეულ ნასესხობას განეკუთვნება.

ტერმინის ქართული შესატყვისია „აფინობა“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „родство“.

\*\*\*

თუმცა ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგულიდან, იგი ადრეულ ნასესხობას განეკუთვნება. ეს სიტყვა პოლისემიურია ინგლისურ ენაში, მას აქვს არატერმინოლოგიური მნიშვნელობაც და სხვა დარგებშიც გამოიყენება. ამდენად, აქაც გვაქვს ტერმინის დარგიდან დარგში გადასვლის მაგალითი ან საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის მაგალითი. ქართული ტერმინი მიღებულია ინგლისური ტერმინის ტრანსლიტერაციის გზით.

**(3) Anergy** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ნიშნავს ამა თუ იმ ანტიგენზე ნორმალური იმუნური პასუხის უქონლობას. ინგლისურში ტერმინი ნასესხებია ბერძნულიდან (OED) და ცნების ერთ-ერთ მახასიათებელს აღნიშნავს.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ანერგია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „толерантность“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ბერძნულიდან. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით.

**(4) Antigenic shift** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია, რომელიც მიღებულია გერმანული ძირის antigen და მშობლიური ძირის shift სიტყვების შეერთებით (etymonline.com; OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ანტიგენური შიფტი“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „антигенный сдвиг“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია გერმანული და მშობლიური ინგლისური სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი ნაწარმოებია ინგლისური ენის გავლენით.

(5) **Bivalent** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და მისი კომპონენტები bi- და valent ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ბივალენტური“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „бивалент“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინური ენიდან. ქართული ტერმინი მიღებულია ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით.

(6) **Cognate** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია, რომელიც ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან (OED) და ნიშნავს „ერთნაირს“, „მსგავსს“.

ტერმინის ქართული შესატყვისია: „კოგნატური“, „მსგავსი“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან და იგი იურიდიული ტერმინია ინგლისურში. მას აქვს არატერმინოლოგიური მნიშვნელობებიც. ამ შემთხვევაში იურიდიული ტერმინი გამოყენებულია იმუნოლოგიაში. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენის გავლენით. სინონიმურ წყვილად გვხვდება ტრანსლიტერაციის გზით და ქართული ენის რესურსებით შექმნილი ვარიანტები.

(7) **Combining site** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ინგლისურში მიღებულია ფრანგული ძირის სიტყვების combine და site შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „კომბინატორული საიტი“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „связавающий сайт; комбинаторный сайт“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ფრანგული ძირის სიტყვებისაგან. ორივე ეს სიტყვა ადრეულ ნასესხობას განეკუთვნება და ინგლისურ ენაში სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება.

ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით.

**(8) Complement** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „კომპლემენტი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „комплемент“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ეს სიტყვა ადრეული ნასესხობაა და ინგლისურ ენაში რამდენიმე დარგში გამოიყენება. ქართული ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან. აღსანიშნავია, რომ რუსული ტერმინიც ინგლისურიდანაა ნასესხები.

**(9) Constant domain** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და მიღებულია ფრანგული ენიდან ნასესხები ლათინური ძირის სიტყვების constant და domain შერთვით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „კონსტანტური დომენი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „константная область; C-домен“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ლათინური ძირის სიტყვებისაგან, რომლებიც ინგლისურ ენაში ფრანგული ენიდან შევიდა და ცალ-ცალკე რამდენიმე პოლისემიური, მათ შორის, ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. ქართული ტერმინი ნაწარმოებია ინგლისური ენის გავლენით. ინგლისური ენის გავლენითაა ნაწარმოები რუსული ტერმინიც.

**(10) Follicular dendritic cell** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ლათინური ძირის სიტყვებისგან follicle და cell და ბერძნული ნასესხობისგან dendrite (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ფოლიკულური დენდრიტული უჯრედი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „фолликулярная дендритная клетка“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ბერძნული ძირის სიტყვებისგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენიდან კალკირების გზით. ამავე მეთოდითაა შექმნილი რუსული ტერმინიც.

- (11) **Germinal centre** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ნაწარმოებია ლათინური ძირის სიტყვებისგან germinal და centre (etymonline.com). ტერმინი გამოიყენება ლიმფური კვანძის სტრუქტურის აღსანიშნად, სადაც ანტიგენზე მოპასუხე B ლიმფოციტების გამრავლება მიმდინარეობს. ტერმინის ქართული შესატყვისია „გერმინაციული ცენტრი“. ტერმინის რუსული ეკვივალენტია „зародышевый центр“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შექმნილია ინგლისურ ენაში ლათინური ძირის სიტყვებისგან. ქართული ტერმინი ნაწარმოებია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხებით.

- (12) **High endothelial venule** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ის შედგება ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვისაგან high, გერმანული ძირის სიტყვისაგან endothelioma და ლათინური ძირის სიტყვისაგან venule (OED). ტერმინის ქართული შესატყვისია „მაღალი ენდოთელიალური ვენულა“. ტერმინის რუსული შესატყვისია „наружная эндотелиальная венула“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში მშობლიური და ნასესხები ძირის სიტყვებისგან. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენიდან კალკირების გზით.

(13) **Homing** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და აღნიშნავს უჯრედების სწრაფვას მათი წარმომქმნელი ორგანოსაკენ. ტერმინი მშობლიურია ინგლისური ენისათვის (etymonline.com).

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „ჰომინგი“.

ტერმინის რუსული შესატყვისი „хоуминг“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მშობლიურია ინგლისური ენისათვის. იგი პოლისემიური სიტყვაა და აქვს რამდენიმე ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. ეს ტერმინი შეიქმნა ან ზოგადი მნიშვნელობის ტერმინოლოგიზაციით, ან გადავიდა იმუნოლოგიის დარგში რომელიმე სხვა დარგიდან. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან. ინგლისური ენიდან არის ტერმინი ნასესხები რუსულ ენაშიც.

(14) **Hypervariable region** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და შედგება ბერძნული ძირის სიტყვისგან hyper და ლათინური ძირის სიტყვებისაგან variable და region (etymonline.com).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ჰიპერვარიაბელური უბანი“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „гипервариабельный участок“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ბერძნული და ლათინური ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი კალკირებულია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც ინგლისური ენის კალკია.

(15) **Interleukins** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და ნიშნავს ლეიკოციტების მიერ სინთეზირებული ციტოკინების ჯგუფს. ინგლისური ტერმინი მიღებულია ლათინური ძირის inter და ბერძნული ძირის leukin სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ინტერლეიკინები“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „интерлейкины“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ინგლისურ ენაში ლათინური და ბერძნული ძირის სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით. ამავე მეთოდითაა ტერმინი შექმნილი რუსულ ენაში.

- (16) **Membrane attack complex** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და შედგება ლათინურიდან ნასესხები სიტყვისაგან membrane და complex და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისაგან attack (OED).  
ტერმინის ქართული შესატყვისია „მემბრანის შემტევი კომპლექსი“.  
ტერმინის რუსული შესატყვისია „мембраноатакующий комплекс“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდით არის მოდელირებული რუსული ტერმინიც.

- (17) **Additive factor** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და მიღებულია ლათინური ძირის additive და ფრანგული ძირის factor სიტყვების შეერთებით (OED).  
ტერმინის ქართული ეკვივალენტია „ჯამური ფაქტორი“.  
ტერმინის რუსული შესატყვისია „аддитивный фактор“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ლათინური და ფრანგული ძირის სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი წარმოებულია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით. რუსული ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან.

(18) **Additive genetic variance** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და მიღებულია ლათინური ძირის additive, ბერძნული ძირის genetic და ფრანგული ძირის variance სიტყვებისაგან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ჯამური გენეტიკური ცვალებადობა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „аддитивная генетическая варианса“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური, ბერძნული და ფრანგული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით. რუსული ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან.

(19) **Commaless genetic code** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია, რომელიც შედგება ლათინური comma და genetic, ძირეული ინგლისური ბოლოსართი less და ფრანგული code სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „გენეტიკური კოდი მძიმეების გარეშე“, „უწყვეტი გენეტიკური კოდი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „непрерывность генетического кода“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური, ფრანგული და ინგლისური ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით.

(20) **Extranuclear inheritance** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება ლათინურიდან ნასესხები extra, nucleus და ფრანგული ძირის inherit სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ბირთვგარეშე მემკვიდრულობა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „материнское наследование“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი სტრუქტურული სესხების გზით არის ნაწარმოები ინგლისური ენიდან.

(21) **Genetically modified crops** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ბერძნულიდან ნასესხები genetic, ფრანგულიდან ნასესხები modify და ძირეული ინგლისური სიტყვის crop შეერთებით (etymonline.com).

ტერმინის ქართული შესატყვისია „გენეტიკურად მოდიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები/მცენარეები“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „генетически модифицированная культура“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და ბერძნული ნასესხობებისა და ინგლისური ძირეული სიტყვისაგან. ქართული ტერმინი წარმოებულია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(22) **Seroconversion** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ლათინური ძირის სიტყვისგან sero, serum და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისაგან conversion (OED). ტერმინი აღნიშნავს სპეციფიკური ანტისხეულების გამომუშავებას ორგანიზმში ამა თუ იმ ანტიგენის მოხვედრის საპასუხოდ.

ტერმინის ქართული შესატყვისია „სეროკონვერსია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „сероконверсия“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინურიდან და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან. ინგლისური ენიდან არის ნასესხები რუსული ტერმინიც.

(23) **Vascular addressin** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და აღნიშნავს სისხლძარღვის ენდოთელიალური შრის მოლეკულას, რომელიც ლიმფოციტების მიგრაციასა და ჰოუმინგში მონაწილეობს. ტერმინი შედგება ინგლისურში ლათინურიდან ნასესხები სიტყვისგან vascular და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისგან address (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ვასკულარული ადრესინი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „белок стенки сосудов“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ნასესხობებისგან. ქართული ტერმინი ტრანსლიტერაციის გზით არის მიღებული ინგლისური ენიდან.

(24) **Amplification** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინური ენიდან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ამპლიფიკაცია, რაოდენობის გამრავლება“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „амплификация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. მას ინგლისურ ენაში აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, მათ შორის ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. ტერმინი მიღებულია საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის შედეგად. ქართულში გვხვდება, როგორც ტრანსლიტერაციის გზით მიღებული, ასევე ქართული ენის რესურსებით შექმნილი ვარიანტი. ორივე მათგანი გვაქვს სინონიმების სახით ენაში. რუსული ტერმინი კი ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(25) **Annidation** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ლათინურიდან (wikipedia.org).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ანიდაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „аннидация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ლათინურიდან. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან. ინგლისური ენიდან არის ნასესხები რუსული ტერმინიც.

(26) **Antagonistic pleiotropy** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგული ძირის antagonistic და გერმანული სიტყვის pleiotropy შერთების შედეგად (OED).

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „ანტაგონისტური პლეიოტროპია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „антагонистическая плейотропия“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და გერმანული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან.

(27) **Cassette mutagenesis** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება ფრანგულიდან ნასესხები cassette და muta, ბერძნული ძირის genesis სიტყვების შერთებით (OED). ტერმინი აღნიშნავს პლაზმიდში ამა თუ იმ სპეციფიკური მონაკვეთის ამოჭრას და სინთეზირებული ფრაგმენტით ჩანაცვლებას.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კასეტური მუტაგენეზი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „кассетный мутагенез“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და ბერძნული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კი ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით არის ნაწარმოები. ინგლისური ენიდან არის ტრანსლიტერირებული რუსული ტერმინიც.

(28) **Chromatin diminution** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება გერმანულიდან ნასესხები chromatin და ფრანგულიდან ნასესხები diminution

სიტყვებისაგან (OED). ტერმინი აღნიშნავს ქრომოსომათა სეგმენტების გაქრობას ემბრიოგენეზის დროს.

ტერმინის ქართული შესატყვისია „ქრომატინის დიმინუცია/დაკლება“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „диминуция хроматина“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში გერმანული და ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით.

(29) **Constitutive mutation** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია, რომელიც შედგება ლათინური constitutive და ფრანგული mutation სიტყვებისაგან (OED). ტერმინი გამოიყენება ისეთი მუტაციის არსანიშნად, რომელიც ბაქტერიის მიერ რამდენიმე ფუნქციურად მონათესავე ინდუცირებადი ფერმენტის მუდმივ სინთეზს იწვევს.

ტერმინის ქართული შესატყვისია „კონსტიტუციური მუტაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „конститутивная мутация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდით არის მოდელირებული რუსული ტერმინიც ინგლისური ენიდან.

(30) **Crossover fixation** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგული ძირის cross, ინგლისური ძირის over და ლათინურიდან ნასესხები fixation სიტყვებისაგან (etymonline.com).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ფიქსაცია კროსინგოვერის დროს“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „фиксация при кроссинговере“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული, ლათინური და ინგლისური ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კი წარმოებულია ინგლისური ენის მიხედვით.

(31) **Dihybrid** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია. მისი კომპონენტები di, რომელიც აღნიშნავს ორმაგს და hybrid ლათინურიდან არის ნასესხები ინგლისურში (OED).

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „დიჰიბრიდი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „дигетерозигота“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ლათინური ენიდან ნასესხები ერთეულებისაგან. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(32) **Dominant negative mutation** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან dominant, negative და mutation (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „დომინანტურ-ნეგატიური მუტაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „доминантно-негативный мутация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდითაა მოდელირებული რუსული ტერმინიც ინგლისური ენიდან.

(33) **Enhancer** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ენჰანსერი“, „გამამძლიერებელი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „энхансер“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგული ენიდან. მას ინგლისურ ენაში აქვს სხვა მნიშვნელობაც გარდა გენეტიკურისა. სავარაუდოდ, ტერმინი მიღებულია საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის შედეგად. ქართულში კი სინონიმურ წყვილად ვხვდებით ტერმინის ინგლისური ენიდან ტრანსლიტერირებულ და ქართული ენის რესურსებით შექმნილ ვარიანტებს. რუსული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(34) **Facultative heterochromatin** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება ფრანგულიდან ნასესხები facultative და გერმანულიდან ნასესხები heterochromatin სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ფაკულტატიური ჰეტეროქრომატინი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „факультативный гетерохроматин“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და გერმანული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით.

(35) **Acceptor splicing site** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ფრანგული ენიდან ნასესხები acceptor და site, გერმანიკული ძირის splicing სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „სპლაისინგის აქცეპტორული უბანი/საიტი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „акцепторный участок сплайсинга“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდითაა მოდელირებული რუსული ტერმინიც ინგლისური ენიდან.

(36) **Affinity chromatography** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ფრანგული ძირის affinity, ბერძნული ძირის chromato- და გერმანიკული ძირის graphy სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „აფინური ქრომატოგრაფია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „афинная хроматография“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული, ბერძნული და გერმანიკული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან.

(37) **Blotting** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და არის გერმანიკული ძირის სიტყვა (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ბლოტინგი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „перенос промоканием“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება გერმანიკული ძირის სიტყვისაგან. მას ინგლისურ ენაში აქვს სხვა მნიშვნელობაც. სავარაუდოდ ტერმინი მიღებულია საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის შედეგად. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(38) **Electroporation** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ბერძნული electro და ფრანგული pore სიტყვებისაგან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ელექტროპორაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „электропорация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი მიღებულია ბერძნული და ფრანგული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(39) **Gene splicing** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება გერმანული gene და ასევე გერმანიკული ძირის splicing სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „გენის სპლაისინგი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „сплайсинг гена“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ტრანსლიტერაციის გზით არის წარმოებული ინგლისური ენიდან. ასევე ინგლისური ენიდან ტრანსლიტერირებულია რუსული ტერმინიც.

(40) **Genetic manipulation** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ლათინურიდან ნასესხები genetic და ფრანგულიდან ნასესხები manipulation სიტყვების შეერთებით (etymonline.com).

ტერმინის ქართული შესატყვისია „გენეტიკური მანიპულაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „манипуляции с генами“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდითაა მოდელირებული რუსული ტერმინიც.

(41) **Insertional inactivation** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ლათინურიდან ნასესხები insertion და ფრანგული ძირის active სიტყვებისაგან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ჩართვითი/ინსერციული ინაქტივაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „инсерционная инактивация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კალკირებულია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით.

(42) **Linker** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და ტერმინს საფუძვლად უდევს გერმანიკული ძირის სიტყვა link (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ლინკერი“, „მაკავშირებელი“, „შემაერთებელი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „сшивка; связующее звено; линкер“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი გერმანიკული ძირისაა. სავარაუდოდ ტერმინი ინგლისურში მიღებულია საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის შედეგად. ქართულში სინონიმებად გვხვდება ინგლისურიდან ტრანსლიტერაციის გზით მიღებული და ქართული ენის რესურსებით შექმნილი ვარიანტები. რუსული ტერმინიც მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით.

(43) **Northern blot** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან northern და blot (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ნოზერნ-ბლოტინგი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „нозерн-блот“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან.

(44) **Polylinker** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ბერძნულიდან ნასესხები poly- და გერმანიკული ძირის სიტყვისაგან linker (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „პოლილინკერი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „полилинкер“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ბერძნული და გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც ასევე ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(45) **Sequenator** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და sequence ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან (etymonline.com).

ტერმინის ქართული შესატყვისია „სეკვენატორი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „секвенатор“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგული ენიდან. სავარაუდოდ ინგლისური ტერმინი მიღებულია საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის გზით. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც ასევე ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(46) **Southern blot** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ინგლისური ძირის southern და ასევე გერმანიკული ძირის blot სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „საზერნ-ბლოტინგი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „саузерн блот анализ“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ძირეული ინგლისური და ზოგადად გერმანიკული ძირის სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(47) **Southwestern blot** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ინგლისური ძირის south, western და გერმანიკული ძირის blot სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული ეკვივალენტია „საზერნ-ვესტერნ ბლოტინგი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „саузерн-вестерн блот“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდითაა მოდელირებული რუსული ტერმინიც.

(48) **Transfection** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და მიღებულია ლათინური trans და ფრანგული fection სიტყვებისაგან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ტრანსფექცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „трансфекция“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი შედგება ლათინურიდან და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ტერმინი ასევე გამოიყენება გენეტიკის დარგში. ამდენად, შესაძლოა აქაც გვაქვს ტერმინის დარგიდან დარგში გადასვლის მაგალითი. ქართული ტერმინი ნასესხებია ინგლისური ენიდან.

(49) **Vital staining** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან vital და stain (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ვიტალური შეღებვა“, „ცოცხლად შეღებვა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „прижизненное окрашивание“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდით არის მოდელირებული რუსული ტერმინიც.

(50) **Effector cell** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და შედგება ლათინური ძირის effector და ფრანგული ძირის cell სიტყვებისაგან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ეფექტორული უჯრედი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „клетка-эфektor“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კალკირებულია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინი ასევე კალკირებულია ინგლისური ენიდან.

(51) **Framework region** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და შედგება გერმანიკული ძირის frame, ინგლისურისათვის მშობლიური სიტყვისგან work და ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისგან region (OED). ტერმინი აღნიშნავს იმუნოგლობულინის ცვალებადი რეგიონის ნაკლებად ცვალებად ნაწილს (bio.dict.ge).

ტერმინის ქართული შესატყვისია „კარკასული რეგიონი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „каркасная область; остовная область“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული, გერმანიკული და ინგლისური ძირის სიტყვის შეერთებით. ქართული ტერმინი კი ნაწარმოებია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით. რუსული ტერმინიც ინგლისური ენის კალკია.

(52) **Natural killer cell** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია, რომელიც შედგება ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისგან natural და cell და ასევე ინგლისური ძირეული სიტყვისაგან kill (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ბუნებრივი კილერული/მკვლელი უჯრედი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „нормальная клетка-киллер; натуральная клетка-киллер“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისა და ძირეული ინგლისური სიტყვის შეერთებით. ქართული ტერმინი კი კალკირებულია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც ინგლისური ენის კალკია.

**(53) Nonpermissive cell** - ინგლისური იმუნოლოგიური ტერმინია და მიიღება ლათინური ძირის თავსართის non და ფრანგული ძირის permit და cell სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „არდამშვები უჯრედი“.

ტერმინის რუსული ეკვივალენტია „не позволяющий развиваться“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური თავსართისა და ფრანგული ძირის სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

**(54) Base pairing** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია. ტერმინი შედგება ფრანგულიდან ნასესხები base და pair სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „აზოტოვან ფუძეთა შეწყვილება“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „спаривание оснований“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდითაა მოდელირებული ინგლისური ენიდან რუსული ტერმინიც.

(55) **Basic number** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და აღნიშნავს ქრომოსომათა მინიმალურ ჰაპლოიდურ რიცხვს პოლიპლოიდში (bio.dict.ge). ტერმინი შედგება ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისაგან base და number (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ძირითადი რიცხვი/რაოდენობა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „основное число“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. ამავე მეთოდითაა მოდელირებული რუსული ტერმინიც.

(56) **Cell fusion** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია. ტერმინი შედგება ფრანგულიდან ნასესხები სიტყვისაგან cell და ლათინურიდან ნასესხები სიტყვისგან fusion (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „უჯრედების შერწყმა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „слияние клеток“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კალკირებულია ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც ინგლისური ტერმინის კალკია.

(57) **Chromosome jumping** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება გერმანიკული ძირის chromosome და jump სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ქრომოსომაზე დახტომა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „прыжки по хромосоме“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში გერმანიკული ძირის სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი კი წარმოებულია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(58) **Directional selection** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება ლათინურიდან ნასესხები direction და selection სიტყვებისაგან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „მიმართული შერჩევა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „направленный отбор“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინურიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი სტრუქტურული სესხების გზით არის მიღებული ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც კალკირებულია ინგლისური ენიდან.

(59) **Discontinuous replication** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და ტერმინი შედგება ლათინურიდან ნასესხები discontinuous და ფრანგულიდან ნასესხები replication სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „წყვეტილი რეპლიკაცია“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „прерывистая репликация“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ლათინური და ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი სტრუქტურული სესხების გზით არის წარმოებული ინგლისური ენიდან. რუსული ტერმინიც კალკირებულია ინგლისური ენიდან.

(60) **Effective population size** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და შედგება ფრანგულიდან ნასესხები effective, size და ლათინურიდან ნასესხები populate სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „პოპულაციის ეფექტიანი/ქმედითი რიცხოვნობა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „эффективный размер популяции“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით არის შექმნილი.

(61) **Chain terminator** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და შედგება ფრანგულიდან ნასესხები chain და ლათინურიდან ნასესხები terminator სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „ჯაჭვის ტერმინატორი/გამწყვეტი“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „терминатор цепи; терминатор элонгации“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული და ლათინური ენიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ქართული ტერმინი შექმნილია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(62) **Green fluorescent protein** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და მიღებულია ინგლისური ძირის green, ლათინური ძირის fluor და ფრანგულიდან ნასესხები protein სიტყვების შეერთებით (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „მწვანე ფლუორესცენციური ცილა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „зеленый флуоресцирующий белок“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ინგლისური, ფრანგული და ლათინური ძირის სიტყვების შეერთებით. ქართული ტერმინი ნაწარმოებია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების გზით.

(63) **Negative staining** - ინგლისური ბიოტექნოლოგიური ტერმინია და მიღებულია ფრანგული ნასესხობებისაგან negative და stain (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „უარყოფითი/ნეგატიური შეღებვა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „негативное контрастирование“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნაწარმოებია ინგლისურ ენაში ფრანგული ნასესხობებისაგან. ქართული ტერმინი მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით.

(64) **Expressivity** - ინგლისური გენეტიკური ტერმინია და ინგლისურში ნასესხებია ფრანგული ენიდან (OED).

ტერმინის ქართული შესატყვისია „გამოვლინებადობა, ექსპრესიულობა“.

ტერმინის რუსული შესატყვისია „экспрессивность“.

\*\*\*

ინგლისური ტერმინი ნასესხებია ფრანგული ენიდან. სავარაუდოდ, აქაც გვაქვს საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის მაგალითი. ქართული ტერმინი სავარაუდოდ მოდელირებულია ინგლისური ენის მიხედვით. რუსულ ენაში ვხვდებით ინგლისურიდან ტრანსლიტერირებულ ვარიანტს და ეს მაშინ, როდესაც ქართულში ტრანსლიტერირებული და ქართული ენის რესურსებით შექმნილი ტერმინები სინონიმური სახით თანაარსებობენ.

## დასკვნა

იმუნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის და გენეტიკის დარგების ტერმინოლოგიის კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ მათზე დიდია ინგლისური ენის გავლენა და რომ ამ დარგების ტერმინები ძირითადად ინგლისური ენის გავლენით იქმნება: კალკირებულია ინგლისური ენიდან, ან პირდაპირ ნასესხებია ინგლისური ენიდან.

თანამედროვე ინგლისური ტერმინების მოდელირების ძირითად ტენდენციებზე დაკვირვებამ გამოავლინა შემდეგი თავისებურებები:

1. ერთსიტყვიანი ტერმინები ხშირ შემთხვევაში არის პოლისემიური და აქვს სხვა ტერმინოლოგიური მნიშვნელობებიც. შესაბამისად, ერთსიტყვიანი ტერმინების დიდი ნაწილი თანამედროვე ინგლისურ ენაში მიღებულია ან საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაციის შედეგად, ან გადადის დარგიდან

დარგში. ეს პროცესი, ძირითადად, მეტაფორიზაციის საფუძველზე ხდება. ერთსიტყვიანი ტერმინების შემთხვევაში ხშირია ლათინური და ბერძნული ძირის სიტყვები ან ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვები. ტერმინის წარმოებას აქაც საფუძვლად უდევს ცნების რომელიმე მახასიათებელი, ანუ ტერმინთა მოდელირება ენობრივი ნომინაციის პრინციპებს ეფუძნება.

2. ტერმინების უმრავლესობა, როგორც აღინიშნა, შედგენილი ანუ მრავალსიტყვიანი ტერმინებია. ეს ტერმინები ნაწარმოებია ინგლისურ ენაში სხვადასხვა ძირის სიტყვებისაგან. ეს სიტყვები ნასესხებია ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული თუ სხვა ენებიდან, თუმცა უმეტესწილად ნასესხებია ინგლისური ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე და უკვე შეიძლება ჩაითვალოს ინგლისური ენის ლექსიკის კუთვნილებად. შედგენილი ტერმინების წარმოებაც ენობრივი ნომინაციის პრინციპებს ეფუძნება და ცნების რომელიმე მახასიათებელს ასახავს.

თანამედროვე ინგლისური ენის ტერმინების ანალიზმა აჩვენა, რომ განხილული დარგების ტერმინები ძალიან გამჭვირვალეა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ტერმინების შესაქმნელად გამოყენებულია საერთო ლექსიკის სიტყვები ან სხვა დარგების ტერმინები. შედგენილი ანუ მრავალსიტყვიანი ტერმინები ასევე გამჭვირვალეა, რადგან ისინი ნაწარმოებია ენაში უკვე არსებული სიტყვების (მშობლიური ან ნასესხები) გაერთიანების საფუძველზე. ამ ტენდენციის სრულიად საპირისპირო ტენდენციას ვაკვირდებით ქართულში, სადაც ინგლისური ტერმინები პირდაპირი სესხების გზით გადმოდის. აღსანიშნავია, რომ მრავალსიტყვიან ტერმინებში კალკირებასთან ერთად გვხვდება ტერმინები, რომლებშიც ყველა სიტყვა არ არის ჩანაცვლებული ქართული სიტყვებით, რის შედეგადაც ამ დარგებში საკმაოდ გაუმჭვირვალე ტერმინებს ვიღებთ.

მოცემული დარგების ტერმინების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ დღევანდელ რეალობაში ინგლისური ენის უდიდეს გავლენას განიცდის არა მხოლოდ ქართული, არამედ რუსული ენაც. იმუნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური და გენეტიკური დარგის ტერმინების კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ რუსულ ენაშიც ტერმინთა დიდი ნაწილი მოდელირებულია ინგლისური ტერმინების მიხედვით. უმრავლეს

შემთხვევაში რუსული ტერმინები ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან ან ნაწარმოებია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების მეთოდით. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ აღნიშნული დარგების ზოგიერთი ქართული ტერმინი გადმოღებულია არა უშუალოდ ინგლისური ენიდან, არამედ რუსული ენიდან და რომ რუსულ ენას კვლავ აქვს გავლენა თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის წარმოებაზე.

## ბიოლოგიური ტერმინოლოგიის ანალიზი თანამედროვე სახელმძღვანელოში

მეორე და მესამე თავში წარმოდგენილი ტერმინოლოგიის ანალიზი ძირითადად ლექსიკონებიდან ამოკრებილი მასალის შესწავლას ეფუძნება. ამ თავში კი მიზნად დავისახეთ გაგვეანალიზებინა ბიოლოგიური ტერმინოლოგიის მდგომარეობა თანამედროვე სახელმძღვანელოებში. შევარჩიეთ ისეთი ახალი დარგი, როგორცაა ბიოინფორმატიკა და შესასწავლად ავიღეთ ნათარგმნი სახელმძღვანელო, რათა ინგლისური ტერმინების ქართულად გადმოღების მეთოდებისა და ტენდენციებისათვის მიგვედევნებინა თვალი. გარდა ქართულ ტერმინთა წარმოების იმ მეთოდებისა, რომლებიც წინა თავებშია აღწერილი, მოცემულ თავში გამოვიყენებთ კორპუსული მეთოდოლოგია და კორპუსიდან ტერმინების ნახევრად-ავტომატურ რეჟიმში ამოკრების პროგრამული ინსტრუმენტი „სინქროტერმი“. კონკრეტულად, გამოვიყენეთ ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსის პლატფორმა, რომელიც ინტერნეტში ხელმისაწვდომია მისამართზე: [enkacorpus.iliauni.edu.ge](http://enkacorpus.iliauni.edu.ge).

შერჩეული სახელმძღვანელო არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ თარგმნილი წიგნი „ბიოინფორმატიკის საფუძვლები“ (სუნი, 2012), რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოსცა უნივერსიტეტმა. წიგნი ამომწურავ ინფორმაციას იძლევა ბიოინფორმატიკის შესახებ. მასში ახსნილია ბიოინფორმატიკის საფუძვლები, განხილულია ბიოლოგიური კვლევისათვის აუცილებელი თანამედროვე კომპიუტერული საშუალებები და ბიოინფორმატიკის ძირითადი საკითხები. სახელმძღვანელო ატვირთულია ინგლისურ-ქართულ პარალელურ კორპუსში, შედგება 19 თავისაგან და 4552 ინგლისურ-ქართული წინადადებათა წყვილისაგან. კვლევისათვის სახელმძღვანელოდან ამოვიღეთ 100 ტერმინი, რისთვისაც, როგორც აღინიშნა, გამოვიყენეთ პროგრამული ინსტრუმენტი

SynchroTerm<sup>1</sup>. ტერმინები კორპუსიდან ამოკრებილია შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით (იხ. დანართი 3).

#### 4.1. ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი.

ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი შედგება ორი ქვეკორპუსისაგან: სამეცნიერო და დარგობრივი ტექსტებისა და მხატვრული ლიტერატურის ქვეკორპუსებისგან. პროექტის ავტორთა მიზანი იყო კორპუსში შეეტანათ მაღალი ხარისხის თარგმნილი ტექსტები და შემდგომ ეს კორპუსი გამოეყენებინათ ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის განსავითარებლად (მარგალიტაძე, მელაძე, ფურცხვანიძე, 2022). სამეცნიერო ტექსტების ქვეკორპუსი მოიცავს: ორენოვან სამეცნიერო სტატიებს ქართული სამეცნიერო ჟურნალებიდან, ორენოვან თეზისებს, კონფერენციების მასალებსა და კრებულებს, თარგმნილ სახელმძღვანელოებს, იურიდიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ პარალელურ ტექსტებს, საერთაშორისო სტანდარტებს და სხვა. მოგვიანებით კორპუსი გაფართოვდა და დაემატა მხატვრული ლიტერატურის თარგმანებიც.

კორპუსში მასალა განლაგებულია ჯგუფებად, კრებულებად და წინადადებათა წყვილებად (მარგალიტაძე, მელაძე, ფურცხვანიძე, 2022). კორპუსში დღეისათვის არის 160 ტექსტური ჯგუფი. ერთ-ერთი ასეთი ტექსტური ჯგუფია სახელმძღვანელო „ბიონფორმატიკის საფუძვლები“. ტექსტური ჯგუფები იყოფა კრებულებად. ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე ჯგუფი სხვადასხვა ტიპის კრებულებად იყოფა. ჩვენ მიერ დამუშავებული სახელმძღვანელო დაყოფილია თავებად. დღეისათვის კორპუსში 6,000-მდე კრებულია. ტექსტური კრებულები დაყოფილია ინგლისურ-ქართულ წინადადებათა წყვილებად. პარალელურ კორპუსში ატვირთულ ინგლისურ და ქართულ ტექსტებს პროგრამა ავტომატურად ანაწევრებს წინადადებათა წყვილებად, თუმცა შემდეგ ეტაპზე პროგრამულ შეცდომებს ასწორებენ კორპუსზე მომუშავე მკვლევრები (მარგალიტაძე, მელაძე, ფურცხვანიძე, 2022).

---

<sup>1</sup> <https://terminotix.com/index.asp?name=SynchroTerm&content=item&brand=4&item=7&lang=en>

სახელმძღვანელო „ბიოინფორმატიკის საფუძვლები“ ატვირთული და გათანაბრებული იყო პარალელურ კორპუსში (იხილეთ სურათი 1 & სურათი 2). გათანაბრებული ტექსტები ჩამოვტვირთეთ ექსელის ფაილების სახით, ცალ-ცალკე ინგლისური და ქართული ტექსტები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმძღვანელოს კორპუსი მოიცავდა 4552 ინგლისურ-ქართულ წინადადებათა წყვილს. შემდეგ ეტაპზე ეს ფაილები ავტირთეთ „სინქროტერმში“ ტერმინების მონიშვნისა და ამოკრების მიზნით.

ინგლისურ ქართული პარალელური კორპუსი EN

დეტალური ძიება	ინსტრუმენტები	გამოყენების ინსტრუქცია	პროექტის შესახებ	კონტაქტი
hairpin structure	ძიება	4 შედეგი		

- ბიოინფორმატიკის საფუძვლები | თავი 3
 

Self complementarity of DNA sequences (also called inverted repeats) – for example, those that form the stems of a **hairpin structure** – can also be identified using a dot plot.

დნმ-ს თანმიმდევრობების თვითკომპლემენტარობა (რომელსაც ასევე ინვერსირებულ განმეორებებს ეძახიან) – მაგალითად, სარჯის სტრუქტურის, ლერძის სტრუქტურების – ასევე შეიძლება დადგინდეს წერტილების გრაფიკის საშუალებით.
- ბიოინფორმატიკის საფუძვლები | თავი 16
 

A kissing hairpin refers to a hydrogen bonded interaction formed between loop residues of two **hairpin structures**.

შეხებადი სარჯი წყალბადური ბმებით შექმნილი ურთიერთკავშირებია, რომლებიც ყალიბდება ორი სარჯის სტრუქტურის მარყუჟის ნაშთებს შორის.

### სურათი 1.

ინგლისურ ქართული პარალელური კორპუსი EN

დეტალური ძიება	ინსტრუმენტები	გამოყენების ინსტრუქცია	პროექტის შესახებ	კონტაქტი
inner iteration	ძიება	3 შედეგი		

- ბიოინფორმატიკის საფუძვლები | თავი 5
 

It performs multiple alignment through two sets of iterations: **inner iteration** and outer iteration.

მრავლობით გათანაბრებას ის განმეორების ორი ნაკრების საშუალებით ახორციელებს: გარეგანი და შინაგანი იტერაციების.
- ბიოინფორმატიკის საფუძვლები | თავი 5
 

In the **inner iteration**, the sequences are randomly divided into two groups.


შინაგანი იტერაციისას თანმიმდევრობები შემთხვევითად ორ ჯგუფად იყოფა.

### სურათი 2.

## 4.2. სინქროტერმი

სინქროტერმი არის ორენოვანი ტერმინების მონიშვნის პროგრამული ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს შექმნას ორენოვანი ტერმინოლოგიური გლოსარიუმი. სინქროტერმი შეიქმნა კანადაში, კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი კომპანია Terminotix<sup>2</sup>-ის მიერ. 2023 წელს კანადურმა კომპანიამ სინქროტერმს დაუმატა ქართული ენაც, რამაც მისი გამოყენების ეფექტურობა გაზარდა ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური გლოსარიუმების შექმნის თავალსაზრისით.

სინქროტერმში მუშაობა ტერმინების ამოკრების მიზნით არ არის ავტომატური პროცესი ინგლისურ-ქართული ენების წყვილისათვის. ინგლისური ტერმინების ქართული ეკვივალენტი ყოველთვის არ არის ზუსტად მონიშნული, რის გამოც ქართული ტერმინების მონიშვნა ხშირად ხელით გვიწევდა (იხილეთ სურათი 3). ამგვარად დაწყვილებული ინგლისურ-ქართული ტერმინები, დამახსოვრების შემდეგ, გადადის ტერმინთა ბაზაში, სადაც გროვდება და იღებს გლოსარიუმის სახეს.



### სურათი 3.

SynchroTerm-ი კითხულობს შემდეგი ფაილების ტიპებს: DOC, Excel, RTF, TXT, HTML და PDF. ჩვენ სინქროტერმში მონაცემები ავტვირთეთ Excel-ის ფაილების ფორმატში. რაც შეეხება დამუშავებული მასალის ამოღებას, სინქროტერმი საშუალებას გვაძლევს მონაცემები შევინახოთ რამდენიმე ფორმატით, თუმცა ჩვენ აქაც Excel-ის ფაილების სახით ამოვიღეთ მონაცემთა ბაზაში შეკრებილი ტერმინები. სინქროტერმში ინგლისურ-ქართულ ტერმინთა გარდა, შესაძლებელია სხვა საჭირო ინფორმაციის შეკრებაც, მაგალითად ორენოვანი კონტექსტების, რომლებიც გვიჩვენებენ ტერმინთა

<sup>2</sup> <https://terminotix.com/index.asp?lang=en>

გამოყენების მაგალითებს (იხილეთ სურათი 4). ამდენად, ტერმინები მოვნიშნეთ, შევავროვეთ სინქროტერმის ტერმინთა ბაზაში კონტექსტებთან ერთად და ეს მონაცემები ამოვიღეთ ექსელის ფაილის სახით, რომელშიც ოთხი ველი იყო შევსებული: ინგლისური ტერმინი, ქართული ტერმინი, ინგლისური ტერმინის კონტექსტი, ქართული ტერმინის კონტექსტი.

SynchroTerm-ის ინტერფეისი მოცემულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ხოლო თავად პროგრამას შეუძლია წაიკითხოს და დაამუშაოს შემდეგი ენები: არაბული, ბულგარული, ჩინური, ხორვატიული, ჩეხური, დანიური, ნიდერლანდური, ინგლისური, ესტონური, ფინური, ფრანგული, გერმანული, ბერძნული, ჰაიტური კრეოლი, უნგრული, ირლანდიური, იტალიური, ლატვიური, ლიტვური, მალტური, ნორვეგიული, პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, რუსული, სლოვაკური, სლოვენური, ესპანური, შვედური და თურქული (SynchroTerm, 2019). როგორც აღინიშნა, მას 2023 წელს დაემატა ქართული ენაც ( იხ. სურათი 5).

entry words	9	2	1
false friends	9	2	0
learner's dictionary	9	2	1
et al	9	2	0
word list	8	2	1
sign languages	7	2	1
new words	7	2	0

Source Selection, with 2 forms

Target Selection - 7 Occurrences

entry words

მეთაურ სიტყვათა

Translation Units

- Henning John Bergenholtz (Bergenholtz 2001, 12–14) analyzed 252 dictionary reviews and concluded that 22% of all the remarks were related to the selection of **entry words**. [1]
- კენინგ ჯონ ბერენჰოლცმა (Bergenholtz 2001, 12–14) გაანალიზა 252 ლექსიკონის რეცენზია და დაასკვნა, რომ ყველა მენიშნა 22% **მეთაურ სიტყვათა** შერჩევის საკითხს ეხებოდა. [1]
- The study describes the ways the initial prototype of the dictionary (including only 500 **entry words** (see Svike, Škirmante 2019)) was improved, in particular by analyzing the problems of selection of entry words to achieve a small-volume dictionary of special lexis with about 3000 entry words. [1]
- ნაშრომში აღწერილია, როგორ შეიქმნა პროტოტიპული ლექსიკონი (რომელშიც მხოლოდ 500 მეთაური სიტყვა შედიოდა (იხ. Svike, Škirmante 2019)) **მეთაურ სიტყვათა** შერჩევის პრობლემების გაანალიზების გზით, რამაც შედეგად მოგვცა დაახლოებით 3000 მეთაური სიტყვის შემცველი მცირე მოცულობის დარგობრივი ლექსიკონი. [1]
- The division of a so-called external selection (of **entry words**) and an internal selection (of information types) (Bergenholtz 2001, 12–14) is used in the study. [1]
- კვლევაში გამოყენებულია ეწ. (**მეთაურ სიტყვათა**) გარეგანი შერჩევისა და (ინფორმაციის ტიპების) შინაგანი შერჩევის გამოყენება (Bergenholtz 2001, 12–14). [1]
- The new open-access interactive multifunctional database management system for special lexis of biology, which will be made public under the domain Biolekspedija.lv at the end of 2023 (see Stalažs, Škirmante, Svike et al. 2023, 52–67), proved to be much more useful in the selection of **entry words** (frequency of names in a set of specialised excerpts – organism names, exact scientific names etc.). [1]
- ახალი, ღია წვდომის ინტერაქციული მრავალფუნქციური მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა ბიოლოგიის დარგობრივი ლექსიკონისთვის, რომელიც 2023 წლის ბოლოს გამოქვეყნდება დომენში Biolekspedija.lv (იხ. Stalažs, Škirmante, Svike et al. 2023, 52–67) გაიღებოდა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა **მეთაურ სიტყვათა** შესარჩევად (სახელწოდებათა სიმრავლე სპეციალიზებული ფრაგმენტების ეფექტური – ორგანიზმთა სახელები, ზუსტი სამეცნიერო სახელწოდებები და ა.შ.). [1]

სურათი 4.

## concept ladder

### ცნებათა კიბე

Source Syn.: *****	Target Syn.: *****
Subject: *****	Client: *****
Domain: Lexicography	POS: *****
Description: *****	Gender: *****
Source: *****	Project: *****
Translator: *****	Department: *****
Note: *****	
Source Document: ISO standard in English.docx [1]	
Target Document: N/A	
History: 2024.04.03	
Source Context: * If such individual concepts are present, they occupy the bottom rung (last item) of the concept ladder. [1]	
Target Context: * თუ ისინი სახეზეა, მათ უკავიათ ცნებათა კიბის ქვედა (ბოლო ელემენტი) საფეხური. [1]	
Source Occurrence: 4	Target Occurrence: 0

## სურათი 5.

### 4.3. სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტერმინთა ანალიზი

„ბიონფორმატიკის საფუძვლებიდან“ შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით ამოკრებილი 100 ტერმინი გაანალიზდა ტერმინთა წარმოების მეთოდების თვალსაზრისით და აგრეთვე სტრუქტურული თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინების ანალიზისას გამოიკვეთა სახელმძღვანელოს მთარგმნელის მცდელობა გამოეყენებინა ქართული ენის რესურსები ინგლისური ტერმინების ქართულად გადმოტანისას. ამ ტერმინებში კარგად ჩანს თანამედროვე ინგლისურ ტერმინოლოგიაში საერთო ენის სიტყვების ხშირი გამოყენების ტენდენცია (მარგალიტაძე, 2018; Fontenelle, 2014): fold, library, prey, shotgun და სხვა. მთარგმნელი თამამად მიჰყვება ინგლისური ტერმინოლოგიის ამ ტენდენციას და თამამ ქართულ ტერმინებს ქმნის: ნაკეცების ბიბლიოთეკა, მტაცებელი ცილები, ცილის დაკეცვა, საფანტი თოფის მიდგომა და სხვა. ასეთი აღმოჩნდა

გაანალიზებული ტერმინების 44% (იხ. მაგალითები 1-20) ქართული ტერმინების საწარმოებლად მთარგმნელი მიმართავს ქართულ ტერმინთწარმოებაში ხშირად გამოყენებულ მეთოდს, კერძოდ სტრუქტურულ სესხებას. ეს ტერმინები თითქმის სრულად ინგლისური ტერმინების მოდელებიდანაა კალკირებული.

- (1) **clustal sequence alignment** - თანმიმდევრობების ჯგუფური გათანაბრება
- (2) **bait proteins** - სამიზნე ცილები
- (3) **false negatives** - მცდარი უარყოფითები
- (4) **false positives** - მცდარი დადებითები
- (5) **fold library** - ნაკეცების ბიბლიოთეკა
- (6) **high throughput** - მაღალი წარმადობა
- (7) **internal node** - შიდა კვანძი
- (8) **loop residues** - მარყუჟის ნაშთები
- (9) **multiple sequence alignment** - თანმიმდევრობების მრავლობითი გათანაბრება
- (10) **overlapping sequences** - გადამფარავი თანმიმდევრობები
- (11) **pairwise alignment** - დაწყვილებული გათანაბრება
- (12) **prey proteins** - მტაცებელი ცილები
- (13) **protein folding** - ცილის დაკეცვა
- (14) **protein sequences** - ცილის თანმიმდევრობები
- (15) **protein-protein interaction** - ცილების ურთიერთმოქმედება
- (16) **query sequence** - გამოსაკვლევი თანმიმდევრობა
- (17) **redundant sequences** - სიჭარბის მქონე თანმიმდევრობები
- (18) **shotgun approach** - საფანტი თოფის მიდგომა
- (19) **side chain** - გვერდითი ჯაჭვი
- (20) **upstream sequences** - აღმავალი დინებით განლაგებული თანმიმდევრობები.

სახელმძღვანელოში გამოყენებული ქართული ტერმინების 56% ინგლისური ტერმინიდან არის მიღებული ტრანსლიტერაციის გზით (იხ. მაგალითები 21-40). აღსანიშნავია, რომ ამ შედგენილი ტერმინების ზოგი კომპონენტი უკვე დამკვიდრებულია ქართულ ენაში და მათი გამოყენება არ არის გასაკვირი, მაგ.:

ალტერნატიული, ევოლუცია, ევოლუციური, კორელაცია, დომენი, ექსპრესია, პარალელური და სხვა. რიგი ტერმინების კომპონენტებისა საკმაოდ დამკვიდრებულია დარგში და მათი შეცვლა არ არის ადვილი. ასეთია მაგალითად, სპლაისინგი, ეგზონი, პრომოტერი, გენომი და სხვა, თუმცა ამ ტერმინებშიც არის მათი ქართული სინონიმების შექმნის პოტენცია. მაგალითად, იმავე სახელმძღვანელოში, სხვა ადგილას „ინსერცია“ და „დელეცია“ ჩანაცვლებულია ქართული ტერმინებით „ჩართვა“ და „ამოშლა“.

- (21) **gibbs sampling** - გიბსის სემპლინგი
- (22) **affine gap penalties** - აფინური გეპ-პენალტები
- (23) **alternative splicing** - ალტერნატიული სპლაისინგი
- (24) **conserved motifs** - დაკონსერვებული მოტივები
- (25) **correlation coefficient** - კორელაციის კოეფიციენტი
- (26) **deletion** - დელეცია
- (27) **domains** - დომენები
- (28) **evolutionary divergence** - ევოლუციური დივერგენცია
- (29) **exon selection** - ეგზონის სელექცია
- (30) **expression profiles** - ექსპრესიის პროფილები
- (31) **genome annotation** - გენომის ანოტირება
- (32) **insertion** - ინსერცია
- (33) **manually curated alignment** - მანუალურად კურირებული გათანაბრებები
- (34) **motif extraction** - მოტივის ექსტრაქცია
- (35) **parametric bootstrapping** - პარალელური ბუტსტრეპინგი
- (36) **posttranslational modification** - პოსტტრანსლაციური მოდიფიკაცია
- (37) **promoter** - პრომოტერი
- (38) **stop codons** - სტოპ-კოდონები
- (39) **threading** - სრედინგი
- (40) **transmembrane segments** - ტრანსმემბრანული სეგმენტები

აღნიშნული ტერმინების შესწავლამ სტრუქტურული თვალსაზრისით დაადატურა სალექსიკონო მასალის შესწავლისას გაკეთებული დასკვნა მრავალსიტყვიანი,

შედგენილი ტერმინების ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ. გაანალიზებული 100 ტერმინიდან მხოლოდ 5 ტერმინი აღმოჩნდა ერთსიტყვიანი (იხ. მაგალითები 41-45). ამასთანავე თითოეული მათგანი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან.

- (41) **deletion** - დელეცია
- (42) **domains** - დომენები
- (43) **insertion** - ინსერცია
- (44) **promoter** - პრომოტორი
- (45) **threading** - სრედინგი

ტერმინთა დარჩენილი 95% კი წარმოადგენს ანალიტიკურ ანუ მრავალსიტყვიან ტერმინებს. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ხშირ შემთხვევაში მრავალსიტყვიანი ტერმინებიც ინგლისური ენიდან ტრანსლიტერაციის გზით არის მიღებული ქართულში.

- (46) **coregulated genes** - კორეგულირებადი გენები
- (47) **expressed sequence tags** - ექსპრესირებული თანმიმდევრობების ტეგები
- (48) **expression profiling** - ექსპრესიის პროფილირება
- (49) **gene expression** - გენების ექსპრესია
- (50) **noncoding regions** - არამაკოდირებელი რეგიონები
- (51) **affine gap penalties** - აფინური გეპ-პენალტები
- (52) **evolutionary divergence** - ევოლუციური დივერგენცია

ტრანსლიტერაციის გზით გადმოტანილი მრავალსიტყვიანი ტერმინები უარყოფით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი არც სხარტია და არც გამჭვირვალე, რითაც ჩვეულებრივ გამოირჩევა მრავალსიტყვიანი ტერმინები ინგლისურ ენაში.

#### 4.4. დასკვნა.

ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი, მასში ატვირთული თარგმანების ხარისხიდან გამომდინარე, არის ტერმინთა კვლევისათვის საკმაოდ სანდო წყარო.

სინქროტერი კი აღმოჩნდა ეფექტური ინსტრუმენტი მოცემული კორპუსიდან ტერმინების ამოსაკრებად.

ინგლისურ-ქართულ პარალელურ კორპუსში ატვირთული ბიონფორმატიკის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტერმინოლოგიის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვანახა თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში არსებული ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს ანალიზისას იგრძნობა მთარგმნელის მცდელობა გამოიყენოს ქართული ენის რესურსები ინგლისური ტერმინების ქართულ ენაზე გადმოღებისას, მაინც საკმაოდ დიდია ტრანსლიტერაციით შექმნილი ტერმინების ხვედრითი წილი (56 %). ქართული ენის რესურსებით შექმნილი ტერმინები ძირითადად კალკირებულია ინგლისური ენიდან და ნაწარმოებია ინგლისური ტერმინების მოდელების მიხედვით. ასევე გამოიკვეთა, რომ გაზრდილია მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტერმინოლოგიის თითქმის სრული უმრავლესობა (95%) არის მრავალსიტყვიანი და ძალიან იშვიათია ერთსიტყვიანი ტერმინების გამოყენების მაგალითები. განსაკუთრებით უარყოფით ტენდენციად უნდა შეფასდეს მრავალსიტყვიანი ტერმინების ტრანსლიტერაცია, რაც, ვფიქრობთ, ართულებს მათ აღქმას, მით უფრო სახელმძღვანელოებში.

ვფიქრობთ, რომ საჭიროა სამომავლოდ დაიგეგმოს და ჩატარდეს სტუდენტთა გამოკითხვა სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინოლოგიის საკითხებზე. საინტერესოა რამდენად ეფექტურია ეს ტერმინოლოგია და რამდენად უწყობს ხელს ან უშლის ხელს მათ დარგის შესწავლაში. ასევე სასურველია სხვა სახელმძღვანელოებიც გაანალიზდეს მათში გამოყენებული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით და ეს შედეგები გადამოწმდება სტუდენტების აზრის გამოკითხვით სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინების შესახებ.

## საერთო დასკვნა და რეკომენდაციები

I 1. ტერმინი არის ენობრივი ნიშანი, რომელიც გამოიყენება გარკვეული სამეცნიერო ცნების აღსანიშნავად და ეხმარება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს კომუნიკაციის დამყარებაში. ტერმინთა ერთობლიობა ქმნის ტერმინოლოგიას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერების ენისათვის. ტერმინოლოგიის განვითარების დონე პირდაპირ მიუთითებს ამა თუ იმ დარგის განვითარების დონეზე.

ტერმინოლოგიას განვიხილავთ ენის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილად, მის ქვესისტემად, ინტერდისციპლინურ დარგად, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებს.

რა კონკრეტული ნიშან-თვისებები განასხვავებს ტერმინებს ზოგად ლექსიკისაგან? ერთ-ერთი განსხვავება ტერმინოლოგიასა და ზოგად ლექსიკას შორის არის ის, რომ ტერმინოლოგია და, ზოგადად, ტერმინები გამოიყენება ისეთი ცნებების აღსანიშნად, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებს თუ სფეროებს განეკუთვნება, ანუ ტერმინს ზოგადი ლექსიკისგან განასხვავებს სპეციალიზაციის ხარისხი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისება ტერმინსა და საერთო ლექსიკის სიტყვას შორის არის თავად ცნება. ცნება, რომელსაც გამოხატავს ზოგადი ლექსიკის სიტყვა, ასახავს ამ ენაზე მოსაუბრე ენობრივი კოლექტივის წარმოდგენას გარე სამყაროს ამა თუ იმ საგანზე, მოვლენაზე, ნიშან-თვისებაზე. შესაბამისად, თითქოსდა ეკვივალენტური, მსგავსი სიტყვების მნიშვნელობები განსხვავდება სხვადასხვა ენაში. ცნება კი, რომელსაც ტერმინი აღნიშნავს სხვაგვარია. ის არის უნივერსალური და შეუძლებელია რომ სხვადასხვა ენაში განსხვავებული იყოს, ვინაიდან უნივერსალურია თავად მეცნიერება. ეს გულისხმობს, რომ კონკრეტული ცნება ერთნაირად უნდა ესმოდეს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ამა თუ იმ დარგის წარმომადგენელს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებას შესაძლოა განსხვავებული დასახელებები ჰქონდეს სხვადასხვა ენაში. ამდენად, აუცილებელია ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია, რათა თავიდან ავირიდოთ ტერმინოლოგიური ბუნდოვანება.

ტერმინოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინისა და ცნების ადეკვატურობის საკითხს. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მეცნიერები ტერმინის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად მის გამჭვირვალობას, რაც საშუალებას გვაძლევს ადვილად ამოვიკითხოთ ტერმინის მნიშვნელობა.

2. სტრუქტურული თვალსაზრისით ტერმინები იყოფა ერთსიტყვიან და მრავალსიტყვიან ტერმინებად. თავის მხრივ, ერთსიტყვიანი ტერმინები მოიცავს მარტივ ნაწარმოებ და რთულ ტერმინებს. ტრადიციული მიდგომის თანახმად, ტერმინთა უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია ერთმნიშვნელობიანობა, გამჭვირვალობა, სტილისტური ნეიტრალურობა, სიმოკლე და სისხარტე. ტრადიციული მიდგომით უნდა ავიცილოთ ტერმინთა პოლისემია და სინონიმია.

თანამედროვე ტერმინოლოგიაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნადაა შეცვლილი ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები. მომრავლებულია ერთსიტყვიან ტერმინთა პოლისემია, გახშირებულია ასევე ტერმინთა სინონიმის შემთხვევები. ისო სტანდარტებში პოლისემიაც და სინონიმაც ტერმინთა ბუნებრივ მახასიათებლადაა აღიარებული (ISO 704: 2022). ტერმინების აღწერისას გაჩნდა სტილისტიკური კვალიფიკაციები, რაც იმაზე მეტყველებს რომ ყველა ტერმინი არ არის ნეიტრალური. გახშირებულია საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაციის პროცესი, რასაც მეტაფორიზაცია უდევს საფუძვლად, ასევე გაზრდილია მრავალსიტყვიან ანუ შედგენილ ტერმინთა რაოდენობა, რაც იწვევს აბრევიატურების რაოდენობის ზრდას. როგორც აღინიშნა, თანამედროვე ტერმინოლოგია თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლებით განსხვავებულია და მასზე მუშაობის მეთოდოლოგიაც შეცვლილია. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ გაბუნდოვანებულია ზღვარი თანამედროვე ტერმინოლოგიურ ლექსიკასა და საერთო ენის ლექსიკას შორის.

3. ქართულში ტერმინთშემოქმედების მრავალი მეთოდი შეიძლება გამოიყოს, როგორცაა: საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაცია ანუ მათი მიგრაცია ტერმინოლოგიურ სისტემაში, ტერმინების გადასვლა დარგიდან დარგში, სიტყვათწარმოება, სესხება სხვა ენებიდან. სესხება არის როგორც პირდაპირი, ისე სემანტიკური სესხება და სტრუქტურული სესხება ანუ კალკირება. ქართულ

ტერმინოლოგიურ სისტემაში ვხვდებით ასევე ინტერნაციონალიზებს. ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემას ასევე ამდიდრებს ძველი ქართული ლექსიკა და დიალექტები.

4. ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის შესწავლა ადასტურებს იმას, რომ ქართული ტერმინოლოგია ქართული ენის რესურსებით იქმნებოდა შუა საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის მოღვაწეების მიერ. თვით საბჭოთა ეპოქაშიც კი, მიუხედავად რუსული ენის გავლენისა, მიუხედავად საბჭოთა წნეხისა, ქართველი ენათმეცნიერები, ტერმინოლოგები და დარგების წარმომადგენლები მაინც ახერხებდნენ გამართული ქართული ტერმინოლოგიის შექმნას, რომელიც ქართული ენის რესურსებს იყენებდა.

II 1. გარდა ქართული ტერმინოლოგიის ისტორიისა, ტრადიციული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლამაც დაგვანახა, რომ მათი წყარო ქართული ენის რესურსებია, რომ ქართული ენა და ქართული საერთო ლექსიკის სიტყვები მეტად მარჯვედ გამოიყენება ტერმინების შესაქმნელად. კლასიკურ პერიოდში შექმნილი ქართული ტერმინოლოგია ძირითადად საზრდოობს ქართული წყაროებით და აქტიურად იყენებს ქართულ რესურსებს ტერმინოლოგიის შესაქმნელად. თითქმის ტერმინთა 80% ქართულ, ბუნებრივ ტერმინს წარმოადგენს და დიდი შემოქმედობითობით გამოირჩევა.

მეორე მხრივ, განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით შედარებით გვიან განვითარებული დარგების ტერმინოლოგიის შესწავლის შედეგად. იმუნოლოგიური, გენეტიკური და ბიოტექნოლოგიური ტერმინების შესწავლამ გამოავლინა, რომ თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია სესხების გზით ივსება. ტერმინთა 75-80% არის ინგლისური ტერმინის ტრანსლიტერირებული ვარიანტი, რაც ეხება, არა მხოლოდ ერთსიტყვიან, არამედ, რიგ შემთხვევაში, შედგენილ ანუ მრავალსიტყვიან ტერმინებსაც. ეს, უდავოდ, თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის განვითარების არასასურველი ტენდენციაა. ეს ხდება მაშინ, როდესაც თავად ინგლისური ენა მაქსიმალურად იყენებს არსებულ რესურსებს (საერთო ლექსიკის სიტყვებს ან არსებულ ტერმინებს) ახალი ტერმინების შესაქმნელად, რათა გაუმკლავდეს მოზღვავებულ ახალ სამეცნიერო ცნებებს (მარგალიტაძე, 2019; მარგალიტაძე, 2018).

2. საინტერესო შედეგები გამოვლინდა ტერმინთა სტრუქტურის შესწავლით. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბოტანიკური, ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინების დიდი ნაწილი, კერძოდ 74% მარტივი და ნაწარმოები ტერმინია და ასევე გადმოდის ქართულ ენაში. გაანალიზებული ტერმინების სრული რაოდენობის 11% არის რთული ტერმინი და დაახლოებით 15% სტრუქტურულად შედგენილი ტერმინებია. ამის საპირისპიროდ, მოგვიანებით განვითარებული დარგების შესწავლამ გამოავლინა ტერმინთა სტრუქტურული მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება: ტერმინთა 70% შედგენილი, მრავალსიტყვიანი ანუ ანალიტიკური ტერმინებია. ანალიტიკური ტერმინების მოზღვავებამ გამოიწვია ტერმინოლოგიური აბრევიატურების გაჩენა, რომელთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

3. რაც შეეხება ტერმინთა ანალიზს სემასიოლოგიური თვალსაზრისით, გაანალიზებული 800 ანატომიური, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინიდან პოლისემიური აღმოჩნდა 149 ტერმინი, რაც დაახლოებით 18% შეადგენს, ხოლო სინონიმური მნიშვნელობის მხოლოდ 5%. თუმცა, შედარებით მოგვიანებით განვითარებულ დარგებში არ არის ხშირი პოლისემიის მაგალითები. ეს გამოწვეულია იმით, რომ გაზრდილია მრავალსიტყვიანი, ანალიტიკური ტერმინების რაოდენობა (70%). მეორე მხრივ, ხშირია ერთსიტყვიანი ტერმინების პოლისემია. ერთი დარგის შიგნით გვხვდება ორი, სამი ან ოთხი პოლისემიური მნიშვნელობა, ერთსიტყვიანი ტერმინები მიგრირებს სხვა დარგებშიც. სინონიმის შესწავლამ კი უფრო გვიან განვითარებულ დარგებში დაგვანახა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ტერმინთა სინონიმის შემთხვევები.

მაშასადამე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ტერმინები შედარებით ტრადიციულ დარგებში ძირითადად არის ერთსიტყვიანი. შედარებით იშვიათია პოლისემიისა თუ სინონიმის მაგალითები. შესაბამისად, აღნიშნული დარგების ტერმინოლოგია ძირითადად მონოსემიური ანუ ერთმნიშვნელობიანია და შეესატყვისება ტერმინოლოგიის ტრადიციული თეორიის ძირითად პოსტულატებს. განსხვავებული ვითარებაა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე ქართულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. თანამედროვე ქართულმა ტერმინოლოგიამ იცვალა ბუნება, მნიშვნელოვნად

გაიზარდა ტერმინთა სესხების პროცენტული მაჩვენებელი, მოიმატა ერთსიტყვიანი ტერმინების პოლისემიის შემთხვევებმა, გაზრდილია მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა (70 %), გაზრდილია ტერმინთა სინონიმის შემთხვევები. თანამედროვე ტერმინოლოგიის სტრუქტურული თუ სემასიოლოგიური მახასიათებლების ცვლილება ქართულ ტერმინოლოგიაზეც აისახა, რაზეც ჩვენი კვლევის შედეგებიც მიუთითებს.

III 1. ტრადიციული დარგების ტერმინების მოდელირების ძირითადი ტენდენციების შესწავლამ ინგლისურ და ქართულ ენებში დაგვანახა შემდეგი:

1) ქართველი ტერმინოლოგები მიმართავენ მეტაფორას და საერთო ლექსიკის სიტყვები გადააქვთ ტერმინოლოგიაში, ანიჭებენ მათ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას. საერთო ლექსიკის სიტყვების მეტაფორული გადააზრება ხშირად სემანტიკური სესხების გზით ხდება, ძირითადად, რუსული ენის ეკვივალენტური სიტყვების ანალოგიით.

ქართველი ტერმინოლოგები ხშირად იყენებენ შედარებას ტერმინთა წარმოებისას მსგავსების გამომხატველ სადერივაციო ელემენტის მეშვეობით.

2) ქართველი ტერმინოლოგები ყველაზე ხშირად მიმართავენ სტრუქტურული სესხების მეთოდს ტერმინების შექმნისას. აქვე გამოვლინდა, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, XX საუკუნეში შექმნილ ქართულ ტერმინოლოგიაზე დიდი იყო რუსული ენის გავლენა და ტერმინების უმრავლესობა ნაწარმოებია რუსული ენის ტერმინოლოგიის სტრუქტურის მიხედვით. რუსული ტერმინების წარმოებისას ვხვდებით ლათინური და ბერძნული ძირების თარგმნით მიღებულ ტერმინებს, ხშირია სტრუქტურული სესხებაც რუსულ ენაში რომელიმე ევროპული ენიდან ან მცენარისა და ცხოველის ლათინური სახელწოდებიდან. ქართული ტერმინები კი მოდელირებულია რუსული ტერმინების მიხედვით, თარგმნილია რუსულიდან ან კალკირებულია რუსული ენიდან. მიუხედავად ამისა, შედეგად მივიღეთ გამჭვირვალე, ადვილად გასაგები და აღსაქმელი ქართული ტერმინები. სტრუქტურული სესხებისას ქართველი ტერმინოლოგები ასევე აქტიურად იყენებდნენ ლათინური ენის მოდელებს.

განხილულ დარგებში ნაკლებად გვხვდება პირდაპირი სესხება. ტერმინთა პირდაპირი სესხების წყაროც რუსული და ლათინური ენებია.

3) აღნიშნული დარგების ინგლისურ ტერმინებზე დაკვირვებამ გამოავლინა მათი მოდელირების თავისებურებები. კერძოდ, მათი ერთსიტყვიანი ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია ლათინური და, რიგ შემთხვევაში, ბერძნული ენებიდან ნასესხები სიტყვებისგან. ლათინური და ბერძნული ნასესხობა, ჩვეულებრივ, შეიცავს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მოცემული ცნების ერთ-ერთი მახასიათებელია. რაც შეეხება შედგენილ ტერმინებს და, ნაწილობრივ, რთულ ტერმინებს, ისინი უფრო ხშირად ინგლისური ენის რესურსებითაა ნაწარმოები. ინგლისური ენის რესურსებში ვგულისხმობთ როგორც გერმანიკულ სიტყვებს, ან ინგლისურ ენაში ნაწარმოებ სიტყვებს, ასევე ადრეულ პერიოდში ნასესხებ სიტყვებს ფრანგული ან სხვა ენებიდან, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ახალი ინგლისური ენის ლექსიკაში. ტერმინთა წარმოება, ამ შემთხვევებშიც, ეფუძნება ცნების ერთ-ერთ მახასიათებელს. ტერმინთა წარმოებისას გამოყენებულია მცენარეთა და ცხოველთა ლათინური დასახელებები სტრუქტურული სესხების მეთოდის გამოყენებით.

2. იმუნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის და გენეტიკის დარგების ტერმინოლოგიის კვლევამ თანამედროვე ქართულ ენაში ნათლად დაგვანახა, რომ მათზე დიდია ინგლისური ენის გავლენა და რომ ამ დარგების ტერმინები ძირითადად ინგლისური ენის გავლენით იქმნება: კალკირებულია ინგლისური ენიდან, ან პირდაპირ ნასესხებია ინგლისური ენიდან.

თანამედროვე ინგლისური ტერმინების მოდელირების ძირითად ტენდენციებზე დაკვირვებამ გამოავლინა შემდეგი თავისებურებები:

1) ერთსიტყვიანი ტერმინები ხშირ შემთხვევაში არის პოლისემიური და აქვს სხვა ტერმინოლოგიური მნიშვნელობებიც. შესაბამისად, ერთსიტყვიანი ტერმინების დიდი ნაწილი თანამედროვე ინგლისურ ენაში მიღებულია ან საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაციის შედეგად, ან გადადის დარგიდან დარგში. ეს პროცესი, ძირითადად, მეტაფორიზაციის საფუძველზე ხდება.

ერთსიტყვიანი ტერმინების შემთხვევაში ხშირია ლათინური და ბერძნული ძირის სიტყვები ან ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვები. ტერმინის წარმოებას აქაც საფუძვლად უდევს ცნების რომელიმე მახასიათებელი, ანუ ტერმინთა მოდელირება ენობრივი ნომინაციის პრინციპებს ეფუძნება.

- 2) ტერმინების უმრავლესობა, როგორც აღინიშნა, შედგენილი ანუ მრავალსიტყვიანი ტერმინებია. ეს ტერმინები ნაწარმოებია ინგლისურ ენაში სხვადასხვა ძირის სიტყვებისაგან. ეს სიტყვები ნასესხებია ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული თუ სხვა ენებიდან, თუმცა უმეტესწილად ნასესხებია ინგლისური ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე და უკვე შეიძლება ჩაითვალოს ინგლისური ენის ლექსიკის კუთვნილებად. შედგენილი ტერმინების წარმოებაც ენობრივი ნომინაციის პრინციპებს ეფუძნება და ცნების რომელიმე მახასიათებელს ასახავს.
- 3) თანამედროვე ინგლისური ენის ტერმინების ანალიზმა აჩვენა, რომ განხილული დარგების ტერმინები ძალიან გამჭვირვალეა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ტერმინების შესაქმნელად გამოყენებულია საერთო ლექსიკის სიტყვები ან სხვა დარგების ტერმინები. შედგენილი ანუ მრავალსიტყვიანი ტერმინები ასევე გამჭვირვალეა, რადგან ისინი ნაწარმოებია ენაში უკვე არსებული სიტყვების (მშობლიური ან ნასესხები) გაერთიანების საფუძველზე. ამ ტენდენციის სრულიად საპირისპირო ტენდენციას ვაკვირდებით ქართულში, სადაც ინგლისური ტერმინები პირდაპირი სესხების გზით გადმოდის. აღსანიშნავია, რომ მრავალსიტყვიან ტერმინებში კალკირებასთან ერთად გვხვდება ტერმინები, რომლებშიც ყველა სიტყვა არ არის ჩანაცვლებული ქართული სიტყვებით, რის შედეგადაც ამ დარგებში საკმაოდ გაუმჭვირვალე ტერმინებს ვიღებთ.

მოცემული დარგების ტერმინების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ დღევანდელ რეალობაში ინგლისური ენის უდიდეს გავლენას განიცდის არა მხოლოდ ქართული, არამედ რუსული ენაც. იმუნოლოგიური, ბიოტექნოლოგიური და გენეტიკური დარგის ტერმინების კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ რუსულ ენაშიც ტერმინთა დიდი ნაწილი მოდელირებულია ინგლისური ტერმინების მიხედვით. უმრავლეს შემთხვევაში რუსული ტერმინები ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან ან

ნაწარმოებია ინგლისური ენიდან სტრუქტურული სესხების მეთოდით. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ აღნიშნული დარგების ზოგიერთი ქართული ტერმინი გადმოღებულია არა უშუალოდ ინგლისური ენიდან, არამედ რუსული ენიდან და რომ რუსულ ენას კვლავ აქვს გავლენა თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის წარმოებაზე.

IV ინგლისურ-ქართულ პარალელურ კორპუსში ატვირთული ბიოინფორმატიკის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტერმინოლოგიის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაგვანახა თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში არსებული ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს ანალიზისას იგრძნობა მთარგმნელის მცდელობა გამოიყენოს ქართული ენის რესურსები ინგლისური ტერმინების ქართულ ენაზე გადმოღებისას, მაინც საკმაოდ დიდია ტრანსლიტერაციით შექმნილი ტერმინების ხვედრითი წილი (56 %). ქართული ენის რესურსებით შექმნილი ტერმინები ძირითადად კალკირებულია ინგლისური ენიდან და ნაწარმოებია ინგლისური ტერმინების მოდელების მიხედვით. ასევე გამოიკვეთა, რომ გაზრდილია მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტერმინოლოგიის თითქმის სრული უმრავლესობა (95%) არის მრავალსიტყვიანი და ძალიან იშვიათია ერთსიტყვიანი ტერმინების გამოყენების მაგალითები. განსაკუთრებით უარყოფით ტენდენციად უნდა შეფასდეს მრავალსიტყვიანი ტერმინების ტრანსლიტერაცია, რაც, ვფიქრობთ, ართულებს მათ აღქმას, მით უფრო სახელმძღვანელოებში.

## რეკომენდაციები

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაზე სამუშაოდ:

1. თუ ინგლისური ერთსიტყვიანი ტერმინი საერთო ლექსიკის სიტყვის ტერმინოლოგიზაციის შედეგადაა მიღებული, ან გამოიყენება სხვა დარგშიც, ქართულ ენაში მისი გადმოტანისას, სასურველია მივმართოთ სემანტიკური სესხების მეთოდს და შევქმნათ ქართული ტერმინი ინგლისური ტერმინის ანალოგიით. საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაცია მარჯვედ

გამოიყენებოდა ქართველი ტერმინოლოგების მიერ, გარდა ამისა, სემანტიკური სესხების მეთოდი გამოიყენებოდა რუსული ენიდანაც. ამიტომ, ვფიქრობთ ამ მეთოდით სასურველია ახალი ტერმინების შექმნა პირდაპირი სესხების ნაცვლად. ეს მეთოდი წარმოშობს პოლისემიას, თუმცა, ტერმინთა პოლისემია თანამედროვე ტერმინოლოგიის ერთ-ერთ მახასიათებლად ითვლება ტერმინოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებში.

2. მრავალსიტყვიანი ტერმინების ქართულად გადმოტანა მიზანშეწონილია სტრუქტურული სესხების მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა ქართველი ტერმინოლოგების მიერ და მათ შორის შუა საუკუნეების ქართველი მთარგმნელების მიერ. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ევროპული ენების, მათ შორის, რუსული ენის მიერ. დაუშვებლად მიგვაჩნია შედგენილი ტერმინების ტრანსლიტერაციით გადმოტანა ქართულ ენაში. როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი შედგენილი ტერმინების რაოდენობა თანამედროვე ტერმინოლოგიაში, ამიტომ მათი კალკირება გამჭვირვალე ტერმინებით გაამდიდრებს თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიას.
3. ქართული სიტყვათმწარმოებელი საშუალებები ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული თანამედროვე ქართული ტერმინების საწარმოებლად.
4. ვფიქრობთ, რომ საჭიროა სამომავლოდ დაიგეგმოს და ჩატარდეს სტუდენტთა გამოკითხვა გენეტიკის, იმუნოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინოლოგიის საკითხებზე. საინტერესოა რამდენად ეფექტურია დღევანდელი ტერმინოლოგია და რამდენად უწყობს ხელს ან უშლის ხელს მათ დარგის შესწავლაში. ასევე სასურველია სხვა სახელმძღვანელოებიც გაანალიზდეს მათში გამოყენებული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით და ეს შედეგები გადამოწმდეს სტუდენტების აზრის გამოკითხვით სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ტერმინებზე.
5. ტერმინოლოგიური საქმიანობის წარმართვა და ამ პროცესების გაკონტროლება უპირველესი ამოცანაა ბევრი ქვეყნისათვის. ენობრივი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა ბევრ ქვეყანაში კანონით რეგულირდება. ამ კუთხით აუცილებელია

საქართველოშიც წარიმართოს მუშაობა და ამ პროცესებში ჩაერთონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, დარგის სპეციალისტები, ენათმეცნიერები, რათა გაკონტროლდეს ტერმინოლოგიური მუშაობა, რომელსაც საკმაოდ ქაოსური ხასიათი აქვს დღევანდელ საქართველოში. თ. მარგალიტაძე, ანალიზებს რა თანამედროვე ინგლისური ტერმინოლოგიისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს, აღნიშნავს, რომ ინგლისური ენა ცდილობს მაქსიმალურად გაუმკლავდეს დიდი რაოდენობით მოზღვავებულ ცნებებსა და ტერმინებს. იგი მიმართავს ენობრივი ეკონომიის პრინციპს, რაც გამოიხატება საერთო ლექსიკის სიტყვების ხშირი მიგრაციით ტერმინოლოგიაში ან ერთი და იგივე ტერმინის გამოყენებით მონათესავე ან არამონათესავე დარგებში (მარგალიტაძე, 2018). მიგვაჩნია, რომ კარგი იქნება თუ იგივე პრინციპი ამოქმედდება ქართულ ენაშიც. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქართულად ტერმინის გადმოტანის დროს მან არ უნდა დაკარგოს მისი მთავარი ფუნქცია, ის აუცილებლად გასაგები უნდა იყოს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებისთვის, დარგის სპეციალისტებისა და იმ ახალგაზრდებისა თუ სტუდენტებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ დარგს ეუფლებიან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ანთელავა, გ. (2014). უცხოენოვანი ნასესხები ლექსიკის ადგილი თურქული ტერმინოლოგიის განვითარების პროცესში. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ. 18-27
2. აუკსორიუტე, ა., მანჯგალაძე, მ. (2018). ენობრივი პოლიტიკა ლიტვაში. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ. 3-11
3. აფრიდონიძე, შ. (2014). გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ზოგი საკითხი ქართულში. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
4. ახვლედიანი, ც. (2014). საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკის ასპექტები XXI საუკუნეში. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ. 39-43
5. ბერიძე, ვ. (1952). *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის* (ნომერი 7). თბილისი: „მეცნიერება და ტექნიკა“. გვ.29-33
6. ბერიძე, ვ. (1935). ტექნიკური ტერმინოლოგია. *წინასიტყვაობა*. თბილისი
7. ბუბუტეიშვილი, თ. (2023). კომპიუტერული ტერმინების წარმოება თანამედროვე ინგლისურში. *კრებული- I საერთაშორისო კონფერენცია „ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში“*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. გაბესკირია, ც. (2018). ტერმინის რაობა და მეცნიერთა გვარ-სახელებისაგან ნაწარმოები მათემატიკური ტერმინები. *კრებული - ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
9. გამყრელიძე, ო. (2014). ქართული სამართლებრივი ტერმინოლოგიის საკითხები. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა

10. გიორგაძე, ლ. (2018). ტრანსპორტის ტერმინოლოგიის რედაქციის საკითხებისათვის. *კრებული - ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
11. გოგიშვილი, გ., ვეფხვაძე, თ. (2014). ქართული მათემატიკური ტერმინოლოგია-მდიდარი მემკვიდრეობა და სადღეისო აქტუალური საკითხები. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
12. ზეკალაშვილი, რ. (2014). ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია და ზოგიერთი მოსაგვარებელი საკითხი. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
13. კაპანაძე, ლ. (1965). Взаимодействие терминологической и общеупотребительной лексики
14. კეჭაღმაძე, ნ. (1953). *იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის*. თბილისი: თსუ
15. კოპალეიშვილი, მ., მახვილაძე, ნ., პავლოვიჩი, ე., ბედინაშვილი, ი. (2018). სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკის სტანდარტიზაციის მდგომარეობა საქართველოში. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
16. მარგალიტაძე, თ. (2018). ქართული ტერმინოლოგიური ონლაინლექსიკონების პლატფორმა და მრავალენოვანი ლექსიკონის მართვის სისტემა. *ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის (EURALEX) მე-18 საერთაშორისო კონგრესის კრებული*. სლოვენია: ლუბლიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
17. მარგალიტაძე, თ. (2019). ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში. საერთაშორისო კონფერენციის კრებული *ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში III*. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ISSN 1987-7625. ISBN 978-9941-462-86-3
18. მარგალიტაძე, თ. (2022). *ლექსიკოგრაფიის შესავალი*. თბილისი, გვ. 130-149
19. მარგალიტაძე, თ., მელაძე, გ. (2022). ლექსიკოგრაფია საქართველოში. *ქართველოლოგიის საკითხები*. გამომცემელი: Vernor Press

20. მარგალიტაძე, თ. (2023). *საავტომობილო დარგის ბარბარიზმები. ბროშურა*.  
თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
21. მელიქიშვილი, დ. (1975). *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი*. თბილისი: „განათლება“. გვ. 3-6, 58-109
22. მელიქიშვილი, დ. (2022). *იოანე პეტრიწის ენა და სტილი*. გამომცემლობა „მერიდიანი“
23. პაპავა, ვ. (2014). თანამედროვე ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგია: ახალი პრობლემები და ძველი შეცდომები. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
24. რამიშვილი, რ. (2014). ენობრივი პოლიტიკა ირანში. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ.144-147
25. რობაქიძე, მ. (2014). საერთაშორისო ტერმინოლოგიის სომხური ეკვივალენტები. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები I*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ.149-157
26. სუნი, მ. (2012). *ბიოინფორმატიკის საფუძვლები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
27. ფოჩხუა, ბ. (1974). *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
28. ქაროსანიძე, ლ. (2014). ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე. *კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“*. თბილისი
29. ქაროსანიძე, ლ. (2022). *ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში*. თბილისი: თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
30. ქაროსანიძე, ლ. (2012). ქართული ტერმინოლოგიის სირთულენი (ისტორია და თანამედროვეობა). *II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში*. ბათუმი
31. ქაროსანიძე, ლ. (2013). ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე. თბილისი
32. ლამბაშიძე, რ. (1986). *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები*. თბილისი: მეცნიერება

33. ღლონტი, ა. (1983). *ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო
34. ღლონტი, ა. (1964). *ქართული ლექსიკოლოგია*. გამომცემლობა „ცოდნა“
35. ცოცანიძე, გ. (2018). მეცხვარეობის ტერმინოლოგია. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
36. წიბახაშვილი, გ. (1965). *აბრევიატურის საკითხისათვის ქართულში* (ტ. 114). გვ.273-300
37. ხინთიბიძე, ე. (1987). *აკაკი შანიძე - 100 წლის საიუბილეო კრებული*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 26-43
38. ხმაღაძე, თ., ხმაღაძე, ვ. (2018). ახალი სამშენებლო ტერმინების დამკვიდრების შესახებ. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა
39. ხურცილავა, ა. (2018). ესტონეთის ენობრივი პოლიტიკა. *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ. 280-295
40. ხურცილავა, ა. (2018). საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია (მიზნები და ამოცანები). *კრებული ტერმინოლოგიის საკითხები III*. თბილისი: თსუს გამომცემლობის სტამბა. გვ. 297-304
41. Auger, P (1988). *La terminologie au Quebec et dans de londe, de la naissance a la maturite*. Quebec. pp. 27-59
42. Bergenholtz, H., Tarp. S. (1995). *Manual of Specialised Lexicography*. John Benjamins Publishing Company
43. Cabre, M. T. (1992). *Terminology-Theory, Methods and Application*. (Volume 1). Amsterdam: John Benjamins publishing company
44. Deborik, A. (1957). *Заметки о происхождении и эволюции научных понятии и терминов*
45. Dubuc, R. (1985). *Manuel pratique de terminologie* (2<sup>nd</sup> ed). Quebec: Linguattech
46. Felber, H. (1984). *Terminology Manual*. Paris: Unesco and Infoterm

47. Fischer, M. (2024). *Terminology Management for Translation: Equivalence, Strategies, Databases*. Budapest: University of Technology and Economics
48. Fontenelle, Th. (2014). From Lexicography to Terminology: a Cline, not a Dichotomy, *Proceedings of the XVI EURALEX International Congress: The User in Focus*. Andrea Abel, Chiara Vettori & Natascia Ralli (eds.) Bolzano/Bozen: Institute for Specialised Communication and Multilingualism. pp.25-45
49. Gogia, N. (2023). Terminological Inconsistences and Translation Problems in Legislative and Other Institutional Documents. *Proceedings of the International Conference LEXICOGRAPHY IN THE 21<sup>ST</sup> CENTURY*. Tbilisi
50. ISO 704: 2009. *Terminology work – Principles and Methods*
51. ISO 704: 2022. *Terminology work – Principles and Methods*
52. Ivanova, S. (2021). *The System of Terminology: History and Science*. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2850948>
53. Karosanidze, L., Khurtsilava, A. (2018). *The Problems of Georgian Terminology- History and Modernity*. Arn. Chikobava Institute of Linguistics Ivane Javakhishvili Tbilisi State University
54. Mar, N. (1909). *Иоанн Петрисцкий, грузинский неоплатонник XI-XII века* (ЗВО, т. XIX)
55. Margalitadze, T., Meladze, G., Pourtskhvanidze, Z. (2022). English-Georgian Parallel Corpus and Its Application in Georgian Lexicography. *Online Journal "Lexikos"*. Volume 32. <https://lexikos.journals.ac.za/pub/article/view/1701>
56. Packeiser, K. (2009). *The General Theory of Terminology: A Literature Review and a Critical Discussion*. Copenhagen Business School
57. Protopopescu, D. (2013). Theories of Terminology- Past and Present. *Journal Studii și cercetări de onomastică și lexicologie SCOL*. (Volume 6). pp.195-201
58. Rondeau, G., Sager, J.C. (1986). *Terminologia 84. Terminologie et cooperation internationale*. Quebec: GIRSTERM
59. Sager, J. C. (1990). *A Practical Course in Terminology Processing*. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins
60. Sowa, J.F. (1993). *Concepts in the Lexicon*. Published on the internet

61. SynchroTerm. Bilingual Term Extraction Software. (2019).  
[https://terminotix.com/docs/factsheet\\_SynchroTerm\\_en.pdf](https://terminotix.com/docs/factsheet_SynchroTerm_en.pdf)
62. Tolikina, E. *Некоторые лингвистические проблемы изучения термина*. pp.53-67
63. Wüster, E. (1974/1993). *Die allgemeine Terminologielehre- ein Grenzgebiet zwischen Sprachwissenschaften, Logik, Ontologie, Informatik und den Sachwissenschaften*. In *Linguistics*. No 119

### ლექსიკონები:

1. აბაშიძე, ს., აბაშიძე, ლ. (1973). *რუსულ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო
2. ზაგრატიონი, ი. (1986). *საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება
3. ზარათაშვილი, ვ. (1985). *საზღვაო ტერმინოლოგია*. თბილისი: განათლება
4. *ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი*. (1985). თბილისი
5. გაბესკირია, ც. (1983). *ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
6. გელოვანი, აკ. (1983). *მითოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო
7. გოგმაჩაძე, თ. (2018). *თევზების ნომენკლატურა*. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი: გამომცემლობა აჭარა
8. დავარაშვილი, გ. (1991). *საბაზრო ეკონომიკის ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება
9. ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი. <https://bio.dict.ge/ka/>
10. *იურიდიული ტერმინოლოგია*. (1963). თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
11. კერესელიძე, ნ.(1988). *სოციოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება
12. კვიციანი, თ. (1961). *მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი

13. კუტუბიძე, მ. (1973). *ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია*.  
თბილისი: მეცნიერება
14. მაყაშვილი, ა. (1991). *ბოტანიკური ლექსიკონი*. თბილისი: მეცნიერება
15. მელიქიშვილი, დ. (2010). *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-  
თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*. თბილისი:  
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
16. მენაბდე, ც. (1983). *ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი*.  
თბილისი: მეცნიერება
17. *მოკლე ბიოლოგიური ლექსიკონი*. (1977). თბილისი: განათლება
18. ორბელიანი, ს. (1991). *ლექსიკონი ქართული* (I და II ტომი). თბილისი: მერანი
19. *რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი* (ანდრია ავაქიძის  
რედაქტორობით). (1980). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის პრესა
20. *საქართველოს ტექნოლოგიური ცხოველთა ატლასი*. (1981). თბილისი: მეცნიერება
21. ყიფშიძე, ა., ჩხიკვაძე, გ. (1971). *მუსიკალური ლექსიკონი*. თბილისი: განათლება
22. შაიშმელაშვილი, ივ. (1987). *სამხედრო ტერმინოლოგია*. თბილისი: განათლება
23. ჩუბინაშვილი, ნ. (1971). *რუსულ-ქართული ლექსიკონი* (I-II ტტ). თბილისი:  
საბჭოთა საქართველო
24. ჩუბინაშვილი, დ. (1984). *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. თბილისი: საბჭოთა  
საქართველო
25. ჭილაია, ა. (1971). *ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები*. თბილისი:  
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
26. Cruse, J.M., Lewis, R.E. (2002). *Illustrated Dictionary of Immunology* (2nd edition).  
Publisher: CRC Press
27. Kumar, Sh. (2007). *Modern Dictionary of Genetics*. Publisher: Deep & Deep Publications
28. Lawrence, E. (2008). *Henderson's Dictionary of Biology* (14<sup>th</sup> edition). Publisher:  
Benjamin Cummings
29. Martin, E., Hine, R. S. (2008). *A Dictionary of Biology* (6<sup>th</sup> edition). Publisher: OUP  
Oxford
30. *New English-Russian Dictionary of Biology*. (2009). Moscow: ABBYY Press

31. Online Etymology Dictionary. <https://www.etymonline.com/>
32. Online English-Russian Dictionary. <https://www.multitran.com/>
33. *Oxford English Dictionary*, second edition on CD-ROM. Version 3.1
34. Singleton, P., Sainsbury, D. (2006). *Dictionary of Microbiology and Molecular Biology* (Third Edition, Revised). Publisher: Wiley
35. Чибисова, О. И., Смирнов, Н. Н., Васецкий, С. Г., Васецкий, Н. С., Чичев, А. Ф. (2009). *Новый Англо-Русский Биологический Словарь*. Publisher: ABBYY Press. Moscow

# დანართი 1

## ზოოლოგია

aardvark	აფრიკული მილკბილა.
aardwolf	მიწის მგელი.
abactinal	აბაქტინალური, აბამბულაკრული; პირისა და ამბულაკრული ფეხების საპირისპირო მხარეზე არსებული (კანეკლიანების სხეულზე)
aboral	აბორალური, პირისგან დაშორებული ან პირის საწინააღმდეგო მხარეზე არსებული.
abort	განვითარების შეწყვეტა (<შე>წყვეტს) ითქმის ორგანოს შესახებ.
abortion	ორგანოს განვითარებლობა.
abortive	აბორტული, განუვითარებელი, რუდიმენტული (ითქმის ორგანოს შესახებ);
abranchiata	ულაყუჩო
Acanthaster	ზღვის ვარსკვლავი აკანთასტერი (ანადგურებს მარჯნის პოლიპებს;)
Acaridae	აკარიდები, აკაროიდული / ბელლის ტკიპები
acarine	ტკიპებისა, ტკიპებთან დაკავშირებული.
acarus	ტკიპა
acaudate	უკუდო.
acephalous	აცეფალური, უთავო (უპირატ. ითქმის ზოგიერთი ჭიების ან ფირფიტლაყუჩიანი / ორსაგდულიანი მოლუსკების შესახებ).
achaetous	ჯაგრის, ფხების ან ბუსუსების არმქონე.
achlamydate	მანტიის არმქონე (ითქმის ზოგიერთი მოლუსკის შესახებ).
achroglobin	აქროგლობინი (ზოგიერთი მოლუსკებისა და გარსიანების უფერო სუნთქვის პიგმენტი).
aciculum	აციკულუმი, ჯაგარი (უპირატ. მრავალჯაგრიანი ჭიების / პოლიქეტების პარაპოდოუმებზე).
acoelomate	ცელომის / სხეულის მეორეული ღრუს არმქონე (ითქმის ბრტყელი ჭიების, აქტინიებისა და მარჯნის პოლიპების, ნემატოდების და სხვ. შესახებ).
aculeus	ნესტარი.
adambulacral	ადამბულაკრული, ამბულაკრული ფეხების მახლობლად არსებული (კანეკლიანების სხეულზე).
adult	ზრდადასრულებული / სქესობრივად მომწიფებული ცხოველი / ინდივიდი.
aestivate	ზაფხულის ძილში ყოფნა (არის); ზაფხულის ძილში ჩავარდნა (ითქმის ზოგიერთი ცხოველის შესახებ).
amphiaster	ამფიასტერი, ორივე ბოლოში ვარსკვლავისებრი ფორმის მქონე სპიკულა (ზოგიერთი ღრუბელებისა).
amphibious	ამფიბიური, წყალხმელეთა, როგორც წყალში, ასევე ხმელეთზე არსებობასთან ადაპტირებული.
amphicoelous	ამფიცელური, ორმხრივშეზნექილი (უპირატ. ითქმის თევზებისა და ზოგიერთი ამფიბიების ხერხემლის მალის შესახებ)
amphidisc	ამფიდისკი (ზოგიერთი ღრუბელების ერთგვარი სპიკულა).
aneurous	უკუდო.
antennate	ანტენებიანი, ულვაშებიანი, საცეცებიანი.
antimeres	ანტიმერები, ურთიერთშესატყვისი ნაწილები (მაგ. ორმხრივ სიმეტრიული ცხოველების მარჯვენა და მარცხენა კიდურები);
apatetic coloration	აპატეტიკური / მფარველობითი შეფერილობა.
apodal	მუცლის ფარფლები რომ არა აქვს (ითქმის თევზის შესახებ).
appendix	გამონაზარდი, დანამატი.
appetitive	აპეტიტიური, აპეტენტური, ადგილის შესწავლაზე ან საკვების ძებნაზე მიმართული (ითქმის ცხოველის ქცევის შესახებ).

<b>apterous</b>	უფრთო.
<b>arboreal life</b>	arboreal life მეხეური ცხოვრება;
<b>articulation</b>	სახსარი; 2) ბოტ. მუხლი, ღეროსთან ფოთლისა და მისთ. მიმაგრების ადგილი.
<b>asplanchnic</b>	საჭმლის მომნელებელი ტრაქტის არმქონე, ასპლანქნური.
<b>asteroid</b>	ზღვის ვარსკვლავ<ებ>ისა, ზღვის ვარსკვლავ<ებ>თან დაკავშირებული.
<b>autogamy</b>	ავტოგამია; თვითგანაყოფიერება; თვითდამტკვრვა.
<b>autotomy</b>	ავტოტომია, თვითდასახიჩრება ( <i>ზოგიერთი ცხოველის თავდაცვითი რეაქცია – კიბოსნაირთა მიერ მარწუხის მოცილება, ხვლიკის მიერ საკუთარი კუდის მოწყვეტა და სხვ.</i> ).
<b>axostyle</b>	აქსოსტილი (ელასტიკური ძაფი, რომელიც ზოგიერთ უმარტივეს შოლტოსანთა სხეულს მთელს სიგრძეზე გასდევს და საყრდენ ფუნქციას ასრულებს).
<b>baccivorous birds</b>	კენრისმჭამელი ფრინველები.
<b>bank swallow</b>	მენაპირე მერცხალი.
<b>barnacle</b>	ულვაშფეხიანი კიბო.
<b>beak-perch</b>	დანაკბილასებრნი.
<b>bipedal</b>	ორფეხა ( <i>ითქმის ცხოველის შესახებ</i> ).
<b>bipinnaria</b>	ბიპინარია ( <i>ზღვის ვარსკვლავების თავისუფლად მცურავი ლარვა</i> )
<b>body cavity</b>	სხეულის ღრუ ( <i>სხეულის სივრცე ეპიდერმისა და ნაწლავებს შორის, სადაც განლაგებულია შინაგანი ორგანოები</i> );
<b>body chamber</b>	საცხოვრებელი საკანი / კამერა ( <i>სპირალური ნიჟარის უკანასკნელი საკანი, რომელშიაც მოთავსებულია მოლუსკის სხეული</i> ; )
<b>brachiate</b>	ხელების ან ხელის მსგავსი გამონაზარდების მქონე.
<b>brachiation</b>	ბრაქიაცია ( <i>ხეზე ლოკომოციის / გადაადგილების ხერხი ხელებზე ქანობით / ტოტებისათვის ხელების რიგრიგობით ჩავლებით</i> ).
<b>branchiate</b>	ლაცურებიანი.
<b>branchiostegite</b>	ბრანქიოსტეგიტი ( <i>კიბოსნაირთა ბაკნის ერთ-ერთი გვერდითი ნაკეცი</i> ).
<b>breeding ground</b>	გამრავლების ადგილი ( <i>სადაც ამა თუ იმ სახეობის გარეული ცხოველები / ფრინველები / თევზები გამრავლების სეზონის დროს მასობრივად იყრიან თავს</i> ).
<b>brittle star</b>	გველკუდა.
<b>buccal incubation</b>	პირისმიერი სუნთქვა ( <i>სუნთქვის ხერხი, რომლის დროსაც ჰაერი პირის ღრუს შვეიწროების / პირის ფსკერის აწევის შედეგად ჩაიტუმბება ფილტვებში</i> )
<b>buccal pumping</b>	პირისმიერი სუნთქვა.
<b>bud</b>	კვირტი ( <i>დედა ორგანიზმის გამონაზარდი, რომლიდანაც ვითარდება შვილეული ორგანიზმი – დამახასიათებელია უხერხემლოებისათვის, საფუარი სოკოებისათვის და სხვ.</i> )
<b>budding</b>	დაკვირტვა, დაკვირტვით გამრავლება ( <i>უსქესო გამრავლების სახეობა</i> )
<b>bullae</b>	დაფის ბუშტი, სასმენი ბუშტი / ბულა ( <i>საფეთქლის ძვლის გამოშვებული ღრუ ნაწილი, რომელიც მოიცავს შუა და შიგნითა ყურის ორგანოებს</i> )
<b>calyx</b>	ჯამი ( <i>ზღვის შროშანების სხეული</i> );
<b>camera</b>	საკანი, კამერა ( <i>ნაუტილოიდებისა და ამონიტების სპირალური ნიჟარის განყოფილება</i> ).

<b>cannon bone</b>	ძვალი კოჭსა და საოლავს შორის.
<b>carnivore</b>	მტაცებელი ცხოველი
<b>cauda</b>	კუდი; კუდისებრი სტრუქტურა; კუდისებრი გამონაზარდი.
<b>caudal vertebra</b>	კუდის ძალა;
<b>caudate</b>	კუდიანი, კუდის / კუდისებრი გამონაზარდის მქონე;
<b>chaetigerous</b>	ჯაგრიანი.
<b>chela</b>	მარწუხი ( <i>კიბოსნაირთა და ობობასნაირთა</i> ).
<b>chelate</b>	მარწუხიანი, მარწუხების მქონე ( <i>ითქმის კიბოსნაირთა და ობობასნაირთა კიდურების შესახებ</i> )
<b>ciliary motion</b>	წამწამოვანი მოძრაობა ( <i>ინფუზორიებისა და სხვ.</i> )
<b>cilium</b>	წამწამი
<b>cirrose</b>	საცეციანი, ულვაშიანი, ცირუსიანი
<b>cirrus</b>	საცეცი; ულვაში;
<b>Cladocera</b>	ატოტვილულვაშებიანი.
<b>coat</b>	ბეწვი, მატყლი, ბუმბული, ( <i>ცხოველისა, ფრინველისა</i> );
<b>cockleshell</b>	ორსაგდულიანი მოლუსკის ნიჟარა
<b>coelenterate</b>	ნაწლავღრუიანი.
<b>coelenteron</b>	გასტრალური ღრუ ( <i>ნაწლავღრუიანთა</i> ).
<b>coelom</b>	ცელომი, სხეულის <i>მეორეული</i> ღრუ.
<b>columella</b>	სვეტი, ცენტრალური ღერძი ( <i>ზოგიერთ მუცელფეხიანთა სპირალური ნიჟარისა, ზოგიერთი მარჯნის პოლიპების ჩონჩხისა და მისთ.</i> );
<b>column</b>	ხერხემლის სვეტი; ქორდა, ზურგის სიმი;
<b>comb-footed spiders</b>	აბლაბუდიანი ობობები
<b>consummatory behaviour</b>	კონსუმატორული ქცევა, მომხმარებლური ქცევა ( <i>დამაბოლოებელი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია მიზნის მიღწევასთან, მაგ. საკვების შეჭმა; განსხვავებით აპეტიტიური ქცევისაგან</i> )
<b>copepoda</b>	ნიჩაბფეხიანები.
<b>copepodid</b>	კოპეპოდიდი ( <i>ნიჩაბფეხიანი კიბოების ლარვა, რომელიც იმაგოს / ზრდასრულ ფორმას ჰგავს</i> ).
<b>coprophage</b>	კოპროფაგი ( <i>ორგანიზმი, რომელიც ექსკრემენტებით იკვებება</i> ).
<b>coprophagy</b>	კოპროფრაფია, ექსკრემენტებით კვება.
<b>coral</b>	მარჯნის პოლიპები
<b>corallite</b>	კორალიტი ( <i>მარჯნის პოლიპების ცალკეული ინდივიდის ჩონჩხი</i> ).
<b>crayfish</b>	მდინარის კიბო
<b>creeping</b>	მცოცავი, მხოხავი ( <i>ითქმის მწერის, ქვეწარმავლის და სხვ. შესახებ</i> ).
<b>crista</b>	ბიბილო; ქოჩორი;
<b>cross-fertilization</b>	ჯვარედინი განაყოფიერება.
<b>crown</b>	ბიბილო ( <i>ფრინველისა და სხვ.</i> );
<b>crus</b>	წვივი, კანჭი;
<b>cuttlebone</b>	<i>რედუცირებული</i> ნიჟარა ( <i>სეპიისა</i> )
<b>cyclomorphosis</b>	ციკლომორფოზი ( <i>სხეულის ფორმის სეზონური ცვლილებები უპირატ. ზღვის ზოოპლანქტონის შემადგენლობაში შემავალ კიბოსნაირებში და სხვ.</i> ).
<b>dactyl</b>	თითი ( <i>ცხოველისა</i> );
<b>decapod</b>	ათფეხა კიბო, ათფეხა კიბოების რიგის წარმომადგენელი;
<b>dentate</b>	კბილებიანი, კბილების / კბილისებრი გამონაზარდების მქონე;
<b>dewlap</b>	ღაბაბი ( <i>ცხოველის ყელზე / მკერდზე ჩამოკეცილი კანი</i> );

<b>diastema</b>	დიასტემა, კბილებშორისი შუალედი ( <i>განსაკ. საჭრელსა და მოლარს შორის</i> ).
<b>dichromatism</b>	დიქრომატიზმი, სახეობაში ორი განსხვავებული ფერის / შეფერილობის მქონე ინდივიდთა არსებობა;
<b>didelphid</b>	ჩანთოსანი ცხოველი; ოპოსუმი.
<b>dimyary</b>	ორკუნთა ორსაგდულიანი მოლუსკი
<b>dioecious</b>	გაყოფილსქესიანი.
<b>disc</b>	<i>ცენტრალური</i> დისკო ( <i>რადიალურად სიმეტრიული ცხოველებისა</i> );
<b>dispersal</b>	დისპერსია ( <i>ორგანიზმის სწრაფვა დაბადების ადგილის დატოვებისაკენ</i> )
<b>dissepiment</b>	დისეპიმენტი, სეპტა, ტიხარი ( <i>მეტამერული უხერხემლო ცხოველების სეგმენტებს / საკნებს შორის</i> );
<b>dissogeny</b>	დისოგენია, დისოგონია ( <i>ერთი ორგანიზმის გამრავლების უნარი განვითარების ორ – ლარვულ და ზრდასრულ სტადიებზე; ახასიათებს საკარცხლოურებს</i> ).
<b>dwarf male</b>	ჯუჯა მამალი ( <i>მისივე სახეობის დედალთან შედარებით მცირე ზომის მამალი – სქესობრივი დიმორფიზმის გამოვლინება</i> ).
<b>eared</b>	ყურებიანი; დიდყურა, გრძელყურა.
<b>echolocation</b>	ექოლოკაცია ( <i>მაღალსიხშირული ბგერების გამოცემითა და მათი ექოების აღქმის საშუალებით ობიექტის მდებარეობის განსაზღვრა / ამოცნობა – ახასიათებთ ღამურებს, ღამის ფრინველებს, დელფინს და სხვ.</i> ).
<b>ectoderm</b>	ექტოდერმა, სხეულის გარეთა შრე ( <i>ნაწლავდრუიანებისა და ღრუბელებისა</i> ).
<b>trisomic</b>	ტრისომი, ტრისომიკი, ტრისომიული უჯრედი ან ორგანიზმი (დიპლოიდური უჯრედი ან ორგანიზმი, რომელიც წყვილის ნაცვლად სამმაგ ქრომოსომას / ტრისომას შეიცავს)
<b>trisomy</b>	ტრისომია (დიპლოიდურ ორგანიზმში სამი ჰომოლოგიური ქრომოსომის არსებობა ორის ნაცვლად).
<b>trivalent</b>	ტრივალენტი (მეიოზის დროს სამი ჰომოლოგიური ქრომოსომის მიერ წარმოქმნილი სტრუქტურა).
<b>true reversion</b>	ჭეშმარიტი რევერსია / უკუმუტაცია (მუტაციის უბანში მომხდარი უკუმუტაცია, თავდაპირველი ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის აღდგენა)
<b>tumour suppressor genes</b>	სიმსივნის წარმოქმნის სუპრესორი / დამთრგუნველი გენები, ანტიონკოგენები (გენები, რომლებიც აკოდირებენ უჯრედული ციკლის დამთრგუნველ და უჯრედის აპოპტოზის გამომწვევ ცილებს;)

<b>underdominance</b>	ქვედომინანტობა (შეგუებულობის თვალსაზრისით ჰომოზიგოტური ორგანიზმის / ნიშან-თვისების უპირატესობა ჰეტეროზიგოტურისაზე)
<b>unequal crossing over</b>	არათანაბარი კროსინგოვერი, უთანაბრო კროსინგოვერი (კროსინგოვერი, რომელიც მიმდინარეობს ჰომოლოგიური ქრომოსომების ერთმანეთის მიმართ არათანაბრად განლაგების გამო მათ შორის არაიდენტური უბნების გაცვლით, რის შედეგადაც ეს უბანი ერთ ქრომოსომას გაორმაგებული აქვს, მეორეს კი აკლია – ქრომოსომული აბერაციების ერთ-ერთი ფორმა;)
<b>uniparental inheritance</b>	ერთმშობლისეული დამემკვიდრება (ისეთ გენტა / ნიშან-თვისებათა დამემკვიდრება, რომლებიც შთამომავლობას მხოლოდ ერთი მშობლიდან გადაეცემა – ჩვეულ. დედისეული / ციკოპლაზმური დამემკვიდრება).
<b>X-linked gene</b>	X-ქრომოსომასთან შეჭიდული გენი (ერთ-ერთ X-ქრომოსომაზე ლოკალიზებული გენი).
<b>Y chromosome</b>	Y-ქრომოსომა, იგრეკ-ქრომოსომა (მამრობითი სქესის განმსაზღვრელი ქრომოსომა XY-სისტემაში)
<b>Y linkage</b>	ჰოლანდრული დამემკვიდრება
<b>zygotic lethal</b>	ზიგოტური ლეტალი / ლეტალური გენი (მუტანტური ან დეფექტური გენი, რომელიც ხელს არ უშლის გამეტების ნორმალურ განვითარებას, მაგრამ იწვევს განვითარებადი ორგანიზმის სიკვდილს ემბრიონულ ან ლარვულ / იუვენილურ სტადიაზე;)

# იმუნოლოგია

<b>A and B antigens</b>	A და B ანტიგენები ( <i>ABO-სისტემის ანტიგენები</i> )
<b>accessory cell</b>	ანტიგენწარმდგენი უჯრედი, A-უჯრედი.
<b>active immunity</b>	აქტიური იმუნიტეტი ( <i>ორგანიზმის მიერ თავად გამომუშავებული ან ვაქცინაციით და მისთ. ჩამოყალიბებული იმუნიტეტი</i> ).
<b>active immunization</b>	აქტიური იმუნიზაცია ( <i>ორგანიზმში ანტიგენის შეყვანა ვაქცინაციის და სხვ. საშუალებით ან მისი შეღწევა ბუნებრივად</i> ).
<b>adaptive immune response</b>	ადაპტური / შექმნილი იმუნური პასუხი.
<b>adaptive immunity</b>	ადაპტური / შექმნილი იმუნიტეტი
<b>adenosine deaminase</b>	ადენოზინდეამინაზის დეფიციტი ( <i>იმუნოდეფიციტის იშვიათი ფორმა</i> ).
<b>adoptive immunity</b>	შექმნილი პასიური იმუნიტეტი; გადატანილი იმუნიტეტი ( <i>იმუნოკომპეტენტური დონორის ანტისხეულების / ლიმფოციტების გადატანის შედეგად ჩამოყალიბებული იმუნიტეტი</i> ).
<b>adoptive transfer</b>	პასიური იმუნიზაცია, იმუნიტეტის გადატანა ( <i>ორგანიზმში მზა სპეციფიკური ანტისხეულების შეყვანა – შრატის სახით და მისთ.</i> )
<b>affinity</b>	აფინობა.
<b>agglutinogen</b>	აგლუტინოგენი ( <i>აგლუტინინების გამომუშავების მასტიმულირებელი ანტიგენი</i> ).
<b>allergen</b>	ალერგენი, ალერგიის გამომწვევი ნივთიერება / ანტიგენი.
<b>allergenic</b>	ალერგენული, ალერგენისა, ალერგენტან დაკავშირებული;
<b>an allergic reaction</b>	ალერგიული რეაქცია.
<b>allergy</b>	ალერგია.
<b>alloantibody</b>	ალოანტისხეული ( <i>ალოანტიგენით / იმავე სახეობის სხვა ინდივიდის ანტიგენით იმუნიზაციის საპასუხოდ გამომუშავებული ანტისხეული</i> )
<b>alloantigen</b>	ალოანტიგენი, ალოტიპური ანტიგენი ( <i>ანტიგენი, რომელიც იმავე სახეობის გენეტიკურად განსხვავებული ინდივიდისთვის შეყვანისას იმუნურ პასუხს / ალოანტისხეულების გამომუშავებას იწვევს</i> )
<b>alloantisera</b>	ალოანტიშრატი ( <i>იმავე სახეობის ინდივიდის ანტიგენების შეყვანის შედეგად გამომუშავებული ანტიშრატი</i> ).
<b>allogenic</b>	1. ეკოლ. ალოგენური, გარეშე ფაქტორებით გამოწვეული; 2. იმუნ. = allogeneic.
<b>allogenic graft</b>	ალოგენური ტრანსპლანტატი ( <i>იმავე სახეობის გენეტიკურად განსხვავებული ინდივიდისგან გადანერგილი ქსოვილი; განსაკ. ალოანტიგენებთან მიმართებაში</i> )
<b>allograft</b>	ალოტრანსპლანტატი ( <i>იმავე სახეობის გენეტიკურად განსხვავებული ინდივიდისგან გადანერგილი ქსოვილი</i> )
<b>alloimmunity</b>	ალოიმუნიტეტი ( <i>ალოანტიგენის მიმართ იმუნური პასუხის აღძვრა</i> )
<b>allorecognition</b>	ალოამოცნობა ( <i>ორგანიზმის მიერ ალოგენური / უცხო ქსოვილის საკუთარისაგან განსხვავების უნარი</i> ).
<b>alternative pathway</b>	ალტერნატიული გზა ( <i>კომპლემენტის აქტივაციისა</i> ).
<b>anamnestic response</b>	ანამნესტიკური რეაქცია, მეორეული იმუნური პასუხი.
<b>anaphylaxis</b>	ანაფილაქსია, ანაფილაქსიური შოკი ( <i>ორგანიზმის მწვავე, ზოგჯერ აგრ. სასიკვდილო შედეგის მქონე, რეაქცია ნივთიერებაზე / ანტიგენზე, რომლის მიმართაც მოკიდებული ინდივიდი ალერგიულია</i> ).
<b>anergy</b>	ანერგია, ამა თუ იმ ანტიგენზე ან ალერგენზე ნორმალური იმუნური პასუხის არარსებობა / უქონლობა.
<b>antibody</b>	ანტისხეული, იმუნოგლობულინი
<b>antibody-dependent cellular cytotoxicity</b>	ანტისხეულდამოკიდებული უჯრედული ციტოტოქსიკურობა ( <i>ბუნებრივი კილორული უჯრედების ფუნქცია</i> );
<b>antibody repertoire</b>	ანტისხეულების რეპერტუარი ( <i>ინდივიდის იმუნური სისტემისათვის ან ამა თუ იმ ქსოვილისათვის დამახასიათებელი ანტისხეულების ტიპების სრული სპექტრი</i> ).
<b>antigen</b>	ანტიგენი ( <i>ანტისხეულების გენერატორი – ტოქსინი ან ორგანიზმისთვის უცხო სხვა ნივთიერება, რომელიც იწვევს იმუნური პასუხების აღძვრას</i> );
<b>antigen-binding site</b>	ანტიგენშემაკავშირებელი უბანი / საიტი, პარატოპი ( <i>ანტისხეულის უბანი, რომლითაც იგი ამოიცნობს ანტიგენის ეპიტოპს და უერთდება მას</i> )

<b>antigenic</b>	ანტიგენური.
<b>antigenic determinant</b>	ანტიგენური დეტერმინანტი, ეპიტოპი (ანტიგენის მოლეკულის ნაწილი / უბანი, რომლის წინააღმდეგაც კონკრეტული იმუნური პასუხია მიმართული და რომელთანაც ანტისხეულის მიერთება ხდება;
<b>antigenic conversion</b>	ანტიგენური კონვერსია.
<b>antigenicity</b>	ანტიგენურობა (ანტიგენის უნარი აღძრას იმუნური პასუხები).
<b>antigenic drift</b>	ანტიგენური დრეიფი.
<b>antigenic variation</b>	ანტიგენური ვარიაცია.
<b>antigen presentation</b>	ანტიგენის წარდგენა, ანტიგენის პრეზენტაცია (ანტიგენწარმდგენი უჯრედების მიერ გადამუშავებული ანტიგენური კეპტიდის წარდგენა ჰისტოშეთავსებულობის მთავარ კომპლექსთან ერთად T-ლიმფოციტებისთვის).
<b>antigen-presenting cell</b>	ანტიგენწარმდგენი უჯრედი, აწუ (ორგანიზმის იმუნური სისტემის უჯრედი, რომელიც მის მიერ გამოვლენილი ანტიგენის T-ლიმფოციტებისთვის წარდგენას ახდენს;)
<b>antigen processing</b>	ანტიგენის გადამუშავება, ანტიგენის პროცესინგი (ანტიგენის გადამუშავება / ნაწილობრივი დაშლა ანტიგენწარმდგენი უჯრედების მიერ; წინ უძღვის ანტიგენის წარდგენას T-ლიმფოციტებისთვის)
<b>antigen receptor</b>	ანტიგენის რეცეპტორი (ანტიგენშემბოჭველი გლიკოპროტეინული კომპლექსები).
<b>anti-immunoglobulin</b>	ანტიიმუნოგლობულინი (იმუნოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეული).
<b>Arthus reaction</b>	არტიუსის რეაქცია (ლოკალური ჰიპერმგრძობიარე რეაქცია ანტიგენზე, რომლის მიმართაც ორგანიზმს უკვე აქვს გამომუშავებული ანტიგენი).
<b>attenuated</b>	დასუსტებული, ატენუირებული; 2. განზავებული, გათხევადებული; 3. ბოტ. ბოლოსკენ თანდათან დაწვრილებული, წაწვრილებული.
<b>autoantibody</b>	ავტოანტისხეული, ორგანიზმის მიერ საკუთარივე ანტიგენის წინააღმდეგ გამომუშავებული ანტისხეული (ზოგიერთი ავტოიმუნური პროცესისა და დაავადების დროს).
<b>autoantigen</b>	ავტოანტიგენი (ორგანიზმის საკუთარი მოლეკულა, რომლის წინააღმდეგაც აღიძვრება იმუნური პასუხები; უპირატ. ავტოიმუნური პროცესების ან დაავადებების დროს).
<b>autograft</b>	ავტოტრანსპლანტატი (ინდივიდის სხეულის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაწერვითი ქსოვილი)
<b>autoimmunity</b>	ავტოიმუნიტეტი (ორგანიზმის საკუთარ ანტიგენებზე / ავტოანტიგენებზე აღძრული იმუნური პასუხები).
<b>autologous</b>	ავტოლოგიური, საკუთარი, იმავე ორგანიზმიდან აღებული (ითქმის გადასანერგავი ქსოვილის, გადასახსმელი სისხლის და მისთ. შესახებ).
<b>avidity</b>	ავიდობა, ანტიგენტან შეკავშირების უნარი (ანტისხეულისა).
<b>bacteriocin</b>	ბაქტერიოცინი (ბაქტერიული ცილა).
<b>basophil</b>	ბაზოფილი, ბაზოფილური გრანულოციტი / ლეიკოციტი
<b>B-cell receptor</b>	B-უჯრედის რეცეპტორი (ანტისხეულის მემბრანული ფორმა B-ლიმფოციტის ზედაპირზე, რომელიც ამავე ლიმფოციტის მიერ არის სინთეზირებული;)
<b>Bence-Jones protein</b>	ბენს-ჯონსის ცილა (მელომური ცილა).
<b>binding site</b>	შემაკავშირებელი უბანი / საიტი (ანტისხეულის / ანტიგენის უბანი, რომელიც უშუალო ფიზიკურ კონტაქტს ქმნის შესაბამის ანტიგენტან / ანტისხეულთან).
<b>bivalent</b>	ბივალენტური, ორი ანტიგენშემაკავშირებელი უბნის / პარატოპის მქონე (ითქმის ანტისხეულის შესახებ)
<b>blood group antigens</b>	სისხლის ჯგუფის ანტიგენები
<b>calcineurin</b>	კალცინეირინი (პროტეინფოსფატაზა 2B).
<b>cap</b>	კეპი, "ხუფი"
<b>capping</b>	კეპინგი (მემბრანული ცილების კონცენტრაცია აქტივირებული უჯრედის ერთ-ერთ პოლუსზე კეპის / "ხუფის" წარმოქმნით).
<b>carrier</b>	ჰაპტენის მატარებელი ცილა;

<b>chromatin</b>	ქრომატინის იმუნოპრეციპიტაცია.
<b>immunoprecipitation</b>	
<b>cell-mediated immunity</b>	უჯრედული იმუნიტეტი, T-უჯრედოვანი იმუნიტეტი, უჯრედული იმუნური პასუხი (იმუნური პასუხი, რომელიც ხორციელდება ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტების მიერ;
<b>central tolerance</b>	ცენტრალური ტოლერანტობა (პირველად ლიმფურ ორგანოებში ახალწარმოქმნილი T და B ლიმფოციტების უპირატ. საკუთარ ანტიგენებზე პასუხის უქონლობა).
<b>centroblast</b>	ცენტრობლასტი (ერთ-ერთი ფოლიკულოური B-უჯრედი).
<b>centrocyte</b>	ცენტროციტი (ერთ-ერთი ფოლიკულოური B-უჯრედი).
<b>class</b>	ფუნქციონალური კლასი (ანტიხეილებისა).
<b>clonal deletion</b>	კლონის დელეცია / აღმოფხვრა (საკუთარი ანტიგენების ამომცნობი T და B ლიმფოციტური კლონების აღმოფხვრა აპოპტოზის გზით – ცენტრალური ტოლერანტობის ჩამოყალიბების ძირითადი მექანიზმი).
<b>clonal expansion</b>	კლონის ექსპანსია (T და B ლიმფოციტური კლონის უხვი გამრავლება სპეციფიკური ანტიგენის ამოცნობის შედეგად).
<b>clonal selection</b>	კლონური სელექცია (ლიმფოციტებისა, იმუნური პასუხის დროს).
<b>clonal selection theory</b>	კლონურ-სელექციური თეორია, ბერნეტის თეორია (ანტიგენების განუსაზღვრელი რაოდენობის მიმართ სპეციფიკური T და B ლიმფოციტების თანდაყოლილი კლონების არსებობის თეორია).
<b>clone</b>	კლონი (სპეციფიკურ ანტიგენზე მოპასუხე T და B ლიმფოციტები).
<b>cluster of differentiation</b>	დიფერენციაციის კლასტერი (ლეიკოციტების მემბრანასოციირებული და ციტოპლაზმური რეცეპტორების / მოლეკულების კლასიფიკაციის წესი;
<b>constant fragment</b>	კონსტანტური ფრაგმენტი.
<b>combining site</b>	კომბინატორული საიტი (ანტიხეილის მოლეკულის ნაწილი / უბანი, რომელიც ამა თუ იმ ანტიგენს უერთდება).
<b>complement</b>	კომპლემენტი, კომპლემენტის სისტემა
<b>complementarity-determining region</b>	კომპლემენტარობის განმსაზღვრელი უბანი, ჰიპერვარიანტული უბანი (ანტიხეილის მოლეკულაში;)
<b>complement-dependent cytotoxicity</b>	კომპლემენტდამოკიდებული ციტოტოქსიკურობა (პათოგენური უჯრედების განადგურება კომპლემენტის სისტემის მიერ;)
<b>complement system</b>	კომპლემენტის სისტემა, კომპლემენტი (სისხლის შრატის ცილების კასკადური სისტემა, რომელიც წარმოადგენს იმუნური პასუხების ერთ-ერთ კომპონენტს;)
<b>constant domain</b>	კონსტანტური დომენი / უბანი, C-დომენი (იმუნოგლობულინისა).
<b>constant fragment</b>	კონსტანტური ფრაგმენტი / რეგიონი, C-ფრაგმენტი (იმუნოგლობულინის ორი კიდურა კონსტანტური დომენისაგან შემდგარი ფრაგმენტი / რეგიონი).
<b>contact hypersensitivity</b>	კონტაქტური ჰიპერმგრძობელობა / ჰიპერსენსიტიურობა (T-ლიმფოციტების მიერ განპირობებული IV ტიპის ჰიპერმგრძობელობა, რაც იწვევს კანის მწვავე ანთებას შეხების ადგილზე).
<b>cross-reacting</b>	ჯვარედინად მორეაგირე, ერთზე მეტ ანტიგენთან მორეაგირე / ურთიერთმოქმედი (ითქმის ანტიხეილის შესახებ);
<b>cross-reacting material</b>	ჯვარედინად მორეაგირე მასალა
<b>cross reaction</b>	ჯვარედინი რეაქცია (ანტიხეილის ურთიერთქმედება მისი გამომუშავების გამომწვევი ანტიგენის გარდა სხვა ანტიგენთანაც);
<b>cytotoxic</b>	ციტოტოქსიკური, უჯრედებს რომ ანადგურებს.
<b>cytotoxicity</b>	ციტოტოქსიკურობა
<b>D antigen</b>	D ანტიგენი (რეზუს-სისტემის უძლიერესი იმუნოგენური ანტიგენი, რეზუსფაქტორი)
<b>decay-accelerating factor</b>	ჰემოლიზის კომპლემენტდამოკიდებული სტიმულატორი, DAF-ფაქტორი (ხელს უშლის მემბრანის შემტევი კომპლექსის წარმოქმნას უჯრედის ზედაპირზე;)
<b>defensin</b>	დეფენზინი (ანტიმიკრობული კატიონური ცილა).

<b>degranulation</b>	დეგრანულაცია (პოხიერი უჯრედებისა და კილერი / მკვლელი უჯრედების მიერ გრანულების შიგთავსის მიკროგარემოში გამოთავისუფლება).
<b>delayed type hypersensitivity reaction</b>	შენელებული ტიპის ჰიპერმგრძობელობა / ჰიპერმგრძობელობის რეაქცია, IV ტიპის ჰიპერმგრძობელობა / ჰიპერმგრძობელობის რეაქცია (T-ლიმფოციტებით განპირობებული უჯრედული იმუნური რეაქციის ერთ-ერთი ტიპი;)
<b>dendritic cell</b>	დენდრიტული უჯრედი (ანტიგენის გადამამუშავებელი და წარმდგენი უჯრედი;)
<b>desensitization determinant detoxification</b>	დესენსიბილიზაცია. ანტიგენური დეტერმინანტი, ეპიტოპი დეტოქსიკაცია, დეტოქსიფიკაცია.
<b>D gene segment</b>	გენის D-სეგმენტი (იმუნოგლობულინის მძიმე ჯაჭვის ერთ-ერთი სტრუქტურული სეგმენტის მკოდირებელი გენი, რომელიც მონაწილეობს ჩანასახოვანი ხაზის გენების გადაჯგუფებაში და იმუნოგლობულინის სპეციფიკურობის ჩამოყალიბებაში;
<b>DNA immunization</b>	დნმ-იმუნიზაცია (ამა თუ იმ დაავადების მიმართ იმუნიტეტის შექმნა ორგანიზმში დნმ-ვაქცინის შეყვანით).
<b>DNA vaccination</b>	დნმ-ვაქცინაცია (ორგანიზმში დნმ-ვაქცინის შეყვანა – ამა თუ იმ დაავადების მიმართ იმუნიტეტის შესაქმნელად).
<b>DNA vaccine</b>	დნმ-ვაქცინა (დნმ-ის საფუძველზე დამზადებული ვაქცინა, რომელიც ჩართულია დნმ-ის ვექტორის სტრუქტურაში).
<b>domain</b>	დომენი (იმუნური რეცეპტორების სტრუქტურული ერთეული).
<b>Duffy blood group antigens</b>	დაფის სისტემის ანტიგენები (ერთროციტების მემბრანასთან ასოცირებული სისხლის ჯგუფის Fy <sup>+</sup> და Fy <sup>-</sup> ანტიგენები)
<b>eclipsed antigen</b>	ეკლიფსური ანტიგენი (მასპინძლის ანტიგენური დეტერმინანტის მსგავსი პარაზიტული ანტიგენური დეტერმინანტი, რომელიც ორგანიზმში მოხადრისას არ იწვევს ანტიბიოლოგიის გამომუშავებას).
<b>effector cell</b>	ეფექტორული უჯრედი, ეფექტორი (განსაკ. T-ლიმფოციტი).
<b>eosinophil</b>	ეოზინოფილი, ეოზინოფილური გრანულოციტი / ლეიკოციტი
<b>epitope</b>	ეპიტოპი, ანტიგენური დეტერმინანტი (ანტიგენის მოლეკულის ნაწილი, რომლის წინააღმდეგაც კონკრეტული იმუნური პასუხი მიმართულია და რომელსაც ანტიბიოლოგი უერთდება;)
<b>Fab</b>	Fab-ფრაგმენტი, Fab-უბანი (იმუნოგლობულინის ანტიგენდამაკავშირებელი უბანი / ფრაგმენტი;)
<b>Fc</b>	Fc-ფრაგმენტი, Fc-უბანი (იმუნოგლობულინის მძიმე ჯაჭვის კონსტანტური დომენების შემცველი მონაკვეთი, რომელსაც ე.წ. ბიოლოგიური ფუნქციები აკისრია, მათ შორის Fc რეცეპტორთან ურთიერთქმედება;)
<b>Fc receptor</b>	Fc-რეცეპტორი (იმუნური სისტემის მრავალი უჯრედის ზედაპირის კომპონენტი, რომელიც იმუნოგლობულინის Fc ფრაგმენტთან ურთიერთქმედებს)
<b>fold library</b>	ნაკვეთების ბიბლიოთეკა.
<b>follicle</b>	ლიმფური ფოლიკული (ლიმფურ კვანძებში არსებული სტრუქტურული ერთეული, რომელშიც მიმდინარეობს B-უჯრედების გამრავლება ანტიგენური სტიმულირების შედეგად);
<b>follicular dendritic cell</b>	ფოლიკულური დენდრიტული უჯრედი (იმუნური სისტემის ანტიგენწარმდგენი მორჩებიანი უჯრედი, რომელიც ლიმფური ქსოვილის პირველად და მეორად ფოლიკულებშია ლოკალიზებული).
<b>Freund's adjuvant</b>	ფროინდის ადიუვანტი (მკვდარი მიკობაქტერიების შემცველი ზეთოვანი ემულსია, რომელიც ცხოველების ექსპერიმენტული იმუნიზაციისას გამოიყენება).
<b>genetic immunization</b>	გენეტიკური იმუნიზაცია (ამა თუ იმ დაავადებისადმი იმუნიტეტის შექმნა ორგანიზმში დნმ-ვაქცინის შეყვანით)
<b>germinal centre</b>	გერმინაციული ცენტრი (ლიმფური კვანძის სტრუქტურა, სადაც ანტიგენზე მოპასუხე B-ლიმფოციტების პროლიფერაცია / გამრავლება მიმდინარეობს).

<b>graft I</b>	ტრანსპლანტატი, გადასანერგი ცოცხალი ქსოვილი; 2. ბოტ. სანამყენე, მცენარის ნამყენი ნაწილი.
<b>graft II</b>	ცოცხალი ქსოვილის გადანერგვა; 2. ბოტ. დამყნობა (<და>ამყნობს), ოკულორება.
<b>granulocyte</b>	გრანულოციტი, მარცვლოვანი ლეიკოციტი, პოლიმორფონუკლეარული ლეიკოციტი
<b>granulopoiesis</b>	გრანულოპოეზი, გრანულოციტოპოეზი (გრანულოციტების წარმოქმნა)
<b>gut-associated lymphoid tissue</b>	კუჭ-ნაწლავთან ასოცირებული ლიმფური ქსოვილი (საჭმლის მომნელებელი ტრაქტის იმუნური ქსოვილი;)
<b>H antigen</b>	H-ანტიგენი, ჰისტოშეთავსებულობის ანტიგენი
<b>hapten</b>	ჰაპტენი, არასრულფასოვანი ანტიგენი (ანტიგენი, რომელსაც იმუნური პასუხის გამოწვევა მხოლოდ ამა თუ იმ ცილასთან მიერთებისას შეუძლია).
<b>haptenic</b>	ჰაპტენური, ჰაპტენთან დაკავშირებული
<b>helper T cells</b>	დამხმარე T-უჯრედები, დამხმარე T-ლიმფოციტები
<b>helper T lymphocytes</b>	დამხმარე T-ლიმფოციტები, დამხმარე T-უჯრედები (B-უჯრედების, სხვა T-ლიმფოციტებისა და მკროფაგების მოქმედების გამაძლიერებელი T-ლიმფოციტები;)
<b>heteroantibody</b>	ჰეტეროანტისხეული, ჰეტეროლოგიური ანტისხეული (ერთ სახეობაში სხვა სახეობის წარმომადგენლის ანტიგენის საპასუხოდ გამომუშავებული ანტისხეული;)
<b>heteroantigen</b>	ჰეტეროანტიგენი, ჰეტეროლოგიური ანტიგენი (ერთი სახეობისგან აღებული ანტიგენი, რომელიც ანტიგენურია სხვა სახეობის წარმომადგენელთათვის;)
<b>heterograft</b>	ჰეტეროტრანსპლანტატი, ქსენოტრანსპლანტატი (სხვა სახეობის ინდივიდისგან გადანერგვილი ქსოვილი;)
<b>heterologous</b>	ჰეტეროლოგიური (ითქმის ისეთი ანტისხეულისა და ანტიგენის შესახებ, რომლებიც ერთმანეთს არ ებმებიან).
<b>heterophile</b>	ჰეტეროფილური (ითქმის ბუნებრივი იმუნიტეტის განმაპირობებელი არასპეციფიკური ანტიგენებისა და ანტისხეულების შესახებ).
<b>high endothelial venule</b>	მაღალი ენდოთელიალური ვენულა (ენდოთელიუმში ლიმფოციტების "ჰომინგში" მონაწილე;)
<b>homing</b>	ჰომინგი, უჯრედების სწრაფვა მათი წარმომქმნელი ორგანოსაკენ;
<b>homocytotropic antibody</b>	ჰომოციტოტროპული ანტისხეული, იმუნოგლობულინი E
<b>homoplastic</b>	ჰომოპლასტიკური, იმავე სახეობის ინდივიდისგან გადანერგვილი (ითქმის ტრანსპლანტატის ან ქსოვილის შესახებ).
<b>H substance</b>	H-ნივთიერება (AB-ანტიგენების პოლისაქარიდული წინამორბედი).
<b>humoral</b>	ჰუმორული, სისხლში ცირკულირებადი თავისუფალი ანტისხეულებით განპირობებულ იმუნიტეტთან დაკავშირებული.
<b>humoral immunity</b>	ჰუმორული იმუნიტეტი, ანტისხეულებით განპირობებული იმუნიტეტი.
<b>hyperimmune</b>	ჰიპერიმუნური, გაზრდილი იმუნიტეტის / ამა თუ იმ ანტისხეულის გაზრდილი რაოდენობის მქონე.
<b>hyperimmunization</b>	ჰიპერიმუნტიკტი, გაზრდილი იმუნიტეტი.
<b>hypersensitive</b>	ჰიპერმგრძობელი, ზემგრძობელი, ჰიპერმგრძობიარე (ანტიგენის, გამლიზიანების / სტიმულის და მისთ. მიმართ).
<b>hypersensitivity</b>	ჰიპერმგრძობელობა, ზემგრძობელობა, ჰიპერმგრძობიარობა (ანტიგენის, გამლიზიანების / სტიმულის და მისთ. მიმართ).
<b>hypersensitivity reaction</b>	ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია, ზემგრძობელობითი რეაქცია (ანტიგენზე).
<b>idiotope</b>	იდიოტოპი, იდიოტოპური დეტერმინანტი (ანტისხეულის ან T-უჯრედული რეცეპტორის ვარიანტული უბნის ეპიტოპი / ანტიგენური დეტერმინანტი).
<b>idiotype</b>	იდიოტიპი (ანტისხეულის იდიოტოპების ნაკრები)
<b>immune</b>	იმუნიტეტიანი, იმუნიტეტის მქონე, შეუვალა (ამა თუ იმ პათოგენური მიკროორგანიზმების, შხამების და ა.შ. მიმართ – ითქმის ორგანიზმის შესახებ);

<b>immune clearance</b>	იმუნოლოგიური გაწმენდა (იმუნური სისტემის მიერ ორგანიზმის ანტიგენებისაგან გაწმენდა ანტიგენ-ანტისხეულის მოლეკულური კომპლექსის შერყმითა და მათი ფაგოციტოზის მიერ შთანთქმით;)
<b>immune complex</b>	იმუნური კომპლექსი, ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსი (ანტიგენისა და მის წინააღმდეგ გამომუშავებული ანტისხეულის მოლეკულური კომპლექსი).
<b>immune system</b>	იმუნური სისტემა (ორგანიზმის უჯრედების, ქსოვილების და ა.შ. ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს უცხო მიკროორგანიზმებისა და ნივთიერებების ამოცნობასა და გაუვნებლებას).
<b>immune tolerance</b>	იმუნოლოგიური ტოლერანტობა (იმუნური სისტემის ამა თუ იმ ტიპის ანტიგენების წინააღმდეგ ანტისხეულოვანი ან T-უჯრედული იმუნიტეტის გამომუშავების უუნარობა;)
<b>immunity</b>	იმუნიტეტი (მიკროორგანიზმებისა და უცხო გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი სუბსტანციების ორგანიზმიდან წარმატებით განდევნის უნარი);
<b>immunization</b>	იმუნიზაცია, იმუნიტეტის ჩამოყალიბება
<b>immunoagglutination</b>	იმუნოაგლუტინაცია (უჯრედების სუსპენზიაში შექმნება და გამოლეკვა სპეციფიკური ანტისხეულებით მათი ჯვარედინად შებოჭვის შემთხვევაში - გამოიყენება სისხლის ჯგუფის დასადგენად).
<b>immunodiagnosics</b>	იმუნოდიაგნოსტიკა (დიაგნოსტიკა იმუნოლოგიური მეთოდების - სეროლოგიური რეაქციების, იმუნოფენოტიპირების და სხვ. გამოყენებით).
<b>immunodiffusion</b>	იმუნოდიფუზია (იმუნოლოგიური ანალიზის მეთოდი).
<b>immunodominance</b>	იმუნოდომინანტობა, ანტიგენური სპეციფიკურობის დომინანტობა.
<b>immunogen</b>	იმუნოგენი (ანტისხეულის გამომუშავების / იმუნური პასუხის გამოწვევის უნარის მქონე ანტიგენი).
<b>immunogenic</b>	იმუნოგენური, ანტისხეულის გამომუშავების / იმუნური პასუხის აღძვრის უნარის მქონე (ითქმის ანტიგენის შესახებ).
<b>immunogenicity</b>	იმუნოგენურობა, ანტიგენურობა (ანტიგენის ან ეპიტოპის უნარი, აღძვრას იმუნური პასუხი).
<b>immunoglobulin</b>	იმუნოგლობულინი, ანტისხეული
<b>immunoglobulin A</b>	იმუნოგლობულინი A, A კლასის იმუნოგლობულინი (იმუნოგლობულინი, რომელიც შრატსა და განსაკ. სეკრეტებში – ცრემლში, ნერწყვში, ნაღველში, შარდში და სხვ. გვხვდება; მთავარ ფუნქციას ლორწოვანი გარსის იმუნიტეტი / სასუნთქი და შარდსასქესო გზებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ინფექციისაგან დაცვა წარმოადგენს;)
<b>immunoglobulin chains</b>	იმუნოგლობულინის ჯაჭვები (იმუნოგლობულინის მძიმე და მსუბუქი ჯაჭვები;)
<b>immunoglobulin D</b>	იმუნოგლობულინი D, D კლასის იმუნოგლობულინი (იმუნოგლობულინი, რომლის რაოდენობა შრატში 1 %-ს არ აღემატება; ფუნქციები საბოლოოდ დადგენილი არ არის, ძირითადად წარმოიქმნება მიელომური დაავადებისას და ქრონიკული ანთებითი პროცესებისას;)
<b>immunoglobulin domain</b>	იმუნოგლობულინის დომენი (იმუნოგლობულინის ძირითადი სტრუქტურული ერთეული)
<b>immunoglobulin E</b>	იმუნოგლობულინი E, E კლასის იმუნოგლობულინი (იმუნოგლობულინი, რომელიც შრატსა და სეკრეტებში თავისუფალ მდგომარეობაში თითქმის არ არსებობს, ძირითადად წარმოიქმნება ფილტვებში, კანში და ლორწოვან გარსში ჰელმინთური პარაზიტებით დაინფიცირებისას; აგრ. წარმოადგენს ალერგიული რეაქციების მთავარ აღმძვრელს;)

<b>immunoglobulin G</b>	იმუნოგლობულინი G, G კლასის იმუნოგლობულინი (შრატის ძირითადი იმუნოგლობულინი, რომლის მთავარი ფუნქციაა ინფექციური დაავადებებისადმი ხანგრძლივი ჰუმორალური იმუნიტეტის / იმუნოლოგიური მეხსიერების ჩამოყალიბება; ერთადერთი იმუნოგლობულინია, რომელიც მცირე მოლეკულური მასის გამო პლაცენტის გავლით აღწევს ნაყოფში და უზრუნველყოფს მის და ახალშობილის პასიურ იმუნიზაციას.)
<b>immunoglobulin M</b>	იმუნოგლობულინი M, M კლასის იმუნოგლობულინი (ყველაზე მაღალი მოლეკულური მასის იმუნოგლობულინი, რომელიც ძირითადად შრატში გვხვდება და სისხლში ცირკულირებს; მთავარ ფუნქციას წარმოადგენს პირველადი იმუნური პასუხის აღმგრა, რომლის შემდეგ იწყება G-იმუნოგლობულინის სინთეზი.)
<b>immunological memory</b>	იმუნოლოგიური მეხსიერება (შემენილი იმუნური სისტემის უნარი, სწრაფად და ეფექტურად აღმრას მორიგე იმუნური პასუხი).
<b>inflammatory cells</b>	ანთების უჯრედები (ანთებით პასუხში / რეაქციაში მონაწილე იმუნური სისტემის უჯრედები – მაკროფაგები, ნეიტროფილები, ეოზინოფილები და სხვ.).
<b>inflammatory mediator</b>	ანთების მედიატორი (ანთებითი პასუხის / რეაქციის აღმმგრელი და მარეგულირებელი ნივთიერება – ჰისტამინი, ქიმიკინი და სხვ.).
<b>inflammatory response</b>	ანთებითი რეაქცია / პასუხი, ანთება
<b>innate immunity</b>	თანდაყოლილი იმუნიტეტი, ბუნებრივი იმუნიტეტი
<b>inoculate</b>	აცრა (აცრის), ვაქცინირება, იმუნიზება;
<b>inoculation</b>	აცრა, ვაქცინაცია, იმუნიზაცია
<b>interdigitating cell</b>	გამონაზარდებიანი, დენდრიტული ფუნქციის მქონე უჯრედი (ლიმფური კვანძებისა და ელიფთის თიმუს-დამოკიდებულ ზონებში).
<b>interleukins</b>	ინტერლეიკინები (უპირატ. ლეიკოციტების მიერ სინთეზირებული ციტოკინების ჯგუფი).
<b>intraepithelial lymphocyte</b>	შიდაეპითელიალური ლიმფოციტი (კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, სასქესო გზების და სხვ. ლორწოვანი გარსის ეპითელიუმის ლიმფოციტი, რომელიც ანტიგენთან პირველივე კონტაქტისას აღმრავს იმუნურ პასუხს.)
<b>isoagglutination</b>	იზოაგლუტინაცია (ერთროციტების აგლუტინაცია იმავე სახეობის სხვა ინდივიდის სისხლის მიერ).
<b>isoagglutinin</b>	იზოაგლუტინინი (იზოაგლუტინაციის გამომწვევი ანტისხეული)
<b>isoagglutinogen</b>	იზოაგლუტინოგენი (იზოაგლუტინინის გამომწვევების მასტიმულირებელი ანტიგენი)
<b>isoantibody</b>	იზოანტისხეული (იზოანტიგენით / გენეტიკურად მსგავსი ინდივიდის ანტიგენით იმუნიზაციის საპასუხოდ გამომწვევებული ანტისხეული)
<b>isoantigen</b>	იზოანტიგენი (ანტიგენი, რომელიც გენეტიკურად მსგავსი / იმავე ინბრედული ხაზის ინდივიდისთვის შეყვანისას იმუნურ პასუხს / იზოანტისხეულების გამომწვევას იწვევს)
<b>isograft</b>	იზოტრანსპლანტატი, სინტრანსპლანტატი (გენეტიკურად იდენტური ინდივიდისგან გადანერგილი ქსოვილი;)
<b>isoimmunization</b>	იზოიმუნიზაცია (იმუნიზაცია იზოანტიგენის შეყვანით)
<b>isotypes</b>	იზოტიპები (იმუნოგლობულინის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმე ან მსუბუქი ჯაჭვების კონსტრუქტური რეგიონების ამინომჟავური წყობით განსხვავდებიან).
<b>J chain</b>	J-პეპტიდი, შემართებული პეპტიდი (IgM და IgA მონომერების შესაბამისად პენტამერსა და დიმერში გამართიანებული ჯაჭვი / მოკლე პოლიპეპტიდი).
<b>Jerne's idiotypic network theory</b>	იერნეს იდიოტიპური ქსელის თეორია (თეორია, რომლის მიხედვითაც ყოველი ახალწარმოქმნილი ანტისხეულის იდიოტიპი იწვევს მის მიმართ სპეციფიკური ანტისხეულების წარმოქმნას).
<b>junctional diversity</b>	J-სეგმენტების მრავალფეროვნება (V(D)J გენების გადაჯგუფების უზუსტობით გაზრდილი B და T უჯრედული რეცეპტორების მრავალფეროვნება)
<b>kappa</b>	კაპა (ძუძუმწოვართა ანტისხეულებში არსებული იმუნოგლობულინის მსუბუქი ჯაჭვის ორი იზოტიპიდან ერთ-ერთი)

<b>killer activation receptors</b>	კილერი უჯრედების გამააქტიურებელი რეცეპტორები
<b>killer cell</b>	მკვლელი უჯრედი (ციტოტოქსიკური ლიმფოციტი, რომელიც სიმსივნურ და/ან ვირუსით ინფიცირებულ უჯრედებს ანადგურებს).
<b>killer-cell immunoglobulin-like receptors</b>	კილერი უჯრედების იმუნოგლობულინისებრი რეცეპტორები (ბუნებრივი კილერი / მკვლელი უჯრედების აქტივობის მაკონტროლებელი რეცეპტორების ორი ძირითადი ოჯახიდან ერთ-ერთი);
<b>killer-cell lectin-like receptors</b>	კილერი უჯრედების ლექტინისებრი რეცეპტორები (ბუნებრივი კილერი / მკვლელი უჯრედების აქტივობის მაკონტროლებელი რეცეპტორების ორი ძირითადი ოჯახიდან ერთ-ერთი);
<b>lambda</b>	ლამბდა (ძუღუმწოვართა ანტიხეულებში არსებული იმუნოგლობულინის მსუბუქი ჯაჭვის ორი ტიპიდან ერთ-ერთი)
<b>macrophage activating factor</b>	მაკროფაგების გამააქტიურებელი ფაქტორი, ლიმფოკინი
<b>mast cell</b>	პოხიერი უჯრედი.
<b>membrane attack complex</b>	მემბრანის შემტევი კომპლექსი, მშკ (კომპლემენტების სისტემის კომპლექსი, რომელიც უერთდება ბაქტერიის მემბრანას, წარმოქმნის მასში ნახვრეტს / ფორას და იწვევს ბაქტერიის ლიზისს;
<b>memory cell</b>	მეხსიერების უჯრედი, მეხსიერების B-უჯრედი ან მეხსიერების T-უჯრედი (ლიმფოციტი, რომელიც დიფერენცირდება აქტივირებულ / ანტიგენ-სპეციფიკურ B ან T უჯრედად – ამ ანტიგენტან პირველი კონტაქტის შემდეგ).
<b>MHC class II molecules</b>	ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსის II კლასის მოლეკულები, ჰმკ-მოლეკულები II კლასისა.
<b>MHC class I molecules</b>	ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსის I კლასის მოლეკულები, ჰმკ-მოლეკულები I კლასისა.
<b>MHC molecules</b>	ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსის მოლეკულები / ანტიგენები, ჰმკ-მოლეკულები, ჰმკ-ანტიგენები
<b>MHC restriction</b>	ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსის ანტიგენური რესტრიქცია / შეზღუდვა, ჰმკ-რესტრიქცია, ჰმკ-შეზღუდვა.
<b>mixed lymphocyte reaction</b>	ლიმფოციტების შერეული კულტურის რეაქცია
<b>MN blood group antigens</b>	MN-სისტემის ანტიგენები (ერიტროციტების მემბრანასთან ასოცირებული სისხლის ჯგუფის M და N ანტიგენები)
<b>molecular mimicry</b>	მოლეკულური მიმიკრია.
<b>monoblast</b>	მონობლასტი (პრომონოციტის / მონოციტის წინამორბედი)
<b>monoclonal antibodies</b>	მონოკლონური ანტისხეულები (ერთი გენეალოგიური ხაზის B-ლიმფოციტების მიერ გამომუშავებული ანტისხეულები, რომლებიც სპეციფიკურია ანტიგენის მხოლოდ ერთი ეპიტოპის / დეტერმინანტის მიმართ)
<b>monocyte</b>	მონოციტი, გიგანტური ლეიკოციტი (ლეიკოციტებიდან ყველაზე დიდი ზომის ფაგოციტური უჯრედი, რომელიც ქსოვილში მოხვედრისას მაკროფაგად გარდაიქმნება)
<b>mononuclear leukocyte</b>	მონონუკლეარული / ერთბირთვიანი ლეიკოციტი, აგრანულოციტი
<b>multivalent</b>	მულტივალენტური, სამი ან მეტი ანტიგენშემაკავშირებელი უბნის / პარატოპის მქონე (ითქმის ანტისხეულის შესახებ)
<b>naive</b>	ანტიგენ-გამოუცდელი (ითქმის მომწიფებული ლიმფოციტის შესახებ, რომელსაც ამა თუ იმ სპეციფიკურ ანტიგენტან კონტაქტი ჯერ არ ჰქონია).
<b>natural killer cell</b>	ბუნებრივი კილერული / მკვლელი უჯრედი (სიმსივნური და ვირუსით დაინფიცირებული უჯრედის მიმართ ციტოტოქსიკური ლიმფოციტი);
<b>negative selection</b>	უარყოფითი გადარჩევა
<b>neutralization</b>	ნეიტრალიზაცია (ვირუსის, ბაქტერიის ან ტოქსინის მოქმედების უვნებლოყოფა სპეციფიკური ანტისხეულების კომპლექსის შექმნით).
<b>neutrophil</b>	ნეიტროფილი, ნეიტროფილური გრანულოციტი / ლეიკოციტი

<b>nonpermissive cell</b>	არდამშვები უჯრედი (ამა თუ იმ ვირუსისადმი რეზისტენტული უჯრედი, რომელშიაც ვირუსი ვერ აღწევს და გამრავლებას ვერ ახერხებს).
<b>non-professional antigen-presenting cell</b>	არაპროფესიული ანტიგენწარმდგენი უჯრედი (ფიბრობლასტი, თიმუსისა და ფარისებრი ჯირკვლის ეპითელიალური უჯრედი, გლიური უჯრედი და სხვ., რომელსაც ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპლექსის მეორე კლასის მოლეკულების ექსპრესირება მხოლოდ გარკვეულ ფიზიოლოგიურ პირობებში შეუძლია:
<b>nurse cells</b>	"მიმა" უჯრედები (სპეციალიზებული მაკროფაგები, რომლებიც ხელს უწყობენ სხვა უჯრედების განვითარებას, დიფერენცირებასა და სიცოცხლისუნარიანობას).
<b>oligoclonal</b>	ოლიგოკლონური, ლიმფოციტების მცირერიცხოვანი კლონების მონაწილეობით მიმდინარე (ითქმის იმუნური პასუხის შესახებ).
<b>opsonization</b>	ოფსონიზაცია (ოფსონინის მიერთება უჯრედთან, მაგ. ბაქტერიასთან, რაც იწვევს ამ უკანასკნელის გაძლიერებულ ფაგოციტოზს და/ან განადგურებას)
<b>Paneth cells</b>	პანეთის უჯრედები, ენტეროციტები აციდოფილური მარცვლებით (წვრილი ნაწლავის ეპითელიუმის ანტიბაქტერიული სეკრეტის გამომყოფი უჯრედები).
<b>paracortex</b>	პარაქერქოვანი შრე, პარაკორტექსი (ლიმფური კვანძისა).
<b>paraglobulin</b>	პარაგლობულინი, სისხლის შრატის გლობულინი.
<b>paratope</b>	პარატოპი, ანტიგენშემაკავშირებელი უბანი (ანტისხეულის უბანი, რომლითაც იგი ამოიცნობს ანტიგენის ეპიტოპს და უერთდება მას);
<b>passive immunity</b>	პასიური იმუნიტეტი (მეისერი ხანმოკლე იმუნიტეტი, რომელიც დონორის მზა ანტისხეულების შეყვანით ყალიბდება);
<b>passive immunization</b>	პასიური იმუნიზაცია (ორგანიზმში მზა ანტისხეულების შეყვანა შრატის სახით და მისთ.)
<b>pathogen-associated molecular pattern</b>	პათოგენასოცირებული მოლეკულური ნაკრები, პამპ (პათოგენებთან ასოცირებული მოლეკულები, რომელთაც თანდაყოლილი იმუნური სისტემა ცნობს;
<b>pattern recognition receptor</b>	პათოგენასოცირებული მოლეკულური ნაკრებების / პამპ-ების ამომცნობი რეცეპტორი
<b>pentraxins</b>	პენტრაქსინები (პამპ-ების ამომცნობი რეცეპტორების კლასის ცილოვანი რეცეპტორების ჯგუფი, რომელიც მწვავე იმუნურ პასუხებში მონაწილეობს)
<b>perforin</b>	პერფორინი (ციტოტოქსიკური ცილა, რომელსაც ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტები და ბუნებრივი კილერული უჯრედები გამოიმუშავენ).
<b>peripheral lymphoid organ</b>	პერიფერიული / მეორეული ლიმფური ორგანო (ლიმფური კვანძი, ელენთა, ნუშისებრი ჯირკვალი და სხვ.)
<b>peripheral lymphoid tissue</b>	პერიფერიული / მეორეული ლიმფური ქსოვილი
<b>peripheral tolerance</b>	პერიფერიული ტოლერანტობა (პერიფერიულ ლიმფურ ორგანოებსა და ქსოვილებში მომწიფებული T და B ლიმფოციტების უპირატ. საკუთარ ანტიგენებზე პასუხის უქონლობა).
<b>permissive cell</b>	დამშვები უჯრედი (ამა თუ იმ ვირუსისადმი არარეზისტენტული / მგრძნობიარე უჯრედი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ ვირუსის პროდუქციული ინფიქცია).
<b>phagocyte</b>	ფაგოციტი, ფაგოციტური უჯრედი (იმუნური უჯრედი, რომელსაც ორგანიზმში მოხვედრილი ბაქტერიებისა და მყარი სხეულაკების, აგრ. საკუთარი მკვდარი უჯრედების შთანთქმის უნარი გააჩნია).
<b>phagocytic phagocytose</b>	ფაგოციტური, ფაგოციტის თვისებისა; ბაქტერიების და ა.შ. შთანთქმა (შთანთქავს), ფაგოციტოზის განხორციელება.
<b>phagocytosis</b>	ფაგოციტოზი (უჯრედის მიერ ორგანიზმში მოხვედრილი ბაქტერიებისა და მყარი სხეულაკების, აგრ. საკუთარი მკვდარი უჯრედების შთანთქმა).

<b>plasmablast</b>	პლაზმაბლასტი (უმწიფარი პლაზმური უჯრედი, რომელიც B-ლიმფოციტზე / B-უჯრედზე უფრო მეტ, მაგრამ მომწიფებულ პლაზმურ უჯრედზე უფრო ნაკლებ ანტიბიოჯენს გამოიმუშავებს).
<b>plasma cell</b>	პლაზმური უჯრედი, პლაზმოციტი (მომწიფებული / სრულად დიფერენცირებული, ანტიბიოჯენის გამომუშავებელი უჯრედი – წარმოადგენს B-ლიმფოციტების დიფერენცირების ბოლო ეტაპს.)
<b>plasmacytoid dendritic cell</b>	პლაზმოციტოიდური დენდრიტული უჯრედი (დენდრიტული უჯრედი, რომელიც სავარაუდოდ დიფერენცირდება პლაზმოციტური უჯრედული რიგიდან).
<b>polyclonal antibodies</b>	პოლიკლონური ანტიბიოჯენები (სხვადასხვა გენეალოგიური ხაზის B-ლიმფოციტების მიერ გამომუშავებული ანტიბიოჯენები, რომლებიც სპეციფიკური ანტიგენის სხვადასხვა ეპიტოპს / დეტერმინანტს უერთდებიან)
<b>polymorphonuclear leukocyte</b>	პოლიმორფონუკლეარული / მარცვლოვანი ლეიკოციტი, გრანულოციტი
<b>polymorphonuclear neutrophil</b>	ნეიტროფილი
<b>polynuclear polyspecificity</b>	პოლიმორფონუკლეარული (ითქმის ლეიკოციტის შესახებ). პოლისპეციფიკურობა, სხვადასხვა ანტიგენის მიერთების უნარი (იმუნური რეკგპტორისა).
<b>positive selection</b>	დადებითი გადარჩევა (თიშუსში T-ლიმფოციტების მომწიფების ერთ-ერთი მთავარი ეტაპი, რომლის შედეგადაც დადებითად გადაირჩევა / აპოპტოზს გადაურჩება ისეთი T-ლიმფოციტი, რომლის სპეციფიკური რეცეპტორი ხასიათდება ჰისტოშეთავსებულობის მთავარ კომპლექსთან ურთიერთქმედების საშუალო აფინობით)
<b>pre-B cell</b>	პრე-B-უჯრედი, მოუმწიფებელი B-უჯრედის წინამორბედი (რომელიც პრო-B-უჯრედიდან ვითარდება – B-უჯრედის / B-ლიმფოციტის განვითარების ერთ-ერთი სტადია)
<b>pre-T cell</b>	პრე-T-უჯრედი, მოუმწიფებელი T-უჯრედის წინამორბედი (რომელიც პრო-T-უჯრედიდან ვითარდება – T-უჯრედის / T-ლიმფოციტის განვითარების ერთ-ერთი სტადია)
<b>prey proteins</b>	მტაცებელი ცილები.
<b>primary antibody</b>	პირველადი ანტიბიოჯენი (არაპირდაპირ იმუნოქიმიურ ანალიზში – ანტიბიოჯენი, რომელიც ანტიგენს ებმის, წარმოადგენს ანტიგენს მეორეული / მორადი ანტიბიოჯენისათვის).
<b>primary follicle</b>	პირველადი ლიმფური ფოლიკული (მოუმწიფებელი ფოლიკული, რომელიც ანტიგენ-გამოუცდელი / ინაქტიური B-ლიმფოციტებისაგან შედგება).
<b>primary immune response</b>	პირველადი იმუნური პასუხი (ადაპტური იმუნური სისტემის რეაქცია ანტიგენთან პირველ კონტაქტზე).
<b>primary immunodeficiency</b>	პირველადი / თანდაყოლილი იმუნოდეფიციტი (ჩვეულ. მემკვიდრული ან გენეტიკური ფაქტორით განპირობებული იმუნოდეფიციტი)
<b>primary lymphoid organ</b>	პირველადი ლიმფური ორგანო (ლიმფოციტების წარმომქმნელი ორგანო; B-ლიმფოციტებისათვის წარმოადგენს ძვლის ტვინს / ფრინველებისათვის – ფაბრიციუსის ჩანთას, ხოლო T-ლიმფოციტებისათვის – თიშუსს / ძირდაუკანა ჯირჯაოს).
<b>primed</b>	ანტიგენმოსინჯული, ანტიგენთან პირველი კონტაქტის შედეგად სენსიბილიზებული (ითქმის სპეციფიკური B ან T ლიმფოციტის შესახებ).
<b>priming</b>	პრაიმირება (სპეციფიკური B ან T ლიმფოციტის პირველი კონტაქტი ანტიგენთან).
<b>pro-B cell</b>	პრო-B-უჯრედი, პრე-B-უჯრედის წინამორბედი (რომელიც მულტიპოტენტური სისხლმზადი ლეროვანი უჯრედიდან ვითარდება – B-უჯრედის / B-ლიმფოციტის განვითარების ერთ-ერთი სტადია)

<b>professional antigen-presenting cell</b>	პროფესიული ანტიგენწარმდგენი უჯრედი (დენდრიტული უჯრედი, მონოციტი / მაკროფაგი, სპეციფიკური B-ლიმფოციტი და ზოგიერთი აქტივირებული ეპითელიალური უჯრედი, რომელიც მუდმივად / კონსტიტუციურად აქვსპრესირებს ჰისტოშეთავსებულობის მთავარი კომპონენტის მორფოლოგიას.)
<b>promonocyte</b>	პრომონოციტი, მონოციტის წინამორბედი (მონობლასტისაგან წარმოქმნილი უჯრედი, რომლიდანაც მონოციტი ვითარდება).
<b>properdin pathway</b>	პროპერდინის გზა, ალტერნატიული გზა (კომპლემენტის აქტივაციისა;)
<b>pro-T cell</b>	პრო-T-უჯრედი, პრე-T-უჯრედის წინამორბედი (რომელიც ღეროვანი უჯრედიდან ვითარდება – T-უჯრედის / T-ლიმფოციტის განვითარების ერთ-ერთი სტადია)
<b>protein folding</b>	ცილის დაკეცვა.
<b>radioimmunoassay</b>	რადიოიმუნური ანალიზი, რია (სინჯში ფერმენტების, ჰორმონების და სხვ. ბიოაქტიური ნივთიერებების რადენობრივი ანალიზის მეთოდი რადიოაქტიური იზოტოპით მონიშნული ანტიგენების ან ანტისხეულების გამოყენებით;)
<b>receptor editing</b>	რეცეპტორული რედაქტირება (B-ლიმფოციტების მომწიფებისას სპეციფიკური რეცეპტორის მკოდირებელ გენებში ნუკლეოტიდების თანმიმდევრობის ისეთი შეცვლა, რომელიც ამცირებს რეცეპტორების მიერ საკუთარი ანტიგენის ამოცნობის ალბათობას).
<b>recombination activating genes</b>	რეკომბინაციის გამააქტიურებელი გენები, RAG-1 და RAG-2 გენები
<b>red-cell ghost</b>	ერიტროციტის "აჩრდილი", ერიტროციტი ჰემოგლობინის გარეშე (ჰემოლიზებული ერიტროციტი, რომლის მემბრანა დაუზიანებლადაა შენარჩუნებული – გამოიყენება მემბრანის გამოსაკვლეად).
<b>regulatory T cells</b>	მარეგულირებელი T-ლიმფოციტები / T-უჯრედები, T-სუპრესორები, T-დამთრგუნველები (T-ლიმფოციტები, რომლებიც თრგუნავენ საკუთარ იმუნურ პასუხებს).
<b>rejection</b>	უკუგდება (რეციპიენტის იმუნური სისტემის მიერ გადანერგილი უჯრედის / ქსოვილის, როგორც გენეტიკურად უცხო წარმონაქმნის განადგურება).
<b>rhesus factor</b>	რეზუსფაქტორი (რეზუს-სისტემის ერთ-ერთი ანტიგენი, განსაკ. D ანტიგენი; ხშ. აგრ. რეზუს-სისტემის ანტიგენების ერთობლიობა;)
<b>rhesus negative</b>	რეზუსუარყოფითი, Rh-უარყოფითი (ითქმის სისხლის შესახებ, რომლის ერიტროციტები D ანტიგენს / რეზუსფაქტორს არ შეიცავენ;)
<b>rhesus positive</b>	რეზუსდადებითი, Rh-დადებითი (ითქმის სისხლის შესახებ, რომლის ერიტროციტები შეიცავენ D ანტიგენს / რეზუსფაქტორს;)
<b>scavenger</b>	"მენაგვე" რეცეპტორი (ითქმის ბუნებრივი იმუნიტეტის უჯრედების ზედაპირზე ექსპრესირებული რეცეპტორების შესახებ;)
<b>secondary antibody</b>	მეორეული / მეორადი ანტისხეული, ჰეტეროლოგიური ანტიიმუნოგლობულინი (ანტისხეული, რომელიც პირველად ანტისხეულს ებმის; გამოიყენება იმუნოლოგიურ ანალიზში).
<b>secondary follicle</b>	მეორეული / მეორადი ლიმფური ფოლიკული.
<b>secondary immune response</b>	მეორეული იმუნური პასუხი (ადაპტური იმუნიტეტის პასუხი ანტიგენტან მეორე ან შემდგომ კონტაქტზე).
<b>secondary immunodeficiency</b>	მეორეული / შემენილი იმუნოდეფიციტი (ამა თუ იმ იმუნოსუპრესორული / იმუნიტეტის დამთრგუნველი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული იმუნოდეფიციტი;)
<b>secondary lymphoid organ</b>	მეორეული / პერიფერიული ლიმფური ორგანო (ლიმფური კვანძი, ელენთა, ნუშისებრი ჯირკვალი და სხვ.)
<b>secondary lymphoid tissue</b>	მეორეული / პერიფერიული ლიმფური ქსოვილი (ლორწოვან გარსებთან ასოცირებული ლიმფური ქსოვილი, სისხლი და სხვ.)
<b>self-antigen</b>	ავტოანტიგენი (თავად ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ანტიგენი)
<b>self-tolerance</b>	ავტოტოლერანტობა, თვითტოლერანტობა (იმუნური პასუხის უქონლობა საკუთარი ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ანტიგენების წინააღმდეგ).

<b>sensitization</b>	სენსიბილიზაცია (ანტიგენზე ორგანიზმის ადაპტური იმუნური პასუხის ჩამოყალიბება).
<b>seroconversion</b>	სეროკონვერსია (სპეციფიკური ანტისხეულების გამომუშავება ორგანიზმში ამა თუ იმ ანტიგენის, მაგ. ვაქცინის ან ვირუსის, მოხვედრის საპასუხოდ).
<b>serological</b>	სეროლოგიური, სეროლოგიასთან და/ან მისი კვლევის ობიექტებთან დაკავშირებული
<b>serology</b>	სეროლოგია (იმუნოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის სისხლის შრატის ანტისხეულებს, მათ გამომუშავებას და ანტიგენებთან ურთიერთქმედებას).
<b>serum</b>	ანტიშრატი (ანტისხეულების შემცველი სისხლის შრატი, რომელიც ამა თუ იმ პათოგენის ან ტოქსინის წინააღმდეგ იმუნიტეტის გამოსამუშავებლად გამოიყენება)
<b>somatic hypermutation</b>	სომატური ჰიპერმუტაცია (B-ლიმფოციტის მუტაცია ანტიგენით სტიმულაციის შედეგად).
<b>superantigen</b>	სუპერანტიგენი (T-ლიმფოციტების მასიური არასპეციფიკური აქტივაციის გამომწვევი ანტიგენი).
<b>suppressor T lymphocyte</b>	სუპრესორული / დამთრგუნველი T-ლიმფოციტი (ამა თუ იმ ანტიგენზე სხვა ლიმფოციტების პასუხის დამთრგუნველი T-ლიმფოციტი).
<b>surface immunoglobulin</b>	ზედაპირული იმუნოგლობულინი, მემბრანული იმუნოგლობულინი (B-უჯრედისა, რომელიც ანტიგენის რეცეპტორის ფუნქციას ასრულებს).
<b>syngraft</b>	სინტრანსპლანტატი, იზოგენური ტრანსპლანტატი (გენეტიკურად იდენტური ინდივიდისგან გადანერგილი ქსოვილი)
<b>systemic anaphylaxis</b>	სისტემური ანაფილაქსია, საერთო ანაფილაქსიური რეაქცია (უეცარი, მწვავე ჰიპერმგრძობელობითი რეაქციის ტიპი განსაკ. ანტიგენის ინტრავენური შეყვანისას)
<b>systemic autoimmunity</b>	სისტემური ავტოიმუნიტეტი (ავტოიმუნური რეაქცია, რომელიც ცალკეული ორგანოთი ან სხეულის მიდამოთი არ შემოიფარგლება და მთელს ორგანიზმს მოიცავს).
<b>T-cell receptor</b>	T-უჯრედის რეცეპტორი (მოლეკულა T-ლიმფოციტის ზედაპირზე, რომლის ფუნქციაშიც ანტიგენის ამოცნობა და დამუშავება შედის;)
<b>thymus-dependent antigen</b>	თიმუსდამოკიდებული ანტიგენი (ანტიგენი, რომელიც იმუნურ პასუხს მხოლოდ T-უჯრედების ყოფნის პირობებში იწვევს;)
<b>thymus-independent antigen</b>	თიმუსდამოუკიდებელი ანტიგენი (ანტიგენი, რომელიც იმუნურ პასუხს T-უჯრედების მონაწილეობის გარეშე იწვევს;)
<b>thyroglobulin antibodies</b>	ანტისხეულები თიროგლობულინის მიმართ (თიროგლობულინის დამთრგუნველი ავტოანტისხეულები; სისხლში მათი არსებობა მიუთითებს ფარისებრი ჯირკვლის ავტოიმუნურ დაავადებაზე;)
<b>thyroid antibodies</b>	ფარისებრი ჯირკვლის ანტისხეულები / ავტოანტისხეულები (იმუნური სისტემის მიერ ფარისებრი ჯირკვლის ამა თუ იმ კომპონენტის მიმართ გამომუშავებული ანტისხეულები;)
<b>thyroid peroxidase antibodies</b>	ანტისხეულები თიროპეროქსიდაზას / თიროიდპეროქსიდაზას მიმართ (თიროპეროქსიდაზას / თიროიდპეროქსიდაზას დამთრგუნველი ავტოანტისხეულები; სისხლში მათი არსებობა მიუთითებს ფარისებრი ჯირკვლის ავტოიმუნურ დაავადებაზე;)
<b>tolerance</b>	ტოლერანტობა, გარკვეული ტიპის ანტიგენების (ტოლეროგენების) მიმართ იმუნური პასუხების წარმოქმნის უუნარობა (ორგანიზმისა).
<b>tolerogen</b>	ტოლეროგენი (ტოლერანტობის გამომწვევი ანტიგენი)
<b>transplantation antigens</b>	ტრანსპლანტაციური ანტიგენები, ჰისტოთავსებადობის ანტიგენები (ხერხემლიანთა უმეტესობის უჯრედის ზედაპირის ცილები, რომლებიც ქსოვილის გადანერგვისას ორგანიზმის მიერ ტრანსპლანტატის მიღებას ან უკუგდებას განაპირობებენ).
<b>trivalent</b>	სამვალენტური (ითქმის ანტისხეულის სამ მოლეკულასთან შეკავშირების უნარის მქონე ანტიგენის შესახებ);
<b>tumour-associated antigens</b>	სიმსივნესთან ასოცირებული ანტიგენები (მოლეკულები, რომლებიც გვხვდება როგორც ნორმალურ, ასევე სიმსივნურ ქსოვილებში;

<b>tumour-specific antigens</b>	სიმსივნე-სპეციფიკური ანტიგენები ( <i>მოლეკულები, რომლებიც მხოლოდ სიმსივნედ გადაგვარებული ქსოვილისთვის არის დამახასიათებელი;</i> )
<b>type I hypersensitivity reaction</b>	I ტიპის ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია, დაუყოვნებელი ტიპის ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია ( <i>ალერგიული რეაქცია IgE ანტისხეულების მონაწილეობით;</i> )
<b>type II hypersensitivity reaction</b>	II ტიპის ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია ( <i>ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია უჯრედის ზედაპირის ანტიგენების მიმართ ავტოანტისხეულების წარმოქმნით</i> ).
<b>type III hypersensitivity reaction</b>	III ტიპის ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია ( <i>ჰიპერმგრძობელობა, რომლის დროსაც იმუნური კომპლექსების წარმოქმნა და ქსოვილებში მათი დალექვა ხდება</i> ).
<b>type IV hypersensitivity reaction</b>	IV ტიპის ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია, შენელებული ტიპის ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია ( <i>ჰიპერმგრძობელობითი რეაქცია T-ლიმფოციტების მონაწილეობით;</i>
<b>univalent II</b>	უნივალენტური, ერთი ანტიგენშემაკავშირებელი უბნის / პარატოპის მქონე ( <i>ითქმის ანტისხეულის შესახებ</i> )
<b>vaccine</b>	ვაქცინა ( <i>ინფექციური დაავადებისადმი იმუნიტეტის შესაქმნელი ბიოპრეპარატი</i> );
<b>vaccinia virus</b>	ყვავილვაქცინის ვირუსი ( <i>პოქსვირუსების ოჯახის ვირუსი, რომელიც ყვავილის ვაქცინის აქტიური კომპონენტია;</i> )
<b>valence</b>	ვალენტობა, <i>ამა თუ იმ რაოდენობის ანტიგენშემაკავშირებელი უბნის / პარატოპის ქონა (ითქმის ანტისხეულის შესახებ);</i>
<b>variable domain</b>	ვარიანტული / ცვალებადი დომენი / უბანი, V-დომენი ( <i>იმუნოგლობულინისა</i> ).
<b>variable region</b>	ვარიანტული / ცვალებადი რეგიონი, V-რეგიონი ( <i>იმუნოგლობულინის ცვალებადი დომენისაგან შემდგარი რეგიონი;</i> )
<b>vascular addressin</b>	ვასკულარული ადრესინი ( <i>სისხლძარღვის ენდოთელიალური შრის მოლეკულა, რომელიც ლიმფოციტების მიგრაციასა და ჰომინგში მონაწილეობს</i> ).
<b>xenoantibody</b>	ქსენოანტისხეული, ქსენოგენური ანტისხეული, ჰეტეროანტისხეული
<b>xenoantigen</b>	ქსენოანტიგენი, ქსენოგენური ანტიგენი, ჰეტეროანტიგენი
<b>xenogeneic</b>	ქსენოგენური, სხვა სახეობის ინდივიდისა; ჰეტეროლოგიური ( <i>ითქმის ანტისხეულისა და ანტიგენის, იმუნიზაციის და მისთ. შესახებ;</i> )
<b>xenograft</b>	ქსენოტრანსპლანტატი, ჰეტეროტრანსპლანტატი ( <i>სხვა სახეობის ინდივიდისგან გადანერგილი ქსოვილი;</i> )

# ბიოტექნოლოგია

<b>acceptor splicing site</b> <b>affinity chromatography</b>	სპლაისინგის აქცეპტორული უბანი / საიტი. აფინური ქრომატოგრაფია (ცილებისა და სხვ. მაკრომოლეკულების ანალიზის მეთოდი).
<b>agar</b>	აგარ-აგარი (ზოგიერთი ზღვის წყალმცენარეებისგან დამზადებული ლაზა / გელი, რომელიც ბაქტერიების, მიკრობების და სხვ. კულტურების დასათესად გამოიყენება).
<b>agarose</b>	აგაროზა (აგარ-აგარისგან მიღებული პოლისაქარიდი, რომლისგანაც ელექტროფორეზის დროს გამოსაყენებელი გელი მზადდება);
<b>alloplasmic</b>	ალოპლაზმური, ერთი სახეობის ქრომოსომებისა და მეორე სახეობის ციტოპლაზმის მქონე (ითქმის ორგანიზმების ან უჯრედების შესახებ).
<b>alpha-Amanitin</b>	ალფა-ამანიტინი, $\alpha$ -ამანიტინი (ამატოქსინების ჯგუფის ტოქსინი; რნმ-მპოლიმერაზა II-ისა და III-ის მძლავრი ინჰიბიტორი)
<b>Ames test</b>	ეიმისი ტესტი (ბიოლოგიური ტესტი ქიმიურ ნივთიერებათა მუტაგენურობაზე და პოტენციურ კანცეროგენურობაზე).
<b>aminopterin</b>	ამინოპტერინი (ფოლიუმჟავას ანალოგი, რომელიც ანტინეოპლასტიკური და იმუნოსუპრესიული თვისებებით გამოირჩევა).
<b>aminopurine</b>	ამინოპურინი (ადენინისა და გუანინის ანალოგი, რომელიც <b>ბმ</b> ფლოუორესცენციურ მოლეკულურ მარკერად ან მუტაგენურ აგენტად გამოიყენება;
<b>androgenone</b>	ანდროგენონი (ხელოვნურად შექმნილი ემბრიონი, რომელიც მხოლოდ მამრობით ქრომოსომებს შეიცავს).
<b>annealing</b>	ჰიბრიდიზაცია გამოწვევით (გახურება-გაცივების პროცესში ორჯაჭვიან დნმ-ის ცალკე ჯაჭვებად გაშლა და გაცივებისას სხვადასხვა მასალისაგან ორჯაჭვიან მოლეკულად აღდგენა)
<b>antisense RNA</b>	უკუმიშენელობითი რნმ, უკუ-რნმ (ინფორმაციული რნმ-ის მიმართებით შებრუნებული მნიშვნელობის მატარებელი რნმ, რომელსაც ი-რნმ-ის ტრანსლაციის დათრგუნვა და მისი დეგრადაცია შეუძლია;
<b>aptamer</b>	აპტამერი (დნმ-ის ან რნმ-ის მოკლე ფრაგმენტი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ მოლეკულას ებმის).
<b>artificial chromosome</b>	ხელოვნური ქრომოსომა ( <b>უპირატე</b> გამოიყენება როგორც ადამიანის ან საფუარი სოკოს ხელოვნური ქრომოსომა გენების ტრანსფექციის მიზნით).
<b>artificial parthenogenesis</b>	ხელოვნური პართენოგენეზი (გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედის განვითარების გამოწვევა ქიმიური ან ფიზიკური სტიმულაციის მეშვეობით).
<b>attenuator</b>	ატენიუატორი (ბაქტერიების ტრანსკრიფციის შეწყვეტის სიგნალი).
<b>baculoviruses</b>	ბაკულოვირუსები, მწერების / ენტომოპათოგენური ვირუსები ( <b>ბმ</b> გამოიყენება როგორც ეკვარიოტულ უჯრედებში გენების შეყვანის ვექტორი).
<b>biological containment</b>	ბიოლოგიური შეზღუდვა (გენმოდულიციურებული ორგანიზმებისა და მათი ტრანსგენების მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში არსებობის / გარემოში გავრცელების შეუძლებლობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ბიოტექნოლოგიური ზომები)
<b>blot</b>	ბლოტინგი (ხსნარით დამუშავებული ნიმუშიდან ამა თუ იმ რნმ-ის, დნმ-ის ან ცილის გადატანის ხერხი რომელიმე მატარებელზე, <b>მაგ.</b> ნიტროცელულოზის მემბრანაზე)

<b>callus</b>	კალუსი (ექსპლანტაციისას კულტივირებული არადიფერენცირებული ტოტიპოტენტური ღეროვანი უჯრედების მასა).
<b>capillary electrophoresis</b>	კაპილარული ელექტროფორეზი (დნმ-ის სეკვენირების მეთოდი).
<b>cDNA clone</b>	კლონირებული კომპლემენტარული დნმ.
<b>cDNA library</b>	კლონირებული კომპლემენტარული დნმ-ების კოლექცია / ბიბლიოთეკა.
<b>centrifugation</b>	ცენტრიფუგირება, ცენტრიფუგური სეპარაცია / დანაწევრება
<b>centrifuge</b>	ცენტრიფუგა (ნივთიერების / მაკრომოლეკულების შემადგენელ ნაწილებად დასაყოფი აპარატი)
<b>chain-termination method</b>	ჯაჭვის გაწყვეტის მეთოდი, სენგერის მეთოდი, დიდუხოქსი მეთოდი (დნმ-ის სეკვენირების ერთ-ერთი მეთოდი;
<b>chain terminator</b>	ჯაჭვის ტერმინატორი / გამწყვეტი (მოლეკულა, რომელიც უერთდება დნმ-ის ნუკლეოტიდების ჯაჭვს და წყვეტს სინთეზს; გამოიყენება დნმ-ის სეკვენირების სენგერის მეთოდში).
<b>chemical cleavage method</b>	ქიმიური გახლეჩის მეთოდი, მაქსამ-გილბერტის მეთოდი (დნმ-ის სეკვენირების ერთ-ერთი მეთოდი;
<b>chromatograph</b>	ქრომატოგრაფია (ქრომატოგრაფიული ანალიზის / დაყოფის შედეგი – ნარევის კომპონენტების შემცველი ქაღალდის ფილტრი, ანალიზის შედეგების გრაფიკული ჩანაწერი და მისი.)
<b>chromatography</b>	ქრომატოგრაფია (რთული ნარევის დაყოფა შემადგენელ ნაწილებად ამ ნარევის ქაღალდის ფილტრში და სხვ. გაჭარბების გზით).
<b>chromosome banding</b>	ქრომოსომების დიფერენციული შეღებვა, ბენდინგი
<b>chromosome banding techniques</b>	ქრომოსომების შეღებვის მეთოდები (ცალკეული ქრომოსომების გასწვრივი სტრუქტურის დასადგენ, კარიოტიპის ცალკეული ელემენტების გამოსავლენ და ა.შ. მეთოდთა კომპლექსი).
<b>chromosome jumping</b>	"ქრომოსომაზე დახტომა" (გენომური რუკის დადგენის მეთოდი, რომელიც იხმარება იქ, სადაც ქრომოსომაზე გავლის ხერხის გამოყენება შეუძლებელია).
<b>chromosome walking</b>	"ქრომოსომაზე გავლა" (დნმ-ის ურთიერთგადამარავი თანმიმდევრობების / კლონების გამოყოფისა და ანალიზის ძირითადი მეთოდი გენომური რუკის დასადგენად).
<b>cis splicing</b>	ცის-სპლაისინგი (ეგ ზონების შეერთება ერთი და იმავე გენის ფარგლებში).
